



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

რამაზ გერლიანი

**ეკონომიკური თავისუფლების გავლენა ეკონომიკური ზრდის
მაჩვენებლებზე**

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

**ეკონომიკის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

მეცნიერ–ხელმძღვანელი: ეთერ ხარაიშვილი
თსუ სრული პროფესორი

თბილისი 2013

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	4
თავი I. ეკონომიკური თავისუფლების და ეკონომიკური ზრდის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები . . .	16
1.1 ეკონომიკური თავისუფლების შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები	16
1.2 ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე	30
თავი II. ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური კრიზისები	40
2.1 ეკონომიკური თავისუფლება, რეცესიები და მათი ახსნის მეცნიერული გზები	40
2.2 ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკის ციკლური განვითარება	46
2.3 ეკონომიკური თავისუფლება - გლობალური კრიზისიდან ლოკალურ წარმატებამდე	57
თავი III. კერძო საკუთრების ანალიზი და ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი	62
3.1 კერძო საკუთრება - ეკონომიკური თავისუფლების გარანტი	62

3.2 კერძო საკუთრება საქართველოში და ეკონომიკური
თავისუფლების დონე 72

თავი IV. ეკონომიკური თავისუფლება და
ეკონომიკური ზრდა 113

4.1 ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებისა და ეკონომიკური
თავისუფლების ურთიერთდამოკიდებულება 113

4.2 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების შეფასება 113

4.3 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებისა და მშპ
ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი 158

დასკვნები და რეკომენდაციები 172

გამოყენებული ლიტერატურა 184

შ ე ს ა ვ ა ლ ი

პრობლემის აქტუალურობა. კაცობრიობის განვითარება თავისუფლებას და შესაბამისად ეკონომიკურ თავისუფლებას უკავშირდება. თავისუფლება იყო მთავარი მოტივი და პირობა, რის გამოც ადამიანთა საზოგადოება ველური ცხოვრებიდან ისტორიული განვითარების სტადიების გავლით დღემდე, ცივილურ სამყარომდე მოვიდა და მისი უდიდესი ნაწილი ჩამოყალიბდა კიდევ თავისუფალ საზოგადოებად; ეკონომიკურ თავისუფლებაც მუდმივი და განუყრელი თანმხლები მოთხოვნა იყო თავისუფლების მაძიებელი საზოგადოებისთვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს მამოძრავებელი ძალა თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებაა, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა კი, მის დასაცავად და გასამტკიცებლად არსებულ ქმედებათა ერთობლიობა. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტიანად ახერხებს ამას ესა თუ ის სახელმწიფო.

მიუხედავად საზოგადოებრივ პოლიტიკური წყობილებების ცვლილებებისა, რომლის მუდმივი თანმდევი პროცესია თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება, მათდამი მოთხოვნა არ შემცირებულა. პირიქით, თავისუფლება იკავებს ცენტრალურ ადგილს ცივილურ სამყაროში - პიროვნული თავისუფლებიდან სახელმწიფოებრივ თავისუფლებამდე, მასთან ერთად ეკონომიკური თავისუფლებაც ცენტრალური ფასეულობაა თანამედროვე საზოგადოებისთვის.

სწორედ ეკონომიკურ თავისუფლებას უნდა უმაღლოდეს მთელი სამყარო საქონელთა გაცვლისა და ვაჭრობის განვითარებას, რომელმაც განაპირობა საერთაშორისო ურთიერთობები, შესაბამისად, სამყარო უფრო ერთიანი და სრულფასოვანი გახდა.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლება

განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკამ წამოწია წინა პლანზე და ის სადღეისოდ წარმოადგენს ქვეყნების ეკონომიკური წარმატების მიღწევის უმთავრეს პირობას. ამრიგად, მსოფლიოში ყველა პოლიტიკოსი თუ მთავრობა მუდმივად იღვწის და საუბრობს თუ როგორ იზრუნებენ საზოგადოების ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე.

ეკონომიკური თავისუფლება თავისი ფართო გაგებით საზოგადოების ყველა ფენისა და ცივილიზაციის მოთხოვნა გახდა. მისი აქტუალურობა ერთმნიშვნელოვანი და ფასეულია, როგორც თითოეული რიგით ადამიანისთვის, ასევე სახელმწიფოსა და გლობალური სამყაროს ყველა ეკონომიკური სეგმენტისთვის.

ეკონომიკური თავისუფლება მიხნეულია ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის ფაქტორად, საზოგადო სიკეთეთა ზრდასა და განვითარების მახასიათებლად, ამიტომაც ის მთავარი მისწრაფებაა ყველა სახელმწიფოს, რომელსაც სურს იყოს ცივილური სამყაროს ნაწილი და ქონდეს მაღალი ცხოვრების დონე. შესაბამისად ეკონომიკური თავისუფლება შეჯიბრისა და ჯანსაღი კონკურენციის მთავარი ფაქტორია სახელმწიფოებსა და რეგიონებს შორისაც კი.

ეკონომიკური თავისუფლების აქტუალურობა განპირობებულია სოციალ-ეკონომიკური პრობლემებითაც, რომელთა დაძლევის შესაძლებლობებსაც ზრდის ის. ამით ეკონომიკური თავისუფლება სოციალური ფუნქციონირება კი გახდა, რაც უზრუნველყოფს ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლებას და სოციალური პირობების ყველა მახასიათებლით გაუმჯობესებას.

ეკონომიკური თავისუფლების კვლევის აქტუალურობა არ ექვემდებარება დროთა ცვალებადობას, მას არ აქვს ზღვარი და რაღაც კონკრეტული იდეალური მდგომარეობა, რომლის მიღწევის შემდეგაც შესაძლებელი იქნება თამამად თქმა იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლების ეტაპი მიღწეულია და გავლილი. ის არის ეკონომიკური მოღვაწეობისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების თანმხლები პროცესი, ფუნქციონირება, რომელიც დროში პროგრესირებადია და საზოგადოების, ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ვითარდება. ამასთან, ყველა ეკონომიკურ გამოწვევასთან ერთად ახალ სიცოცხლეს იძენს. ამიტომ ეკონომიკური თავისუფლება არის საკითხი, რომლის კვლევა თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში აუცილებელი და საჭიროა.

ზოგადად ეკონომიკური თავისუფლების როლი მნიშვნელოვანია

სახელმწიფოებისა და საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, თავისუფალი ნება ქმნის საზოგადოებას მთელი თავისი მატერიალური და სულიერი ფასეულობებით. ხოლო სახელმწიფო ვერ იარსებებს საზოგადოებისა და მატერიალური ფასეულობების გარეშე.

ეკონომიკური თავისუფლება ესაჭიროება ყველა ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც აღიარებს საქონელთა თავისუფალი გაცვლისა და ბაზრის არსებობის აუცილებლობას, რომლის მიზანიც არის ეკონომიკური აღმავლობა, ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობის მაჩვენებელთა ამაღლება.

საქართველოსთვის როგორც ახალგაზრდა საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტაციის მქონე ქვეყნისთვის ეკონომიკური თავისუფლება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ ქვეყნის ეკონომიკას მძიმე ხვედრად ხვდა ყოფილიყო არათავისუფალი მბრძანებლური საბჭოთა ეკონომიკის ნაწილი.

პოსტსაბჭოთა სივრცისთვის განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური თავისუფლება და მისი მთავარი ელემენტები: კერძო საკუთრება, მისი განკარგვა, ფლობა და დაცვა; ასევე, ყველა ეკონომიკური სფერო, რაშიც ეკონომიკური თავისუფლება გამოიხატება - თავისუფალი ფასებიდან თავისუფალ ფასწარმოქმნამდე; სახელმწიფო ბაზრიდან კერძო თავისუფალ ბაზრამდე; დირექტიული დაგეგმივიდან ინდიკატორულ პროგრამებამდე; სახელმწიფო ბიუროკრატიაშიდან დემოკრატიაში; შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობიდან ფართო საინვესტიციო თავისუფლებამდე და ა.შ.; ლოკალური ეკონომიკური თავისუფლების ამაღლებით გლობალური კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა, ეკონომიკური ზრდა და მოქალაქეთა კეთილდღეობა.

საბაზრო ეკონომიკა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ თავისუფლებას და კერძო საკუთრებას ემყარება, რაც არჩევანის თავისუფლებაში გამოვლინდება. არჩევანი ჯანსაღი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია - ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა.

ეკონომიკური თავისუფლება, რაც მთავარია, ქმნის ნიადაგს ნოვაციებისა და პროგრესისთვის, ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის როგორც მოკლე ასევე გრძელვადიანი პერიოდში.

ყოველივე ზემოხსენებულის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ სახელმწიფომ გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიოს ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო დონეზე.

გარდამავალი ტიპის და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებისთვის

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებაში. ფაქტობრივად ის წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ახალი თვითგანვითარებადი, ძლიერი, რეგენერაციის უნარის მქონე ეკონომიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

ამრიგად, პრობლემის აქტუალურობა განისაზღვრება ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის კვლევის აუცილებლობით, თანამედროვე პირობებში ეკონომიკის სტრატეგიული განსაზღვრის მიმართულებების შემუშავებისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობით.

ეკონომიკური თავისუფლების არსი საზოგადოების კეთილდღეობის ზრდაშია და შესაბამისად მას ეკონომიკურ ზრდასაც უკავშირებენ. ეს ორი მჭიდრო კავშირში მყოფი ფენომენი მნიშვნელოვანი საკითხებია ყველა საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ეკონომიკურ თავისუფლების პრობლემის კვლევას.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებიდან გამომდინარე, ეკონომიკური თავისუფლება გახდა მეცნიერთა კვლევის და საზოგადოებრივი განხილვის ფართო საგანი, განსაკუთრებით გასული საუკუნიდან. ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელობისადმი მეცნიერული ინტერესი დღითიდღე იზრდება, მას იკვლევს უამრავი მეცნიერი, რომელთაგან აღსანიშნავია: ფ. ა. ფონ ჰაეკი, ლ. ფონ მიზესი, მ. ფრიდმენი, ლ. ერჰარდი, მარი ნ. როთბარდი, რ. ლოუსონი და სხვები. მკვლევარებმა დიდი წვლილი შეიტანეს არა მარტო ეკონომიკური თავისუფლების არსის მეცნიერულ ახსნაში, არამედ დაასაბუთეს ეკონომიკის განვითარებისთვის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მნიშვნელობა, ასევე აჩვენეს თავისუფლების როლი სოციალური კეთილდღეობის ამაღლებაში.

ეკონომიკური თავისუფლება უამრავი საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის ინტერესს იწვევს, აღნიშნული ინსტიტუტები თითოეული ქვეყნის დონეზე ახდენენ ეკონომიკური თავისუფლების გაზომვას და შემდგომში მის საზოგადო პროდუქტად ქცევას. ეს გამომდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობისა და ინვესტორების ინტერესებიდან, რათა გაერკვნენ და დაგეგმონ შესაბამისი სამოქმედო სტრატეგია თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების შესაბამისად.

ეკონომიკური თავისუფლების პრინციპებს ეყრდნობა უამრავი

განვითარებული ქვეყანა შესაბამისი პოლიტიკის გატარებისას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას ბიზნეს საქმიანობის გამარტივებითა და თავისუფალი ბაზრის ხელშეწყობით.

ქართველ მეცნიერთაგან აღსანიშნავია: რ. გველესიანი, მ. თეთრუაშვილი, ე. მექვაბიშვილი, გ. ლაღანიძე, გ. ჯანდიერი, ი. ჩხაიძე, ე. ხარაიშვილი და სხვები, რომლებსაც ეკონომიკური თავისუფლება კონკურენციის, საკუთებისა და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების თვალთახედვიდან აქვთ შესწავლილი.

საქართველოში, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, საბაზრო ურთიერთობები და ეკონომიკური თავისუფლება დამკვიდრების სტადიაზეა. შესაბამისად, პრობლემა ნაკლებადაა შესწავლილი ეკონომიკურ რეალობასთან მიმართებაში.

ამრიგად, მკვლევარების მიერ პრობლემა მეტწილად შესწავლილია განვითარებული ქვეყნების ანალოგზე, შესაბამისად მათზე თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილებაც მეტია დაგროვილი, ვიდრე ახალგაზრდა საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტაციის მქონე ქვეყნებზე. გარდამავალი ტიპის ქვეყნებისთვის სათანადო დონეზე არაა გამოკვლეული ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველმყოფი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლების დასადგენად და ეკონომიკური ზრდისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ ეკონომიკური თავისუფლების კვლევას, გარდამავალი ტიპის ქვეყნებისთვის არაა გამოკვლეული საკუთრების, აქტივების ბაზრების ფორმირების პრობლემები.

ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველმყოფი მაჩვენებლებისა და ეკონომიკურ ზრდასთან მათი დამოკიდებულების სიდრმისეული კვლევა საქართველოში არ განხორციელებულა, შესაბამისად პრობლემა ნაკლებადაა შესწავლილი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია ეკონომიკურ თავისუფლების ხარისხის გაველენის შეფასება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე და შესაბამისი სახელმწიფო ეკონომიკური სტრატეგიისთვის წინადადებების შემუშავება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:
- ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის დეფინიციის მეცნიერული შეფასება და ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელობის დადგენა საბაზრო

ეკონომიკის ფორმირების პროცესში; ეკონომიკური თავისუფლების ხარისხობრივი ზრდის კვალობაზე სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური რეგულირების სფეროების განსაზღვრა;

- საზოგადოებრივი, ეკონომიკური, და პოლიტიკური თავისუფლების ურთიერთ დამოკიდებულების ოპტიმალური არეალის დადგენა;

- ეკონომიკური თავისუფლების გავლენა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე (ინვესტიციები, დანახოვი, შემოსავლები, დანახარჯები და ა.შ.);

- ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფით ეკონომიკური კრიზისების და შოკების შერბილების მექანიზმების გამოვლენა;

- ეკონომიკური თავისუფლების და კერძო საკუთრების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა;

- ეკონომიკური თავისუფლების, ეკონომიკური ციკლების და რეცესიების ურთიერთ დამოკიდებულების მეცნიერული ანალიზით მათი გამომწვევი ზოგიერთი მიზეზის ახსნა;

- ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის უზრუნველყოფი მთავარი ფაქტორის საკუთრების შესწავლა, კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობის დადგენა საქართველოში; კერძო საკუთრების მნიშვნელობის ახსნა ეკონომიკური თავისუფლების ამაღლების თვალსაზრისით;

- საქართველოში სახელმწიფო საკუთრების განკერძოების ხარვეზების ჩვენება და პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბება, კერძო საკუთრების სწრაფი ფორმირებისა და ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ამაღლებისათვის;

- აქტივების ბაზრების შესწავლა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ახსნა, თავისუფალი კერძო ბაზრის უზრუნველყოფი და ხელმშემშლელი ფაქტორების გამოვლენა;

- აქტივების ლიკვიდურობის შესწავლა სასოფლო-სამეურნეო მიწების მაგალითზე, აქტივის ღირებულებაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;

- სახელმწიფო საკუთრების განკერძოების ზეგავლენა კერძო გარიგებების თავისუფლებაზე, სახელმწიფო საკუთრებისა და კერძო საკუთრების უპირატესი ეფექტიანობის განსაზღვრა;

- ეკონომიკური თავისუფლების, კერძო საკუთრებისა და საბაზრო მოტივაციების ურთიერთშეთანწყობის ოპტიმიზაციისთვის პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბება;

- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების და ეკონომიკური ზრდის

მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულების დადგენა;

- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების სრულყოფის წინადადებების შემუშავება; ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების განხილვა სხვადასხვა განვითარების მქონე ქვეყნებისთვის;

- ეკონომიკური თავისუფლების და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულების თეორიული ახსნა;

- პრაქტიკული კვლევის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ცვალებადობის შესწავლა ქვეყნების მიხედვით და მათი შედარება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების მაჩვენებლებთან;

- კვლევით მიღებული შედეგების ანალიზი და ქვეყნების შესაბამისი ჯგუფებისთვის მიღებული შედეგების მეცნიერული ახსნა. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების და მშპ-ს მონაცემთა კორელაციის გზით განსხვავების თუ იდენტურობის დადგენა.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტია ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებების ურთიერთდამოკიდებულება ზოგად ეკონომიკურ ჭრილში და საქართველოს მაგალითზე. მიკრო, მაკრო და მეგადონეზე ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის უზრუნველყოფი ეკონომიკური ფაქტორების კვლევა.

კვლევა მოიცავს ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელობის შეფასებას შოკების თავიდან ასაცილებლად და შესარბილებლად; ეკონომიკური თავისუფლების მთავარი ფაქტორის - კერძო საკუთრების და აქტივების ბაზრის მნიშვნელობას ეკონომიკური თავისუფლების ამადლების თვალსაზრისით (ზოგადად და საქართველოში). კერძო საკუთრება და აქტივების კერძო საკუთრებად ფორმირების პროცესის კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასთან.

კვლევა, აგრეთვე, მოიცავს მსოფლიო ავტორიტეტული ეკონომიკური თავისუფლების კვლევითი ორგანიზაციების, ეკონომიკური თავისუფლების ოთხი ინდექსის ანალიზს; ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით მსოფლიო ქვეყნების ოთხი ჯგუფის მშპ-ის (როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორის) და ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგების ურთიერთდამოკიდებულების ახსნას, ურთიერთ შედარების (მონაცემთა კორელაციის) გზით.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე ეკონომიკური

თეორიები, სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევები და ნაშრომები, ეკონომიკური თავისუფლების საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების ეკონომიკური თავისუფლების საკითხებში ჩატარებული კვლევები, ეკონომიკური სკოლების და ინსტიტუტების (ორგანიზაციების) ზოგადი და სამეცნიერო კრებულები, კონცეფციები, მონაცემები და საარქივო მასალები.

ნაშრომში გამოყენებულია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური თავისუფლების კვლევით საკითხებზე არსებული თანამედროვე ლიტერატურა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „მომსახურების სააგენტოს“ და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის“ ოფიციალურ ელექტრონულ მასალები და მონაცემები, არსებული სამთავრობო დოკუმენტები; აგრეთვე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკის და მსოფლიოს სავალუტო ფონდის, ოფიციალურ ელექტრონული გვერდებიდან მოპოვებული მონაცემები და მასალები. სამაოქალაქო საზოგადოების და დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოქვეყნებული ეკონომიკური თავისუფლების ანალიზთან დაკავშირებული მასალები. მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლების კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშები, ეკონომიკური თავისუფლების, ბიზნესის კეთების და გლობალური კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ინდექსები;

კვლევების პერიოდი მოიცავს 2000-2012 წლებს.

ნაშრომში გამოყენებულია დიალექტიკური, ანალიზის, სინთეზის, სტატისტიკური და შედარების მეთოდები; ემპირიული მეთოდი თვითდაკვირვებისა და პრაქტიკული მონაწილეობის გზით მიღებული შედეგების მეცნიერული შესწავლისთვის, კვლევით მონაცემებს შორის ურთიერდამოკიდებულების ასახსნელად ვეერდნობით მონაცემთა კორელაციას და შედარებითი ანალიზს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების ურთიერთდამოკიდებულების მოდელის შესაბამისად ეკონომიკური თავისუფლების გავლენის დადგენა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე; საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობით კრიზისული ციკლების შერბილების მექანიზმების შემუშავება; კერძო ბაზრის განვითარების ფაქტორების შესწავლით პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, თავისუფლების მთავარი ფაქტორის კერძო საკუთრების ფორმირებისა და განვითარების მექანიზმების შექმნა; კერძო საკუთრების

ფორმირების და განვითარების მნიშვნელობის ახსნა ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების მეთოდოლოგიის სრულყოფის წინადადებები პოსტსბჭოთა ქვეყნებისათვის; ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების და ეკონომიკური ზრდის ურთიერთ დამოკიდებულების მეცნიერული შესწავლა.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეთა შორის აღსანიშნავია:

- შესწავლილია საზოგადოებრივი, ეკონომიკური, და პოლიტიკური თავისუფლების ზემოქმედება ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ცვლილებაზე, შემუშავებულია შესაბამისი სფეროების ურთიერთდამოკიდებულების მოდელი;
- ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის შესწავლის საფუძველზე გაანალიზებულია შემოსავლების და დანახარჯების ურთიერთდამოკიდებულება და დანაზოგის ფორმირება-დაგროვების შესაძლებლობები;
- გაანალიზებულია ეკონომიკურ ერთეულთა საქმიანობის თავისუფალი არეალის მნიშვნელობა და ცვლილების შედეგები;
- განხილულია სახელმწიფო მონოპოლიური რეგულირების აუცილებლობა და დასაბუთებულია მისი დამოკიდებულება ეკონომიკურ თავისუფლებასთან დონეების მიხედვით;
- ახსნილია საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეცესიის გამომწვევი მიზეზები სასაქონლო დონეზე და შემოთავაზებულია რეცესიის სიღრმის შემცირების რიგი საკითხები ეკონომიკური თავისუფლების გზით;
- საქონელთა სასიცოცხლო ციკლების ანალიზის მეშვეობით ახსნილია ციკლური ვარდნის გამომწვევი მიზეზები; გაანალიზებულია დანაზოგის ეკონომიკური თავისუფლების და ციკლური ვარდნის ურთიერ დამოკიდებულების სეგმენტები; ეკონომიკური თავისუფლებაზე დაყრდნობით მოცემულია გლობალური კრიზისის ლოკალურ წარმატებად ქცევის ხედვა;
- შესწავლილია აქტივების ბაზრები და მათი ურთიერთდამოკიდებულება ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველსაყოფად; დასაბუთებულია ეკონომიკური თავისუფლების ასამაღლებლად კერძო საკუთრების ფორმირების აუცილებლობა, საქართველოსა და პოსტსბჭოთა ქვეყნებისთვის;

- მიწის სამი ელექტრონული ბაზრის მაგალითზე ჩატარებულია კვლევა აქტივების კერძო საკუთრებად ფორმირების პროცესზე და გამოვლენილია თავისუფალი კერძო ბაზრის შემაფერხებელი ფაქტორები;
- გრაფიკის მეშვეობით ახსნილია სახელმწიფო და კერძო ბაზრის ურთიერთდამოკიდებულება; აქტივებზე თავისუფალი ფასწარმოქმნის პრობლემების შესწავლით ახსნილია აქტივების განკერძოების უპირატესობა სახელმწიფოსთვის მისაღები ფინანსური შემოსავლების მხრივ;
- შემუშავებულია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების მეთოდოლოგიის სრულყოფის წინადადებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის;
- დასაბუთებულია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ლოგიკური კავშირები;
- კორელაციის გზით გამოვლენილია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების და ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორის მშპ-ის ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიო ქვეყნების მაგალითზე, დადგენილია ეკონომიკური თავისუფლების გავლენა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში მიღებული თეორიული და პრაქტიკული შედეგები ზოგადად ხელს შეუწყობს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის დადგენასა და ამაღლებას, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ანალიზში თავისუფლების როლის შეფასებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული შედეგების გამოყენება შესაძლებელია ქვეყნების (განსაკუთრებით საქართველოს) სამთავრობო სტრუქტურების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისას.

პრაქტიკული კვლევის შედეგები აქტივების ბაზრებთან და კერძო საკუთრების ფორმირებასთან დაკავშირებით შეუძლიათ გამოიყენონ რიგმა სახელმწიფოებმა, როგორც საქართველოში ასევე ეკონომიკური განვითარების გარდამავალ ეტაპზე მყოფმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებით პოსტსოციალისტურმა სივრცემ, სადაც საკუთრების ფორმირება ჯერ კიდევ არა დასრულებული.

მიწის ბაზრის პრაქტიკული კვლევის შედეგებისა და მონაცემების გამოყენება შესაძლებელია აგრძელდეს სექტორში ჩართული ან ამ სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი პირის მიერ რიგითი მოქალაქეებიდან იურიდიულ

პირების ჩათვლით, აგრეთვე პოტენციური ინვესტორების და სამთავრობო აგრალური პოლიტიკის დამგვემავ სტრუქტურებში.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან დაკავშირებული წინადადებების გამოყენება შეუძლიათ ეკონომიკური თავისუფლების კვლევით ორგანიზაციებს, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის (პოსტსაბჭოთა სივრცე) მათი მეთოდოლოგიის დასახვეწად და სრულფასოვანი სურათის მისაღებად რიგ კატეგორიის ქვეყნებთან მიმართებაში.

ნაშრომში მოცემული პრაქტიკული და თეორიული ინფორმაციის გამოყენება შეუძლია განხილული საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს და მეცნიერ-მკვლევარებს.

ნაშრომში მოცემული დასკვნები, წინადადებები და პრაქტიკულ-თეორიული რეკომენდაციები შეიძლება საფუძვლად დაედოს, სხვადასხვა ქვეყანაში (განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში) ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ამღლებას და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესებას; საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად ღრმა რეფორმების განხორციელებას; აგრეთვე ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესებას ქვეყნებისა და რეგიონების დონეზე.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები მოხსენდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკის კათედრას, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრი“-ს ექსპერტთა კლუბს. ნაშრომის რიგი საკითხები მოხსენებით წარდგენილი იქნა სამეცნიერო კოლოქვიუმებზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე.

კვლევის ძირითადი შედეგები ავტორის მიერ გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „ეკონომიკური თავისუფლების როლი და ფარგლები ეკონომიკურ პოლიტიკაში“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №4, თბ., 2010.
2. „ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური კრიზისები“, „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე

პრობლემები და განვითარების ტენდენციები”, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, თბ., 2012.

3. „ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური კრიზისების ზოგიერთი ასპექტები“, ჟურნალი „ეკონომიკა“, №3, თბ., 2013.
4. „ეკერძო საკუთრება როგორც ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №1, თბ., 2013.

სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ათი პარაგრაფის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან.

ნაშრომი მოიცავს ელექტრონულად ნაბეჭდ 194 გვერდს (ფურცლის ზომა A4; შრიფტის სახეობა – AcadNusx-ი (12); სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ).

თავი I. ეკონომიკური თავისუფლების და ეკონომიკური ზრდის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 თავისუფლების მეთოდოლოგიური საფუძველი

**„სახელმწიფოს ღერძი არის თავისუფალი ადამიანი, ეკონომიკური
სისტემისა კი - ეკონომიკური თავისუფლება” /ავტორი/**

თავისუფლება ის ძირითადი ელემენტია, რომელმაც მთელი კაცობრიობის ისტორიაში პროგრესი წარმოშვა და საზოგადოება დღემდე მოიყვანა. თავისუფლება სწორედ ის ძირითადი ქვაკუთხეა, რომელიც აერთიანებს პერსონებს და ქმნის საზოგადოებას, ერთობას, ძალას. ამასთან, მას შემოქმედებითი ძალა აქვს, ხოლო საზოგადოების გარეშე ვერ შეიქმნება სახელმწიფო, მით უმეტეს, ვერ განვითარდება შემოქმედებითი სულის გარეშე, რომელიც წარმოების ფაქტორთა უმთავრესი შემაკავშირებელი რგოლი და შესაბამისად მატერიალური კეთილდღეობის წყაროა.

ადამიანში თავისუფლება ბადებს პიროვნებას, რომელსაც სურს ყველა სიკეთეს თავისუფლად ფლობდეს. იმისათვის, რომ ვიყოთ თავისუფალნი, აუცილებელია, გვქონდეს სხვა ადამიანებისადმი სიყვარულისა და სოლიდარობის შინაგანი ღვთიური თავისუფლება და გრძნობა. სხვა სახის თავისუფლება შინაგანი სულიერი თავისუფლების ანარეკლია, მისი უბრალო გამოვლინებაა. „თავისუფლება ეს უნიკალური სიტყვათა შერწყმაა და უფლებამოსილებას გამოხატავს”.¹

თავისუფლება პირველ რიგში საკუთარ თავზე უფლებამოსილება და საკუთარი თავის განკარგვაა, ქართულ ენაზე ეს განსაკუთრებულად კარგად და

¹ ბუთხუზი თ., „შესაძლებლობის აღსრულება“, თბ., 2008. გვ. 250.

შინაარსიანად გამოიხატება „თავის“-„უფლება“ ანუ ჩვენ ვფლობთ საკუთარ თავს და მისი „უფალნი“, განმკარგავნი ვართ.

თავისუფლება აგრეთვე უდიდესი მადლია, თუმცა, არ შეიძლება იგი ყველაფრის უფლებად აღვიქვათ. თავისუფლება ნიშნავს მოვალეობასაც, რაც საკუთარი თავის განკარგვისა და სხვისი თავისუფლების აღიარებაში, პატივისცემაში გამოიხატება, მორალური საზღვარი თავისუფლების ან თავისუფალი ნების იქნება - **ნუ ინებებ სხვისთვის იმას, რაც საკუთარი თავისთვის არ გნებავს** - ანუ გააზრებაში მდგომარეობს, (მხოლოდ ამის შემდეგ მოდის სამართალი და კანონები) გააზრება იმისა, რომ თუ „მე“ ვინმეს („მის“) ადგილას ვყოფილვითავე მისაღები იქნებოდა თუ არა, ის რაც „მე“ მნებავს, ანუ **საკუთარი თავის სხვის ადგილას დაყენება**.

„ადამიანი გონიერი არსებაა, რომელიც სხვა ძუძუმწოვრებისგან აზროვნების უნარით განსხვავდება. ადამიანის საქმიანობის მთავარ მიმართულებას სწორედ აზროვნება წარმოადგენს. მისი პიროვნული თავისუფლების დიდი ნაწილი სწორედ აზროვნების თავისუფლებაა და შესაბამისად, რაც მეტადაა შეხლუდული ადამიანის აზროვნება, მით უფრო არაა თავისუფალია იგი და, პირიქით.“² ამრიგად, მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, აზროვნებისა და გააზრების გარეშე თავისუფლება არ არსებობს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური თავისუფლება და კერძო საკუთრება ცენტრალურ ადგილს იკავებენ, აძლიერებენ თავისუფალ არჩევანსა და თავისუფალ კონკურენციას, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკურ პროგრესსა და კეთილდღეობის ზრდას.

ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებში გარდამავალი ტიპის ეკონომიკის ქვეყნებისთვის. ფაქტობრივად ის წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ახალი თვითგანვითარებადი, ძლიერი, რეგენერაციის უნარის მქონე ეკონომიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

ამრიგად, ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი და მის მნიშვნელობა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებისთვის განმსაზღვრელი ფაქტორია. საჭიროა განისაზღვროს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური რეგულირების სფეროები ეკონომიკური თავისუფლების ხარისხობრივი ზრდის

² ჯანდიერი გ., „კერძო საკუთრება და საქართველო“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III წიგნი, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, თბ., 2005. გვ. 5.

კვალობაზე.

თავისუფლებასთან და ეკონომიკური თავისუფლებასთან დაკავშირებით რიგ გამოკვლევებია ჩატარებული, ნაშრომებში მკვლევარები პირდაპირ თუ ირიბად საუბრობენ ეკონომიკური თავისუფლების როლსა და ზომების კვლევის აუცილებლობაზე, ასახავენ ეკონომიკურ განვითარებაში ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელობას.

კვლევებში ძირითადად მოყვანილია თავისუფლების გაგების ძველი დეფინიციები, მაგალითად, „ჩემი თავისუფლება იწყება იქ, სადაც სხვისი თავისუფლება მთავრდება“, ³ ან პირიქით. აღნიშნულ დეფინიციას ვერ დავეთანხმებით.

ხატონად, რომ ვთქვათ, თავისუფლება გავს სანთლის ნათებას, მის გამოსხივებას, შუქს - და რაც მეტია მანათობელი სანთლების რაოდენობა მით მეტია ნათების სიძლიერე, ანუ ჩვენს შემთხვევაში თავისუფლება, მისი სიძლიერე. ამრიგად, ჭეშმარიტი თავისუფლება იქ კი არ იწყება, სადაც სხვისი თავისუფლება მთავრდება, არამედ - ჩემი თავისუფლება უფრო ძლიერდება სხვისი თავისუფლებით.

ამ ლოგიკით ვაგნებთ თანამედროვე თავისუფლების მთავარ ელემენტს „საზოგადოებრივ თავისუფლებას“, თუ საზოგადოება არაა თავისუფალი იქ ფაქტიურად შეუძლებელია ცალ-ცალკე პერსონების თავისუფლების არსებობა.

ამრიგად, დამკვიდრებული ძველი დეფინიციისგან განსხვავებით ჩვენი კვლევითი დეფინიცია უფრო ფართო და ყოვლისმომცველია. თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის წინააღმდეგობაში მოდის სხვათა თავისუფლებასთან.

გონიერი, თავისუფლების არსში ჩახედული ადამიანები ხვდებიან თავად შეიზღუდონ თუ სხვები შეზღუდონ, იმის მიხედვით, თუ რომელი ადამიანის ამაგი, ღვაწლია უფრო საჭირო საზოგადოების კეთილდღეობისა და განვითარებისთვის. შესაბამისად, ადამიანები აღმოჩნდებიან არჩევანის წინაშე. სწორედ ასე იკვეთება თავისუფლების პირველი მახასიათებელი, „არჩევანი“. თავის მხრივ, გონივრული არჩევანი უკვე თავისუფლებას წარმოადგენს, ⁴ რომელიც გაჯერებულია

³ ბუთხუზი თ., „შესაძლებლობის აღსრულება“, თბ., 2008. გვ. 251.

მიხესი ლ. ფ., ჰაეკი ფ. ფ., „ლიბერალიზმის საფუძველი“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. წიგნი I. თბ., 2004. გვ. 65.

⁴ ბუთხუზი თ., „შესაძლებლობის აღსრულება“, თბ., 2008. გვ. 251.

სოლიდარობითა და სამართლიანობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს მამოძრავებელი ძალა თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებაა, სახელმწიფო პოლიტიკა კი, საზოგადოების დასაცავად და გასამტკიცებლად არსებულ ქმედებათა ერთობლიობა. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტიანად ახერხებს ამას ესა თუ ის სახელმწიფო.

არსს მოწყვეტილი და არამართებულია საუბარი თავისუფლების ზომიერ მიწოდებაზე⁵, თუმცა ეს არ ეხება ეკონომიკური თავისუფლების ფარგლებს. ეკონომიკური თავისუფლება, თავისი არსით ყოველთვის რეგულირებადია და გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული, როგორც მიკრო ისე მეზო, მაკრო და მეგა დონეებზე.

თავისუფლების შეზღუდვა მართებული არ არის (თავისუფლებისა, რომელსაც აქვს არამატერიალური ღვთიური საფუძველი). როგორც კი თავისუფლების გამოვლინება ანუ მისგან გამომდინარე ნება ნივთობრივ ხასიათში გადადის, ის იძენს ეკონომიკურ ხასიათს, ამიტომ აუცილებელია მარეგულირებელი როლის შემსრულებელი ინსტიტუტი. აქედან გამომდინარე, სწორედ მატერიალურ სფეროში შეიძლება მოხდეს ეკონომიკურ ინტერესთა დაპირისპირება, მათი გადაკვეთა, ან შეკავშირება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება განპირობებულია კერძო საკუთრების არსებობით, რაც არჩევანის თავისუფლებას ზრდის, ხელს უწყობს თავისუფალ კონკურენციას და თავისუფალ გაცვლას ბაზარზე.

იმისათვის, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეალურ ეკონომიკურ თავისუფლებაზე ვისაუბროთ, უნდა გვექონდეს დომინირებადი კერძო საკუთრება, რადგან კერძო საკუთრების დომინირების პრინციპზეა აგებული საბაზრო ეკონომიკა, თუნდაც „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ („სოციალურად პასუხისმგებელი თავისუფალი ბაზარი“).⁶

მ. ფრიდმენის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისტორიული ფაქტები პოლიტიკურ თავისუფლებასა და თავისუფალ ბაზარს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე შესმატებილებულად მეტყველებს. არასდროს და არსად არ არსებულა

⁵ ბუთხუზი თ., „შესაძლებლობის აღსრულება“, თბ., 2008. გვ. 251.

⁶ ჰენდერსონი დ. რ., „გერმანიის ეკონომიკური სასწაული“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ. 2008. გვ. 17.

საზოგადოება, რომელსაც დიდი პოლიტიკური თავისუფლების ნიშნები ჰქონდეს და, ამავე დროს, მთელი ეკონომიკური საქმიანობის მოსაწესრიგებლად თავისუფალი ბაზრის მსგავს რამეს არ იყენებდეს”.⁷

საერთოდ როგორც უკვე ვახსენეთ, როდესაც იდეალური ფასეულობები იღებენ მატერიალურ ხასიათს, ჩნდება ზღვარი თავისუფლებასა და ეკონომიკურ თავისუფლებას შორის. თუმცა ისინი გამიჯნული არ არიან ერთმანეთისაგან, არამედ მჭიდროდ არიან შეკავშირებული. მეტიც, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისინი ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ არსებობენ.

სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გვაქვს საქმე ეკონომიკურ თავისუფლებასთან და უკვე საჭირო ხდება მისი როლისა და ზომის განსაზღვრა სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით.

ზოგადად ეკონომიკური თავისუფლების როლი უდიდესია სახელმწიფოებისა და საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, თავისუფალი ნება ქმნის საზოგადოებას მატერიალური და სულიერი ფასეულობებით. სახელმწიფო ვერ იარსებებს ვერც საზოგადოებისა და ვერც მატერიალური ფასეულობების გარეშე (იგულისხმება საზოგადოების მიერ შექმნილი დოვლათი).

„თავისუფალი მეურნეობა შეესაბამება თავისუფალ მეწარმეობას, თავისუფლება ერთიანი და განუყოფელია – პოლიტიკური, სამეურნეო თავისუფლება და პიროვნების თავისუფლება ისეთი რთული დიალექტიკური ერთიანობაა, რომ მისგან თუნდაც ერთი ნაწილის გამიჯვნით, ყველა დანარჩენი დაიშლება“. ⁸

ეკონომიკური თავისუფლება თავისთავშივე გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვებსა და ზომებს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა არეგულიროს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი (თვითმართველობები, ასოციაციები, ფონდები) მექანიზმებით, ინსტიტუტებით.

იდეალურ საზოგადოებაში ზემოთ ხსენებული რეგულირების ზომები, ჩვენი აზრით, არ იქნებოდა საჭირო. სახელმწიფო, როგორც ეკონომიკის მაკონტროლებელი, არ იარსებებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი

⁷ ფრიდმენი მ., „ეკონომიკური, პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლება“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, წიგნი IV „ინტელექტუალები, განათლება და თავისუფლება“. თბ., 2007. გვ. 107.

⁸ გოგონია რ., შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბ., 2004. გვ. 150.

საჭიროება არ იქნებოდა, ვინაიდან საზოგადოებაში ჩამოყალიბდებოდა იმდენად მაღალი თვითშეგნება, რომ ეკონომიკურ სუბიექტებს არ ექნებოდათ გარე და შიგა „თავდასხმების“ საშიშროება. შესაბამისად, გაქრებოდა სახელმწიფოს ეკონომიკური როლიც, მაგრამ ეს ყოველივე დღევანდელი რეალური გადასახედიდან იმფანტილურ და უტოპიურ აზრად შეიძლება მოინათლოს, რამეთუ უნდა განისაზღვროს თვალსაწიერი, მომავლის რეალური ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

სახელმწიფოში, და განსაკუთრებით გარდამავალი ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ეკონომიკური რეფორმის პერიოდში ეკონომიკური თავისუფლების ზომები საჭიროა, ვინაიდან არსს მოკლებულია ზოგადად თავისუფლება წართმეულ ადამიანებს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ თავისუფლებაზე მაქსიმალური დაყრდნობით მოთხოვო ეკონომიკური აღმავლობა და ეკონომიკური განვითარება⁹. ამიტომაც იკვეთება ეკონომიკის ზომიერი რეგულირებისა და მასში ჩარევის საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან.

ა. ილარიონოვის აზრით - **ეკონომიკური თავისუფლება, თანამედროვე გაგებით, გულისხმობს ხელშეუხებელ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოების, ვაჭრობის, დაგროვების, ინვესტირების, გამომუშავების და შექმნილის გამოყენების, თანამემამულეებთან ანდა უცხოელებთან ეკონომიკურ კონტაქტში შესვლის, ფასების დაწესების, კონტრაქტში მონაწილე პირთა ურთიერთთანხმობის შედეგად ნებისმიერი ფულადი ერთეულის გამოყენების თავისუფლებას.**¹⁰

ამგვარად ხსნიან ეკონომიკურ თავისუფლებას ლიბერალიზმის პოზიციებიდან, რაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ყველაზე მეტად შეესატყვისება, აგრეთვე ლიბერალიზმი (მისი მიმდევრები) ლოგიკურად ხსნის ეკონომიკური ზრდას და მის ხელშემწყობ ფაქტორებს, რომლებიც საბოლოო ჯამში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში დადებითად აისახება და უზრუნველყოფს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას.

ეკონომიკური თავისუფლების და ეკონომიკური ზრდის ახსნის საფუძველი ადამ სმიტის კლასიკურ ნაშრომშიც ჩანს „ხალხთა სიმდიდრის ბუნების შესახებ“, სადაც საუბარია კარგ კანონებზე, გადასახადებზე, რომლებიც არ ამძიმებენ მოსახლეობის მდგომარეობას და მშვიდობაზე. ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ

⁹ ბუთხუზი თ., „შესაძლებლობის აღსრულება“, თბ., 2008. გვ. 251.

¹⁰ ილარიონოვი ა., „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 64.

წესად კი მიჩნეულია შემდეგი „რაც უფრო ნაკლებად ერევა სახელმწიფო ეკონომიკურ საქმიანობაში, მით უფრო უკეთესია ეკონომიკისთვის“.¹¹

მართლაც მრავალი ეკონომიკური გამოკვლევა ადასტურებს, ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევასა და ეკონომიკურ ზრდას შორის უარყოფით კავშირებს, რა სახითაც არ უნდა განახორციელოს სახელმწიფომ ჩართულობის ეკონომიკური პოლიტიკა (საგარეო ვაჭრობის, სახელმწიფო მეწარმეობის მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, სახელმწიფო კრედიტები), მისი ჩარევა ეკონომიკურ აქტიურობაში ზღუდავს ეკონომიკას.

ავტორიტარიზმისკენ და დიქტატურისკენ მიდრეკილი სახელმწიფო-სახელისუფლებო მმართველობისა და ადმინისტრირების შემთხვევაში ეკონომიკური სისტემა ცენტრალიზდება, ის ნებისთ თუ უნებლიედ ეკონომიკური თავისუფლების წინააღმდეგ მოქმედებს, ამას განაპირობებს მართვის სისტემა, რომელიც ზემოდან ქვემოთაა მიმართული და ის ნებისმიერ შემთხვევაში რა დემოკრატიული სარჩულიც არ უნდა დაედოს, მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ხასიათს იძენს.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის შემთხვევაში ეკონომიკური სისტემა - ქვემოდან რიგით მომხმარებლებიდან და მწარმოებლებიდან იმართება: მომხმარებელი კარნახობს გამყიდველს, გამყიდველი - მომწოდებლებს, მომწოდებლები - მწარმოებელს და მწარმოებელი აწვდის ბაზრს მოთხოვნად პროდუქციას. სხვა სისტემებს (სამხედრო მმართველობა, ავტორიტარული, სოციალისტური) საბაზრო ეკონომიკის და თავისუფალი კერძო ბაზრის საპირისპირო პრინციპები უდევს საფუძვლად.¹²

ეკონომიკური თავისუფლების გასაძლიერებლად საჭიროა ეკონომიკური სისტემა, სადაც საკუთრება სრულადაა ფორმირებული (ნათლადაა განსაზღვრული ესა თუ ის აქტივი ვის საკუთრებას წარმოადგენს, სახელმწიფოს და მის დაქვემდებარებაში მყოფ იურიდიულ პირებს, თუ კერძო მესაკუთრეებს) და კერძო მესაკუთრეებზე დაფუძნებული ბაზარი, სადაც ადამიანები გარიგებებს დამოუკიდებლად პირადი სარგებლიანობის მიხედვით დებენ და არა სახელმწიფოს დირექტივების ზეგავლენით, რამე თუ ასეთი გარიგებები ხდება კონკურენციის

¹¹ ილარიონოვი ა., „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 61.

¹² ფრიდმენი მ., „ეკონომიკური, პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლება“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, წიგნი IV „ინტელექტუალები, განათლება და თავისუფლება“. თბ., 2007. გვ. 109.

საფუძველი, ხოლო კონკურენცია ხარისხის და პროგრესის მთავარი პირობაა, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო ეკონომიკურმა პოლიტიკამ.

პროფესორ რ. გველესიანის განმარტებით - „კონკურენციის პოლიტიკით ზოგადად ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ თავისუფლებას. კონკურენციის თავისუფლება არის ინდივიდუალური თავისუფლების გამოხატულება და ამდენად მას გააჩნია ინდივიდუალური სარგებელი, რომელიც მაგალითად, პიროვნების თავისუფალ განვითარებაში ვლინდება. თუ კონკურენციის თავისუფლებას მივყავართ ეკონომიკურ ოპტიმალურობასთან და ზრდასთან, იგი თავისთავად გულისხმობს, რომ საბაზრო ეკონომიკაში ყველაფერი უნდა გაკეთდეს კონკურენციის დაცვისთვის, და კერძოდ, ყველგან სადაც კონკურენციას თავისი ფუნქციების განხორციელებისას საფრთხე ემუქრება.“¹³

ის ასევე ხსნის, რომ „თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის პირველი მიზანი კონკურენციის დაცვა უნდა იყოს, რადგან ყოველ საზოგადოებაში არსებობს ეკონომიკის დარგები რომელშიც არ ფუნქციონირებს ან ნაწილობრივ მოქმედებს კონკურენცია, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის მეორე მიზანი კონკურენციის განვითარების ხელსეწყობა ხდება (მაგალითად, მონოპოლიების არსებობისას).“¹⁴

მ. ფრიდმენის განმარტებით „**კერძო ბაზარი** ძალიან განსხვავდება **სახელმწიფო ბაზრისგან**. აბსოლუტურად კერძო ბაზარზე ორი ადამიანი ერთმანეთს შორის ყველა ოპერაციას საკუთარი კეთილდღეობისთვის აწარმოებს ან გარკვეულ ადამიანთა აგენტებს წარმოადგენენ“.¹⁵

რასაკვირველია **სახელმწიფო ბაზარზეც ორივე მხარე ზრუნავს საკუთარ კეთილდღეობაზე**, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს იძლევა საშუალებას **სახელმწიფო წარმომადგენლების მხრიდან პირადი კეთილდღეობის მზრუნველობა გააძლიერონ და ასე წარმოიშობა თავისუფლების და კონკურენციის დამაკნინებელი ელემენტები კორუფცია და ჩრდილოვანი სფერო ეკონომიკაში**.

რიგ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ბაზრის მონაწილეთა ეკონომიკურ თავისუფლებას ზღუდავს სახელმწიფო და ასევე მასთან კონკურირებადი

¹³ გველესიანი რ., „კონკურენციის პოლიტიკის ამოცანები და პრობლემები“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №3, თბ., 2010. <http://www.loi.ge/2010-3.html>

¹⁴ გველესიანი რ., „კონკურენციის პოლიტიკის ამოცანები და პრობლემები“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №3, თბ., 2010. <http://www.loi.ge/2010-3.html>

¹⁵ ფრიდმენი მ., „ეკონომიკური, პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლება“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, წიგნი IV „ინტელექტუალები, განათლება და თავისუფლება“. თბ., 2007. გვ. 110.

არასახელმწიფო პირები. სახელმწიფო ეკონომიკურ თავისუფლებას ისეთი ინსტრუმენტების საშუალებით ზღუდავს, როგორებიცაა კერძო საკუთრების კონფისკაცია, კონტრაქტების შეუსრულებლობა, სამეურნეო საქმიანობის არათანაბარი და არაპროგნოზირებულად ცვალებადი პირობები, პირდაპირი სახელმწიფო გადასახადები, სახელმწიფო სესხები, სახელმწიფო ინფლაციური გადასახადები, სახელმწიფო ხარჯები, საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალები, ინფლაცია, რეგრესული სავალუტო-ფულადი პოლიტიკა, სახელმწიფო რეგულირება, პროტექციონიზმი.¹⁶

ამრიგად, ბაზრის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ ბაზარზე თავისუფალი გაცვლა ხორციელდება, თუნდაც ის კერძო ბაზარი იყოს. კერძო ბაზრის თავისუფლება დამოკიდებულია დამოუკიდებელ და ნებაყოფილებით გაცვლაზე, გარიგებებზე რომლებზეც ზეგავლენას არ ახდენს (პირდაპირ თუ ირიბად) არასაბაზრო სხვა გარემოება.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა (ნებაყოფილობითი გარიგება და გაცვლა, ანუ თავისუფალი ბაზარი) სხვადასხვა რეგიონისა და ქვეყნისთვის ეკონომიკური თავისუფლების სხვა შემზღუდავი ფაქტორებიც იკვეთება, მაგალითად, პოსტსოციალისტურ სივრცეში ეკონომიკურ თავისუფლება იზღუდება აქტივებზე საკუთრების ფორმირების შეფერხებით და გაურკვევლობით, კერძოდ სოციალისტური სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებული სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადასვლის გაჭიანურებით, აქტივების კერძო ბაზართან შედარებით სახელმწიფო ბაზრის დიდი წილით.

თუმცა რიგი ლიბერალების აზრით, ყველაზე სერიოზული პრობლემა მაინც საკუთრებითი უფლებების დაცვაა. სამხრეთის ქვეყნების უმეტესობაში საკუთრებითი უფლებები ან ცუდადაა განსაზღვრული, ან ცუდადაა დაცული, ანდა მათი სხვა პირებზე გადაცემაა ძნელი. ამ ქვეყნებში საკუთრებითი უფლებების სისტემა ზედმეტად გართულებულია, არ ასახავს იმ რეალობას, რომელშიც ღარიბები ცხოვრობენ და აბსოლუტურად არაეფექტიანად იმართება. ბევრგან ღარიბთა საკუთრების უფლებაც სადავოა. საკუთრების ბაზრის არაეფექტიანობას იმისკენ მივყავართ, რომ ქალაქებისაკენ მიგრირებად ადამიანთა მზარდ რიცხვს აღარ ყოფნის მიწა და სახლები. ამიტომ ისინი, როგორც წესი, მიწას მის მფლობელს — მთავრობას ართმევენ, რომელმაც არ იცის რა უყოს მას და როგორ

¹⁶ ილარიონოვი ა., „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 64.

დაიცვას იგი (რაც გავს საქართველოს რეალობას). მიწის ამგვარი მითვისების ორგანიზება ე.წ. „არაფორმალური მეწარმეების” მიერ ხდება. ისინი არაკანონიერი დასახლებების პოლიტიკურ და ფიზიკურ დაცვას უზრუნველყოფს. ასეთ ახალ ქოხმახეში მცხოვრები ღარიბები მათ ქირას უხდიან, არჩევნებზე თავიანთი ხმების გამოყენების უფლებას აძლევენ და პოლიტიკური ღონისძიებების დროს გარკვეული რაოდენობის მასას ქმნიან. ეს რა თქმა უნდა ზიანს აყენებს, დემოკრატიას და ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ღარიბებს სხვა არჩევანი არ გააჩნიათ.¹⁷

ზემოთ ხსენებულიდან ჩანს, რომ რიგ შემთხვევებში ეკონომიკური თავისუფლება განსაზღვრავს პიროვნულ თავისუფლებას, ხოლო ორივე ერთად ქმნიან პოლიტიკურ თავისუფლებას.

ლიბერალები (ლიბერალიზმი) მუდმივად განსაკუთრებული ყურადღებას აქცევენ კერძო საკუთრების სტაბილურობისაკენ მიმართულ პოლიტიკას, კერძო საკუთრება ხომ პიროვნული თავისუფლების სადარაჯოზე დგას, მათი აზრით სახელმწიფომ საშუალება უნდა მისცეს ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ღარიბებს, რომ კერძო საკუთრება იქონიონ და გააფართოონ.¹⁸

მათი აზრით აღწერილი მდგომარეობის ეკონომიკური შედეგები უკიდურესად სერიოზულია. ისეთი ქონება, როგორცაა სახლები, ქოხები ან მიწა, რომელზეც საკუთრების უფლება გაურკვეველი ან საკამათოა, ვერ გადაიქცევა კაპიტალად.¹⁹

როგორც კი საკუთრების მფლობელი ნათლად არის განსაზღვრული და კანონით არის დაცული, ხოლო ქონების გადაცემა უსაფრთხო და ეფექტურია, საკუთრება შეიძლება შემოსავლის ზრდის დამატებითი წყარო გახდეს.

ამგვარად, ქონება, მისი კაპიტალად ქცევის სახით, მეორე ვირტუალურ შესაძლებლობებს იძენს. საზოგადოების ღარიბი ფენები, ჩვეულებრივ, აღნიშნულ უფლებას არიან მოკლებულნი: ისინი ფლობენ ქონებას, მაგრამ არ მიუწვდებიან ხელი იმ სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, რომლებიც მათ ქონებას საკუთრებად და, მაშასადამე, კაპიტალად აქცევენ. დე სოტო წერს, რომ სამხრეთულ ქვეყნებში არაეფექტური საკუთრებითი უფლებების შედეგად ფორმირებული და გამოუყენებელი „მკვდარი” კაპიტალის ჯამური ღირებულება, რომლის დიდი

¹⁷ ლამსდორფი თ., „თავისუფლება – სიღარიბის საუკეთესო წამალი”, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება”, თბ., 2008. გვ. 127.

¹⁸ ლამსდორფი თ., „თავისუფლება – სიღარიბის საუკეთესო წამალი”, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება”, თბ., 2008. გვ. 120.

¹⁹ ლამსდორფი თ., „თავისუფლება – სიღარიბის საუკეთესო წამალი”, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება”, თბ., 2008. გვ. 120.

ნაწილი ღარიბებს ეკუთვნის, ცხრა ტრილიონ დოლარს აღემატება. კაპიტალის ფორმირების ასეთ პოტენციალს ვერც ერთი უცხოური დახმარება ვერ შეედრება. გარდა ამისა, ამ გზით ღარიბები ფიქსირებული სიმდიდრის გაცილებით მეტ წილს მიიღებდნენ²⁰. ამრიგად, თუ სამხრეთის ქვეყნებში პრობლემა საკუთრების დაცვა და მფლობელობაში არსებული ქონების დასაკუთრებაა, პოსტსაბჭოთა სივრცეში და მათ შორის საქართველოში, პრობლემა სხვაგვარად დგას: ერთი მხრივ, თითქოსდა ხელშეუხებელია კერძო საკუთრება, მეორე მხრივ, სახელმწიფო საკუთრებაში აქტივების (ქონების) არსებობა ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას აქტივებზე. ამ გზით, კერძო საკუთრების წილობრივი უპირატესობის (დომინირების) და თავისუფალი ფასწარმოქმნის გარეშე, ზოგადად თავისუფალი ბაზრის ცნება და საბაზრო სისტემა შინაარს კარგავს.

ანალოგიურს გვამცნობენ ეკონომიკის პრაქტიკოსი მეკლევარები „საბჭოთა პერიოდში კერძო, თავისუფალი ბაზრიდან კაპიტალის სახელმწიფო ჩარჩოში გადანაცვლებით, მარქსიზმმა საბაზრო ბრუნვიდან მისი გაქრობა, მასთან ერთად კი ბიზნესინციატივების თვითდაფინანსების გაქრობაც გამოიწვია. დღეს მათ აღდგენას უკუპროცესი სჭირდება, თუ კაპიტალი სახელმწიფო საკუთრებაა ან სხვა მიზეზითაა მოკლებული თავისუფალი ბაზრის მხრიდან ობიექტურ შეფასებას, მაშინ მისი საბაზრო ფასი და ლიკვიდურობა უცნობია, მას გამოცლილი აქვს საინვესტიციო მიმზიდველობა. ის მოწყვეტილია ფინანსურ ბრუნვას, ცდება ან სულაც უსარგებლოდ ნადგურდება. ასეთი კაპიტალი, როგორც წესი, პირიქით, პრობლემების წყაროდ გარდაიქმნება“.²¹

“სანამ სახელმწიფოსაგან ძირითადი ფონდების ხელფონური ჭარბი მიწოდება და მიწოდების ყოველგვარი მოლოდინი მთლიანად და პირწმინდად არ ამოიწურება, მანამდე სწორი და ღირსეული წონასწორული საბაზრო ფასი, კერძო ბაზარზე არაფრით აღდგება”.²²

ზუსტად ანალოგიურს აზრს გამოთქვამდა ჯერ კიდევ გასული სუკუნის ბოლოსთვის, ლეგენდარული ამერიკელი ეკონომისტი მ. ფრიდმენი - „თავისუფალი საზოგადოება სრულიად სხვდასხვა გზით შემთხვევით ჩამოყალიბდა, მაგრამ

²⁰ ლამსდორფი თ., „თავისუფლება – სიღარიბის საუკეთესო წამალი“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 127.

²¹ ჩხაიძე ი., „გვაკლია კაპიტალიზაცია“.

http://www.facebook.com/note.php?note_id=223606184338603

²² ჩხაიძე ი., „როგორ გავმდიდრდეთ ანუ ჩვენი გზა ეკონომიკურ კეთილდღეობისაკენ“, თბ., 1999. გვ. 28.

აქამდე არ არსებობს იმის მაგალითი, რომ ტოტალიტარული ქვეყანა თავისუფალ საზოგადოებად წარმატებით გარდაქმნილიყო. ამიტომ არის ასე საინტერესო ის, რაც აღმოსავლეთ ევროპაში ხდება. ისეთი რამის მოწმე გახდით, რაც აქამდე არ გვინახავს. ჩვენც ვიცით და მათაც იციან, რომ ძალიან მარტივი რამ არის გასაკეთებელი. **რდესაც აღმოსავლეთ ევროპის ხალხს ვხვდები, სამი სიტყვით ვეუბნები რა არის საჭირო: პრივატიზაცია, პრივატიზაცია და პრივატიზაცია.** მთავარია, ამისთვის პოლიტიკური ნება არსებობდეს და ეს სწრაფად მოხდეს. საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ამის გაკეთებას?”²³

დღევანდელი რეალობიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველომ (მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცეში) ვერ შეძლო ეკონომიკური თავისუფლების მოსაპოვებლად მთავარი გადამწყვეტი ფაქტორის, კერძო საკუთრების სრულად ჩამოყალიბება, ვერც სწრაფად და ვერც დროში გაჭიანურებულად.

აღნიშნული გარემოება სამწუხაროდ დღემდე ყურადღების მიღმა რჩებათ ეკონომიკურ თავისუფლების ხარისხის შემზღუდავ გარემოებებზე მომუშავე ორგანიზაციებს და მკვლევარებს.

ამრიგად, „მეგდარი“ კაპიტალის გამოუყენებლობა არ იძლევა საშუალებას ნამდვილი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის, რომლის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია კაპიტალი, ხოლო სიმძლავრე ეკონომიკური თავისუფლება.

ეს ორი უმთავრესი პირობა იძლევა საშუალებას დინამიურად მზარდი ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და ეკონომიკური ზრდის, ლიბერლურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე დაყრდნობით, თავისუფალი ვაჭრობის გააქტიურებითა და კონკურენციის ხელშეწყობით.

ფ. ნაუმანის ფონდის და სახვა თანაგამომცემლების „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ გამოკვლევის შედეგების შედარება ცხოვრების დონის სხვა კრიტერიუმებთან, და არა მხოლოდ ზრდის ტემპებთან, ასევე აჩვენებს, რომ მსოფლიოს ყველაზე უფრო თავისუფალ ქვეყნებში სიღარიბის და გაუნათლებლობის პროცენტი უფრო დაბალია, ნაკლებადაა განვითარებული კორუფცია და უფრო მაღალია სიცოცხლის ხანგრძლივობა.²⁴

²³ ფრიდმენი მ., „ეკონომიკური, პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლება“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, წიგნი IV. „ინტელექტუალები, განათლება და თავისუფლება“. თბ., 2007. გვ. 111.

²⁴ ლამსდორფი თ., „თავისუფლება – სიღარიბის საუკეთესო წამალი“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 127.

ყოველივედან გამომდინარე, ეკონომიკური თავისუფლება იძლევა მაღალ გრძელვადიან ეკონომიკური ზრდის საშუალებას, ზრდის კეთილდღეობის რესურსებს საზოგადოების ყველა ფენისთვის, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში გარიგებაში მონაწილე ყველა მხარე მოგებული რჩება. ამგვარად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის საერთო მაჩვენებელიც იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ ერთეულებისთვის ეს მაჩვენებელი მაღალი ტემპით ხასიათდება ხოლო ზოგისთვის დაბალი ტემპით, კეთილდღეობა მაინც ყველასთვის ზრდადია.

როგორც წესი, ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევა ეკონომიკურ თავისუფლებას ზღუდავს, თუმცა, გარკვეულ ეტაპზე, როცა ეკონომიკური სისტემის ფორმირება მიმდინარეობს, სახელმწიფო როლს და მის მონაწილეობას ეკონომიკის ფორმირებაში დადებითი შედეგები მოქვს, რასაკვირველია სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში. როცა განსაზრვრულია თუ სად იმყოფება ესა თუ ის სახელმწიფო (ეკონომიკური განვითარების რომელ ეტაპზე) და როგორი ეკონომიკური სისტემა უნდა რომ ქონდეს, მხოლოდ ამის შემდგომ უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც პირველ რიგში იმ აუცილებელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც იძლევა შესაბამისი არჩეული სისტემის ჩამოყალიბების საშუალებას და გარანტს.

მართლაც მრავალი ეკონომიკური გამოკვლევა ადასტურებს, ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევასა და ეკონომიკურ ზრდას შორის უარყოფით კავშირებს, რა სახითაც არ უნდა განახორციელოს სახელმწიფომ ჩართულობის ეკონომიკური პოლიტიკა (საგარეო ვაჭრობა, სახელმწიფო მეწარმეობის მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა), ეკონომიკურ აქტიურობაში მისი ჩარევით იზღუდება ეკონომიკა.²⁵

სამწუხაროდ, მსოფლიოში ბოლოდროინდელი ეკონომიკური კრიზისები და გლობალური ეკონომიკური პოლიტიკა მეტწილად ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვისკენაა მიმართული, ანტიკრიზისული რეგულატორების გამო.

სახელმწიფო რეგულირების გააქტიურება იმითაც არის განპირობებული, რომ XX საუკუნის ბოლომდე თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე მოქმედი ეკონომიკის მქონე ქვეყნები აქცენტს მთლიანად ეკონომიკურ თავისუფლებაზე აკეთებდნენ. ბოლო 22 წლის მანძილზე მათ თვითკმაყოფა მოჰგვარა და მოადუნა საბჭოური დირექტიულ მოდელზე დამყარებული სისტემის დაშლამ (კონკურენტის

²⁵ ილარიონოვი ა., „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 63.

გაქრობამ) და ამჟამად უმეტესი მათგანი სამთვრობო ეკონომიკაში გაზრდილი ჩარევის პოლიტიკით ხელმძღვანელობენ (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები რიგ შემთხვევაში, სწორედ ამ ჩარევით წარმოქმნილი კრიზისის გადავადებას და მისგან შველას ბაზარზე ზეწოლით ცდილობენ), რაც საფრთხის ქვეშ აყენებს როგორც პიროვნულ, ასევე ეკონომიკურ თავისუფლებას.

აღნიშნული ალბათ იმითაც არის გამოწვეული, რომ კონკურენტი სოციალისტური სისტემა დამარცხდა და ისინი დამარცხებული სისტემისგან პოლარიზებას უკვე აღარ ესწრაფვიან ისე როგორც მანამდე.

ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვანთ, რომ ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დამოკიდებულია ეკონომიკური საქმიანობისთვის ალტერნატივების სიმრავლეზე, ხოლო კერძო საკუთრება აფართოებს ასარჩევი ალტერნატივების არეალს, ხელს უწყობს კონკურენციას და ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ზრდას.

12 ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე

ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო სისტემის დანერგვაში გარდამავალი ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის.

ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დამოკიდებულია თავისუფალი არჩევანის ხარისხზე. აქ იგულისხმება არა ყოველგვარი არჩევანი, არამედ ეკონომიკურ აქტიურობათა ოპტიმალური არჩევანი. ამრიგად, ჩვენი დეფინიცია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხისა არის შემდეგი: **რაც მეტია ოპტიმალურ ალტერნატივათა რაოდენობა (რიცხვი), რომელთა ცალ-ცალკე არჩევას შეუძლია ოპტიმალური და რაციონალური (მომგებიანი) შედეგის მოტანა, მით მეტია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი.**

თანამედროვე საზოგადოება თანხმდება ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობაში. თუმცა, ისმის ბუნებრივი კითხვა, თუ როდის უნდა განხორციელდეს ეკონომიკური თავისუფლების დასაცავად სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკის რეგულირება. პასუხი ერთი შეხედვით მარტივია – მაშინ, როდესაც თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი არჩევანი იზღუდება.

როგორც პროფესორი რ. გველესიანი განგვიმარტავს „თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის პირველი მიზანი კონკურენციის დაცვა უნდა იყოს, რადაგან ყოველ საზოგადოებაში არსებობს ეკონომიკის დარგები რომელშიც არ ფუნქციონირებს ან ნაწილობრივ მოქმედებს კონკურენცია, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის მეორე მიზანი კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა ხდება (მაგალითად, მონოპოლიების არსებობისას).“²⁶

²⁶ გველესიანი რ., „კონკურენციის პოლიტიკის ამოცანები და პრობლემები“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №3, თბ., 2010.
<http://www.loi.ge/2010-3.html>

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ეკონომიკის რეგულირება, როცა იზღუდება თავისუფალი კონკურენცია და (ალტერნატიული და ოპტიმალური) არჩევანი. ანუ იზღუდება ეკონომიკაში მოქმედი ერთეულები ისე, რომ საბაზრო რეგულატორებით (მოთხოვნა, მიწოდება, ჯანსაღი კონკურენტული გარემო და ა.შ.) ვერ რეგულირდება.²⁷

ამრიგად, აუცილებელი ხდება თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მხრიდან და ამის მაგალითია მონოპოლიები. მონოპოლია არის ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე დიდი გამოვლინება და მნიშვნელობა არ აქვს მონოპოლიის სახეობას. გარდა ბუნებრივი და წმინდა ინტელექტუალური შესაძლებლობებისა, ეს უკანასკნელი სამომავლო განვითარებისა და პროგრესის წყაროა და ამავდროულად სამართლიანიც.²⁸

რასაკვირველია ეკონომიკური რეგულირება საჭიროა, თუმცა რეგულირების შემთხვევაში ეკონომიკური თავისუფლების არეალი (ოპტიმალური ალტერნატივების) უნდა ნარჩუნდებოდეს, არეალი, რომელსაც ავსებს საზოგადოების, სახელმწიფოს და ეკონომიკური ერთეულთა თანაარსებობა, მათშორის ინტერესთა დაბალანსება.

როდესაც საუბარია ოპტიმალურ არჩევანსა და რაციონალურ ალტერნატივებზე, რომელთაც შეუძლიათ ეკონომიკური თავისუფლების პირობებში ეკონომიკურად დადებითი შედეგების მოტანა, უნდა წარმოვიდგინოთ შესაბამის გარემოს, სადაც საქმიანი სასწორის პრინციპით საზოგადოებრივი ინტერესებია გაწონასწორებული და ქმნიან თავისუფალი არეალის:

- ა) ადამიანის, საზოგადოების კეთილდღეობა;
- ბ) ეკონომიკურ ერთეულთა არსებობის ზღვრული არეალი (რომლის მიღმაც ისინი ვერ წარმართავენ ეკონომიკურ საქმიანობას, წინამძღვრ შემთხვევაში ლიკვიდაციას განიცდიან);
- გ) სახელმწიფოს საზოგადოებრივი ინტერესი.²⁹

²⁷ გერლიანი რ., „ეკონომიკური თავისუფლების როლი და ფარგლები ეკონომიკურ პოლიტიკაში“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“. თბ., 2010. №4.

²⁸ მიმინოშვილი თ., ქათამიძე ა., „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“, „ბიულეტენი“, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, თბ., 2000. №40.


თეთრუაშვილი მ., „სახელმწიფოს ეკონომიკური როლი თავისუფლების პირობებში“, „სოციალური ეკონომიკა“. თბ., 2007. №4.

²⁹ ფრიდმენი მ., „ეკონომიკური, პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლება“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, წიგნი IV, „ინტელექტუალები, განათლება და თავისუფლება“ თბ., 2007. გვ. 107.

სწორედ ამ სამ მხარეს შორის უნდა მოხდეს წონასწორულად ყველას ინტერესების დაბალანსებული დაკმაყოფილება, ისეთი ეკონომიკურად ოპტიმალური არეალის შექმნა, სადაც მაქსიმალურად იქნება ეკონომიკური თავისუფლება და ამავდროულად სახელმწიფოსა და საზოგადოების (პერსონების) ინტერესები და თავისუფლება დაცული, ნახაზზე 12.1 შეგვეცდებით აღნიშნულის მოდელირებას.

ნახაზზე 12.1 „ა“, „ბ“ და „გ“ არეებს შორის საერთო თანაკვეთა გვაძლევს საერთო ეკონომიკური თავისუფლების ხელსაყრელ არეალს. რაც მეტია ეს „F“ არეალი, მით მეტია ეკონომიკური თავისუფლება.

საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების ურთიერთდამოკიდებულების მოდელი



ნახაზი 12.1

ამ F არეალში იგულისხმება - სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი ეკონომიკური გარემო ბიზნეს საქმიანობის უზრუნველსაყოფად, საზოგადოებრივი კეთილდღეობა (მეტი შემოსავლები, მეტი მოხმარება და ა.შ), ეკონომიკურ

ერთეულთა მოღვაწეობის სიმარტივე (ფართო ბიზნეს და სამეწარმეო არჩევანი), რაც გამოიხატება მცირე საგადასახადო ტვირთით, თავისუფალი და კონკურენტული ბაზრით, თავისუფალი ფასებით, მომგებიანობით.

მოდელში ნახაზის 1.2.1 თანახმად ცალ-ცალკე განყენებულად ამ სამი

ერთეულიდან (სახელმწიფო, საზოგადოება და ეკონომიკური ერთეულები) არ განიხილება. ნახაზზე მოცემულია სხვადასხვა ფერით და ასოებით არეთა თანაკვეთები. ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური არე F-ით და მკვეთრი მწვანე ფერითაა აღნიშნული ანუ ესაა მოღვაწეობისა და გარიგებების ოპტიმალური არეალი, ეკონომიკურად, რომ ავხსნათ ფორმალურ ეკონომიკაში სრულყოფილად თავისუფალი და კონკურენტული, ბაზარი სადაც სამივე მხარის ინტერესებია შეჯერებული და ყოველი მათგანი ამ არეში ღებულობს მისთვის დამაკმაყოფილებელ რაციონალურ შედეგს.

ლურჯი ფერებით აღნიშნულია ორი „არის“ ურთიერთკვეთა. მაგალითად „აბ“ არეთა თანაკვეთაში ხორციელდება ისეთი პირდაპირი ეკონომიკური ურთიერთობები რიგით მოქალაქეებსა და ეკონომიკურ ერთეულებს შორის, სადაც სახელმწიფო არ ან ვერ ერევა (მაგ., თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ჩრდილოვანი ეკონომიკა და ა.შ).


„აგ“ თანაკვეთა წარმოადგენს მოქალაქეთა და სახელმწიფოს პირდაპირ ურთიერთობას, საიდანაც ორივე მხარე ღებულობს სარგებელს (მაგალითად, პოლიციელი, საჯარო მოხელე, სახელმწიფო საკონტრაქტო სამსახური და ა.შ) „გბ“ არეალში კი ხორციელდება სახელმწიფოს და ეკონომიკურ ერთეულებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები. ეს სფეროც, როგორც მოქალაქეებს და სახელმწიფოს შორის ეკონომიკური ურთიერთობა ეკონომიკური თავისუფლებით, კონკურენტული ბაზრით და საბაზრო პრინციპებით არ მოქმედებს (მაგალითად, სახელმწიფო ქვოტირებული საწარმოები სამხედრო სფეროში, სახელმწიფო სამეწარმეო პირები, კერძო სამეწარმეო იურიდიული პირები, რომლებიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქმიანობენ).

ყოველივე ამ მსჯელობით გვინდა ავხსნათ ნახაზის 1.2.1 მეშვეობით, რომ ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური არეალის სიდიდეს, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს სახელმწიფო ადმინისტრირების დონე. ნახაზის 1.2.1 მიხედვით რაც მეტად გაიზრდება „გ“ (წითელი ფერი) სახელმწიფო არეალის

მოცულობა ვერტიკალზე მოძრაობით, მით მეტად მცირდება თავისუფლების ოპტიმალური არე. მაშასადამე, მცირდება ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი.

ამრიგად, სახელმწიფო ადმინისტრირება (სამთავრობო თავისუფლება) და ეკონომიკური თავისუფლება (პიროვნული და ეკონომიკურ ერთეულთა თავისუფლება) „გ“ და „F“ უკუპროპორციულ მიმართებაშია ერთმანეთთან. სახელმწიფო ადმინისტრირების „გ“ არის „ა“ და „ბ“ არეებთან თანაკვეთის შემცირება, პირდაპირ პროპორციულ მიმართებაშია საერთო „აბ“ არის ზრდასათან, ანუ სახელმწიფო ადმინისტრირება უკეთეს შემთხვევაში ასტიმულირებს თავისუფალი საქმიანობის სფეროებში გადანაცვლებას (მაგ. ეკონომიკურად თავისუფალი ზონები), ხოლო უარეს შემთხვევაში ფორმალური ეკონომიკიდან ჩრდილოვან ეკონომიკაში გადასვლას (ნახაზის 1.2.1 მიხედვით „აბ“ არეს ზრდას).

**საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლების
ზეგავლენა ერთმანეთზე და ეკონომიკურ მჩვენებლებზე**



ნახაზი 1.2.2

R- შემოსავლები;

E- მთლიანი დანახარჯები;

F₁ – ეკონომიკური თავისუფლების მისაღები დონე; (**F_{opt}** - ოპტიმალური ეკონომიკური თავისუფლება);

F_გ-სამთავრობო თავისუფლება;

F_{აბ} - პიროვნული და ეკონომიკური თავისუფლება.

(**CPI**- სამომხმარებლო ფასების ინდექსი, **P**- მოგება).

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის შენმთხვევში ანუ როდესაც იზრდება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური ადმინისტრირება „ა,ბ,გ“ არეთა თანაკვეთა ნახაზე 1.2.2 **F_{opt}** ანუ ოპტიმალური გარემო ეკონომიკური თავისუფლებისა მცირდება. „გ“ არე გადაადგილდება ზემოთ **F₁** - **F_გ**- მიმართულებით, ხოლო „ა“ არე ქვევით და მარცხნივ შესაბამისად კლებულობს ადამიანების კეთილდღეობა, ის მიისწრაფის 0-კენ ანუ მცირდება საზოგადოების (მოქალაქეების) შემოსავლები **R₁**-დან **R₂**-მდე, მცირდება მათი თავისუფლების დონე **F₁**-დან **F_{აბ}**-მდე და ზოგადად საზოგადოება ნაკლებად მსყიდველობითუნარიანი ხდება (ანუ ღარიბდება), აღნიშნული ზეგავლენას ახდენს მთელ რიგ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე განსაკუთრებით კი დანახოზე (i).

შემოსავლებს და მთლიანი დანახარჯების RE- ღერძზე ჩანს დანახოვის გრაფიკი, რომელიც „+“ და „-“-ი; ნიშნებითაა აღნიშნული და გვიჩვენებს შესაბამის ფაზაში რამდენად ახერხებენ მოქალაქეები და ეკონომიკური ერთეულები დანახოვის დაგროვებას. **R₁**-დან **R₂**-მდე ფაზაში უარყოფითია მოქალაქეთა დანახოვისადმი სწრაფვა ანალოგიური ვითარებაა **E₁**- **E₂**-მდე ფაზაში, რომელთა გამომწვევ მიზეზები ქვემოთ იქნება ახსნილი.

ნახაზი 1.2.2 გვიჩვენებს, რომ **R₁**-დან **E₁**-მდე ფაზაში დაგროვების შესაძლებლობა დადებითია, ვინაიდან ამ არეში თავისუფალი და გაწონასწორებული ფასების პირობებში, როგორც მოქალაქეებს ასევე ეკონომიკურ ერთეულებსაც მოგებისა და შემოსავლების მიღება აძლევს საშუალებას დაზოგონ, ანუ ეკონომიკური თავისუფლება ახდენს მოგების დიფერენცირებას ჰორიზონტალურად ეკონომიკურ აგენტებს შორის, რაც იწვევს ჯამური (საერთო)

დანახოვის ზრდას, აგრეთვე დანახოვების ოპტიმალურ ინვესტირებასაც.

მიღებულა, რომ დანახოვი ინვესტიციის ფორმირების წყაროა, ამრიგად, თვალნათლივ იკვეთება ეკონომიკურ თავისუფლებას და ინვესტიციებს შორის ურთიერთგანმაპირობებელი კავშირი, რომელსაც მომდევნო თავის ერთ-ერთი ქვეთავი დაეთმო.

მოცემულ სიტუაციაში „ბ“ არეც გადაინაცვლებს ქვევით და მარჯვნივ, რისი მასტიმულირებელიც არის სახელმწიფო ადმინისტრირების წნეხი, რამაც გაზარდა მთლიანი დანახარჯები E_1 -დან E_2 -მდე (ნახაზი 1.2.2) წარმოებასა და მომსახურებაზე. მცირდება მათი საქმიანობის თავისუფლება F_1 -დან F_2 -მდე და ზოგადად უმცირდებათ მოგების ნორმა არაპირდაპირი ხარჯების ზრდის კვალობაზე.

მოცემულ ვითარებაში ეკონომიკური ერთეულები იძულებულნი არიან ჯერ გაზარდონ ფასები არაპირდაპირი დანახარჯების ზრდის გამო, ხოლო შემდგომ მიიღველთა შემოსავლების შემცირების კვალობაზე მოთხოვნის შემცირების გამო შეამცირონ წარმოება, შესაბამისად ფასების ზრდის მიუხედავად უმცირდებათ მოგება, რაც ასევე ამცირებს დაზოგვის პოტენციალს და შესაბამისად მცირდება ინვესტიციებიც.

ზემოთ აღნიშნულ ვითარებაში ეკონომიკური ერთეულები, რომლებიც ვერ ახერხებენ ეკონომიკურ საქმიანობას (ვერ ღებულობენ მოგებას) ეთიშებიან ბაზარს, ლიკვიდირდებიან ან გადადიან სრულად თუ ნაწილობრივ ფორმალურიდან ჩრდილოვან ეკონომიკაში.

ვინაიდან ეკონომიკური თავისუფლება განსაზღვრავს თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებისა და თავისუფალი ფასწარმოქმნის პროცესს, მისი შეზღუდვა იწვევს ფარულ (ჩრდილოვან) კონკურენციას, ბაზრის გაორებული არათანაბრად კონკურენტული პირობების შედეგად და კიდევ უფრო ზღუდავს ფორმალურ ეკონომიკაში მოქმედ ბიზნეს ერთეულთა (პატიოსან გადამხდელთა) ეკონომიკურ თავისუფლებას. ზუსტად ანალოგიურ უარყოფით ზეგავლენას ახდენს თავისუფალი ბაზარზე არა ჯანსაღი ელემენტების - მონოპოლიების გამოვლინებაც, შესაბამისად ჩრდილოვანი ეკონომიკა და მონოპოლიები ამცირებენ ეკონომიკური თავისუფლებას.

„ა“ და „ბ“ არეთა გადაადგილება ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რაც აისახება ერთიანი კეთილდღეობის ცვლილებაში. ამრიგად, ნახაზზე 1.2.1 მოდელირებულ არეთა გადაადგილება გვიჩვენებს თუ როგორ

შეიძლება გააუარესოს ან გააუმჯობესოს ეკონომიკური კეთილდღეობა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ცვლილებამ, ასევე ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს ამ მიმართულებით სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია და ეკონომიკური პოლიტიკა.

მსჯელობიდან ვასკვნით, რომ თუ სახელმწიფო ატარებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ლიბერალურ-ეკონომიკურ, თავისუფლების მასტიმულირებელ პოლიტიკას, იზრდება ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი, რაც დადებით ზეგავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკურ კეთილდღეობას და ეკონომიკურ ზრდას.

როგორც უკვე ავნიშნეთ, მონოპოლიების შემთხვევაში მართებულია კონკურენციისა და თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ჩარევა და ეკონომიკური რეგულირება. თუმცა, თუ ამავე პირობებში დავაკვირდებით საკრედიტო სფეროს, უკვე სახელმწიფო გვეკლინება ეკონომიკური თავისუფლების შემზღუდველად.

როდესაც თავისუფალ ბაზარს დარეგულირებელი აქვს კრედიტზე საპროცენტო განაკვეთი და სახელმწიფო თავისი ადმინისტრაციული პოლიტიკით ზემოქმედებს მასზე (იგულისხმება არამართო მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა), ირღვევა თავისუფალი ბაზრის წონასწორობა და წინააღმდეგობაში მოდის ეკონომიკური თავისუფლების თავისუფალი არჩევანის პრინციპთან.³⁰

რა ზომით უნდა არეგულიროს სახელმწიფომ ეკონომიკური პროცესები და სად იქნება მისი ჩარევა სასარგებლო ზოგადად ეკონომიკისთვის და ეკონომიკური თავისუფლებისთვის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მისი რეგულაციის სფეროების განსაზღვრა ეკონომიკის სეგმენტებისა და მისი დონეების მიხედვით.

მონოპოლიების და საკრედიტო სფეროს მაგალითებმა გვაჩვენა, რომ სახელმწიფო რეგულირება საჭიროა ეკონომიკის მაღალ დონეზე. მაშასადამე, ეკონომიკური თავისუფლება უნდა განვიხილოთ ვერტიკალური და ჰორიზონტალური ეკონომიკური თავისუფლების სფეროების მიხედვით.

³⁰ ფრიდმენი მ., „ეკონომიკური, პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლება“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, წიგნი IV, „ინტელექტუალები, განათლება და თავისუფლება“ თბ., 2007. გვ. 107.

გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., „ეკონომიკური პოლიტიკა“, წიგნი I. თბ., 2008. თავი 2; 3.

ვერტიკალის მიკრო დონეზე სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკური თავისუფლების მაქსიმუმს ვერ მოგვცემს. ამიტომ ამ დონემ სახელმწიფო რეგულაციების გარეშე უნდა იმუშაოს. დასაშვებია თვითმართველობის ჩართვა აღნიშნული სფეროს ეკონომიკურ აქტიურობაში, რამაც უნდა გააფართოოს არჩევანის არეალი და შესაბამისად, ჰორიზონტალურ დონეზე გაზარდოს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი.

რეგიონულ დონეზე ანუ მეზო დონეზე, საჭიროა ეკონომიკაში ჩარევა, როგორც თვითმართველობის, ისე ეკონომიკური სტრატეგიიდან გამომდინარე. სახელმწიფოს (სახელისუფლებო) მხრიდან თანაჩართულობა, ეს არის დონე, სადაც ვერტიკალში შემოდის სახელმწიფო რეგულატორი და ამ ვერტიკალის ჰორიზონტალურ დონეზეც ერთვება საერთო ეკონომიკური ვითარების შესაბამისად.

მაკრო დონეზე სახელმწიფოს ჩარევა არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც. ვინაიდან თუ მაკრო სფერო გამოვიდა წანასწორული მდგომარეობიდან, ადგილი ექნება ეკონომიკურ დესტაბილიზაციასა და სტაგნაციას, რაც გაცილებით მეტად შეზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას მთელ ეკონომიკურ ვერტიკალზე, ვიდრე მაკრო რეგულაციის შედეგად გამოწვეული აუცილებელი შეზღუდვები. მეტიც, უმრავლეს არასტაბილურ ვითარებაში მაკრო სფეროს მონოპოლიზება ხდება ოლიგარქთა მიერ, რომლის შედეგადაც ვიღებთ ეკონომიკური თავისუფლების აბსოლუტურ იგნორირებასა და მის ნაცვლად მონური ელემენტების მომძლავრებას (როგორც ხდება ეკონომიკური თავისუფლების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში, სადაც კაპიტალისა და შრომის ურთიერთკავშირში მონოპოლიური წილი მოდის კაპიტალზე და იზღუდება თავისუფალი არჩევანის პრინციპი, ალტერნატიული არჩევანის არარსებობის გამო).

ეკონომიკის ყველაზე მსხვილი დონეა მეგა დონე, იგი პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან, მასთან უშუალოდ უნდა მოქმედებდეს მძლავრი ეკონომიკური რეგულატორები, რიგ შემთხვევებში ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზეც. აღნიშნული იმით არის გამოწვეული, რომ საჭიროა ისეთ გლობალურ პრობლემებთან ბრძოლა, როგორებიცაა: ეკოლოგიური პრობლემები, ტერორიზმი, მსხვილი მონოპოლიური წარმონაქმნებით

გამოწვეული საშიშროება და ა.შ.³¹

ამრიგად, ეკონომიკური კეთილდღეობა იწყება ეკონომიკური თავისუფლებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს თავისუფალ არჩევანს, სოლიდარობას სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით და სიკეთეთა სამართლიან გადანაწილებას, რაც იძლევა სასტარტო პირობებში თანასწორობის და თავისუფალი ოპტიმალური არჩევანის გაკეთების საშუალებას.³²

ეკონომიკური თავისუფლება აუცილებელი პირობაა შერეული ტიპის საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისთვის. ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და მისი ჩარევის მასშტაბები ისე, რომ მოგვცეს ეკონომიკური თავისუფლებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმუმი, და იმავდროულად მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია.

³¹ გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., „ეკონომიკური პოლიტიკა“, წიგნი I. თბ., 2008. თავი 2; 3.

³² ჰენდერსონი დ. რ., „გერმანიის ეკონომიკური სასწაული“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 17.

თავი II. ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური კრიზისები

2.1 ეკონომიკური თავისუფლება, რეცესიები და მათი ახსნის მეცნიერული გზები

ციკლური რყევები და რეცესიები ეკონომიკის თანმდევი პროცესია, ეკონომიკის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე არსებობდა და მომავალშიც იარსებებს მისი არათანაბარი ციკლური განვითარება. ეკონომიკის კრიზისული გამოვლინებებიც არაერთგვაროვანია და ისინი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფაქტორებითა და გარემოებებით შეიძლება იყოს გამოწვეული.

ეკონომიკის არათანაბარი განვითარების ფენომენის კვლევა და შესწავლა უამრავი მკვლევარისა და მეცნიერის ინტერესის სფეროში ექცეოდა, შესაბამისად არაერთგვაროვანია მის ასახსნელად შემუშავებული რეკომენდაციები და თეორიული დასკვნებიც, მიუხედავად მეცნიერ-ეკონომისტთა მრავალი მცდელობისა ეს პრობლემა დროსა და სივრცეში მუდმივად გვახსენებს თავის თავს სახეცვლილი გამოვლინებებით და საბოლოოდ გლობალური თუ ლოკალური ეკონომიკის ფინანსურ კრიზისამდე მივყავართ.

პოლ სამუელსონის სიტყვებით რომ ვთქვათ: „რაც ჩვენ ვიცით გლობალურ ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით, არის ის, რომ ბევრი არ ვიცით“.³³

ეკონომისტთა მრავალწლიანი დავის საგანია ციკლური რყევებისა და რეცესიების გამომწვევი მიზეზების ახსნა. რა იწვევს ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების რადიკალურ ცვლილებებს? რატომ დგება საბაზრო ეკონომიკა ასეთი რყევების წინაშე? აღნიშნულ კითხვებზე ცალსახა პასუხი, რა თქმა უნდა, არ არსებობს, რადგან თვით რეცესიებიც არ ჰგვანან ერთმანეთს.

ზოგიერთი მეცნიერი კრიზისებს სხვადასხვა ფაქტორით ხსნის, ზოგი

³³ სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ., „ეკონომიკა“ ტომი 3. თბ., 2000. გვ. 78.

მიიჩნევს, რომ ის გარე გლობალური ფაქტორებით არის გამოწვეული, რიგი მათგანი მთავრობების და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების პოლიტიკის შეცდომებს მიიჩნევს მთავარ მიზეზად. ჩვენთვის კრიზისის ახსნა საინტერესოა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მხრიდან წმინდა ეკონომიკური ფაქტორების გაანალიზებით, ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური კრიზისების ზოგიერთი ასპექტების ახსნით, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიკის ციკლურ განვითარებაზე და მათ გაანალიზებას შეუძლია რეცესია შეამსუბუქოს.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, 1929 წლის სექტემბერში, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი და ღრმა ეკონომიკური რეცესია, რომელიც იმავე წლის 29 ოქტომბერში გაგრძელდა საფონდო ბირჟის ყველაზე დიდი ვარდნით. თანამედროვე ეკონომიკის ისტორიაში ამ დღეს „შავ სამშაბათად“ მოიხსენიებენ, ხოლო პროცესი, რომელიც რამდენიმე წელი გაგრძელდა და მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია – ისტორიას „დიდი დეპრესიის“ სახელით შემორჩა.

დეპრესიის მიზეზების ახსნის თეორია, რომელმაც ყველაზე დიდი პოპულარობა მოიპოვა, ბრიტანელ ჯონ მეინარდ კეინსს ეკუთვნის. კეინსის აზრით, ყველაფრის მიზეზი პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნის კლებაა, რომელიც შედეგად იწვევს მიწოდების კლებას. ამას საბოლოო ჯამში მიყვავართ ეკონომიკური აქტივობის შემცირებასთან და უმუშევრობის ზრდასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანები რატომღაც ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას, აღარ შეიძინონ სხვადასხვა პროდუქტი და მომსახურება. ამ პროდუქტებისა და მომსახურების მიმწოდებლები კარგავენ კლიენტებს და შესაბამისად ამცირებენ მიწოდებას (რადგან მყიდველი არ ჰყავთ). შედეგად კი კლებულობს წარმოება და დასაქმება.³⁴

მიუხედავად იმისა, რომ კეინსის რეცეპტმა იმ ეტაპზე გაამართლა (შესაძლოა იმიტომ, რომ როგორც ინსტრუმენტი ის პოლიტიკა სწორიც იყო), მაგრამ მეცნიერმა ვერ გაითვალისწინა ეკონომიკურ ციკლზე ტექნოლოგიური პროგრესისა და ინოვაციების გავლენა, რომლებიც წინმსწრებ მოთხოვნილებებს აჩენენ. რეალურად კეინსმა შედეგი მიზეზად აღიქვა და არ ჩაღრმავებია იმას, თუ არაეფექტიანი მოთხოვნა რით იყო გამოწვეული.

³⁴ ჩაღაფეიქრიშვილი ვ., „საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 4. თბ., 2011. გვ. 33.

ჟ. კეინსის თეორიაზე იერიში მიიტანა ჩიკაგოს სკოლის ეკონომისტმა მილტონ ფრიდმენმა და მან ფულის რაოდენობრივი კლასიკური თეორია განამტკიცა, უზრუნველყო რა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ფედერალური მთავრობის დეფიციტს არ აქვს მასტიმულირებელი ეფექტი. მან აგრეთვე განმარტა, თუ რა ზეგავლენას ახდენს ფულის მიწოდების ცვლილება ეკონომიკაზე.³⁵

მ. ფრიდმენის მიხედვით, 1929 წელს საფონდო ბირჟის კოლაფსი არა ფედერალური სარეზერვო სისტემის, არამედ მთავრობის მიერ დაშვებული თანმიმდევრული შეცდომების ბრალი იყო. ამ შეცდომებმა გამოიწვია კრიზისი, რომელიც შემდგომ დიდ დეპრესიაში გადაიზარდა. ამის მიზეზი მისი მტკიცებით იყო ცუდი ანუ არასწორი მონეტარული პოლიტიკა. რეალურად 1928 წელს ფედერალურმა სერეზერვო სისტემამ შემაკავებელი მონეტარული პოლიტიკის გატარება დაიწყო სპეკულაციების მოთოკვის მიზნით, ვინაიდან საფონდო ბირჟაზე ბუმი იყო, ამან გამოიწვია ეკონომიკის შენელება და ეკონომიკურ აგენტებს შეახსენა, ეკონომიკური კრიზისი ახლოვდებოდა. შემდგომში მცდარი პოლიტიკის შედეგად ფულის მასა ერთი მესამედით შემცირდა, რამაც საბანკო სისტემის მარცხი და დანაზოგების განადგურება გამოიწვია.³⁶

ეკონომიკური რეცესიებს ხსნის კიდევ ერთი თეორია, რომელსაც თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს. ეს უკანასკნელი 2007 წელს დაწყებული ფინანსური კრიზისის ფონზე (რომელიც დღემდე გრძელდება) სულ უფრო მეტი ეკონომისტის ინტერესის საგანი ხდება. ვსაუბრობთ ეკონომიკის ე.წ. ავსტრიული სკოლის მიერ ჩამოყალიბებულ თეორიაზე, რომელის თანახმად პირდაპირი კავშირი არსებობს ბაზარზე ფულის მიწოდებასა და ეკონომიკურ აქტივობას შორის. როდესაც მთავრობა ზრდის მიმოქცევაში არსებული ფულის ოდენობას, იქნება ეს ახალი ფულის დაბეჭდვის თუ ფულზე ხელმისაწვდომობის გაზრდის (მაგ. საპროცენტო განაკვეთის ხელოვნურად დაწვევის) გზით, ხდება კრედიტების მოცულობის არაბუნებრივი ზრდა.³⁷

ხსენებული თეორები ცდილობენ ახსნან კრიზისისა და რეცესიის მიზეზები რასაკვირველია, მათში ჭეშმარიტების მარცვლები ნამდვილადაა, თუმცა,

³⁵ იუნკსი ე., „მილტონ ფრიდმენის პრაგმატული ლიბერტალიანიზმი“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, კრებული VI, „თავისუფლების მოაზროვნეები“, თბ., 2009. გვ. 153.

³⁶ იუნკსი ე., „მილტონ ფრიდმენის პრაგმატული ლიბერტალიანიზმი“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, კრებული VI, „თავისუფლების მოაზროვნეები“, თბ., 2009. გვ. 154.

³⁷ ჩაღაფეიქრიშვილი ვ., „საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 4. თბ., 2011. გვ. 33.

ერთიანი რეცეპტი კრიზისიდან უმტკივნეულოდ გამოსვლისა ჯერ ვერცერთ სკოლას თუ მეცნიერს ვერ შეუძლებია.

რიგ მკვლევართა აზრით კრიზისულ ფონზე იკვეთება ტენდენციები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან. კრიზისში მთავარ დამნაშავედ ერთხმად აცხადებენ ფინანსური სექტორის კონტროლის მექანიზმების არაეფექტიანობას, თითქოსდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ ვერ უზრუნველყო იმ რეცესიის შეჩერება, რისი ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზიც თითქოსდა თვითონ იყო.³⁸

აღნიშნულ თეორიებში ძირითად შედეგთან ბრძოლის მექანიზმებზეა საუბარი და არ ჩანს კრიზისის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის ან განეიტრალების წინადადებები.

თითქმის ყველა ანტიკრიზისული პოლიტიკა, ზრდის სამთავრობო აღმინისტრირების დონეს, შესაბამისად ის ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ვარდნის სიღრმის გაზრდა და დეპრესია. გარდა აღნიშნულისა, თვით კრიზისის უმთავრესი მიზეზი სწორედ, რომ ეკონომიკური თავისუფლების არათანაბარი არსებობაა, ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე, რაც დამოუკიდებლად ამა თუ იმ ქვეყნის (რეგიონის) გადასაწყვეტია.

სწორედ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თავისუფლების არათანაბარი არსებობა, სხვადასხვა დარგისა თუ ეკონომიკურ სეგმენტებში განაპირობებს არარეალურ ეკონომიკური წარმოდგენებს ე.წ. „ბუშტების ბერვას“. ვინაიდან საინვესტიციო თანხები ვერ რეალიზდება რეალურ ეკონომიკაში, სხვა უკეთესი რაციონალური ალტერნატივების არ არსებობის გამო (რომელსაც მხოლოდ რეალური ეკონომიკური თავისუფლება იძლევა), დანაზოგები ვერ გარდაიქმნებიან დიფერენცირებულ ინვესტიციებად და ისინი კონკრეტულ რეგიონს, კონკრეტულ სფეროს (მაგ. საფონდო ბირჟას) აწვებიან, შედეგად გარკვეულ წამყვან ქვეყნებსა და რეგიონებში, რიგ ეკონომიკურ სეგმენტებში არარეალური (აქტივებით გაუმყარებელი) ფინანსური სახსრები კონცენტრირდება, მაშინ როდესაც რიგი რეგიონები ფინანსური სახსრების შიმშილს განიცდის და აქტივებს რეალურზე

³⁸ ჩალაფეიქრიშვილი ვ. „საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 4. თბ., 2011. გვ. 43.
ვალერშტაინი ი., „გლობალური კრიზისის დინამიკა (დაუსრულებელი): ოცდაათი წლის შემდეგ“ <http://leftists.wordpress.com/2010/10/18/>

რამდენჯერმე ნაკლები ღირებულება აქვს, რაც ასევე ეკონომიკური თავისუფლების დაბალი მაჩვენებლითაა გამოწვეული.

ეკონომიკის ხელოვნური სტიმულირება არც ისე კარგად მუშაობს. მივიჩნევთ, რომ ეკონომიკური თავისუფლების პირობებში შესაძლებელია რეცესიებისადმი შედარებით მდგრადი ეკონომიკური სისტემის მართვა, რომელიც საბაზრო პრინციპებით იმოქმედებს, ვიდრე ხელოვნური ჩარევებით, გადავადებული კრიზისებით, რომლებიც საბოლოოდ მაინც კრახამდე მიიყვანენ ეკონომიკას და კრიზისული ვარდნაც უფრო მძიმე და დამანგრეველი აღმოჩნდება გლობალური ეკონომიკისთვის. ამ უკანასკნელის ნათელი მაგალითია 2007 წლის კრიზისის ევროპული ვითარება, სადაც სწორედ ინექციებით სტიმულირებამ მთლიანად ევროკავშირი ჩაითრია, რამდენიმე მის წევრ ქვეყანას დღესაც უმძიმესი ვითარება აქვს (ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია და ა.შ). აღნიშნულმა თვით მსოფლიო ვალუტის პრეტენზიის მქონე ფულსაც კი (ევრო-დოლარი) საფრთხე შეუქმნა და საკითხი დღესაც საკმაოდ აქტუალურია. შეძლებს, თუ არა ევრო თავისი ფუნქციის შენარჩუნებას დარჩეს ევროკავშირის ფულად ერთეულად თუ შეწყვეტს არსებობას როგორც მთლიანი ევრო სივრცის ერთადერთი ოფიციალური ვალუტა? ამას რეგიონის მომავალი ეკონომიკური პოლიტიკის სისწორე გვიჩვენებს.

რიგ მეკვლევართა აზრით კრიზისულ ფონზე იკვეთება ტენდენციები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან. კრიზისში მთავარ დამნაშავედ ერთხმად აცხადებენ ფინანსური სექტორის კონტროლის მექანიზმების არაეფექტიანობას, თითქოსდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ ვერ უზრუნველყო იმ რეცესიის შეჩერება, რისი ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზიც თითქოსდა თვითონ იყო.³⁹

კრიზისების განეიტრალების თვალსაზრისით ზუსტი თეორიები არ არასებობს, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების საფუძვლებიდან ამოვა და არა გარდაუვალი შეზღუდვებისა და რეგულირების პოლიტიკიდან. თუმცა, არსებობენ გამოცდილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითად მიმართულებებს და რომლებიც აუცილებლად დაეხმარებიან მკვლევარებს მიმდინარე პერიოდში სხვა დროსა თუ სივრცეში ეკონომიკურ რეცესიებს

³⁹ ჩალაფიქრიშვილი ვ., „საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 4. თბ., 2011. გვ. 43.

შეეხიდონ, იპოვონ სწორი გამოსავალი, რომლის მიგნებისთვისაც მუდმივი მეცნიერული კვლევა და მუშაობაა საჭირო.

გლობალური კრიზისების ფონზე იზრდება ეკონომიკური რეგულირების დონე (ქვეყნებში, რეგიონებში), რაც ამცირებს ეკონომიკურ თავისუფლებას და ზღუდავს ეკონომიკური ერთეულების საქმიანობას, შესაბამისდ იწვევს ეკონომიკური აქტიურობის შემცირებას და კაპიტალის გადაადგილებას.

კაპიტალის გადაადგილება გამოწვეულია არა იმდენად უშუალოდ ეკონომიკური კრიზისით, რამდენადაც კრიზისის დროს რეგულირებით გამოწვეული ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვით და ამის გამო აგენტების ეკონომიკური საქმიანობისთვის უფრო თავისუფალი გარემოსკენ მისწრაფებით.

ამრიგად, ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თავისუფლება მიზეზ შედეგობრივ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან და ურთიერთანმდევ პროცესებს წარმოადგენენ. ერთი მხრივ, ეკონომიკური თავისუფლების დაბალმა დონემ შეიძლება მიგვიყვანოს ეკონომიკურ კრიზისამდე და, მეორე მხრივ, კრიზისის საშიშროებიდან გამომდინარე ეკონომიკურმა შეზღუდვებმა და გამკაცრებულმა რეგულირებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური თავისუფლების დაქვეითება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომ ქვეთავებში წარმოგიდგინილი იქნება ხედვა ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური კრიზისების ურთიერთკავშირის რიგ ასპექტებზე.

2.2 ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკის ციკლური განვითარება

ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური კრიზისი ეკონომიკის ციკლურ განვითარების თვალსაზრისით მჭიდრო კავშირში იმყოფებიან.

მოცემულ ქვეთავში შევხებით თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში კრიზისის და ციკლური ვარდნის გამომწვევი მიზეზებს და მათ ურთიერთკავშირს. ასევე, ვიმსჯელებთ მაკროეკონომიკური წონასწორობის მთავარი პრობლემის – ერთობლივ მიწოდებას და ერთობლივ მოთხოვნას შორის წონასწორული თანაფარდობის დარღვევის მიზეზებზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობა არ არის მუდმივი, უცვლელი პროცესი. ეკონომიკური პრაქტიკა ისტორიულად ამის მაგალითია. მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევა იწვევს ეკონომიკის სტაგნაციას, კრიზისს, შემდგომ კი მიმდინარეობს მისი რეაბილიტაციის პროცესი, ვიდრე ისევე არ ჩამოყალიბდება წონასწორობა ეკონომიკის ახალი აღმავლობის გზით.

ჩვენ უკვე ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ლიტერატურიდან ვიცით, რომ სტაგნაციის პროცესს თან ახლავს ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორებიცაა: დანაზოგის, მშპ-ის, დასაქმების და შემოსავლების შემცირება, უმუშევრობის და ინფლაციის ზრდა და სხვა. საბოლოოდ კი ისევე რეგულირდება სტაგნაციით გამოწვეული პრობლემები და ეკონომიკური კრიზისი ციკლური ვარდნა უბრუნდება წონასწორულ მდგომარეობას, ეს კი ხორციელდება ციკლურად მისი შესაბამისი ფაზებით, რომელსაც თან სდევს სახელმწიფოს თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან გლობალურ თუ ლოკალურ დონეზე ეკონომიკური რეგულირების პოლიტიკის გამკაცრება (ბანკების, საფონდო ბირჟების შეზღუდვა და სხვა).

შესაბამისად ანტიკრიზისული რეგულაციებიდან გამომდინარე ეკონომიკური

თავისუფლება და ეკონომიკური კრიზისი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ეკონომიკის ციკლურ განვითარების ფაზების შესაბამისად ზემოქმედებენ ერთმანეთზე.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში შევეცდებით ავხსნათ კრიზისის და ციკლური ვარდნის გამომწვევი რიგი მიზეზები, რომლებიც თანამედროვე პირობებში იკვეთება.

როგორც უკვე საყოველთაოდ ცნობილია, ეკონომიკურ კრიზისს გამოსახავენ ციკლურად, ხოლო ციკლს ყოფენ 4 ძირითად ფაზად: მწვერვალი (პიკი), ფსკერი (კრიზისი), დაცემა (დაქვეითება), აღმავლობა (გამოცოცხლება).

მაკროეკონომიკური წონასწორობის მთავარი პრობლემა მდგომარეობს ერთობლივი მიწოდების და ერთობლივი მოთხოვნას შორის წონასწორული თანაფარდობის დარღვევაში. თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ის მოიცავს აგრეთვე:

1. დანაზოგების და ინვესტიციების თანაფარდობას;
2. შრომაზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას;
3. ინფლაციისა და უმუშევრობის თანაფარდობას.

ერთობლივი მოთხოვნის და ერთობლივი მიწოდების თანაფარდობის შეუსაბამობა არღვევს მაკროეკონომიკურ წონასწორობას, იწვევს ეკონომიკურ კრიზისს და ციკლურ რყევას. ხოლო თუ რატომ ირღვევა მათ შორის წონასწორობა, ამაზე გვაქვს შემდეგი ახსნა – მოქმედებს ჭარბი დანაზოგი (შავი დღისთვის), რომელიც ჯ. მ. კეინსს ახსნილი აქვს „ფსიქოლოგიური კანონის“⁴⁰ მეშვეობით, რაც განაპირობებს დანაზოგის დაგროვებას. დანაზოგის სიჭარბე კი როგორც მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება, წარმოადგენს ეკონომიკური კრიზისის ციკლური ვარდნის წანამძღვარს.

თანამედროვე პირობებში, როცა ადგილი აქვს ფასეულობათა ცვლას, ალბათ ეკონომისტებს მოცემული ვითარების ყურადღებით მეცნიერული გააზრება გემაართებს. ვთანხმდებით, რომ გამოუყენებადი დანაზოგის ზრდა არის ეკონომიკური კრიზისის წანამძღვარი. თუმცა ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ

⁴⁰ სვანაძე ს., დისერტაცია, „არაპირდაპირი გადასახადები მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები“, „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ქუთ., 2009.
http://www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_svanadze.pdf

თანამედროვე პირობებში დანაზოგის ზრდა მხოლოდ „ფსიქოლოგიური ფაქტორით“ შეიძლება აიხსნას.

აღნიშნული პრობლემის შეფასებას ეხება სწორედ ჩვენი ანალიზი კერძოდ შევისწავლეთ დამატებით ის ფაქტორებიც, რომლებიც მოქმედებენ „დაგროვებაზე“ და მათი გავლენა ანგარიშგასაწვეია თანამედროვე ეკონომიკის პირობებში. აგრეთვე, ვისაუბრებთ იმაზეც, რომ დანაზოგის ზრდა აუცილებელია მივიჩნიოთ თუ არა კრიზისის და ციკლური რყევის გარდაუვალ პირობად - წანამძღვრად.

ამრიგად, იმისათვის, რომ დანაზოგისკენ სწრაფვის მიზეზს დაუბრუნდეთ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ურთიერთკავშირში უნდა ჩავეძიოთ.

თანამედროვე პირობებში ადამიანის ზრდადი მოთხოვნილებები ატარებენ წარმოებაზე წინმსწრებ ტენდენციებს – რაც წარმოშობს დახვეწილ მაღალ მოთხოვნას, ხოლო ამ მოცემულობას მიწოდებამ ადექვატურად თუ ვერ უპასუხა უკვე მათ შორის ადგილი აქვს თანხვედრი გარიგებების დარღვევას ანუ „დისბალანს“, ეს არ არის სიტუაცია ბაზარზე საქონლის სიჭარბის არამედ ბაზარზე „X“ ახალგაზრდა საქონლის დეფიციტია, რომელზეც წინმსწრები მოთხოვნაა წარმოშობილი.

შესაბამისად ამ პროცესს, ერთი მხრივ, საქონლის სიჭარბე ახასიათებს, სინამდვილეში კი საქმე გვაქვს ერთობლივი „მიწოდების დაბერებასთან“ (მოძველებასთან, მოცემულის მიმართ ადექვატური ტერმინი ჯერ ეკონომიკურ ლიტერატურაში არ გხვდება ამიტომ ასე მოვიხსენიებთ „ერთობლივი მიწოდების სიბერე“), რომელზეც ახალი ერთობლივი მოთხოვნა არა ადექვატურად ანუ უარყოფითად რეაგირებს. ამ დროს აღმავლობის ფაზაში შემოსავლები იზრდება და აძლიერებს „ნოვაციური“ საქონლის მოლოდინს.


ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში მომხმარებლებს მეტი სტიმული ეძლევათ დაზოგვისაკენ. არის ფული, არის საქონლისა და მომსახურების შეძენის სურვილიც, თუმცა ბაზარზე მოცემული საქონელი ვერ პასუხობს წინმსწრებ ახალ სასურველ მოთხოვნილებებს და შესაბამისად მოთხოვნაც სუსტდება (ამის მაგალითად არც თუ ისე შორეული წარსული კომუნისტური პერიოდი შეგვიძლია მოვიყვანოთ).

დავედით იქამდე, რომ დაზოგვის მნიშვნელოვან მიზეზად ჩავთვალოთ ერთობლივი „მიწოდების სიბერე“. ახლა განვმარტოთ თუ რატომ ხორციელდება ერთობლივი „მიწოდების დაბერება“.

მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერ საქონელს ან საქონელთა ჯგუფს ახასიათებს ბაზარზე სასიცოცხლო პერიოდი /ციკლი/, ანუ პერიოდი ერთი სახეობის საქონლის ბაზარზე შესვლის, დამკვიდრების, სიმწიფის, ბაზრიდან გასვლის (აღნიშნული უფრო ნათლად ჩანს ნახაზზე 2.2.1).

ამრიგად, 2.2.1 ნახაზზე მოცემულია ამა თუ იმ საქონლის (მომსახურების) ბაზარზე არსებობის სასიცოცხლო პერიოდი, თუ მიწოდებამ დროულად ვერ უპასუხა „A“ „დაბერებული საქონლიდან“ „B“ ახალ ნოვაციურ საქონელზე გადასვლა მისი ჩანაცვლება, მაშინ ადგილი ექნება „მიწოდების სიბერეს“ და შესაბამისად გადახდის უნარიანი მოთხოვნის კლებასაც, თუნდაც შემოსავლების ზრდის კვალობაზე. აღნიშნული იწვევს საბაზრო წონასწორობის დარღვევას. ჩვენ არ უარყოფთ იმას, რომ დაზოგვისადმი „ზღვრული მიდრეკილება“ არსებობს შემოსავლების ზრდის პარალელურად, მაგრამ მხოლოდ დანაზოგის ზრდის ახსნა „დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილების“ თეორიით თანამედროვე პირობებში სრული ჭეშმარიტება ვერ იქნება.

საქონლის სასიცოცხლო პერიოდები



ნახაზი 2.2.1

- **CPI - ფასები (P - მოგება);**
- **T - დროთი პერიოდი;**
- **„ა“ და „ბ“ ციკლის მონაკვეთი;**
- **A; B; C; D. და ა.შ სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების სასიცოცხლო ციკლის მრუდები;**
- **Q₁ – საქონლის სასიცოცხლო ზღვარი;**
- **Q₂ – საქონლის ბაზარზე დამკვიდრების პერიოდი;**
- **Q₃ – საქონლის სიმწიფე- მომგებიანობის პერიოდი.**

ვინაიდან იგივე ფსიქოლოგიური ფაქტორია ისიც, რომ „ადამიანი რაც უფრო მეტს მოიხმარს, მით მეტის მოხმარების სურვილი უჩნდება” ოღონდ თვისობრივად უკეთესი და უფრო თანამედროვე საქონელსა და მომსახურებაზე.

ამრიგად, მზარდი შემოსავლების შესაბამისად იზრდება მოხმარებაც, მაგრამ თუ „მიწოდება დაბერებულა”, მაშინ თანხები (შემოსავალი) არ იხარჯება შემოსავლის ზრდის პროპორციულად. ვინაიდან თანამედროვე პროგრესულ პირობებში, როდესაც ბაზარზე უამრავი სახის სქონელი იყრის თავს, ეს ასუსტებს გაჯერების ფაქტორს და შესაბამისად ზღვრულ მოხმარებასაც.

შეიძლება თვისობრივად ერთი საქონელი (მომსახურება) მრავალი გაუმჯობესებითა და სხვადასხვა ფორმით შეგვხვდეს დროის მცირე პერიოდში ხარისხისთვის და გემოვნებისთვის უკეთესი მახასიათებლებით, რომ ჩვენ გაჯერების გრძნობის აღქმაც კი არ გვხვდეს წილად. ეს იმ შემთხვევაში, თუ ბაზარი თავისუფალია და მიწოდება მოქმედებს ადექვატურად ანუ ახერხებს ბაზრის, მომხმარებლების მოთხოვნილებათა ზუსტ განჭვრეტა-პროგნოზირებას და ბაზარს თავისუფლად აწვდის ნოვაციურ საქონელს (მომსახურებას).⁴¹

მაგრამ ისმის კითხვა: როგორ მოახერხოს მოთხოვნილებები გამოიცნოს მიმწოდებელმა (მწარმოებელმა)? აქ კი უნდა დაუბრუნდეთ დანაზოგებს და ეკონომიკურ თავისუფლებას. დანაზოგი ეკონომიკური აღმავლობისას იზრდება – ხოლო ეკონომიკა მუდმივად განუხრელი აღმავალი ხაზით ვითარდება. თუმცა,

⁴¹ **გერლიანი რ.**, „ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური კრიზისები”, „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები”, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, თბ., 2012. გვ. 140.

ზოგჯერ უფრო ნელი ტემპით, ზოგჯერ უფრო დაჩქარებულად და ამას წონასწორობის დარღვევას, კრიზის ვუწოდებთ და ავსახავთ ციკლურად. ამრიგად დანახოვი ციკლის შესაბამისად იზრდება, მაგრამ არა თანაბარზომიერად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე ვახსენეთ ციკლური ვარდნის წანამდევარს წარმოადგენს დანახოვის ზრდა, ყოველთვის როდია დანახოვის ზრდა კრიზისის საშიშროების მატარებელი. აღნიშნულს მაშინ აქვს ადგილი, თუ მისი ინვესტირება არ მოხდა ოპტიმალურად ახალ ნოვაციურ დარგში, მტკ ვასავითარებლად და ახალი ინტენსიური წინსვლის მასტიმულირებლად.

როგორც პარაგრაფში §12 ავხსენით ეკონომიკურ თავისუფლებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დანახოვის დიფერენცირება საზოგადოებასა და ეკონომიკურ ერთეულებს შორის, ამავდროულად მისი ერთობლივი ოდენობაც.

თუ დანახოვი არ არის დიფერენცირებული, ეკონომიკური თავისუფლება დაბალია, თავისუფალი ინვესტირება ვერ ხორციელდება და თუ ხორციელდება არა იმ მიმართულებით, რაზეც საზოგადოებრივი ანუ მომხმარებელთა ინტერესებია მიმართული.

რომ დაუბრუნდეთ წონასწორობას დანახოვსა და ინვესტიციებს შორის მაკროეკონომიკური დონეზე, ის შეესაბამება დანახოვსა და ოპტიმალურად (სწორად) დაბანდებულ ინვესტიციებს შორის თანაფარდობას. ანუ რეალურად რას ნიშნავს ეს? თუ ინვესტირება არ იქნა დროულად ახალ ოპტიმალურ სფეროში, ის მხოლოდ „დაბერებული მიწოდების“ ზრდას იწვევს და დაარღვევს წონასწორობას (ჰარმონიულ პროპორციას) ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას შორის, რაც წინაპირობას ქმნის ეკონომიკური კრიზისის და ციკლური ვარდნის.

ეს ვითარება შემდეგნაირად ისახება ნახაზზე 2.2.1, ნახაზის შესაბამისად, თუ „A“ საქონლის მიწოდების სიმწიფის პერიოდში, თუ უკვე არ განხორციელდა თავისუფალი ინვესტირება „B“ ახალგაზრდა საქონლის წარმოებაზე და არ განხორციელდა ბაზარზე მიწოდება, რომლის შესაბამისი მოთხოვნად გარდასაქმნელი მოთხოვნილება (მოლოდინი) არსებობს, მაშინ „მიწოდების სიბერე“ გარდაუვალია, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ საწყის ეტაპზე გაზრდის დანახოვებს, იმის გამო, რომ „დაბერებული საქონლით“ გაჯერებულია ბაზარი და ქვეითდება მოთხოვნა.

თუ ინვესტირება განხორციელდა, მაგრამ არა ოპტიმალურად (არა ეკონომიკურად თავისუფალ გარემოში) ამ შემთხვევაშიც მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ჰარმონიული კავშირი მაინც დაირღვევა” ანუ თუ სიმწიფის

პერიოდაში ინვესტირება განხორციელდა „მწიფე“ „A“ საქონლის (მომსახურების) წარმოებაზე („A“-ს და „B“-ს მივიჩნევით საქონელთა ერთობად) ამ შემთხვევაშიც დისბალანსი მაინც გადაუვალა და მართლაც უკვე იქნება სიჭარბე „დაბერებული მიწოდების“, რაც ან ეკონომიკას კრიზისულ ვითარებამდე მიგვიყვანს საერთაშორისო გლობალურ დონეზე ან ინვესტიციების გადადინებას გამოიწვევს ლოკალურად (მაგ: ქვეყნიდან-ქვეყანაში ან რეგიონიდან რეგიონში).

ყოველივედან გამომდინარე ვასკენით, რომ საჭიროა ინვესტიციების დაბანდება ნოვაციებისა და მტკ-ში. ვინაიდან ახალ „B“ საქონლის (მომსახურების) მიწოდებაზე გადასვლა მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, „A“ დაბერებული საქონლის საწარმოო უკვე მორალურად გაცვეთილი ფონდების მოდერნიზება-გადართობას და მომსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლება-გადამზადებას, ან კიდევ ახალი პროფესიების დაუფლებას. უმეტეს შემთხვევაში სრულიად ახალ ნოვაციურ ტექნოლოგიებზე გადასვლას, ახალ ფონდების შექმნას და თვისობრივად ახალი კვალიფიკაციის ან სრულად გადამზადებული პერსონალის მოზიდვას მოითხოვს.

ზემოთ აღნიშნული, თავის მხრივ, არჩევანის მრავალფეროვნებას, უზრუნველყოფს, ხოლო არჩევანის მრავალფეროვნება მთავარი მახასიათებელია ეკონომიკური თავისუფლებისთვის. ანუ რაც მეტია ასარჩევი რაციონალური ალტერნატივები მით მეტია ეკონომიკური თავისუფლება.⁴²

ანალოგიური მსჯელობა შეიძლება შრომის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის ცვლილებაზეც. თუ დროულად ვერ მიეწოდა მოთხოვნის შესაბამისად კვალიფიციური შრომის რესურსი, ეს უკვე ზეგავლენას მოხდენს ერთობლივ მიწოდებაზე უარყოფითად, გაზრდის უმუშევრობას (გვაქვს სამუშაო ძალის სიჭარბე კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტის ფონზე), რაც უარყოფითად იმოქმედებს შემოსავლებზე და რასაკვირველია დაზოგვის პოტენციალზეც. აქ კი უშუალოდ უნდა ერთვებოდეს სახელმწიფოს პოლიტიკა ეკონომიკური თავისუფლების ამაღლებისა და განათლების სფეროში, ვინაიდან განათლება და თავისუფლება ეს ის სფეროა, რომელსაც ჭირდება სახელმწიფოს პოლიტიკის მხარდაჭერა.

საბოლოოდ ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ

⁴² გერლიანი რ., „ეკონომიკური თავისუფლების როლი და ფარგლები ეკონომიკურ პოლიტიკაში“, ჟურნალი, „ახალი ეკონომისტი“. თბ., 2010. №4.

დანაზოგის ზრდა სრულებითაც არ არის სავალდებულო და საშიში, თუ ის ინვესტირებული იქნება ოპტიმალურად პროგრესირებად დარგებში წინსმწრები მოთხოვნილებების შესაბამისად. თუმცა, დანაზოგის ზრდა, თავის მხრივ, სიგნალი უნდა იყოს როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე კერძო სამეწარმეო ერთეულებისთვის იმისა, რომ ინვესტირება ვერ ხორციელდება ოპტიმალურად და საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მის ხელთ არსებული ბერკეტების (ფისკალური, მონეტარული და სხვა) ამოქმედება ეკონომიკური თავისუფლების მხარდასაჭერად, ხოლო კერძო ეკონომიკური აგენტებისთვის ბაზარზე მდგომარეობის გადახედვაა საჭირო, ვინაიდან მათვის ეს არის ახალი შესაძლო მოთხოვნილების გამოცნობისა და მის დასაკმაყოფილებლად ახალი საქმიანობისთვის თავისუფალ ნიშის მოპოვებას შესაძლებლობა.

ეკონომიკური საქმიანობისათვის ახალი ნიშის მოპოვებას კი ჭირდება ეკონომიკური თავისუფლება, თავისუფალი კერძო ბაზარი, მძლავრი მარკეტინგული სამსახურები და ძლიერი თანამედროვე მენეჯმენტის საფუძველზე მოქმედი კერძო სფერო. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე თავისუფალი ეკონომიკის პროგრესისთვის და ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობის შესანარჩუნებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ეკონომიკური საქმიანობების სფეროების წარმოშობას, რასაც ყველაზე მეტად თავისუფალი ეკონომიკური გარემო უწყობს ხელს.

თანამედროვე პირობებში საბანკო სფეროსა და კერძო სუბიექტებს შორის თანამშრომლობის მრავალფეროვნების კვალობაზე შეიძლება კიდევ ერთი ასპექტის ახსნა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს კრიზისთან და შესაბამისად ეკონომიკურ თავისუფლებასთან.


დაზოგვისადმი ადამიანთა მიდრეკილების თეორიის თანახმად – ერთ-ერთი დაზოგვისადმი სწრაფვის მიზეზად ძველი მიდგომით შეიძლება დაგვესახელებინა შემოსავლების აკუმულირება ისეთი საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რომელსაც სუბიექტთა ერთჯერადი შემოსავალი ვერ ყოფნის (ვთქვათ, ერთი თვის შემოსავალი, ხელფასი, და ა.შ) თანამედროვე პირობებში შესაძლებელია ნებისმიერი სახის პროდუქტის (დოვლათის) შექმნა კრედიტის სახით ანუ დაუშვათ 200 ლარიანი შემოსავლით, ჩვენ რაღაც „X“ საქონელს შესაძენად, რომლის ფასიც 1600 ლარს წარმოადგენს გვიხდებოდა დანაზოგის დაგროვება გარკვეული დროის (ვთქვათ 10 თვე) განმავლობაში.

თანამედროვე პირობებში ზემოაღნიშნული პროცესი შეიძლება

ჩანაცვლდეს კრედიტით და შევიძინოთ მისი მეშვეობით. რაც ზრდის ეკონომიკურ სუბიექტთა არჩევანის თავისუფლებას და მოთხოვნების მსყიდველობითუნარიან მოთხოვნად გარდაქმნის თავისუფლებს, თავის მხრივ ამცირებს დაზოგვისადმი მიდრეკილებას და აბათილებს მიდგომას დანაზოგის აკუმულირებისა საქონლის შესაძენად.

აღნიშნულ ვითარებას რასაკვირველია აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეებიც ეკონომიკური კრიზისის გამოწვევისა და ციკლური ვარდნის თვალსაზრისით (განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბინათმშენებლობისა და საბინაო უზრუნველყოფის სფეროში).

ვარდნის პროცესზე უმეტეს წილად მოქმედებს არა უშუალოდ დანაზოგი, არამედ არარენტაბელური ინვესტიციები. როდესაც უკვე იწყება ვარდნა, იმ პერიოდისთვის უკვე არსებობს სტიმული უმუშევრობის გაღვივებისთვის ის უკვე



ნახაზი 2.2.2

- QF- საქონლის რაოდენობა ეკონომიკური თავისუფლების პირობებში;
- CPI - ფასები (P - მოგება);
- T - დროთი პერიოდი;

• “ა” და “უ” ციკლის სრული (4 ფაზიანი) მონაკვეთი.

ვარდნის დასაწყისშივე სცილდება ბუნებრივ დონეს და იწყება ჩვენთვის ნაცნობი ციკლური უმუშევრობა (იხ. ნახაზი 2.2.2). ამ პერიოდისთვის ადგილი აქვს არჩევანის შეზღუდვას (მაშასადამე თავისუფლების) და როგორც უკვე ვიცით ფასების დაცემას „დაბერებულ საქონელზე“. ფსკერზე ყოფნისას კი უმუშევრობა მაქსიმუმს აღწევს, აგრეთვე მიმდინარეობს ინფლაციური პროცესი, რომელიც ზომიერზე მეტია, ხოლო ამ შემთხვევაში „ფილიპსის მრუდის“ შესაბამისად უმუშევრობა იწყებს შემცირებას ინფლაციის ზრდის კვალობაზე.

ინფლაცია დარტყმას აყენებს, უპირველეს ყოვლისა, დანაზოგებს და ამის კვალობაზე დაზოგვისადმი სტიმული მცირდება, რაც რეანიმაციის დადებით ინსტრუმენტად შეიძლება ჩაითვალოს, ასევე შეუძლია ასტიმულიროს დასაქმება.

მივიჩნევთ, რომ ვარდნის პროცესში ინვესტიციების ზრდისას იზრდება მულტიპლიკატორი და აქსელერატორი, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ვარდნის სიმძიმეს, მულტიპლიკატორს ზრდის აგრეთვე სამთავრობო ფინანსური ინექციები (თითქმის ყველა ანტიკრიზისული თეორია ინექციურ პოლიტიკას გთავაზობს). ეს აგრეთვე დამოკიდებულია იმაზე, თუ ინვესტირება ვარდნის ფაზაში რამდენად სწორად იქნება განხორციელებული ანუ ინტენსიური გზით თუ გამოვიყენებთ ნოვაციების ინვესტირებისთვის, ის აუცილებლად თუნდაც ვარდნის ფაზაშიც კრიზისის დაძლევას შეუწყობს ხელს. ამ შემთხვევაში ვარდნის სიღრმე იქნება ნაკლები და მალევე დაიწყება რეანიმაციული პროცესი.

ამრიგად, თუ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა ტარდება მონეტარულ და ფისკალურ სფეროში, შესაძლებელია მათი მეშვეობით ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფა და ციკლური კრიზისის მართვა.

გვინდა გამოვთქვათ მოსაზრება ანტიკრიზისული პოლიტიკების გავლენაზე ეკონომიკურ თავისუფლებასთან მიმართებაში. ჯ. მ. კეინსის „ანტიკრიზისული რეცეპტი“, ეკონომიკური კრიზისისას, მიზანშეწონილია მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში ⁴³. მიუხედავად იმისა, რომ ერთის შეხედვით ის ეწინააღმდეგება ეკონომიკური თავისუფლების პრინციპებს, მისი გამოყენება არ არის გათვლილი გრძელვადიან პერიოდზე და ის მოკლევადიან პერიოდში კრიზისიდან გამოყვანას ემსახურება. გრძელვადიან პერიოდში უფრო ეფექტიანია, მათ შორის ეკონომიკური

⁴³ <http://giorgibenashvili.files.wordpress.com/2011/10/e18394e18395e183a0e1839de18399e18390e18395e183a8e18398e183a0e18398e183a1e18394e18399e1839de1839ce1839de1839be18398e18399e183a3e183a0.pdf>

თავისუფლების თავაღსაზრისითაც „ლაფერის ეფექტად“⁴⁴ წოდებული პოლიტიკის გამოყენება (ამცირებს ადმინისტრაციულ წნესს),⁴⁵ რაც გაახანგრძლივებს აღმავლობის პერიოდს მეტი ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკის სტაბილურობის /წონასწორობის/ გზით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ის იძლევა მეტი ეკონომიკური თავისუფლების საშუალებას და რეალურად მას გააჩნია დეპრესიის თავიდან აცილების შესაძლებლობები.

ლაფერის პოლიტიკის პარალელურად თავისუფალი ინვესტირების ხელშეწყობით ნოვაციურ საქმიანობის სფეროებში, შესაძლებელია ციკლური რყევის ამპლიტუდის შემცირება, ეკონომიკის პიკური მდგომარეობის გაახანგრძლივება და ამით ღრმა ეკონომიკური კრიზისის არიდება.

ამრიგად, ეკონომიკის ციკლური ცვალებადობა გარდაუვალია. ეკონომისტების როგორც ეკონომიკის სტრატეგების მიზანი არააა და ვერც იქნება ციკლური სვლის შეჩერება, არამედ მიზანი უნდა იყოს კრიზისის (დაცემის) შემსუბუქება და ვარდნის ციკლის სიღრმისა და დროითი ხანგრძლიობის შემცირება, რის საშუალებასაც იძლევა ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობა და მისი უზრუნველყოფი პოლიტიკის გატარება, რამაც უნდა მოგვცეს ახალი ეკონომიკური საქმიანობის წამოსაწყებად თავისუფალი გარემო, თავისუფალი ინვესტირების შესაძლებლობები. ამით შესაძლებელია ბაზარზე საქონელთა სასიცოცხლო პერიოდისა და ეკონომიკის აღმავლობის პერიოდის გაახანგრძლივება.

⁴⁴ <http://myvuvuzela.wordpress.com/2012/06/21/reaganomics/>

⁴⁵ ანანიაშვილი ი., „ლაფერის მრუდი თუ მრუდების ოჯახი“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №3, თბ., 2009. გვ. 70-88.

2.3 ეკონომიკური თავისუფლება - გლობალური კრიზისიდან ლოკალურ წარმატებამდე

მსოფლიო კრიზისული ვითარება, მიუხედავად მისი დიდი მასშტაბებისა მთლიანად ყველა ქვეყნის ან რეგიონის კრიზის არ იწვევს, შესაძლებელია გლობალური კრიზისი ლოკალური წარმატების ფაქტორიც კი იყოს. ამრიგად, რიგი ქვეყნების სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფის გზით, შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, ეკონომიკური ზრდის ტემპი და ეკონომიკური აღმავლობა.

როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს? როგორც ვიცით, კრიზისის წინა პერიოდში იწყება დაღმავლობა ე.წ. „გაბერილი ბუშტების გასკდომა“⁴⁶, რაც გამოწვეულია აქტივების არარეალურად მაღალი ღირებულებით ანუ მათი ფასი ბევრად აღემატება მათი ლიკვიდურობის რეალურ შესაძლებლობებს, ამავდროულად, მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ერთიანობისა და მასში მეტწილად ღია ეკონომიკების არსებობისა (ყველა ქვეყნის ეკონომიკა კავშირშია სხვა ქვეყნების ეკონომიკებთან და ა.შ),⁴⁷ არიან ქვეყნები და რეგიონები, რომლებშიც ეკონომიკური აქტივები სხვადასხვა ეკონომიკური და არაეკონომიკური მიზეზებიდან გამომდინარე, რეალურ თავისუფალ საბაზრო ფასთან შედარებით რამდენჯერმე ნაკლები ღირს ან გაცილებით მეტი, ვიდრე რეალური თავისუფალი ღირებულება. აღნიშნული ვითარება ზოგ რეგიონებში ხდება კაპიტალს და ფულადი რესურსების ჭარბად კონცენტრირების (რაც დროთა განმავლობაში ეკონომიკური კრიზისის წინაპირობას ქმნის),⁴⁸ ზოგში კი მათი „შიმშილის“ მიზეზი, აღნიშნულის განმაპირობებელი ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია ეკონომიკური თავისუფლება.

კრიზისის წინა პერიოდში, როგორც კი ფინანსური აქტივების მფლობელნი იგრძნობენ მცირედ რყევას, (თუნდაც ეკონომიკის გადახურებას, ერთობლივი მიწოდების გადაბერებას, მთავრობის ადმინისტრაციული რეგულირების სიმძიმეს)

⁴⁶ <http://geurasia.org/panel/uploads/documents/Laisser%20faire.doc>
<http://24saati.ge/index.php/category/business/2010-01-18/2778>

⁴⁷ <http://sdasu.edu.ge/pub/eko/4.pdf>

⁴⁸ <http://24saati.ge/index.php/category/news/politics/2009-09-22/128>

ანუ თუ დაიწყო „ეკონომიკური თავისუფლების” შეზღუდვა, ფინანსები (ფული) ტოვებს მიმოქცევის სფეროს და ის დროებით შესაძლო რისკების თავიდან აცილების მიზნით, ჩერდება (კონსერვდება) ბაზარზე ან ეკონომიკაში ხელსაყრელი ახალი ვითარების შექმნამდე, რიგ შემთხვევაში ის გაედინება იმ რეგიონებიდან და ქვეყნებიდან, სადაც „საქმიანობის თავისუფლება იზღუდება”, კრიზისული ვითარებით თუ ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკით.

აღნიშნული ქმედება ხელს უწყობს კრიზისის გაღრმავებას და აჩქარებს ეკონომიკური დაღმავლობის პროცესს, ამ ფონზე მთავარი მოთამაშე ქვეყნის(ების) მთავრობა(ები) იძულებულნი არიან გაზარდონ ადმინისტრაციული ჩარევის დონე ეკონომიკაში, მისი რეგულირების თვალსაზრისით. ამგვარი რეგულაციური პოლიტიკის გამო კიდევ უფრო მცირდება ეკონომიკური თავისუფლება.

შექმნილ ვითარებაში საინვესტიციო სახსრების (ფულის) მქონე აგენტები ეძებენ „გაჩერებული” ფულის დაბანდების ადგილებს, ვინაიდან ინვესტიციები მოძრაობენ მოგებისაკენ და თავისუფალი მოღვაწეობის ადგილებისკენ. ასეთი ალტერნატივის გამოჩენის უდიდესი შესაძლებლობები აქვთ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული რეგიონების ქვეყნებს, სადაც აქტივები რეალურზე ნაკლები ღირს და ეს მიმზიდველია მნიშვნელოვანი დაბანდებების მოზიდვის თვალსაზრისით, თუ რა თქმა უნდა, ისინი შეძლებენ შესთავაზონ თავისუფალი ეკონომიკური გარემო ეკონომიკური საქმიანობისთვის. ანუ სუბარია იმ ფაქტორების მოხსნაზე, რის გამოც ინვესტიციის მფლობელნი შესაბამის კრიზისულ რეგიონებს და ქვეყნებს გაუბრბიან.

გლობალურ დონეზე ეკონომიკის კრიზისული ვითარება ხატოვნად რომ წარმოვიდგინოთ, გავს ოქროს ქვიშის მთების ჩამოშლას, რომლებიც წამყვანი კრიზისული ქვეყნების ფარგლებშია განლაგებული. კრიზისი ერთგვარი ბიძგი, რყევაა, რის შედეგადაც ოქროს მთები ჩამოიშლება და ოქროს ქვიშაც დადაბლებული ადგილებისკენ დაიძვრება, და ის აუცილებლად ამ დადაბლებულ ადგილებს ავსებს, თუ რა თქმა უნდა, მას წინაღობა და ხელოვნური ბარიერები არ დახვდება, რაც შეაფერხებს მის თავისუფალ მოძრაობას.

გლობალური ეკონომიკის შემთხვევაში დადაბლებულ ცარიელ ადგილებს სწორედ დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნები წარმოადგენენ (რომელთა რიგშიც პოსტსოციალისტური ქვეყნები და მათ შორის საქართველოც მოიაზრება), ამ ქვეყნების მიმზიდველობას ეკონომიკური თავისუფლება განაპირობებს, ვინაიდან ის ნიშნავს ხელოვნური ბარიერების არქონას და რაციონალური ალტერნატივების

სიმრავლეს ბიზნეს საქმიანობისთვის, სწორედ ეს არის შესაძლებლობა უზარმაზარი კრიზისული აქტივები დაიძრას ჩვენაირი (დაბალი ეკონომიკური განვითარების) ქვეყნების მიმართულებით.

ამრიგად, გლობალური კრიზისისას განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ჯერ კიდევ ექსტენსიური ეკონომიკური ზრდის ფაქტორებიც კი არ არის გამოყენებული, დიდ შესაძლებლობას იძლევა მიაღწიოს მაღალი ზრდის ტემპს და გადავიდეს ინტენსიურ ეკონომიკურ ზრდაზე, გლობალური კრიზისის გამოყენებით ლოკალური წარმატების მისაღწევად.

მუსირებს აზრი, რომ გლობალური კრიზისი, რეცესია აზარალებს ყველას - განვითარებულ, თუ განვითარებად ქვეყნებს. აგრეთვე მოჰყავთ ექსტენსიური ეკონომიკური ზრდის სტადიაში მყოფი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ვითარებები. საქართველოს მაგალითზე ამის არგუმენტია საზღვარგარეთ (განვითარებულ რეგიონებში) სამუშაოდ წასული მოქალაქეები და მათი ანაზღაურება, რამე თუ ისინი სამშობლოში მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს აგზავნიან⁴⁹. ეს ფაქტორი ნამდვილად არსებობს, ზოგი მათგანი ეკონომიკური კრიზისის მქონე ქვეყნებში საქმიანობენ, თუმცა ამ ქვეყნებში, როგორც წესი, ისინი არაკვალიფიციურ სამუშაოებს ასრულებენ და ამიტომ კრიზისული ვითარება ნაკლებად აისახება მათზე.

საზღვარგარეთ დასაქმებული მოქალაქეები გამონაკლის შემთხვევაში თუ იძულებული გახდებიან სამუშაოს უქონლობის გამო დაბრუნდნენ სამშობლოში, ესეც დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე, მცირედ დანაზოგთან ერთად (ეს მცირე საქართველოსთვის საშუალოა) ისინი უცხოურ გამოცდილებასაც ჩამოიტანენ მცირე საქმიანობის თვალსაზრისით. ანუ ამით ქვეყანას უბრუნდება არა ინერტული არამედ მოტივირებული ადამიანური რესურსი, რომელსაც შეუძლია გადაიქცეს ბიზნესის თუ სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმატებულ ფენად. საბოლოოდ კი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს აამაღლებს რაოდენ არასასურველადაც არ უნდა ჩანდეს ეს.

ჯამურად ამდაგვარი არგუმენტებით მოყვანილი დანაკარგები მცირეა იმ შესაძლებლობებთან და პოტენციალთან შედარებით, რისი გამოყენებაც გლობალური კრიზისული ვითარებისას შეიძლება დიდი მოცულობის საინვესტიციო დაბანდებებითა თუ სხვა სიკეთეების სახით, რისი მიღებაც სრულიად არის დამოკიდებული ეკონომიკური თავისუფლების ხარისხზე და მის

⁴⁹ <http://www.bfm.ge/banks/2402-crisis.html>

ამაღლებახე.

გარდა ზემოხსენებულისა, ექსტენსიური დაბალი ეკონომიკური ზრდის ქვეყნების შიდა სოციალური შესაძლებლობა, ანუ საზოგადოებრივი მსყიდველობითი უნარი გაცილებით მდგრადია გლობალური კრიზისებისადამი (სამწუხაროდ ეს მისი სიმწირითაა განპირობებული), ის ფაქტიურად მინიმალურ შემოსავალს შეადგენს ცხოვრებისთვის.

ამ ფონზე, სხვა თანაბარ სტაბილურ ვითარებაში, იმ სიკეთების მიღება, რაც ეკონომიკურად მოწინავე რეგიონების თუ ქვეყნების მოსახლეობის საშუალო ფენას შეუძლია, ჩვენისთანა ქვეყნების მოქალაქეების 90%-ს შეუძლია მიიღოს მხოლოდ 7-10 წლის პერსპექტივაში.

გლობალურ კრიზისულ ვითარებაში ეს სიკეთეები (მაგ. ავტომანქანა, საყოფაცხოვრო ტექნიკა, მომსახურებისა და წარმოების დანადაგარები) შესაძლებელია კრიზისული ფონიდან გამომდინარე „გაიაფდეს“ დაბალ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის მათი შემოსავლების უფრო მეტად სტაბილურობის გამო.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, 7-10 წლიან პერსპექტივაში მისაღები სიკეთეები სავსებით რეალურია მიიღონ 1-2 წელწადში, რაც ეკონომიკური თუ სოციალური წინსვლის დაჩქარებულ ტემპს წარმოადგენს და რასაკვირველია სწრაფ სვლას ცხოვრების დონის გამოთანაბრებისკენ ეკონომიკურად განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს შორის.

არ ვამტკიცებთ, რომ ზოგადად გლობალური კრიზისი დადებითი მოვლენაა, მაგრამ რეალურად კრიზისების არსებობა სახეზეა და ამ ფონზე საჭიროა სწორი პოლიტიკა, რომელიც ყველაზე დადებითად იმოქმედებს, ერთი მხრივ, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის(ების) წამოწევისთვის და, მეორე მხრივ, მოწინავე ქვეყნების კრიზისიდან გამოსაყვანად.

ამრიგად, ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ქვეყნას (რეგიონს) გლობალური კრიზისის ფონზე, შეუძლია გაცილებით მეტი მიიღოს, ვიდრე დაკარგოს, უფრო მეტიც - სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფით, შესაძლებელია უფრო ადრე გადაინაცვლონ მაღალი ეკონომიკური ზრდის და განვითარების მქონე ქვეყნების რიგში. ამავდროულად შეიძლება ითქვას, რომ მათთვის ეს შესაძლებლობები გაცილებით მეტია მსოფლიო კრიზისის ფონზე ვიდრე სხვა თანაბარ პირობებში.

განემორღები, რომ აღნიშნულისთვის საჭიროა ეკონომიკური თავისუფლება

და მისი ხარისხის ამაღლება, რაც ხელს უწყობს კაპიტალის კონცენტრაციას, (უცხოური თუ ადგილობრივი) დაბანდებას და ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, თავის მხრივ, ფულადი კაპიტალის კონცენტრაცია ზრდის საერთო მსყიდველობით უნარს და შესაძლებლობებს აქტივების თავისუფალი დამკვიდრებისთვის (შექენისთვის), აღნიშნული კი ხდება წინაპირობა ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფი მთავარი ფაქტორის კერძო საკუთრების (ზოგადად საკუთრების სახელმწიფო თუ კერძო) სათანადო დონეზე არსებობის და მისი ხელშეუხებლობის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორი ეკონომიკური პოლიტიკით გლობალური კრიზისის ფონზე, როცა გლობალურ დონეზე იზღუდება ნებისთ თუ უნებლიედ ეკონომიკური თავისუფლება (კრიზისები და მისი სამთავრობო რეგულირებები) გვაძლევს უნიკალურ შანსს ეკონომიკის ნახტომისებრი განვითარებისა, და ამავდროულად კრიზისული წამყვანი ქვეყნებისთვის თუ დამატებითი ბარიერები მოიხსნება (შემსუბუქდება) ქვეყნებს შორის, ეკონომიკურად დაბალგანვითარებული ქვეყნები შესაძლოა იქცნენ მაშველ რგოლებად მათი ეკონომიკების კრიზისიდან გამოყვანის თვალსაზრისით (კრიზისის გამო გაჩერებული სხვადასხვა საქონელისა და მომსახურების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების მოთხოვნის სტიმულირებით).

ეპოქა უამრავ შესაძლებლობებს იძლევა და ამ ფონზე შესაძლებელია ისიც, რომ „ცათამბჯენები დარჩნენ მხოლოდ ისტორიულ მაღალ ნაგებობებად, როგორც ეგვიპტის პირამიდები”,⁵⁰ ხოლო ფინანსური და ეკონომიკური სიმძლავრეების ეპიცენტრმა გადაინაცვლოს სხვა რეგიონებში.

⁵⁰ http://www.youtube.com/watch?v=sV_RVtdkkpQ

თავი III. კერძო საკუთრების ანალიზი და ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი

3.1 კერძო საკუთრება – ეკონომიკური თავისუფლების გარანტი

„კერძო საკუთრების გარეშე თავისუფლება არ არსებობს“
ა. ბაქრაძე

ადამიანის თავისუფლება და კერძო საკუთრება ოდიდგანვე ფილოსოფიურ ურთიერთკავშირში იმყოფება, ხოლო თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში კერძო საკუთრება ეკონომიკური თავისუფლების მახასიათებელი და მთავარი პირობაა.

კერძო საკუთრება არის საფუძველი, რაზეც უნდა დაშენდეს საბაზრო ეკონომიკა. კერძო საკუთრების გარეშე საბაზრო ეკონომიკის შენება ან მასზე საუბარი უბრალოდ ფიქციაა და ემსგავსება ფრინველს ფრთების გარეშე.

გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნის ჯონ ლოკის აზრით: „დედამიწა ადამიანისა და მასზე დაბლა მდგომი ყველა ქმნილებისთვის საერთოა, თუმცა არსებითია ის გარემოება, რომ ადამიანი საკუთარ თავს განაგებს, ანუ საკუთარი თავი მას ეკუთვნის და არც ერთ სხვა ადამიანს მასზე უფლება არ გააჩნია (ქართულ ენაზე ეს განსაკუთრებულად კარგად გამოიხატება „თავისუფლება“ ანუ „თავის“-„უფლება“, საკუთარი თავის ფლობა). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის სხეულის ძალით და მისი ხელით შექმნილი ნივთები მის დამსახურებულ საკუთრებას წარმოადგენს. შესაბამისად, ყველაფერი, რასაც ადამიანი ბუნებიდან იღებს ან რასაც მასში დებს, რაშიც თავის შრომას აქსოვს და ან ამატებს იმას, რაც უკვე მისია და ამ გზით თავის საკუთრებად გარდაქმნის, მისი კანონიერი კუთვნილებაა.“⁵¹

ეკონომიკური ისტორიის განვითარების მანძილზე მსოფლიო ეკონომიკამ საკუთრების მრავალი ფორმა გამოსცადა (სახელმწიფო, საერთო კოლექტიური, კერძო). თუმცა, თავისუფლებას და ეკონომიკურ თავისუფლებას ყველაზე მეტად კერძო საკუთრება ამყარებს მისი მრავალფეროვნებით.

⁵¹ ლოკი ჯ., საკუთრების შესახებ „მეორე თხზულება სამოქალაქო ხელისუფლების შესახებ“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III. „საკუთრება და თავისუფლება“. <http://nesgeorgia.org/publicationst3.php>

კერძო საკუთრება მსოფლიო ეკონომიკის ყველა ეპოქის და აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს, ჯერ კიდევ მიმდინარეობს აზრთა ჭიდილი სხვადასხვა საკუთრების ფორმების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, მათ შორის თვით კერძო საკუთრების ფორმების ეფექტიანობაზეც.

ჰანს ჰერმან ჰოპეს აზრით, კერძო საკუთრების იდეა შეესაბამება ჩვენს მორალურ ინტუიციას და ის საზოგადოებრივი წყობისა და წინააღმდეგობების მოგვარების ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენს. ხოლო კერძო საკუთრების ინსტიტუტი ეკონომიკური აღმაფლობისა და „საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ საფუძველია. თუკი ადამიანები კერძო საკუთრების ინსტიტუტით განსაზღვრულ წესებს იცავენ, საზოგადოებრივი კეთილდღეობა იზრდება.⁵²

ეკონომიკური თავისუფლების და კერძო საკუთრების საკითხი, განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია პოსტსოციალისტური სივრცისთვის, რამე თუ აქ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წყობილების ცვლილებას თან სდევს საკუთრების ფორმაცვალებაც სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაში გადასვლის სახით, რაც შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მთავარ მოვლენად პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ამ ქვეყანათა რიგში გამონაკლისი არც საქართველოა და აქაც მიმდინარეობს როგორც ეკონომიკური თავისუფლების, ასევე სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებად ფორმირების პროცესი (ზოგადად აქტივებზე საკუთრების ფორმების მისადაგება არამხოლოდ კერძო საკუთრების სახით) და შესაბამისად საკითხი მეტად აქტუალურია.

საქართველოში საერთო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია, ამ მხრივ ძალზე თვალსაჩინოა მიწის რესურსი და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მიწები. რომელთა კერძო საკუთრებად ფორმირების და თავისუფალ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის კვლევის მაგალითზე. ჩვენ შეგვიძლია ზოგადი ეკონომიკური კანონზომიერებები გამოვიკვლიოთ და ვაჩვენოთ მისი გავლენა თავისუფალი ბაზრის და თავისუფალი მეწარმეობის ფუნქციონირებაზე, აგრეთვე ეკონომიკური თავისუფლების ხარისხზე.

აქედან ჩანს თავისუფლებისა და საკუთრების აქტუალურობა როგორც

⁵² ჰოპე ჰ. ჰ., „კერძო საკუთრების ეთიკა და ეკონომიკა“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, პუნქტი IV, თბ., 2005.
<http://nesgeorgia.org/files/III-160-hoppe.pdf>

საქართველოში ისე მთელი მსაოფლიოს მაშტაბით, საზოგადოებას აქვს მოთხოვნილება საკუთრების დამკვიდრების, მისი მშვიდობიანი და თავისუფალი ფლობა, გამოყენება, განკარგვის.

კვლევის მეშვეობით შევეცდებით განვსაზღვროთ ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის უზრუნველმყოფი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორის, კერძო საკუთრების ეკონომიკური უპირატესობა სახელმწიფო საკუთრებასთან (საკუთრება საშუალებას იძლევა ეკონომიკური აგენტების მოღვაწეობისთვის სხვადასხვა ალტერნატივების რაციონალური არეალის გაფართოების, მაშასადამე ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ამაღლებისათვის). ამ მხრივ მნიშვნელოვანია აიხსნას კერძო საკუთრების და ეკონომიკური თავისუფლების ურთიერთდამოკიდებულება, აგრეთვე განვსაზღვროთ სახელმწიფო საკუთრების და კერძო საკუთრების ეფექტიანობა. მართლაც საინტერესო იქნება მიწის რესურსის კლასიფიკაცია და მასზე კერძო საკუთრების ანალიზი სასოფლო-სამეურნეო მიწების ბაზრის მაგალითზე, ზოგადად ეკონომიკური აქტივების, თავისუფალი ინვესტირებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ჩვენებით.

საქართველოში სახელმწიფო საკუთრების განკერძოების ხარვეზების ჩვენება და პრაქტიკული რეკომენდაციების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია კერძო საკუთრების სწრაფი ფორმირებისა და ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში შევაფასოთ კერძო საკუთრების მნიშვნელობა ეკონომიკური თავისუფლების ამაღლების თვალსაზრისით.

საკითხის კვლევისას დავეყრდენით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „მომსახურების სააგენტოს“ www.eauction.ge -ს და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის“ ოფიციალურ ელექტრონულ <http://privatization.ge>-ს მონაცემებს.

კერძო საკუთრებასა და ეკონომიკურ თავისუფლებაზე უამრავი ნაშრომი თუ სამეცნიერო ანალიტიკური კვლევაა გამოქვეყნებული, რომლებიც ძირითადად საერთაშორისო თეორიულ დონეზე ხსნიან საკითხს ან რომელიმე სხვა ქვეყნის კონკრეტული პრობლემის მაგალითზე გვაძლევენ პრაქტიკულ თუ თეორიულ დასკვნებს. ბოლო პერიოდში ძირითადად მაინც საკუთრების უფლებებზეა ყურადღება კონცენტრირებული, ის არამარტო მკვლევართა არამედ პოლიტიკოსთა და საზოგადოებრივი სექტორის ერთ-ერთ მთავარ აქტიურობის სფეროს წარმოადგენს, როგორც ცალკეული ქვეყნის ასევე საერთაშორისო დონეზე.

სწორედ არსებულ მოსაზრებზე და ნაშრომებზე დაყრდნობით შეგვეცდებით ავსხნათ ზოგადი კანონზომიერებები ეკონომიკური თავისუფლების და კერძო საკუთრების მხრივ, აგრეთვე ვაჩვენოთ კონკრეტული მდგომარეობა აქტივების ბაზრის თავისუფალ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

კერძო საკუთრებისა და ეკონომიკური თავისუფლების მკვლევართაგან ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მეოცე საუკუნის უდიდესი ინგლისელი მოაზროვნე და ეკონომისტი ფრიდრიხ ა. ფონ ჰაეკი, რომელსაც თავის ნაშრომებში კერძო საკუთრების და თავისუფლების გენეზისი და მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები ფართოდ აქვს განხილული. მკვლევარი თავის მიდგომებთან ერთად ყველა დროის დიდ მოაზროვნეთა შეხედულებებსაც გვიზიარებს.

ა. ჰაეკი საკუთრებას ანტიკური ფესვებიდან გვაცნობს და მოყავს მოსაზრება მასზედ, რომ „ბერძნულ-რომაული სამყარო უპირატესად და უპირველეს ყოვლისა კერძო საკუთრების სამყარო იყო – იქნებოდა ეს საკუთრება მიწის რამდენიმე აკრისა, თუ სენატორების და იმპერატორების უზარმაზარი სამფლობელოებისა; ეს იყო კერძო ვაჭრობისა და ხელოსნობის სამყარო“, ⁵³ რომელმაც საფუძველი დაუდო თავისუფალ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს და მაშინდელი სამყაროს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ წესრიგს.

როგორც ჩვენთვის ცნობილი ხდება ბერძენმა, სტოელმა ფილოსოფოსებმა პირველებმა ჩამოაყალიბეს ზნეობრივი ტრადიციები, რაც ძლიერ წინააღმდეგობებს იწვევდა ჯერ კიდევ საბერძნეთში ვაჭრობის მოწინამდგევე სპარტელათა მხრიდან, რომლებიც არ სცნობდნენ კერძო საკუთრებას. სპარტაში პირიქით, ქურდობა ნებადართული და წახალისებულიც კი იყო.

სტოელი ფილოსოფოსების ზნეობრივი ტრადიციები შემდგომ რომის იმპერიაშიც ფართოდ გავრცელდა, ხოლო რომის იმპერია, რომელსაც კომერციულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ინტერესების მქონე სენატორები მართვდნენ, კერძო საკუთრების ფორმათა კერძო სამართლის სიმბოლოდ იქცა⁵⁴.

ა. ჰაეკის აზრით, კერძო საკუთრება, რომელსაც ის „ინდივიდუალიზებულ საკუთრებად“ მოიხსენიებს, ნებისმიერი განვითარებულ ცივილიზაციის ზნეობრივი

⁵³ ჰაეკი ფ. ა., – „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“ თბ., 2000, გვ. 44.

⁵⁴ ჰაეკი ფ. ა., – „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“ თბ., 2000, გვ. 47-48.

ნორმების ბირთვია.⁵⁵ ნორმებისა, რომლებიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, თავისუფლების არეალს, მეორეს მხრივ მის საზღვრებს.

მისივე თქმით „ცივილიზაცია შეიძლება ვრცელდებოდეს, მაგრამ არ შეიძლება მნიშვნელოვნად წაიწიოს წინ ისეთი ხელისუფლების პირობებში, რომელიც მოქალაქეებს ყოველდღიური საქმეებით ხელმძღვანელობის უფლებას ჩამოართმევს და მას თვითონ აიღებს. ჯერ არცერთ განვითარებულ ცივილიზაციას არ მიუღწევია წარმატებისთვის ისეთი ხელისუფლებით, რომლის უმთავარეს მიზანს კერძო საკუთრებაზე ზრუნვა არ შეადგენდა“.⁵⁶

სწორედ კერძო საკუთრების გაფართოება უწყობს ხელს ეკონომიკურ თავისუფლებას (თავისუფალ ფასებს, თავისუფალ ბაზრას, კონკურენციას) იწვევს საერთო კეთილდღეობის ამაღლებას, უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და საერთო საზოგადოებრივი სიკეთის მატებას.

ზემოაღნიშნულს შემდეგნაირად გვიხსნის ჰანს ჰერმან ჰოპე – საკუთრების დამკვიდრების თითოეული შემთხვევა მეპატრონის კეთილდღეობას ზრდის, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქმედება არც კი განხორციელდებოდა. იმავდროულად, ამ ქმედებით ზიანი არავის არ ადგება. ამის ასახსნელად მას პარეტოს პირობა მოყავს („საზოგადოებრივი კეთილდღეობის“ ზრდაზე საუბარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია მეცნიერულად გამართლებული, როდესაც გარკვეული ცვლილების შედეგად თუნდაც ერთი ადამიანის ყოფა უმჯობესდება, ხოლო სხვების მდგომარეობა არ უარესდება).⁵⁷

თავდაპირველი დაპატრონების ნებისმიერი შემთხვევა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. იგი ისე ზრდის ერთი ადამიანის ანუ მესაკუთრის კეთილდღეობას, რომ სხვების დოვლათს (საკუთრებას) არ ხელყოფს. ყველას ისეთივე რაოდენობის საკუთრება რჩება, რაც მანამდე გააჩნდა, ხოლო მიმთვისებელი ახალ, მანამდე არარსებულ ქონებას იძენს. შესაბამისად, დამკვიდრება ყოველთვის ზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ანუ თუ წარმოება და მოხმარება არ იწვევს სხვა ადამიანთა მფლობელობაში მყოფი ქონების ფიზიკურ დაზიანებას ან შემცირებას,

⁵⁵ ჰაეკი ფ. ა., – „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“ თბ., 2000. გვ. 44.

⁵⁶ ჰაეკი ფ. ა., – „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“ თბ., 2000. გვ. 48.

⁵⁷ ჰოპე ჰ. ჰ., „კერძო საკუთრების ეთიკა და ეკონომიკა“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, პუნქტი IV, თბ., 2005.
<http://nesgeorgia.org/files/III-160-hoppe.pdf>

იგი ყოველთვის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამადლებას ემსახურება.⁵⁸

მართლაც, ჰოპეს ეს მოსაზრება ნათლად ასახავს ახალი კერძო საკუთრების დამკვიდრების მეშვეობით როგორც კეთილდღეობის ამადლებას, ასევე საბაზრო ბრუნვაში ახალი აქტივის ჩაბმასაც, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კონკურენციას, ეკონომიკურ თავისუფლებას და აძლიერებს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს.

საზოგადოების ამდაგვარი ახალი საკუთრების დამკვიდრების მოთხოვნილება შობს სწორედ თავისუფლებას და თავისუფალი ქმედების აუცილებლობას, რაც პირდაპირ ეხმიანება თითოეული ადამიანის მისწრაფებას გაიუმჯობესოს და აიმაღლოს კეთილდღეობა. სწორედ ეს მისწრაფება ამოძრავებს თანამედროვე საზოგადოებასაც და ამოძრავებდა ანტიკური ხანის ადამიანებს თუ მათ ერთობებს, რაც თავის მხრივ გარკვეულ წეს-ჩვეულებების და მორალურ თუ სამართლებრივ შეთანხმებებში აისახებოდა.

თავისუფლების, საკუთრების და წესრიგის არსებობის წინაპირობა ძველი ბერძნებიდან დღემდე იგივე რჩება, შესაბამისი კანონზომიერების სახით, როდესაც გარკვეული წესების ერთიანობა ყველა პერსონას აძლევს საშუალებას, ნებისმიერ დროს დარწმუნდეს ვის შეუძლია კონკრეტული ნივთის ფლობა.⁵⁹

მესაკუთრეობა განსაზღვრული პიროვნების მიერ გარკვეული საგნებისა და სივრცის ერთპიროვნულ განმგებლობას გულისხმობს. ამის საპირისპიროდ, ქონებრივი უფლების დარღვევა სხვა პირის მფლობელობაში არსებული საკუთრების უნებართვო ხელყოფას ნიშნავს.⁶⁰

ანტიკური ხანიდან დღემდე საკუთრების ცნება იხვეწება დროსა და სივრცეში თავისი მრავალფეროვნებით, ვერც დღეს და ვერც მომავალში ვერ ჩაითვლება დასრულებულად, რამე თუ ის თავისუფალი ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია და მასთან ერთად პროგრესირებს, ამასთან ცნებითი მიდგომებიც გადახალისებას ექვემდებარება.

საკუთრების უფლებრივი საკითხი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში მწყობრადაა

⁵⁸ ჰოპე ჰ. ჰ., „კერძო საკუთრების ეთიკა და ეკონომიკა“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, პუნქტი IV, თბ., 2005.
<http://nesgeorgia.org/files/III-160-hoppe.pdf>

⁵⁹ ჰაეკი ფ. ა., „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“ თბ., 2000. გვ. 45.

⁶⁰ ჰოპე ჰ. ჰ., „კერძო საკუთრების ეთიკა და ეკონომიკა“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, პუნქტი III, თბ., 2005.
<http://nesgeorgia.org/files/III-160-hoppe.pdf>

ასხნილი გამოჩენილი ინგლისელი მოაზროვნის ჯ. ლოკის მიერ 1690 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ორი ტრაქტატი ხელისუფლების შესახებ“, სადაც ის აღნიშნავს, რომ ქონებრივი უფლება საერთო სარგებლობის საგნის მითვისებისა (დაუფლების) და მისი ბუნებრივი მდგომარეობის შეცვლისთანავე წარმოიშვება. ამ უფლების გარეშე საერთო მფლობელობაში მყოფი საგანი უსარგებლოა.⁶¹

სწორედ ასეთ საერთო საკუთრებად შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი სახელმწიფო საკუთრებაც, რომელსაც განსაზღვრული მესაკუთრე არ ყავს (კერძო ან სახელმწიფო დელეგირებული პირების სახით), ხოლო ასეთი აქტივები საბაზრო ეკონომიკის პირობაში უსარგებლო თუ არა, ეკონომიკურად არაეფექტიანი და წამგებიანი ხდება.

ჰ. ჰ. ჰოპე ხსნის, რომ არისტოტელე თავის „პოლიტიკაში“ კერძო საკუთრების უპირატესობებზე გვესაუბრება. უპირველეს ყოვლისა, კერძო საკუთრება უფრო ნაყოფიერია. „ის, რაც მრავალი ადამიანის ერთობლივ საკუთრებაშია, ყველაზე ნაკლებადაა მოვლილი. ადამიანები ყველაზე მეტ ყურადღებას იმას უთმობენ, რაც მათ ეკუთვნით და ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რაც საზოგადოა. ან თუ მაინც ზრუნავენ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს თითოეულ მათთაგანს პირადად ეხება. მაშინაც კი, როდესაც უყურადღებობის სხვა მიზეზი არ არსებობს, ადამიანები მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას თავს მაინც აარიდებენ, თუკი ფიქრობენ, რომ მათი საქმე შეიძლება სხვამ გააკეთოს.“⁶²

ა. ჰაეკი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ნაყოფიერი მიწის ნაკვეთების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის აუცილებლობამ განაპირობა მიწის საერთო ჯგუფური საკუთრებიდან კერძო პერსონალურ საკუთრებაზე გადასვლა, სადაც გადამწყვეტ გარემოებად მიიჩნევა, რომ კერძო საკუთრების განვითარება ვაჭრობის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა და სხვა უფრო დიდი ურთიერთ თანამშრომლობაზე დაფუძნებული სტრუქტურების ჩამოყალიბებისა, მათ შორის ისეთი სიგნალების წარმომშობიც, როგორცაა ფასები და საკუთრების ფლობა-

⁶¹ ლოკი ჯ., საკუთრების შესახებ „მეორე თხზულება სამოქალაქო ხელისუფლების შესახებ“ თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III. „საკუთრება და თავისუფლება“.

<http://nesgeorgia.org/publicationst3.php>

⁶² ჰოპე ჰ. ჰ., „კერძო საკუთრების ეთიკა და ეკონომიკა“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, პუნქტი V, თბ., 2005.

<http://nesgeorgia.org/files/III-160-hoppe.pdf>

გამოყენების საკითხები⁶³.

ჟ. ლოკი ამბობს, „მიწა ადამიანის საკუთრება იმდენადაა, რამდენადაც იგი ხნავს, თესავს, ანოყიერებს, ამუშავებს და ნაყოფს იმკის“⁶⁴. ანუ ეკონომიკურ აქტიურობასა და ბრუნვაშია ჩაბმული, დღევანდელ საქართველოს რეალობაში ძირითადი მესაკუთრე სახელმწიფო მიწის ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმას ვერ ახერხებს, შესაბამისად ეკონომიკურად არაეფექტიანობასთან ერთად საზოგადოებრივი კეთილდროების თვალსაზრისით წამგებიანია ასეთ აქტივზე სახელმწიფო საკუთრების უფლება. ის ზეგავლენას ახდენს თითოეული მოქალაქის თავისუფლებაზე, რადგან საკუთრება მთავარი ფაქტორია ეკონომიკური თავისუფლების.

თავისუფლება ასახავს როგორც ცალკეული ადამიანის მდგომარეობას ასევე ადამიანთა მთელი ჯგუფის მდგომარეობასაც.⁶⁵ აქედან გამომდინარეობს სწორედ საზოგადოებრივი წესრიგის აუცილებლობა, სადაც ადამიანთა ინტერესები უნდა იყოს შეთანაწყობილი, მათ შორის კერძო საკუთრების დამკვიდრების, საკუთრების ქონის, მისი შემდგომი თავისუფალი განკარგვისა და საკუთრების ხელყოფისაგან დაცვის გარეშე.

ფ. ბასტიას აზრით, საზოგადოება, ადამიანები და საკუთრება კანონის ჩამოყალიბებამდე არსებობდა. „მე ასე ვიტყვოდი: საკუთრება იმიტომ კი არ არსებობს, რომ კანონი არსებობს, არამედ კანონი არსებობს იმიტომ, რომ საკუთრება არსებობს“⁶⁶.

ბასტია ამბობს - „საკუთრება მე მესმის, როგორც მშრომელი ადამიანის უფლება ყოველივე იმაზე, რაც მან თავისი შრომით შექმნა“. მისი აზრით საკუთრება ღვთის ნებით არის გათვალისწინებული და კანონის დანიშნულება სწორედ საკუთრების დაცვაა - ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ საკუთრება ისეთივე და იმთავითვე არსებული ფაქტია, როგორც ადამიანი. ადამიანი კანონს არ

⁶³ ჰაეკი ფ. ა., - „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“ თბ., 2000. გვ. 46-47.

⁶⁴ ლოკი ჟ., საკუთრების შესახებ „მეორე თხზულება სამოქალაქო ხელისუფლების შესახებ“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, „საკუთრება და თავისუფლება“. <http://nesgeorgia.org/publicationst3.php>

⁶⁵ ბალცეროვიჩი ლ., „სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში“, (ა. გრიშიკაშვილის თარგმნა) თბ., 2002. გვ. 13.

⁶⁶ ბასტია ფ., „საკუთრება და კანონი“. „თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული“ III. „ლიბერალიზმი და საკუთრება“ <http://nesgeorgia.org/files/III-30-bastiai.pdf>

შეუქმნია, ისევე როგორც არ შეუქმნია საკუთრება. საკუთრება ადამიანის არსებობის ბუნებრივი შედეგია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი მესაკუთრედ იბადება, რადგანაც მას დაბადებისთანავე გარკვეული მოთხოვნები გააჩნია, რომელთა დაკმაყოფილება მისთვის სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია.⁶⁷

მართლაც საკუთრების არსებობა ითხოვს წესრიგს და მისი თავისუფალი განკარგვა სამართლიანობას, სწორედ წესრიგი და სამართლიანობა უდევს საფუძვლად ყველა კანონს ორგანიზებულ საზოგადოებაში.

დ. იუმისათვის საკუთრების მარეგულირებელი წესები იმდენად გადამწყვეტი ჩანდა ზნეობრივი ნორმების სისტემაში, რომ მათ „ადამიანის ბუნების შესახებ ტრაქტატის“ დიდი ნაწილი მიუძღვნა. ის მიიჩნევდა, რომ კერძო საკუთრების დამკვიდრება ცივილიზაციის დაწყებას მიაჩნებდა.⁶⁸

დ. იუმის აზრით, ყველასათვის მაქსიმალური თავისუფლება თითოეულის თავისუფლების შეზღუდვას მოითხოვდა. ამ შეზღუდვებს ის სამ „ძირითად ბუნებრივ კანონს“ უწოდებს. ესენია „საკუთრების სტაბილურობის, მისი შეთანხმების საშუალებით გადაცემისა და პირობის შესრულება“ შესახებ კანონები. ის პირველი იყო ვინც გაიაზრა, „რომ საყოველთაო თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ თანშობილი ზნეობრივი ინსტიტუტი „შეკავდება და შეიზღუდება მომდევნო დებულებით“ და „სამართლიანობა ან სხვა პიროვნების საკუთრებისადმი პატივისცემა, ერთგულება ან პირობის შენახვა აუცილებელი გახდება და ძალაუფლებას მოიპოვებს ადამიანებზე“.⁶⁹

ა. ფერგიუსონი ამბობს: „ცხადი უნდა იყოს, რომ საკუთრება პროგრესის პირობაა“.⁷⁰ მართლაც ყოველად წარმოდგენელია ეკონომიკური პროგრესი საკუთრების გარეშე, მის გარეშე ეკონომიკა საფუძველ გამოცლილი იქნებოდა, ამიტომაც თანამედროვე პირობებში კერძო საკუთრების დამკვიდრებისა და მისი დაცვის მექანიზმების სრულყოფაა საჭირო. საკუთრების უფლებების სრულყოფასთან დაკავშირებით ჰაეკი გვაწვდის შემდეგ მოსაზრებას: იმისთვის,

⁶⁷ **ბასტია ფ.**, „საკუთრება და კანონი“, „თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული“ III. „ლიბერალიზმი და საკუთრება“.

<http://nesgeorgia.org/files/III-30-bastiai.pdf>

⁶⁸ **ჰაეკი ფ. ა.**, – „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“ თბ., 2000. გვ. 51.

⁶⁹ **ჰაეკი ფ. ა.**, – „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“ თბ., 2000. გვ. 52-53.

⁷⁰ **ჰაეკი ფ. ა.**, – „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“ თბ., 2000. გვ. 53.

რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტი უფრო სასარგებლო გახდეს, კულტურული და ევოლუციური ნაბიჯებია გადასადგმელი, მაგალითად, საკუთრების უფლების ხელყოფის აღსაკვეთად, კონკურენციის საყოველთაო გავრცელებაა საჭირო.⁷¹

მართლაც კონკურენცია და აგრეთვე საკუთრების დივერსიფიცირებაც მთავარი გარანტი და საკუთრების ხელყოფისაგან დაცვის ეფექტიანი მექანიზმებია. რაც შეეხება საკუთრების დივერსიფიცირებას თანამედროვე საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება იძლევა საშუალებას, ამა თუ იმ ქონებას, აქტივს (მატერიალურ და არამატერიალურ) მრავალი მესაკურის სახით გაუზიაროს მრავალი დამცველი, რაც თავისმხრივ კონკურენტულ გარემოს უწყობს ხელს და რა საკვირველია ეკონომიკურ თავისუფლებასაც.

ცნობილია, რომ ეკონომიკური თავისუფლება თანამედროვე გაგებით გულისხმობს ხელშეუხებელ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოების, ვაჭრობის, დაგროვების, ინვესტირების, გამომუშავების და შექმნილის გამოყენების თავისუფლებას.⁷²

ამრიგად, კერძო საკუთრება ხელს უწყობს ეკონომიკური თავისუფლებას, რადგან პირმა თავისუფლად შეიძლება გამოიყენოს, გაცვალოს და აწარმოოს ის რაც კერძო საკუთრებაშია, ხოლო ის, რაც არაა საკუთრება, მას თავისუფლად ვერ აწარმოებ და ვერც გაცვლი (სხვა სახის საკუთრებას დამატებითი შეზღუდვები აქვს). ფასწარმოქმნაშიც კერძო საკუთრება მეტად თავისუფალია ბაზრის მოთხოვნების მიხედვით ლავირებისთვის, ამიტომაც თავისუფალ ბაზარს სწორედ კერძო საკუთრება ამყარებს და მის გარეშე თავისუფალი ბაზარი არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარს შეიძლება ყავდეს მოთამაშეები, რომლებიც კერძო მესაკუთრებს არ წარმოადგენდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ რაც მეტი აქტივია (ქონება) კერძო საკუთრებაში მით მეტია ეკონომიკური თავისუფლება (კერძო საკუთრების მაღლია წილი „გაჩერებულ“ სახელმწიფო საკუთრებასთან მიმართებაში ზრდის ეკონომიკურ თავისუფლებას), როგორც თითოეული პერსონის, ასევე საერთო საზოგადოებრივ დონეზე. რამეთუ კერძო საკუთრების ზრდა აფართოებებს ალტერნატიული არჩევანის არეალს ეკონომიკური საქმიანობისთვის და ზრდის როგორც პერსონების ასევე საზოგადოების ეკონომიკურ დამოუკიდებლობას (ეკონომიკურ

⁷¹ ჰაეკი ფ. ა., „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“, თბ., 2000. გვ. 54.

⁷² ილარიონოვი ა., „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 64.

თავისუფლებას), მათ მატერიალურ კეთილდღეობას.

3.2 კერძო საკუთრება საქართველოში და ეკონომიკური

თავისუფლების დონე

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი განხილვები, თეორიები და დასკვნები ყოველივე იმისთვის განვიხილეთ, რომ მოცემული კვლევის მიზანი და ამოცანები დაგვეკმაყოფილებინა, რასაც კერძო საკუთრების მხრივ საქართველოში არსებული რეალობის ძირითადი მახასიათებლები უნდა დაედგინა.

მოცემულ ქვეთავში თეორიული, ეკონომიკური რეფორმების ისტორიული და კვლევით შედეგების ანალიზის საფუძველზე გვინდა ვაჩვენოთ რეალური სურათი საკუთრებისა და ეკონომიკური თავისუფლების მდგომარეობისა; პასუხი გავცეთ კითხვებს: დასრულდა თუ არა კერძო საკუთრების ფორმირება? შეძლო თუ არა მის საფუძველზე ამოქმედება კერძო თავისუფალმა ბაზარმა?

საქართველოში სოციალიზმის მარცხის შემდგომ, დამოუკიდებლობის მოპოვების და მის მომდევნო პერიოდშიც კერძო საკუთრება, მისი არსებობა და განმტკიცება ერთ-ერთი მთავარი მესიჯი იყო თითქმის ყველა ხელისუფალის თუ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენდენტთათვის.

ვინაიდან კერძო საკუთრება ახალი ცნება იყო და ის ფაქტობრივად არ არსებობდა, მანამდე არსებული კომუნისტური წყობის შედეგად კერძო მესაკუთრეობის გაგება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაში ან საერთოდ გაქრა ან საკმაოდ შესუსტდა და მახინჯი ფორმებით შენარჩუნდა. ქართული ცნობიერებაც და ყოფაც მნიშვნელოვნად დაშორდა კერძო საკუთრებით ურთიერთობებს და შედეგად მივიღეთ საზოგადოება, რომელშიც ჩახშობილია ჯანსაღ საბაზრო საქმიანობის მოტივაცია⁷³.

რასაკვირველია, არ არსებობდა შესაბამისად მისი ფორმირების და საბაზრო მართვის შესაბამისი გამოცდილება, მით უმეტეს არ არსებობდა სამართლებრივი ბაზა კერძო საკუთრების ფორმირების, დაცვის და განკარგვა

⁷³ ჯანდიერი გ., „კერძო საკუთრება და საქართველო“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III წიგნი, „ლიბერალიზმი და საკუთრება“.
<http://nesgeorgia.org/files/III-10-gia.pdf>

გამოყენების შესახებ.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, საქართველოში ოდიდგანვე არსებობდა კერძო საკუთრების ნიშნები, თუმცა, ყველაზე მკეთრად საქართველოში კერძო საკუთრება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ჩნდება, რამაც შექმნა საქართველოში ბიზნესის საფუძვლების და თავისუფალი ვაჭრობის პირობა, შემდგომ პერიოდში 1921 წლიდან 70 წლის მანძილზე საკუთრების ცნება როგორც ბიზნეს საქმიანობის საფუძველი ფაქტიურად გამქრალი იყო.

გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში საკუთრების მნიშვნელობა ძირითადად ზედაპირულად და ხშირად სიტყვის მასალად გამოიყენებოდა, ვიდრე მისი არსობრივი მნიშვნელობა იყო.

აღნიშნულის დასტურია შესაბამისი სამართლებრივი ბაზა და მათ შორის კონსტიტუციის 1995 წლის რედაქცია, რომელიც კერძო საკუთრების სრულფასოვან გარანტიასა და ინსტიტუციურ გარემოს არ გვთავაზობდა. კონსტიტუციის მიხედვით ჩვენს ქვეყანაში „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“⁷⁴. ამ მუხლიდან ჩანს, რომ საკუთრებითი უფლებების წყარო სახელმწიფა.⁷⁵ ასეთი მცდარი მიდგომა არც არის გასაკვირი იმ პერიოდის რეალობიდან გამომდინარე, ვინაიდან მთელი ქონება მართლაც სახელმწიფოს ხელში იყო და კერძო საკუთრების მიღების ერთადერთი გზაც სახელმწიფო „ნებაზე“ იყო მიბმული, ეს „ნება“ კი აღქმული იყო როგორც საკუთრების დამკვიდრების წყარო.

რაც შეეხება თავისუფლებისა და კერძო საკუთრების ურთიერთდამოკიდებულებას საქართველოში, ფაქტი ერთია - საკუთრება თავისუფლებასთან ერთად გაჩნდა, რომელიც ასევე უცხო გასული საუკუნის 90-იანი წლების პერიოდისთვის და მასაც უამრავი წინააღმდეგობა ხვდა წილად, უმეტესად კი ეს წინააღმდეგობები საკუთრების გაგების არა სათანადო დონეზე გააზრებით იყო გამოწვეული.

ამრიგად, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული უამრავი პრობლემის, წარმატებული თუ წარუმატებელი რეფორმის ფონზე მოხერხდა კერძო საკუთრების ნაწილობრივი ფორმირება, თუმცა, ვერ მოხერხდა კერძო საკუთრება

⁷⁴ „საქართველოს კონსტიტუცია“, მუხლი 21 თბ., 1995.

⁷⁵ ჯანდიერი გ., „კერძო საკუთრება და საქართველო“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III წიგნი, „ლიბერალიზმი და საკუთრება“.

<http://nesgeorgia.org/files/III-10-gia.pdf>

გამხდარიყო კაპიტალური აქტივი, ფორმირებულიყო თავისუფალი კერძო ბაზარი ამ აქტივებისა და თავისუფალი ფასწარმოქმნის პროცესი შეუფერხებლად დაძრულიყო. შესაბამისად სუსტია კერძო საკუთრების დაცვის შესაბამისი სამართლებრივი გარანტიებიც, მათ შორის კონსტიტუციის დონეზეც კი მიუხედავად მისი ახალი რედაქციისა, რომლის საბოლოო რედაქტირებაც დღემდე არ დასრულებულა.

კერძო საკუთრება საბაზრო ეკონომიკის მიმდევარი ქვეყნებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნულთან დაკავშირებით უცხოელი გამოჩენილი მკვლევარების ნააზრევს გარდა, რიგი ქართველი მკვლევარებიც გამოთქვამენ მოსაზრებებს.

გ. ჯანდიერი აღნიშნავს: „პირველ რიგში კერძო საკუთრება საბაზრო ეკონომიკის საფუძველია. კიდევ უფრო სწორი იქნება, რომ ითქვას: საკუთრება ეკონომიკის საფუძველია. მის გარეშე ნებისმიერი ეკონომიკური ურთიერთობა მიზანს კარგავს – აბა რისთვისაა საჭირო სამეურნეო გარიგება, თუ არა კერძო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით საკუთრებითი უფლებების გაცვლა-გადაცემა? ამ საფუძველზე მარტივია იმის ახსნაც, თუ რატომ არ გაამართლა უტოპიურმა საერთო-სახალხო საკუთრებამ ყოფილ სოციალისტურ ბანაკში”⁷⁶.

ეკონომიკური თავისუფლების კვლევამ აქამდე აქსიომურად გააზრებულ კერძო საკუთრების ფორმირების პრაქტიკულ კვლევამდე მიგვიყვანა. იმისათვის, რომ რეალურ ეკონომიკურ თავისუფლებაზე ვისაუბროთ, უნდა გვქონდეს დომინირებადი კერძო საკუთრება, რადგან კერძო საკუთრების დომინირების პრინციპზეა აგებული თავისუფალი ეკონომიკა, განსაკუთრებით კი საბაზრო ეკონომიკა, თუნდაც სოციალურად ორიენტირებული.

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ქონებას არაეფექტიანად განკარგავს, ასე ვთქვათ ის სუსტია ეკონომიკური ეფექტიანობის და მენეჯმენტის თვალსაზრისით, ეკონომიკურ ბრუნვას აკლდება მის ხელთ არსებულ აქტივთა სიმძლავრე, რაც საბოლოოდ საზოგადოებრივ კეთილდღეობას აკლდება. აღნიშნულს მრავალი მკვლევარი ადასტურებს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე. მოვიყვანო ქ. სალემის კოლეჯის ასისტენტ-პროფესორი გ. ჯ. რიჩარდსონი კვლევიდან მაგალითს თუ „როგორ გამოიწვია საკუთრების უფლებების დაკარგვამ

⁷⁶ ჯანდიერი გ., „კერძო საკუთრება და საქართველო“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III წიგნი, „ლიბერალიზმი და საკუთრება“. <http://nesgeorgia.org/files/III-10-gia.pdf>

ზიმბაბვეს კოლაფსი“. აღნიშნული ნაშრომი ახლოს დგას ჩვენი კვლევის საკითხთან, ვინაიდან მიწაზე საკუთრებას ეხმიანება.

გ. ჯ. რინარდსონი წერს, რომ ყველა, ვინც დღისით გადაუფრენდა ზიმბაბვეს, მიწის ნაკვეთებს შორის უდიდეს განსხვავებას დაინახავდა და შესაძლოა უკეთ გაიგებდა კიდევ მიწის რეფორმისადმი ქვეყნის გრძელვადიან დამოკიდებულებას. ქვეყნის ზოგიერთ რაიონში კარგად ირიგირებული უზარმაზარი ტერიტორიები კომერციულ ფერმებს ეჭირათ, რომლებიც ათასობით აკრზე აწარმოებდნენ თამბაქოს, ბამბას ან სხვა სასაქონლო კულტურებს. სხვა რეგიონებში პატარა უდიდდამო კოლექტიური ფერმები კომპაქტურად იყვნენ განლაგებულნი და წყლის ნაკლებობისგან მასიურად იტანჯებოდნენ ⁷⁷.

გარკვეული პერიოდი ამას მიწის ნაყოფიერებას და შესაბამის გრუნტის ხარისხს აბრალებდნენ, თუმცა, ასეთი ვითარება იყო ზიმბაბვეს მთელ ტერიტორიაზე მიუხედავად კერძო და კოლექტიური ფერმებისა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა.

„კოლექტიური მიწების რაღაც ნაწილი შედარებით უფრო მშრალ რეგიონებში იყო განლაგებული, უმეტესობა კი კომერციულ ფერმებს ესაზღვრებოდა ან წვიმიან რეგიონებში მდებარეობდა. ასევე არსებობდა კომერციული ფერმები, რომლებიც ზიმბაბვეს ძალიან მშრალ რეგიონებში მდებარეობდა. მაგრამ თითქმის ყველა შემთხვევაში კოლექტიური ტერიტორიები იყო მშრალი და გადამწვარი, ხოლო კომერციული მიწები – მორწყული და გამწვანებული“⁷⁸.

მოყვანილი მაგალითები სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ თვალნათლივ დავინახოთ კოლექტიურ (სახელმწიფო) და კერძო საკუთრების სხვაობა ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით.

მართლაც სახელმწიფო (საერთო, კოლექტიური, საჯარო) საკუთრების ობიექტები ყოველთვის ცუდ მდგომარეობაშია, ხოლო კერძო პირები (კერძო მესაკუთრეები) ახერხებენ ანალოგიური აქტივების უკეთესად მოვლა-პატრონობას და უფრო ეფექტიანად გამოიყენებენ, შესაბამისად, მაღალია საზოგადოებრივი

⁷⁷ რინარდსონი გ. ჯ., -“როგორ გამოიწვია საკუთრების უფლებების დაკარგვამ ზიმბაბვეს კოლაფსი”, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2007. გვ. 151.

⁷⁸ რინარდსონი გ. ჯ., -“როგორ გამოიწვია საკუთრების უფლებების დაკარგვამ ზიმბაბვეს კოლაფსი”, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2007.გვ. 151.

კეთილდღეობაც. ეს საკითხი საქართველოშიც და ყველა სხვა დანარჩენ ქვეყნებშიც მწვავედ დგას. მართლაც გამოდის, რომ „საკუთრების ის ფორმა, რომელიც ადამიანს საკუთარ ქონებაზე სრული კონტროლის საშუალებას არ აძლევს, დოვლათის გამრავლებას ხელს ვერანაირად ვერ შეუწყობს”⁷⁹.

ამაში დასარწმუნებლად კაცობრიობის თანამედროვე საფეხურზე, სულაც არაა საჭირო ზიმბაბვეს მაგალითიდან გამომდინარე საქართველოსაც გადაუფრინოთ და დავინახოთ განსხვავება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა და დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს შორის. სრულიად საკმარისია „google-ს“ მონაცემებში შესვლით საქართველოს ტერიტორია დაათვალიერო და ნათლად დაინახო არამარტო სხავაობა, არამედ ის რადიკალური განსხვავება ნაკვეთებს შორის, რაც პირდაპირ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება.

აქ არ შევხვდებით ცუდად და უკეთესად მოვლილ ფერმებს, სამაგიეროდ არსებობს დამუშავებული კერძო საოჯახო მეურნეობების ნაკვეთები და ბუჩქნარად და ჯაგნარად ქცეული სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთები, საიდანაც პირდაპირ მიღებული საზოგადოებრივი კეთილდღეობა „0“-ს უტოლდება.

სწორედ ამ მაგალითის საფუძველზე, შედგა ჩემი, როგორც დოქტორანტის, 27 თვიანი ერთ-ერთი **პრაქტიკული კვლევა**, რომელზეც III თავის დასაწყისში მოკლედ ვისაუბრეთ. პრაქტიკული კვლევის საფუძველზე ვადგენთ, საქართველოში მიწის ღირებულებას 1 კვ. მ-ზე, კერძო და სახელმწიფო საკუთრების ურთიერთ დამოკიდებულებას და სხვა ტენდენციებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ თითოეული პერსონის და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკურ თავისუფლებაზე.

კვლევითი დაკვირვების შედეგად საქართველოს რეალობაში იკვეთება მიწის (აქტივების) სამი ბაზარი:

- 1) „**სახელმწიფო ბაზარი**“ (პირველადი);
- 2) „**იძულებითი ბაზარი**“ (აღმასრულებლის მიერ ჩამორთმეული ქონების);
- 3) „**კერძო ბაზარი**“ (კერძო მესაკუთრე ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების ანუ მეორადი ბაზარი).

⁷⁹ **ჯანდიერი გ.**, „კერძო საკუთრება და საქართველო“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III წიგნი, „ლიბერალიზმი და საკუთრება“.
<http://nesgeorgia.org/files/III-10-gia.pdf>

სწორედ ამ ბაზრების (არამარტო მიწის) არსებობა და ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს კერძო საკუთრების როგორც, ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფი მთავარი ფაქტორის ფორმირების საკითხს და მის შემდგომი თავისუფალი გამოყენება-განკარგვის საკითხსაც, აგრეთვე საკუთრების თავისუფალი დამკვიდრების შესაძლებლობებსაც, რასაც თავის მხრივ მივეყვართ ეკონომიკურ თავისუფლებამდე და მის ხარისხამდე.

კვლევის პერიოდად აღებულია „პირველადი ბაზრისთვის“ 2010 წლის 15 ნოემბრიდან 2012 წლის 15 ნოემბრამდე სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი აქტივების (მიწის) საპრივატიზაციო აუქციონები. „კერძო“ და „იძულებით ბაზრის“ აუქციონები 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 15 ნოემბრამდე. მოცემული პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ იქნა პრაქტიკული კვლევა. „სამაგიდო კვლევა“ აქტივების კერძო საკუთრებად ფორმირების პროცესის და ამავდროულად კერძო საკუთრების თავისუფალი განკარგვის, მისი თავისუფალი საბაზრო ლიკვიდურობისა და ღირებულებით საკითხებზე.

როგორც საკუთრებას დაქვემდებარებული აქტივი კვლევისთვის შერჩეულიქნა სასოფლო-სამეურნეო მიწები, რომელიც საუკეთესოდ ასახავს კერძო საკუთრების ფორმირების პროცესს, კერძო საკუთრების თავისუფალი განკარგვისას წარმოქმნილ დადებით თუ უარყოფით ფაქტორებს. გარდა ამისა მიწის აქტივზე ჩატარებული კვლევის შედეგების სხვა ეკონომიკურ აქტივებზე განზოგადოება, ყველაზე კარგად ასახავს თავისუფლების და კერძო საკუთრების ურთიერთ დამოკიდებულებას, და მათზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებსაც მკვეთრად გამოავლენს.

კვლევის პერიოდში ელექტრონული აუქციონების მეშვეობით (რომელიც „საქართველოს ფინანსათა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს მიერ ელექტრონულად იმართება) შესწავლილი და გაანალიზებული იქნა სახელმწიფო მიწის პრივატიზების 1631 აუქციონის შედეგი, 382 „იძულებითი ბაზრის“ აუქციონის და კერძო მესაკუთრეთა 73 „მეორადი ბაზრის“ გარიგებები⁸⁰. მათ შორის 87 აუქციონში პირადად იქნა მონაწილეობა მიღებული, არსებული საკუთრების ფორმირების პროცესის უკეთ გაცნობისა და კონკურენციის ფაქტორის განსაზღვრისათვის.

მოცემულმა კვლევამ საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა: სხვადასხვა

⁸⁰ „საქართველოს ფინანსათა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონები www.eauction.ge-ol.

ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა მიწის (აქტივების) კერძო საკუთრებად ფორმირებასა და მის ღირებულებასთან მიმართებაში; გაყიდული მიწის რაოდენობა და მიღებული თანხების თანაფარდობა; მიწის აუქციონების რაოდენობა და მიწის 1 კვ.მ-ს ღირებულების ურთიერთდამოკიდებულება.

კვლევის პერიოდში აუქციონებით პრივატიზებული იქნა **19 346** ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, ჯამურმა საპრივატიზაციო თანხამ შეადგინა **21,498** მლნ. ლარი⁸¹. ამ მონაცემებიდან გამომდინარე საშუალოდ მიწის 1 კვ.მ-ის ღირებულებამ **0.11** ლარი შეადგინა.

აღსრულების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ჩატარდა **382** იძულებით აუქციონი, იძულების წესით გაიყიდა **2 818** ჰექტარი სასოფლო სამეურნეო მიწა, სარეალიზაციო თანხამ შეადგინა ჯამურად **5 125** ათასი ლარი. საშუალოდ 1 კვ.მ-ს ღირებულებამ **0.18** ლარი შეადგინა.

გარდა მოცემულისა საინტერესოა მიწის ღირებულება კვლევის პერიოდში თვეების მიხედვით (იხ. ცხრილი 3.2.1. „ა“).

ცხრილში მოცემული მონაცემების შესაბამისად შეგვიძლია გავეცნოთ დიაგრამას 3.2.1⁸² სადაც მკვეთრად არ ჩანს მიწის 1 კვ.მ-ს ფასის ზღრდის ან კლების ტენდენცია, მაგრამ დროითი პერიოდების შესაბამისად შესწავლილი მიწის კერძო საკუთრებად ფორმირების პროცესი გარკვეულ კითხვებზე პასუხობს.

შესაბამისად პრივატიზებული მიწის რაოდენობის მიხედვით თავისუფალ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთდამოკიდებულების ეკონომიკური კანონზომიერებები არ იკვეთება, მათ შორის მოთხოვნა-მიწოდების სეზონურობაც მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწა და მისი ფასი პირდაპირ დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ციკლთან. აღნიშნული მეტყველებს მიწის პირველადი ბაზრის არაელასტიკურობასა და კონკურენციის დაბალ მახასიათებლებზე, აქტივების ნაკლებად თავისუფალ ბაზარზე.

კერძო საკუთრების ფორმირება მიმდინარეობს არაკონკურენტულ გარემოში, რასაც სასოფლო-სამეურნეო მიწაზე შემდგომი თვალსაჩინოებების მეშვეობით

⁸¹ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონები www.eauction.ge-ol.

⁸² „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტი“, <http://privatization.ge-l> ოფიციალურ ელექტრონულ მონაცემების მიხედვით

ვაჩვენებთ.


**სახელმწიფო მიწის პრივატიზების და აღსრულების აუქციონები
2010 – 2012 წწ-ში ⁸³**

დროითი პერიოდი	ფართობი კვ.მ-ში	თანხა ლარებში	1 კმ.მ-ს ფასი	აუქციონები ს რაოდენობა
„პირველადი ბაზარი“ 2010.12.01– 2012.11. 15	193 46 1086	21 497 923	0.111	1631
„იძულებითი ბაზარი“ 2011.01.01 -2012.11.30	28 18 6462	5 125 391	0.181	382
2010-2012 წწ-ს საპრივატიზაციო აუქციონები დროითი პერიოდების მიხედვით				
2010წ დეკემბერი 2011წ თებერვალი	2467853	154532	0.063	22
2011 წ მარტი-აპრილი	9267571	968118	0.104	155
2011 წ მაისი-ივნისი	8784419	1132961	0.129	107
2011 წ ივლისი- აგვისტო	13074091	1811313	0.138	282
2011 წ სექტემბერ- ოქტომბერი	19135237	2030400	0.107	230
2011 წ ნოემბერ - დეკემბერი	17009076	2181854	0.128	283
2012 წ იანვარ- თებერვალი	17774089	2040140	0.115	330
2012 წ მარტი	7590727	981296	0.129	146
2012 წ აპრილ-მაისი	-	-	-	-
2012 წ ივლისი- ივლისი	4330275	393218	0.09	51
2012 წ აგვისტო- ნოემბერი	1097244	183089	0.168	21

ცხრილი 3.2.1 „ა“


⁸³ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს www.eauction.ge-ol და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტი“, <http://privatization.ge-ol> ოფიციალურ ელექტრონულ მონაცემების მიხედვით.

დიაგრამა 3.2.2-ზე⁸⁴ მოცემულია 1 კვმ მიწის ღირებულების დამოკიდებულება მის მიწოდებასთან (ათას ჰექტრებში). დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ პირველად ბაზარზე ღირებულებას და სარეალიზაციო ფასს განსაზღვრავს არა მოთხოვნა, არამედ მიწოდება. შესაბამისად, დიაგრამა 3.2.2 გვაჩვენებს აქტივის ჭარბ მიწოდებას, რის გამოც ფასი არაელასტიური და ხისტია საკვლევი პერიოდის მანძილზე.



⁸⁴ „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტი“, <http://privatization.ge-ს> ოფიციალურ ელექტრონულ მონაცემების მიხედვით.


„პირველად ბაზარზე“ მიუხედავად მიწის ცვალებადი მაღალი მიწოდებისა, ფასი მის მიმართ სუსტად რეაგირებს, რაც საბაზრო კანონზომიერებებს არ პასუხობს. მიღებული საპრივატიზაციო სახსრებისა და მიწის ოდენობა კვ.მ-ში გამოსახული დიაგრამაზე 3.2.3-ს⁸⁵.



ბაზრის გაჯერების თვალსაზრისისა და მიწოდების სიჭარბის დასადგენად ასევე მნიშვნელოვანია ჩატარებული აუქციონების რაოდენობის დამოკიდებულება მიწის 1 კვ.მ-ს ფასთან. კონკურენტული ბაზრის შემთხვევაში ჩატარებული აუქციონების რაოდენობა უკუპროპორციულად უნდა მოქმედებდეს ფასზე. თუმცა, კვლევაში გვიჩვენა, რომ ასეთი მკვეთრი კანონზომიერი დამოკიდებულება არ

⁸⁵ „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტი“, <http://privatization.ge-l> ოფიციალურ ელექტრონულ მონაცემების მიხედვით.


იკვეთება. შესაბამისად აუქციონების რაოდენობა „პირველად ბაზარზე“ ვერ ახდენს ზეგავლენას 1 კვ.მ-ის ღირებულებაზე. აღნიშნული მონაცემების ურთიერთდამოკიდებულება თვალსაჩინოდ მოცემულია დიაგრამაზე 3.2.4.⁸⁶ შესაბამისად, ამ მონაცემების მიხედვითაც ვასკენით, რომ პირველადი ბაზარი ნაკლებად თავისუფალი და არაკონკურენტუნარიანია, ის სახელმწიფოს მხრიდან მონოპოლიურ ხასიათს ატარებს.



საკვლეპ პერიოდში გამოვლინდა საპრივატიზაციო აუქციონებით გარიგებების წყვეტა „პირველად ბაზარზე“. 2012 წლის 26 მარტიდან 31 მაისამდე არ განხორციელებულა მიწის საპრივატიზაციო აუქციონები, რაც ფაქტიურად

⁸⁶ „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტი“, <http://privatization.ge>-ს ოფიციალურ ელექტრონულ მონაცემების მიხედვით.

ნიშნავს, რომ 65 დღის განმავლობაში შეჩერებული იყო „პირველადი ბაზარი“. სწორედ ეს პერიოდია მნიშვნელოვანი „იძულებითი“ და „მეორადი“ ბაზრების ფუნქციონირების არსის ახსნისთვის. ეს მცირე პერიოდი აისახა თავის მხრივ „კერძო“ და „იძულებითი ბაზრის“ გააქტიურებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ამადლების თვალსაზრისით.



„იძულებით ბაზრის“ მონაცემები მოყვანილია ცხრილში 3.2.1. „ბ“, სადაც ჩანს, რომ პირველადი ბაზრის შეჩერების გამო 1 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასმა მნიშვნელოვნად მოიმატა, აგრეთვე მისცა სტიმული კონკურენციის ზრდას აუქციონში მონაწილეთა აქტიურობის სახით (გაიზარდა ბიჯების რაოდენობა).

„პირველადი ბაზრის“ ფასების ტენდენციასთან „იძულებითი ბაზრის“ ფასების შესადარებლად ვაჩვენოთ დიაგრამა 3.2.1. „ა“ და შევადაროთ ზემოთ მოცემულ დიაგრამის 3.2.1 მაჩვენებლებს (შედარებიდან ჩანს ორი ბაზრის უკუ

ურთიერთ ზემოქმედება).

იძულებითი აუქციონები თვეების მიხედვით 2011-2012 წწ-ში ⁸⁷


#	დროის პერიოდი	მიწის საერთო ფართობი კვ.მ-ში	ჯამური ფასი	1.კვ.მ. ფასი ლარში	აუქციონების რაოდენობა	ბიჯების საერთო ჯამი
1	2011წ თებერვალი	2601005	145395	0.056	7	55
2	2011 წ მარტი-აპრილი	1075567	59216	0.055	16	706
3	2011 წ მაისი-ივნისი	471754	93800	0.198	17	376
4	2011 წ ივლისი- აგვისტო	1414385	203726	0.14	24	1143
5	2011 წ სექტემბერ-ოქტომბერი	151299	18126	0.11	15	197
6	2011 წ ნოემბერ - დეკემბერი	1541696	165105	0.11	22	942
7	2012 წ იანვარ-თებერვალი	7842537	619550	0.079	42	521
8	2012 წ მარტი	2661763	126383	0.047	21	113
9	2012 წ აპრილ-მაისი	222630	117573	0.528	35	2963
10	2012 წ ივნისი- ივლისი	3937298	498495	0.12	55	1029
11	2012 წ აგვისტო-სექტემბერი	1265159	132436	0.105	36	678
12	2012 წ ოქტომბერ-ნოემბერი	4146162	1128646	0.272	23	1111

ცხრილი 32.1 „ბ“

დიაგრამებიდან ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფო მიწის (სასოფლო-სამეურნეო) პრივატიზების აუქციონების შეხერხებამ, ანუ ჭარბი მიწოდების გაქრობამ მყისიერი სტიმული მისცა აწეულიყო 1 კვ.მ. მიწის ფასი 0.53 ლარამდე საბაზრო კონკურენციის გზით. ეკონომიკურად ასეთ მცირე პერიოდში, იმ ფონზეც კი როცა გარანტირებულად სახელმწიფო მიწების მიწოდების მოლოდინი კვლავ არსებობდა, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასმა მაინც აიწია. წინასწარ ცნობილი იყო, რომ სახელმწიფო მიწების პრივატიზება კვლავ გაგრძელდებოდა რაც

⁸⁷ წყარო: „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს www.eauction.ge-ს მონაცემები.

შემდგომ მართლაც ასე მოხდა. დიაგრამიდან 3.2.1. „ა“ ჩანს, რომ 1 კვ. მ. ფასი იძულებით ბაზარზე ისევ დაეცა.





რასაკვირველია, ფასის ზრდაზე იძულებითი ბაზრის მიწოდება რეაგირებას ვერ მოახდენდა, რამდენადაც ის რაოდენობრივად შეზღუდული ბაზარია და დამოკიდებულია აღმასრულებელთან არსებულ შემთხვევებზე (ჩამორთმეული მიწები). სხვა პერიოდებთან შედარებით აუქციონების რაოდენობრივად მკვეთრი სხვაობა არ გვაქვს, ამის დასტურად მოვიყვანთ დიაგრამას 3.2.2 „ა“.

გამოდის, რომ მაღალმა კონკურენციამ განაპირობა 1 კვ.მ. მიწაზე მაღალი ღირებულება. ეს მართლაც ასეა, რაც დასტურდება საკვლევი პერიოდში ჩატარებული აღსრულების აუქციონების რაოდენობის და მათზე ჯამური ბიჯების გრაფიკულად შედარებისას (დიაგრამა 3.2.3. „ა“). მონაცემთა თვალსაჩინო შესატყვისობისთვის ბიჯების რაოდენობა მოგვყავს ყოველი 10 ბიჯის მიხედვით.

ზუსტად ანალოგიური ვითარებაა მოცემული „მეორად ბაზარზეც“ დროის შესაბამისი პერიოდისთვის, სადაც მიწის ფასმა მყისიერად აიწია და იძულებითი ბაზრისგან განსხვავებით მას მიწოდების რეაგირებაც მოყვა, ვინაიდან სწორედ მეორადი ბაზარია ნამდვილი ბაზარი და საბაზრო პრინციპებითა და მექანიზმებით

მოქმედებს.





ყოველივე ხსენებულს უკვე მეცნიერულ კანონზომიერებაში გადაყვანით ამავე თავის ბოლოში დაუბრუნდებით და გრაფიკულად ვახვენებთ აქტივების ბაზარზე არსებულ ვითარებას.

შემდგარი აუქციონების შედეგების გაანალიზებით ნაკვეთების ფართობების სიდიდის მიხედვით დაჯგუფების შედეგად გამოვლინდა აგრეთვე გასაყიდი აქტივის სიდიდის (ნაკვეთის ფართობის) და ფასის ურთიერთდამოკიდებულება.

ნაკვეთების სიდიდის მიხედვით გამოიყო მონაცემტა 10 ჯგუფი, შესაბამის კვლევის შედეგების დიფერენცირებული დაჯგუფებით მიღებული მონაცემები მოცემულა ცხრილებში 3.2.2 და 3.2.3

2010-2012 წწ პრივატიზებული ნაკვეთების სიდიდის მიხედვით 1 კვ. მ-ს ღირებულება და გაყიდვების ოდენობა⁸⁸

⁸⁸ წყარო: „საქართველოს ფინანსათა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს www.eauction.ge-ის მონაცემებზე დაყრდნობით

N	ნაკვეთები სიდიდის კვ.მში	ჯამური რაოდენობა კვ.მ-ში	თანხა ლარებში	აუქციონების რაოდენობა	1კვ. მე ფასი ლარებში
1	0 -დან 5 000-მდე	668809	308341	230	0.46
2	5000 დან 10000-მდე	1601468	263182	212	0.164
3	10000-დან 20000-მდე	4166205	812811	280	0.195
4	20001-დან 40000-მდე	9807265	1279177	328	0.13
5	40001-დან 80000-მდე	16261186	2029869	287	0.125
6	80001-დან 160000-მდე	19485933	2547647	176	0.13
7	160001-დან 500000-მდე	19701972	2195564	73	0.11
8	500001-დან 1000000-მდე	11672133	1180142	17	0.1
9	100 0001-დან 500 0000-მდე	17165611	1131588	12	0.066
10	500 0000 და მეტი	92930504	9749602	3	0.105

ცხრილი 3.2.2

2010-2012 წწ იძულებითი აუქციონები, ნაკვეთების სიდიდის მიხედვით 1 კვ. მ-ს ღირებულება და გაყიდვების ოდენობა⁸⁹

N	ნაკვეთები სიდიდის კვ.მში	ჯამური რაოდენობა კვ.მ-ში	თანხა ლარებში	აუქციონების რაოდენობა	1კვ. მე ფასი ლარებში
1	0 -დან 5 000	419556	1049472	211	2.25
2	5000 დან 10000-მდე	282936	199463	39	0.71
3	10000-დან 20000-მდე	87349	14864	7	0.17
4	20001-დან 40000-მდე	229025	40720	9	0.18
5	40001-დან 80000-მდე	922608	88845	15	0.10
6	80001-დან 160000-მდე	1136607	83245	10	0.07
7	160001-დან 500000-მდე	8000186	587214	24	0.07
8	500001-დან 1000000-მდე	6139902	563386	10	0.10
9	100 0001-დან 500 0000-მდე	10098000	1178360	6	0.12
10	500 0000 და მეტი	--	--	--	--


⁸⁹ წყარო: „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს www.eauction.ge-ის მონაცემებზე დაყრდნობით

ცხრილი 3.2.2

შევისწავლეთ რა მიწის 1 კვ.მ-ს ღირებულება ნაკვეთების სიდიდის მიხედვით აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთის სიდიდე (ლოტის სიდიდე) ზემოქმედებს მის ფასზე. ამასთან, ის პირველად ბაზარზე კონკურენციის განმსაზღვრელი ფაქტორია, რაც, თავის მხრივ, მიწის ღირებულებაზე აისახება. მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით შესაბამისი თვალსაჩინო მონაცემები გვაქვს დიაგრამაში 3.2.5. მონაცემები გვიჩვენებს, რომ ნაკვეთის სიდიდესთან 1 კვ.მ. მიწის ღირებულება ცვალებად მიმართებაშია. რიგ შემთხვევებში რაც მეტია გასაყიდი აქტივის (მიწის) ფართობი, მით ნაკლებია 1 კვ.მ. ღირებულება. თუმცა, არსებობს გადახრებიც.

ღირებულების კლებადი ტენდენცია ფიქსირდება დიაგრამაზე 3.2.5. გადახრები გამოწვეულია შესაბამისი სიდიდის მიწის ნაკვეთებზე მაღალი მოთხოვნით და ამ ნაკვეთების აუქციონებში მონაწილეთა სიმრავლით, რაც იწვევს კონკურენციას შეძენის მსურველებს შორის და საბოლოოდ აისახება 1კვ.მ-ის ღირებულების ზრდაში.

აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აუქციონის წესით პრივატიზების პროცესში გამოკვეთილია მსხვილმაშტაბიანი (500 ჰა-ზე ზემოთ) „გადახრები“, რომლებიც




გადახრები 500 000 კვ.მ -დან ზემოთ (სულ 3 აუქციონი)⁹⁰

შენიშვნა	ფართობი კვ. მ-ებში	გადახდილი თანხა	რ/ნ	აუქციონის დრო
გადახრა	51794128	5084469	საგარეჯოს სოფლები	16.12.2011 17:00
გადახრა	35497274	2635050	დედოფლისწყარო	15-04-2011
გადახრა	5639102	2030083	დედოფლისწყარო	1/7/2011



ცხრილი 3.2.4

⁹⁰ წყარო: „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს www.eauction.ge-ის მონაცემებზე დაყრდნობით


კონკურენციის გარეშე განხორციელდა. ჩვენი კვლევის შემთხვევაში გამოვლინდა 3 ასეთი მნიშვნელოვანი „გადახარა“ (იხ. ცხრილი 3.2.4). კვლევის რაოდენობრივი მახასიათებლები როგორც გადახრების ჩათვლით ასევე მათ გარეშეც მოგვყავს გარიგებათა ტენდენციისა და ეკონომიკური კანონზომიერების უკეთესად დასადგენად.



საბაზრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეს 3 გადახარა, სადაც თითო აუქციონით განხორციელდა 500 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობების პრივატიზაცია, რამაც კვლევის მანძილზე პრივატიზებული მიწების 48%-ი შეადგინა (იხ. დიაგრამები 3.2.7 „ა“ და 3.2.7 „ბ“). ამ შემთხვევაში მართალია, მყიდველი კერძო სექტორი იყო, მაგრამ შექმნას ახორციელებდნენ იურიდიული პირები. არ ყოფილა შექმნის მსურველებს შორის კონკურენცია, შესაბამისად, ეს გარიგებები მივიჩნიეთ გადახრებად. გადახრა ასევე მკვეთარდაა გამოკვეთილი მიღებული თანხების თანაფარდობაშიც, სადაც 3 აუქციონიდან მიღებულმა თანხამ მთლიანი თანხის 45% შეადგინა (იხ. დიაგრამა 3.2.7 „გ“).



(წყარო: privatization.ge-ს ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით)



კვლევაში ცალ-ცალკეა ნაჩვენები აუქციონებით გაყიდული მიწის რაოდენობა, მიწის ღირებულება რაიონების მიხედვით განსხვავებულია „გადახრებით“ და გადახრების გარეშე, შესაბამისად სხვაობაა რაოდენობრივადც პრივატიზებულ მიწის ფართობებსა და საერთო თანხებში. გადახრების შემთხვევების ჩვენებისას სხვაობა რაიონების მიხედვით ძალზედ დიდია, როგორც მიწის რაოდენობრივ ასევე პრივატიზების შედეგად შემოსული თანხების ოდენობებში (იხ. დიაგრამა 3.2.8 „ა“ და 3.2.8 „ბ“).

დიაგრამაზე 3.2.8 „ა“ ნაჩვენებია, რომ საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რაიონებში ერთჯერადი მსხვილი პრივატიზაციის შედეგად („გადახრები“) პრივატიზებული მიწა და შემოსული თანხა საკმაოდ უსწრებს სხვა რაიონებს. დიაგრამაზე 3.2.8 „ბ“ კი ნაჩვენებია მოცემული „გადახრების“ გარეშე პრივატიზებული მიწისა და მიღებული თანხების თანაფარდობები რაიონების მიხედვით. მათ შორის სხვაობა არსებითად თავაღსაჩინოა პირველ შემთხვევაში. თუ საგარეჯო გამოირჩეოდა ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით, მეორე შემთხვევაში ბოლნისის რაიონი ლიდერობს. აღნიშნული დიაგრამებიდან ჩანს თუ რამდენად კონკურირებენ რაიონები ერთმანეთთან და რომელ რაიონშია მიწის აქტივი უფრო მეტად ლიკვიდური.


ანალოგიური მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავებულია „იძულებით ბაზარზე“ რომლის მონაცემებიც მოცემულია 3.2.9 დიაგრამის სახით.

საკვლევ პერიოდში იძულებით ბაზარზე რაიონების ნაკლები რაოდენობაა, მოცემულ ბაზარზე ყველა რაიონი არ დაფიქსირებულა, რის გამოც ზუსტი შედარება პირველად ბაზართან რაიონების მიხედვით ნაკლებადაა შესაძლებელი (იხ. დიაგრამა 3.2.9). თუმცა ქვეყნის მაშტაბით შედარებისას ეს კვლევის შედეგებზე ნაკლებად აისახება და გვაძლევს „იძულებითი“ და „პირველადი ბაზრის“ შედარების საშუალებას.

კვლევაში გვიჩვენა, რომ მხოლოდ რაიონების მიხედვით ჩატარებული აუქციონების რაოდენობა ზეგავლენას ვერ ახდენს მიწის 1 კვ. მ-ს ღირებულებაზე ამ მახასიათებელში აუქციონთა რაოდენობის და მიწის ღირებულების ურთიერდამოკიდებულების ტენდენცია არ იკვეთება, რაც უკვე ნახსენები მიწის ბაზარზე ჭარბი მიწოდებით და მოთხოვნის არაელასტიკურობითაა განპირობებული. აღნიშნული ციფრობრივი მაჩვენებლები მოცემულია დიაგრამებზე 3.2.10 „ა“ და 3.2.10 „ბ“.

**აუქციონებზე პრივატიზებული მიწის რაოდენობა და თანხების
თანაფარდობა (რაიონების მიხედვით გადახრებით)
2010-2012 წწ-ში**

წყარო: (privatization.ge-ს მონაცემებზე დაყრდნობით)




დიაგრამა 3.2.8 „ა“

აუქციონებზე პრივატიზებული მიწის რაოდენობის და თანხების თანაფარდობა (რაიონების მიხედვით) 2010-2012 წწ-ში

წყარო: (privatization.ge-ს მონაცემებზე დაყრდნობით)


■ თანხა მლნ. ლარებში ■ ფართობი 100 ჰექტარი



დიაგრამა 3.2.8 „ბ“


აღსრულების აუქციონებით მიწის რაოდენობა და თანხების თანაფარდობა (რაიონების მიხედვით) 2010-2012 წლებში

(www.eauction.ge-ს მონაცემებზე დაყრდნობით)




დიაგრამა 3.2.9

**პრივატიზების აუქციონების რაოდენობა და ფასი 1 კვ.მ-ზე
თანაფარდობა (რაიონების მიხედვით) 2010-2012 წწ-ში**
(privatization.ge-ს მონაცემებზე დაყრდნობით)




დიაგრამა 3.2.10 „ა“

აღსრულების აუქციონებს რაოდენობის და 1 კვ.მ-ზე ფასის თანაფარდობა (რაიონების მიხედვით) 2011-2012 წწ-ში
(www.eauction.ge-ს მონაცემებზე დაყრდნობით)



დიაგრამა 3.2.10 „ბ“

„იძულებით ბაზარზე“ მეტწილად ისეთი ნაკვეთები ხვდება, რომელთა ლიკვიდურობაც მაღალია. ამ მხრივ აღსანიშნავია განსაკუთრებული მოლოდინის (ხელსაყრელი მდებარეობა, ტურისტული ზონა, სავაჭრო პერსპექტივა და ა.შ) რაიონები, სადაც 1 კვ. მ. მიწის ფასი თითქმის 100–ჯერ აღემატება სხვა რაიონების მიწის ღირებულების საშუალო მაჩვენებელს (იხ. დიაგრამა 3.2.11). (შესაბამისად მონაცემთა დამუშავებისას (გარდა საერთო რაოდენობრივის), მოცემული მაღალლიკვიდური რაიონების მონაცემები საერთო ეკონომიკური კანონზომიერების დასადგენად არ გამოვიყენეთ).



საინტერესოა აგრეთვე აქტივის (მიწის) ლიკვიდურობის დამოკიდებულება კონკურენციასთან მიმართებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით გამოიკვეთა აქტივის შექმნის მსურველთა 3 კატეგორია: 1. აქტივი მსურველთა მოთხოვნის გარეშე (ე.ი. კონკურენციის გარეშე კლებადი ფასით); 2. აქტივები მსურველთა კონკურენციის გარეშე (აუქციონში მონაწილეობს 1 მყიდველი); 3. აქტივი მსურველთა კონკურენციით (აუქციონში მონაწილეობა ორი ან მეტი მყიდველი).

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა რაოდენობაზე (კონკურენციაზე) მოქმედებს როგორც აქტივის საწყისი ფასის სიდიდე (რაც შემთხვევაში გასაყიდი ობიექტის სიდიდეზეა დამოკიდებული), ასევე აქტივზე წინასწარ შესატანი საგარანტიო („ბ“-ს) თანხის ოდენობა.

ამრიგად, კერძო საკუთრების ფორმირების პროცესში აქტივის (მიწის) ფასი პრივატიზებისას განისაზღვრება ნაკვეთის ფართობით (სიდიდით) და საგარანტიო „ბ“-ს ოდენობით, ეს უკანასკნელი სწორედ საწყის ფასთან არის კავშირში % -ლი მაჩვენებლით.

კვლევა გვაჩვენა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე საბაზრო მექანიზმებით კერძო საკუთრებაში გადავიდა **19 346** ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, ხოლო პრივატიზებით მიღებული თანხა შეადგენს **21,49** მლნ. ლარს, იმ ფონზე, როდესაც მხოლოდ სრულ განკერძოებას დაქვემდებარებული სასოფლო სამეურნეო მიწის ფონდი (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი) 1209 ათასი ჰექტარია აქედან საკმაოდ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს (საძოვარი 1 796 ათასი ჰექტარი მეტწილად განსაკერძოებელი),⁹¹ მიწასთან შედარებით უფრო უარესი მდგომარეობაა მთლიანად ეკონომიკური აქტივების საკუთრების კუთხით. უამრავი აქტივი ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია, რომელიც აუცილებლად უნდა გასხვისდეს. არსებული ტემპით მიწაზე მინიმუმ 20 წლი კიდევ ვერ განხორციელდება საკუთრების სრული ფორმირება. კერძო საკუთრების სრულად არ ქონა კი ნიშნავს იმას, რომ არასრულად გამოიყენება ეკონომიკური სიმძლავრეები; საქმიანობისთვის არასაკმარისი ეკონომიკური თავისუფლებაა და ეკონომიკური ზრდის პოტენციალიც არასრულადაა გამოყენებული.⁹²

არიან მეცნიერ-მკვლევარები, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეში კერძო საკუთრების ფორმირების საკითხს თეორიულად აანალიზებდნენ, თუმცა რეალობის პრაქტიკული კვლევა უფრო საინტერესოა არსებულ მოსაზრებებსა და

⁹¹ **ოქროცვარიძე ზ.**, დისერტაცია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამალღების გზები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პირობებში“, „საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი“, თბ., 2006. გვ. 11.

⁹² **შენიშვნა:** გარდა აუქციონის წესით სახელმწიფო აქტივების განკერძოებისა, პრივატიზება ხორციელდება პირდაპირი მიყიდვის წესითაც, რომლის მონაცემებიც არაა მოყვანილი. ვინაიდან ამგვარი მეთოდით შექმნილი აქტივები საბაზრო გარიგების თავისუფალი ბაზრის პრინციპებს არ აკმაყოფილებს. აღნიშნული გზით ფორმირებული კერძო საკუთრება პირველადი ბაზრის პირობებში არ მონაწილეობს საბაზრო ბრუნვაში და შესაბამისად ჩვენი კვლევების ინტერესის მიღმაა.

თეორიებთან მიმართებაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულს ჩვენი თანამემამულე, პრაქტიკოსი ეკონომისტი ი. ჩხაიძე კერძო საკუთრების ფორმირებასთან დაკავშირებით აღნიშნავს – „სახელმწიფო იმდენად დაბალ ფასად ყიდის თავის საკუთრებაში დარჩენილ საპრივატიზაციო ქონებას, რომ შექმნილი ფონი საფუძველს აცლის მეორად ბაზარზე, უკვე კერძო საკუთრებაში არსებული ქონების ყიდავა-გაყიდვის შესაძლებლობასაც კი.“⁹³

თუ ეკონომიკის განვითარების თავისუფალი საბაზრო ვარიანტი ვარჩიეთ, არ შეიძლება წარმატების მიღწევა ფასიანი ქარაღდებისა და მიწის ბაზრის გარეშე, ანუ კერძო საკუთრების თავისუფალი ფლობა განკარგვის გარეშე.⁹⁴ დღევანდელ რეალობაში კი „გადახდისუნარიანი მოთხოვნის ნაწილში რაიმე გაუგონარი გადახრა არ გვაქვს. გვრჩება ერთადერთი დასკვნა, - მიწოდების ნაწილში ვუშვებთ რაღაც, მიუტევებელ დიდ შეცდომას, ნორმიდან რაღაც გაუგონარ და არნახულ გადახრას, რადგან ფაქტია, ნორმალურთან შედარებით ათასჯერ ცოტაა ჩვენი სასოფლო მიწების ფასი, ნულია შესაბამისი ინდექსი. საბაზრო ეკონომიკის ენაზე ეს შესაბამისი დარგის გარდაუვალი გაცამტვერების მომასწავებელი, ყველაზე უტყუარი წინმსწრები ინდიკატორია“.⁹⁵

მართლაც რატომაა ჩვენთან აქტივების (მიწა) ბაზარი ასე განუვითარებელი, და რატომ ღირს ასე იაფი (1 კვ. მ. 10-11 თეთრი) თუნდაც მიწა?


აღნიშნულთან დაკავშირებით ვთვლით, რომ ჩვენი ქვეყნის რეალობაში არსებობს გაორებული ბაზარი, ორი განსხვავებული ფასით, მოთხოვნა მიწოდებით. პირველი ფასი, რომლის ქვემოთაც ვაჭრობაზე უარს ამბობს თვით სახელმწიფო, მეორე ფასი, რომლის ქვემოთაც კერძო სუბიექტი უარს ამბობს საქონლით ვაჭრობაზე და რის გამოც საქონელი (მომსახურებაც) იქცევა არასავაჭრო საქონლად. ეს კანონზომიერება ვრცელდება ყველა ეკონომიკურ აქტივზე მათ შორის მიწაზეც.

⁹³ ჩხაიძე ი., „როგორ გავმდიდრდეთ ანუ ჩვენი გზა ეკონომიკურ კეთილდღეობისაკენ“, თბ., 1999. გვ. 25.

⁹⁴ ჩხაიძე ი., „როგორ გავმდიდრდეთ ანუ ჩვენი გზა ეკონომიკურ კეთილდღეობისაკენ“, თბ., 1999. გვ. 25.

⁹⁵ ჩხაიძე ი., „გვაკლია კაპიტალიზაცია“
http://www.facebook.com/note.php?note_id=223606184338603

ყოველივე ზემოთ თქმული განვიხილოთ გრაფიკული ანალიზის საშუალებით⁹⁶ (იხ. გრაფიკი 3.2.1).



გრაფიკი 3.2.1

მოცემული გრაფიკის ჰორიზონტალურ ღერძზე მოცემულია აქტივების (ჩვენს შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო მიწების) რაოდენობა, ხოლო ვერტიკალურზე ფასი. P_{min-m} არის ფასი, რომლის ქვემოთაც კერძო სუბიექტები უარს ამბობენ მიწის (აქტივის) გაყიდვაზე, ხოლო P_{min-g} არის ფასი, რომლის ქვემოთაც მოცემული დანიშნულების მიწების გაყიდვაზე უარს ამბობს სახელმწიფო. ვთვლით, რომ $P_{min-g} < P_{min-m}$, რადგან კერძო პირი ქონებას უფრო მაღალ ფასად აფასებს, ვიდრე სახელმწიფო (და ამას ადასტურებს ჩვენი პრაქტიკული კვლევა), ასევე კერძო სუბიექტი ორიენტირებულია მოგებაზე, განსხვავებით სახელმწიფოსგან, რომელიც თუნდაც მინიმალურ ფასში P_{min-g} ქონების გაყიდვაზე უარს არ ამბობს. თუმცა იმასაც ავლნიშნავთ, რომ არსებობს რაღაცა მინიმუმი, რომლის ქვემოთაც თვითონ სახელმწიფოც არ ყიდის თავის

⁹⁶ გარდავა მ., გერლიანი რ., ჩალაფეიქრიშვილი ვ., „აქტივების ბაზრის განვითარების გრაფიკული ანალიზი მიწის ბაზრის მაგალითზე“
<http://www.facebook.com/epec.ge?ref=hl>

ქონებას. გრაფიკზე ეს ფასი არის P_{min-g} .⁹⁷

როგორც ვიცით მთავრობებმა პოსტსაბჟოთა სივრცეში გასაყიდად კომუნისტური რეჟიმის დაშლის შემდეგ გამოიტანა უზარმაზარი რაოდენობის (ქონება, აქტივები) მიწა. ამ მიწოდებამ ფასი დაბლა დაწია და საბოლოო ანგარიშით დაიყვანა იმ მინიმუმამდე, რის ქვემოთაც მიწას (აქტივებს) თვით მთავრობა არ ყიდის P_{min-g} . როგორც კი ერთობლივი მოთხოვნის ზრდის შედეგად ფასი გაიზრდება, მაშინვე პირველად ბაზარზე ჭარბი მიწოდება ფასს ისევ დაბლა წევს, რაც ზეგავლენას ახენს იძულებით და მეორადი ბაზრის ფასებზე (რაც ასევე იძულებითი ბაზრის მაგალითზე კვლევამ დაგვანახა). ეს პროცესი პერმანენტულ ხასიათს ატარებს და შესაბამისად გრძელვადიანი პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდი ემთხვევა P_{min-g} -ს.⁹⁸

AD_1 მრუდით მოცემულია აქტივებზე (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე) ერთობლივი მოთხოვნა, P_{min-g} არის ერთობლივი მიწოდების მრუდი. გრაფიკზე თავიდან წონასწორობა ნაჩვენებია 1 წერტილში. ამ წერტილში „პირველად ბაზარზე“ და „იძულებით ბაზარზე“ (აქტივების) მიწების გამყიდველი არის სახელმწიფო, ხოლო კერძო ანუ „მეორადი ბაზარი“ (P_{min-g} დან P_{min-m} -მდე) ფაქტიურად გამოთიშულია პროცესიდან (მცირე რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს კერძო სუბიექტებიც ყიდიან, მაგრამ იმდენად უმნიშვნელოა მისი გავლენა და მასშტაბები, რომ გრაფიკის აღქმისთვის მისი ასახვა არ არის სასურველი აგრეთვე ეს გარიგებები ხორციელდება P_{min-m} -ზემთ). თუ წონასწორობა ყალიბდება თავიდან 1 წერტილში, სადაც მიწის მიწოდება და მოთხოვნა ერთმანეთის ტოლია, მაშინ ბაზარზე სახელმწიფოს მიერ გასაყიდად პრივატიზებისთვის გამოტანილი აქტივების (სასოფლო-სამეურნეო მიწის) მიერ შექმნილი ჭარბი მიწოდება $Q_{s1} - Q_{D2}$ არის, გრაფიკზე ნაჩვენებია ერთობლივი მოთხოვნის ზრდის შედეგები AD მრუდის გადაადგილებით.

AD მრუდის ყოველ შემდგომ გადაადგილებას მარჯვნივ მოყვება ბაზარზე ჭარბი მიწოდება, რაც ფასს ინარჩუნებს მუდმივ P_{min-g} დონეზე. ეს პროცესი

⁹⁷ გარდავა მ., გერლიანი რ., ჩალაფეიქრიშვილი ვ., „აქტივების ბაზრის განვითარების გრაფიკული ანალიზი- მიწის ბაზრის მაგალითზე“
<http://www.facebook.com/epec.ge?ref=hl>

⁹⁸ გარდავა მ., გერლიანი რ., ჩალაფეიქრიშვილი ვ., „აქტივების ბაზრის განვითარების გრაფიკული ანალიზი- მიწის ბაზრის მაგალითზე“
<http://www.facebook.com/epec.ge?ref=hl>

გრძელდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების სრულ ამოწურვამდე, ანუ Q_{g-max} -მდე.

ერთობლივი მიწოდების მრუდი სახელმწიფო ქონების ამოწურვის ბოლო სეგმენტში იქნება აღმავალი, ანუ ვთვლით, რომ სახელმწიფოც თავის ბოლო აქტივებს მინიმალურ ფასზე მაღალ ფასში გაყიდის. ამის შემდეგ უკვე P_{min-m} - მდე გარიგება არ ღებება მიწის ყიდვა-გაყიდვაზე ვინაიდან პირველადი ბაზარი თავისი მაშტაბურობით არ არსებობს. შესაბამისად ნებისმიერი მოთხოვნა მიწაზე (აქტივებზე) ფასს პირდაპირ აწევს P_{min-m} -ის ზევით, მეორადი ბაზრის თავისუფალ P_F 2 წონასწორულ ახალ წერტილში, აქტივებზე ფასის მყისიერ ზრდას P_{min-m} -დან P_F -მდე ვუწოდეთ „ლიკვიდურობის თავისუფალი ნახტომი“.

ამის შემდეგ უკვე გარიგებები ბაზარზე განხორციელდება ჩვეულებრივი მიწოდება-მოთხოვნის კანონიდან გამომდინარე. მოთხოვნის ყოველი ზრდა უკვე ზრდის ფასს ან პირიქით. მას შემდეგ, რაც აქტივის (მიწის) ფასი გადააჭარბებს თავისუფალი ლიკვიდურობისთვის აუცილებელ კრიტიკულ ზღვარს იმ რესურსის მოსაზიდად, რაც საჭიროა აქტივის თვითინვესტირებისთვის და საქმიანობის განვითარებისათვის, ეკონომიკა (სოფლის მეურნეობა) ხდება თავისუფლად თვითგანვითარებადი.

სახელმწიფო ქონების ამოწურვამდე პირველადი ბაზრის ფუნქციონირებისას Q_{g-max} მიისწრაფის 0-საკენ, სახელმწიფო ქონების (მიწის, აქტივების) ამოწურვის შემდეგ Q_{g-max} ხდება ნულოვანი (თითქმის ნულის ტოლი), ხოლო თავისუფალ „მეორად ბაზარზე“ მიწოდების და მოთხოვნის ათვლა იწყება 0 წერტილიდან.

კერძო საკუთრების და მისი „მეორადი ბაზრის“ თავისუფალი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს აქტივის რეალური ფასი (არსებულთან შედარებით უფრო მაღალია). დღეს საქართველოში 1 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასი საშუალოდ არ აღემატება 10-11 თეთრს, მაშინ როდესაც იგივე ფართობის მიწა ევროპის ქვეყნებში 20-30 ევრო ღირს.

საქართველოში აქტივის (მიწის) ღირებულების ვარდნა განაპირობა პრივატიზების პროცესმა, რაც უკვე კვლევით მონაცემებში ვნახეთ. როდესაც ბაზარზე გასაყიდად გამოვიდა დიდი რაოდენობით (აქტივები) მიწა, მასზე დაბალი მოთხოვნისა და მაღალი მიწოდების პროცესმა ფასები თითქმის ნულოვან დონემდე დაწია.

მოცემული დაბალი ფასის პირობებში მიწა (აქტივი) ვერ იზიდავს კაპიტალს, რომელიც საჭიროა კვლავწარმოების პროცესისათვის. მიწა ვერ არის სესხის გარანტი, რაც ხდება შესაბამისი საქმიანობისას ბანკების გამოთიშვის მიზეზი.

კერძო საკუთრების რეალურად ფორმირებისათვის და მიწების (აქტივების) ფასის ზრდისათვის აუცილებელია ბაზარზე პრივატიზების პროცესის შედეგად გაჩენილი ჭარბი მიწოდების გაქრობა, რის შემდეგაც მიწაზე მოთხოვნის ზრდა გაზრდის მათ ფასს. ალბათ ყველაზე არაგონივრული ნაბიჯი იქნებოდა ამ პროცესის შეჩერება, ამიტომაც აუცილებელია პრივატიზების პროცესის სწრაფი დასრულება.

იმისათვის, რომ საოჯახო მეურნეობებს ქონდეთ ნორმალური შემოსავალი და ღირსეულად ცხოვრების დონე, ერთ საოჯახო მეურნეობას უნდა გააჩნდეს 3-დან 5-მდე ჰექტარი მიწის ფართობი. მიწაზე ასეთი კერძო საკუთრების პირობებში შესაძლებელია, საოჯახო მეურნეობას ჰქონდეს აქტიური შრომითი საქმიანობის მოტივაცია. დღეს კი სოფლად ერთ კომლს საკარმიდამო ნაკვეთის გარდა გააჩნია საშუალოდ 0,5 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დამიწნულების მიწის ფართობი, რაც არასაკმარისია სოფლად ზრდადი კეთილდღეობის მომტანი საქმიანობისთვის.

უბრალო დაკვირვებაც ცხადყოფს, რომ სოფლად მაცხოვრებელთა ეკონომიკური კეთილდღეობა მთავარი აქტივის მიწის სიმცირის გამო მაღალი ვერ იქნება და ამაში მნიშვნელოვანი როლი მიწაზე არასრულფასოვან კერძო საკუთრებას მიუძღვის. საჭირო უმოკლეს ვადაში სახელმწიფო მიწების პრივატიზაცია მიწის მოსახლეობაზე უსასყიდლო გადაცემის გზით.⁹⁹

პრივატიზების (მიწების ფულზე გაყიდვის) პროცესის დამატებით უარყოფით შედეგს წარმოადგენს ბაზრიდან თავისუფალი ფინანსური სახსრების ამოღება, რაც ასევე აზარალებს სოფლის მეურნეობას.

თუკი პრივატიზების პროცესი გაგრძელდება სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფულზე გაყიდვის გზით, ეს მნიშვნელოვანად აზარალებს საოჯახო მეურნეობებს, უარყოფითად იმოქმედებს ბაზრის თავისუფლებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე, რადგან თანხა აგრარული სექტორიდან გადაინაცვლებს სხვა სფეროში თუნდაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადანაწილების გზით.

⁹⁹ ჩხაიძე ი., „გვაკლია კაპიტალიზაცია“. http://www.facebook.com/note.php?note_id=223606184338603

ამ სფეროში არსებული თანხა უნდა მოხმარებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნას, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტში გადანაცვლების გამო იგი „განიწოება“ სხვადასხვა მიმართულებით. ამგვარად, ფულადი შესყიდვით პრივატიზებული მიწა ისევ და ისევ დაბალ ლიკვიდურთან ერთად დაუმუშავებელი დარჩება და კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად ვერ მოქმედებს.

პრივატიზების დასრულების, ანუ სახელმწიფო მიწების (აქტივების) კერძო საკუთრებაში გადასვლის უსწრაფეს გზად მიგვაჩნია სახელმწიფო მიწების უსასყიდლოდ გადაცემა საქართველოს მოქალაქეებისათვის¹⁰⁰. რადგან მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი დროში აჭიანურებს პრივატიზების გზით კერძო საკუთრების ფორმირების პროცესს. დღევანდელი ტემპით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლას დაახლოებით 15-20 წელი დაჭირდება. ამ დროის განმავლობაში მიწის ფასის ზრდა რეალურ ნიშნულამდე ვერ მოხდება და შესაბამისად ვერ განვითარდება სოფლის მეურნეობაც.

სახელმწიფო მიწების მოქალაქეებისათვის უსასყიდლოდ დარიგების შემთხვევაში მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლა დამთავრდება 4-6 თვეში. ეს პროცესი სახელმწიფოს ანუ „პირველად ბაზარს“ გამოთიშავს ბაზრიდან, გააქრობს ჭარბ მიწოდებას და სრულად აამუშავებს „მეორად ბაზარს“. მეორადი ბაზრის მონაწილეები, როგორც ვიცით, არიან სრულფასოვანი კერძო მესაკუთრეები. ამის შემდეგ ნებისმიერი მოთხოვნა მიწაზე უკვე ხორციელდება რეალური საბაზრო მექანიზმებით, იზრდება მიწის ფასი რეალურ ნიშნულამდე და შესაბამისად საზოგადოებრივი კეთილდღეობაც მოიმატებს. (სულ რაღაც 2-3 წელიწადში 1 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა თავისუფლად მოიზიდავს მინიმუმ 1 ლარს, ანუ სოფლის მეურნეობას აქვს პოტენციალი დაახლოებით მოიზიდოს 10 მილიარდი ლარის ინვესტიცია).¹⁰¹

ფასის ასეთ ზრდის პოტენციალს ადასტურებს თუნდაც ერთი ძალიან მარტივი შედარება. მიწის ფასი ევროპაში საქართველოში შესაბამის მაჩვენებელს მინიმუმ 550-ჯერ აღემატება, ხოლო ფასები ისეთ პროდუქტებზე, რომელიც ამ მიწებზე იწარმოება საშუალოდ ერთმანეთისგან განსხვავდება მაქსიმუმ 5-10-ჯერ.

¹⁰⁰ ჩხაიძე ი., „გვაკლია კაპიტალიზაცია“. http://www.facebook.com/note.php?note_id=223606184338603

¹⁰¹ ჩხაიძე ი., „გვაკლია კაპიტალიზაცია“. http://www.facebook.com/note.php?note_id=223606184338603

როგორც წესი, საქონლის ფასი სხვადასხვა ქვეყანაში მიიღტვის გამოთანაბრებისკენ.¹⁰² იმის მიუხედავად, რომ მიწა არატრანსპორტირებადი რესურსია, მისი ფასიც გამოთანაბრებისკენ მიისწრაფის. ამიტომ მიწაზე მოთხოვნა მაღალი იქნება თუ მოისპობა ჭარბი მიწოდება ბაზარზე, ეს აუცილებლად გაზრდის მიწის (აქტივების) ფასს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ღირდეს თუნდაც ევროპულ მიწაზე 550-ჯერ ნაკლები (განსაკუთრებით სამომავლო მოსალოდნელი მსოფლიო სურსათის კრიზისის ფონზე).

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, თუნდაც საქართველოში მიწის ფასი 20-ჯერ, რომ ჩამოუვარდებოდეს ევროპაში მიწის ფასს, მაშინ დარგი უკვე თვითგანვითარებადი იქნება და მოიზიდავს როგორც უკვე ავღნიშნეთ დაახლოებით 10 მილიარდი ლარის ინვესტიციას.

საინტერესო იქნება ალბათ ვისაუბროთ რას კარგავს სახელმწიფო დღეს და რა საერთო სარგებელი იქნება კერძო საკუთრების დროულად ფორმირებით, რომლის გარეშეც ზედმეტია ვისაუბროთ ეკონომიკურ თავისუფლებაზე.

ბოლო ორი წლის მანძილზე, როგორც კვლევამ გვიჩვენა, შემოსავალმა სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების აუქციონებიდან დახლოებით 21,626 მლნ. ლარი შედგინა, შესაბამისად ნაკვეთების რეგისტრაციის რეესტრის მომსახურებამ დაახლოებით (1700 X 55) 0.093 მლნ. ლარი, ჯამში სახელმწიფომ მიიღო დაახლოებით 21.72 მლნ. ლარი.

გამოდის, რომ სახელმწიფომ პოტენციური ინვესტიციები წაართვა კერძო სექტორს (21.72 მლნ. + საპრივატიზაციო აქტივის 10% „მიწის მომსახურების სააგენტოზე“ გადასახდელი თანხა, რომელსაც იხდის მყიდველი, ჯამურად ეს თანხა შედგენს მინიმუმ 1.7 მლნ. ლარს), ჯამში 23.42 მლნ. ლარი ამოღებული იქნა აგრარული სექტორიდან.

სინამდვილეში რისი მიღება შეეძლო და შეუძლია სახელმწიფოს? სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი რა პოტენციალს იძლევა საერთო კეთილდღეობის ასამაღლებლად?

როგორც წესი, კერძო საკუთრებას ექვემდებარება ქონება, ხოლო კერძო საკუთრებაში მყოფი ქონება ექვემდებარება დაბეგვარს ანუ გადასახადებს, უფრო კონკრეტულად, კერძო მესაკუთრემ ყოველ ჰექტარზე უნდა გადაიხადოს მოსაკრებელი, რომელსაც ადგენს მთავრობა დიფერენცირებულად რაიონების

¹⁰² ჩხაიძე ი., „გვაკლია კაპიტალიზაცია“.
http://www.facebook.com/note.php?note_id=223606184338603

მიხედვით.

ამ მიმართულებით 2012 წელს საქართველოს მთავრობის №50 დადგენილების შესაბამისად, თუ მსჯელობის სიმარტივისთვის რაიონების მიხედვით დაწესებულ გადასახდებს გავასაშუალოებთ შემდეგი სურათი გვექნება.¹⁰³ 1 ჰექტარ მიწაზე წლიური გადასახადი არის: ა) სახნავზე (მათ შორის მრავალწლიან ნარგავებზე; საბადე; საბოსტნე) საკრმიდამოსათვის -84 ლარი; ბ) საათიბზე -19 ლარი; გ) საძოვარზე -12 ლარი (იხ. ცხრილი 3.2.3).

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. დაბევვრას ექვემდებარება მხოლოდ 2004 წლიდან დამკვიდრებული საკუთრება. გამოდის, რომ დაახლოებით 440 ათასი ჰექტარი სახნავი, 180 ათასი ჰექტარი მრავალწლოვანი ნარგავები, 44 ათასი ჰექტარი სათიბი და 85 ათასი ჰექტარი საძოვარი¹⁰⁴ აღარ იბეგრება. დანარჩენმა სასოფლო სამეურნეო სავარგულების მესაკუთრებმა გადასახადი უნდა გადაუხადოს სახელმწიფოს.

მაგრამ საინტერესოა სახელმწიფო იხდის? დღემდე თავის საკუთრებაში დატოვებულ მიწებზე. ერთი მხრივ, ეს უცნაური შეკითხვა მოიცავს სამართლიანობის, თავისუფლების და სასტარტო პირობებში თანაწილობის მარცვალს და ეს შეკითხვაა პასუხი რატომაა განსხვავებული მიწის ღირებულება სახელმწიფო პირველად ბაზარზე და ჯერ არ შემდგარ მეორად ბაზარზე. (ეს მსჯელობა ვრცელდება კერძო საკუთრებას დაქვემდებარებულ სხავ აქტივებზეც).

კერძო საკუთრების და ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობას თავი რომ დავანებოთ, წმინდა ფინანსური თვალსაზრისით სახელმწიფო ეკონომიკური დანაკარგი გარდა ძნელად გაზომვადი კეთილდღეობისა, არის კონკრეტული ფინანსური სახსრები. ანუ სახელმწიფოს ხელში დაახლოებით 350 ათასი ჰექტარი (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები) „ა“ კატეგორიის 84 ლარით დასაბეგრი მიწა, კერძო საკუთრებაში, რომ ყოფილიყო ჯამურად ($350 \times 84 \times 1000 = 29\,400\,000$) **29,4** მილიონი ლარი მოსაკრებელს ყოველწლიურად მიიღებდა ბიუჯეტი; „ბ“ კატეგორიის 19 ლარით დასაბეგრი 93 ათასი ჰექტარი ჯამურად **1,78** მილიონს ($93 \times 19 \times 1000 = 1\,767\,000$) და „გ“ კატეგორიის 12 ლარით დასაბეგრიდან დაახლოებით

¹⁰³ შენიშვნა: რაიონების მიხედვით მოსაკრებლის გასაშუალოება ზუსტი არაა თითოეული რაიონის მიწის ფონდის სიდიდიდან გამომდინარე, თუმცა ეს ლოგიკური მსჯელობის სურათს არ ცვლის.

¹⁰⁴ წყარო: **ოქროცვარიძე ზ.**, დისერტაცია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პირობებში“, „საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი“, თბ., 2006. გვ.11

1,5 მილიონი ჰექტარიდან (მთის შეღავათიანი თემების, სასაზღვრო ზოლების და ა.შ გამოთიშვით) ჯამში 18 მილიონ ლარს (1500X12X1000=18 000000).¹⁰⁵

ამრიგად, მიწების საკუთრებაში სრულად გაცემის შედეგად სახელმწიფო მიიღებს ყოველწლიურად მიწის მოსაკრებლის სახით დაახლოებით 49 მლნ. ლარს. საშემოსავლო გადასახადის სახით „მეორად ბაზარზე“ ყველა გარიგებიდან 20%, აგრეთვე მიწის რენტით მიღებული შემოსავლების 20%-ს. ეს საკმაოდ სოლიდურ სახსრებია მით უმეტეს თუ პირველადი ბაზარი გაეთიშება პროცესს.

სახელმწიფოს შემოუა ირიბი შემოსავლები ყოველი ნაკვეთის გადაფორმების ან საკუთრებაში დამტკიცების შედეგად საჯარო რეესტრის მეშვეობით მიღებული მოსაკრებელი, რომელიც ასევე სოლიდური თანხა იქნება, თუმცა ძნელად პროგნოზირებადი.

სასოფლო სამეურნეო მიწის ფონდი ათას ჰექტარებში და საშუალო გადასახადი კატეგორიების მიხედვით¹⁰⁶

ყყყყყყყყყყ

-ყყ	სულ სასოფლო მიწა საკუთრების მიხლოებითი მანვენებლები	სახნავი	მრავალწლ ნარგავები	სათიბი	საძოვარი
სულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ჰექტებში	100% (3026)	802	264	144	1797
გადასახადის საშუალო ოდენობა 1 ჰ-ზე ლარი	-	84	84	19	12

ცხრილი 3.2.3

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შემდგომ, რომ აღარაფერი ვთქვათ კერძო საკუთრების დამკვიდრების აუცილებლობასა და ეკონომიკურ თავისუფლებაზე,

¹⁰⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება №50, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“, თბ., 2012.

¹⁰⁶ წყარო: ოქროცვარიძე ზ., დისერტაცია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამადლების გზები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პირობებში“, „საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსისტეტი“, თბ., 2006. გვ.11

გაჩერებული აქტივების საზოგადოებრივ კეთილდღეობაში ჩართვაზე, სხვადასხვა ირიბ ეკონომიკურ ეფექტზე, მრავალ უპირატესობაზე. მხოლოდ წმინდა ფულადი დანაკარგი იმდენად დიდია გრძელვადიან პერიოდში, რომ საჭიროა უსწრაფესი ტემპით კერძო საკუთრების სრული ფორმირება (ან აქტივებზე საბაზრო პრინციპებით სამართავად კონკრეტული მეპატრონის მიხენა თუნდაც არაკერძო). აუქციონის წესით სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების შედეგად ორი წლის (2011-2012 წწ) მანძილზე სახელმწიფომ სულ რაღაც 21.7 მილიონი ლარი მიიღო (ანუ წლიურად დაახლოებით 11 მილიონი ლარი). ნათელია თუ რაოდენ დიდ უპირატესობას იძლევა კერძო საკუთრების ფორმირების დასრულება და საქმიანობის თავისუფლება.

ეკონომიკურ თავისუფლებას უზრუნველყოფს კერძო საკუთრება და არა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები (ინდექსები მხოლოდ ზომავენ ეკონომიკურ თავისუფლებას, მათ შემდგომ თავში ვრცლად განიხილება), მათთან მიმართებაში პარადოქსალური მდგომარეობა აქვს ქართულ ეკონომიკას. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებით დღითი დღე ვაუმჯობესებთ რეიტინგს, რაც სამწუხაროდ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და ეკონომიკურ ზრდაზე შესაბამისად არ აისახება, ანუ ვერ აისახება უმთავრეს შედეგში, რაც კეთილდღეობის და რეალურად ეკონომიკური წარმატების უტყუარი ინდიკატორია.

ყოველივედან გამომდინარე, ამ პარადოქსის გასაღები სრულად ფორმირებულ კერძო საკუთრებაში, დომინირებად კერძო საკუთრებაში დევს, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებების მორგება თუ მისადაგება რეალური ეკონომიკისთვის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სრულიად სხვაგვარ ეკონომიკურ წარმონაქმნთან, რომელიც თვისობრივად განსხვავდება აქამდე არსებულ ყველა ეკონომიკური სისტემისგან და განსაკუთრებით ეს სხვაობა სახელმწიფო და კერძო საკუთრებას შორის თანაფარდობაში ვლინდება.

ამრიგად, საკუთრების შესწავლისა და მისი თავისუფლებასთან კავშირში განხილვის შემდგომ, მომდევნო თავში გლობალური მასშტაბით განხილული იქნება ეკონომიკური ზრდის დამოკიდებულება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებთან, აგრეთვე თავისუფლების ინდექსებში კერძო საკუთრების როლის განსაზღვრის საკითხები.

მიგვაჩნია, რომ მოქალაქეთა კეთილდღეობას ხელს უწყობს კერძო საკუთრება, ხოლო გარდამავალ ქვეყნებში მისი დროულად ფორმირება ზრდის

თითოეული პერსონის სოციალურ-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, მთლიანობაში ამადლებს ეკონომიკურ თავისუფლებას.

საკუთრების დაცვის თვალსაზრისით საკუთრების დივერსიფიცირება მისი დაცვის ყველაზე ეფექტური მექანიზმია ანუ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს აქტივების კერძო მესაკუთრეთა შორის გადანაწილებაზე.

სახელმწიფო ქონების აუქციონის წესით (ელექტრონული აუქციონი) პრივატიზაციის პროცესზე დაკვირვებისა და ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებად ფორმირების ეფექტიანობის გაზდის თვალსაზრისით საგარანტიო თანხის დაბრუნებს დროითი პერიოდის მინიმუმამდე შემცირებაა საჭირო. უნდა შემცირდეს და მკაცრად განისაზღვროს საგარანტიო თანხის „ბ“ დაბრუნების ვადები და დაშვებული იქნას ყველა საბანკო დაწესებულებისთვის, წინამდებ შემთხვევაში იზღუდება აქტიური სუბიექტების (პოტენციური მყიდველების) თავისუფალი მონაწილეობა აუქციონებში.

მოკლე ვადაში (3 სამუშაო დღე) საგარანტიოს დაბრუნების შემთხვევაში პოტენციური მყიდველები თანხას გამოიყენებს სხვა აუქციონში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად, რაც პირდაპირ ემსახურება აუქციონის პრინციპს „მეტი მონაწილე – მეტი კონკურენცია- მაღალი გასაყიდი ფასი – პირველადი ბაზრის გააქტიურება“;

საგარანტიო თანხის დაბრუნებადობის დიდი პერიოდის და წინასწარ განუსაზღვრელი ვადის გამო პოტენციალური მყიდველები თავს იკავებენ ან ვერ ახერხებენ აუქციონში მონაწილეობას რაც ზღუდავს აუქციონებში მონაწილეობის თავისუფლებას და წინამდებეონაში მოდის აუქციონით ვაჭრობის პრინციპებთან.

რაც შეეხება მიწის პრივატიზების პროცესს, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აქტივის საწყისი ღირებულების 10% შუამავალ კომპანიას გადაუხადოს. როცა საწყისი თანხა დაბალია მაგალითად 300 ლარი, ეს სავსებით მისაღებია, მაგრამ თუ საწყისი თანხა აღემატება 1000 ლარს ეს უკვე საკმაოდ ზრდის მყიდველის დანახარჯებს. მაგალითად თუ საწყისი ღირებულება წარმოადგენს 5000 ლარს, რეალურად დამატებით 500 ლარი აუქციონში გამარჯვებულმა უნდა გადაიხადოს. თუმცა, გაურკვეველია რატომ იხდის ასეთ სოლიდურ თანხას, მაშინ როდესაც საწყისი ფასით 100 ლარიანი აქტივი და 5000 ლარიანი აქტივიც ერთნაირი დანახარჯი უჯდება შუამავალ კომპანიას.

აღნიშნული საშუამავლო ზრდის მყიდველის არაპირდაპირ დანახარჯებს

რაც შემაფერხებელი და არა აუცილებელი ხარჯია სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებად ფორმირების პროცესში, აფერხებს დიდი და მაღალი საწყისი ფასის მქონე ქონების განკერძოების პროცესს.

საჭიროა დაწესდეს საშუამავლო გადასახადის ჭერი, რომლის შემდგომაც ფიქსირებული თანხა იქნება მყიდველის მიერ გადასახდელი (ვთქვათ 300 ლარი) ანუ თუ საწყისი ღირებულების 10% პროცენტი აღემატება 300 ლარს, მაშინ აუქციონში გამარჯვებულმა გადაიხადოს ფიქსირებული თანხა. სხვა შემთხვევაში დარჩეს 10%-იანი საშუამავლო, ან საწყისი თანხის ოდენობის შესაბამისად მოხდეს საშუამავლო პროცენტის დიფერენცირება (მაგ. პირობითად 3000 ლარამდე 10%; 3000-დან 6000-მდე 7%; 6000-დან 10000-მდე 5%). გადასახდელი საგარანტიო თანხის გაანგარიშების (დადგენის) პრინციპი.

საგარანტიო თანხის სიდიდე განსაზღვრავს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას, კონკურენციას და მონაწილეობის თავისუფლებას. კონკურენტუნარიანობის ამაღლება თავის მხრივ გვაძლევს თავისუფალ საბაზრო ფასს.

კვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო დაბალია საგარანტიო თანხა საწყის ღირებულებასთან მიმართებაში, მით მეტია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობა, მაშასადამე, დაბალი საგარანტიო თანხა ზრდის მონაწილეობის თავისუფლებას.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება საგარანტიო თანხის დადგენა საწყის ფასთან მიმართებაში მინიმალური პროცენტული მაჩვენებლით. ეს აამაღლებს კონკურენტუნარიანობას, გაზრდის აუქციონში მონაწილე პირთა რაოდენობას და ხელს შეუწყობს საკუთრების თავისუფალი ფორმირების პროცესს.

აქტივის (მიწის) საპრივატიზაციო აუქციონზე გამოსატანად საჭიროა ინიცირება, რაც დაკავშირებულია ფინანსურ სახსრებთან (მონაცემთა ბაზაში მოძიება, საკადასტრო აზომვა და რეგისტრაცია). აღნიშნულს ახორციელებს „მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია“. თუ აღნიშნული ხარჯები და აგრეთვე საძიებო დრო იქნება შემცირებული, გაიზრდება ინიციატორთა რიცხვი რაც თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს კერძო საკუთრების ფორმირების პროცესზე.

აუქციონების შემთხვევაში აქტივის თავდაპირველი ინიციატორი შესაძლებელია ვერ გახდეს მისი მესაკუთრე, ამ შემთხვევაში ინიცირების დანახარჯი ინიციატორ პირს არ აუნაზღაურდება სრულად. საჭიროა ინიციატორის პირის პირდაპირი დანახარჯების სრული ანაზღაურება, რაც გაზრდის ინიცირების

შემთხვევებს და დაახქარებს კერძო საკუთრების ფორმირების პროცესს.

კერძო საკუთრების ფორმირების პროცესზე დადებითად იმოქმედებს სახელმწიფო მხრიდან მიწის ნაკვეთების და ლოტის სიდიდის განსაზღვრა ოპტიმალურ მაჩვენებლებში. (შესწავლილმა მონაცემებმა გვიჩვენა, რომ გასხვისების ეფექტიანობის თვალსაზრისით ოპტიმალურად შეიძლება ჩაითვალოს 2-დან 4 –ჰა-მდე მიწის ნაკვეთები).

კერძო საკუთრების ფორმირების ხელშეწყობის თვალსაზრისით საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურება, მაგალითად: ელექტრონული აუქციონებში მონაწილეობისთვის ძლიერი ინტერნეტ-ქელის ფორმირება და ქსელში გააქტიურებული კომპიუტერზე ხელმისაწვდომობა (ცოდნის გარკვეული დონე). დღეს ეს ქსელი მიუწვდომელია მთავარი დაინტერესებული მონაწილისთვის სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. მოცემული პრობლემების გამო იზღუდება აუქციონებში მონაწილეობის თავისუფლება. ეს პრობლემები საბოლოო ჯამში ერთობლივად ქმნიან „პირველადი ბაზრის“ შემაფერხებელ ფაქტორებს და ზღუდავენ თავისუფალი „კერძო ბაზრის“ ამოქმედებას, რაც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ თავისუფლებაზე.

აღნიშნული საკითხი შესაძლებელია გადაიჭრას სახელმწიფო შესაბამისი ხელშემწყობი პოლიტიკით, კერძოდ, საჭიროა შესაბამისი რაიონული ცენტრების შექმნა, სადაც მოქალაქეები თავისუფლად შეძლებენ მიმდინარე აუქციონებში მონაწილეობის მიღებას, (მძლავრი ინტერნეტ ქსელით, საინფორმაციო უზრუნველყოფით და ტექნიკური მომსახურებით). ეს გაზრდის კერძო საკუთრების დამკვიდრებაზე ხელმისაწვდომობის თავისუფლებას.

თავი IV. ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური ზრდა

4.1 ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების და ეკონომიკური თავისუფლების ურთიერთდამოკიდებულება

წინა თავში გამოვიკვლიეთ რა ეკონომიკური თავისუფლება და საკუთრება, რომლებიც აღქმულია როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებლები, მოცემულ თავში ჩვენ შევეხებით ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთკავშირს.

აღბათ არავის არ უნდა ეკონომიკური თავისუფლება მხოლოდ „თავისუფლებისთვის“, ვინაიდან ეკონომიკური თავისუფლების არსი კეთილდღეობის ზრდაშია, და შესაბამისად, მას უნდა მოჰქონდეს, ეკონომიკური ზრდაც.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ურთიერთკავშირის ანალიზით, შევეცდებით რეალური სურათი დავსახოთ იმისა, თუ რა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები; შევაფასებთ ამ ორ მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულებას და გავაანალიზებთ უცხოურ გამოცდილებებს.

დავადგენთ არის თუ არა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ეკონომიკური ზრდის წინმსწრები ინდიკატორი; ინდექსების ერთიდაიგივე კლავის კრიტერიუმები იდენტური და მართებულია თუ არა ყველა ქვეყნისათვის; რა როლს თამაშობს საკუთრება ეკონომიკური თავისუფლებაში; რამდენად სწორია, რომ ყველა ქვეყანაში გამოიყენებოდეს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების კლავისას იდენტური მეთოდი, იდენტური კრიტერიუმებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ეკონომიკური თავისუფლების და ეკონომიკური ზრდის ანალიზი, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულების დადგენა, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების შეფასება.

ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესო იქნება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ცვალებადობის შესწავლა ქვეყნების მიხედვით და მათი შედარება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების ცვლილებასთან პერიოდების მიხედვით. აგრეთვე კვლევით მიღებული შედეგების იდენტურობის თუ განსხვავების მეცნიერული ახსნა ქვეყნების შესაბამისი ჯგუფებისთვის.

ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულების თეორიული ახსნითა და პრაქტიკული კვლევით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ცვალებადობა შევისწავლეთ ქვეყნების მიხედვით. ამასთან, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების ცვლილებასთან შესაბამისი მაჩვენებლების შედარება წარმოვადგინეთ დროითი პერიოდების მიხედვით, შედეგების იდენტურობისა თუ განსხვავების მეცნიერული ახსნით გაკეთდა დასკვნები.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების გასაცნობად ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების შესახებ მონაცემები მიღებულია 4 ძირითადი კვლევითი ორგანიზაციის და ინსტიტუტების ოფიციალურ ელექტრონულ გვერდებიდან: „ფრეიზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ <http://www.freetheworld.com/index.php> (ანალოგიურ მონაცემებს ეყრდნობა კატონის ინსტიტუტიც <http://www.cato.org/economic-freedom-world>); „Wall Street Journal & The Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ <http://www.heritage.org/index/download>; მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსი <http://www.doingbusiness.org/>) და „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ (World Economic Forum) <http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2010-2011-0>.

მასალები, აგრეთვე, მოვიძიეთ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე მსოფლიო ბანკის, მსოფლიოს სავალუტო ფონდის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდებიდან <http://web.worldbank.org>; <http://www.imf.org/external/datamapper/index.php>; (<http://geostat.ge>).

კვლევით მიღებული შედეგები არსებულ მიდგომებთან მიმართებაში შემოწმდა შედარებითი ანალიზის მეშვეობით.

ეკონომიკური ზრდა, როგორც ეკონომიკური აღმავლობისა და კეთილდღეობის უმთავრესი მაჩვენებელი, მიუთითებს იმაზე, თუ ეკონომიკა

რამდენად პროგრესულად ვითარდება.

ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთდამოკიდებულებას არც თუ ისე ბევრი მეცნიერი იკვლევს, მათგან აღსანიშნავია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ერთ-ერთი ავტორი პროფესორი რობერტ ლოუსონი, რომელიც იკვლევს ეკონომიკური თავისუფლებასა და ეკონომიკურ ზრდას პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჭრილში.¹⁰⁷ (საერთაშორისო ფინანსების და გლობალური კონკურენტუნარიანობის ცენტრის დირექტორი ობურნის უნივერსიტეტში აშშ), აგრეთვე ა. ილარიონოვი (აშშ, ქ. ვაშინგტონის კატონის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და მოსკოვის ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტის დამფუძნებელი). ა. ილარიონოვმა განიხილა პირდაპირი კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ნაშრომში „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“. მან აღნიშნული საკითხი განიხილა 1998 წლამდე პერიოდისთვის არსებული ეკონომიკური ინდექსის „ეკონომიკური მხარდაჭერის მსოფლიო ასოციაცია“-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

ა. ილარიონოვმა გაგვიზიარა რამოდენიმე მოსაზრება იმის შესახებ, რომ „პრინციპულად მნიშვნელოვანია მდგრადი სტატისტიკური კავშირის არსებობა არა მხოლოდ, ეკონომიკური თავისუფლების და კეთილდღეობის აბსოლუტურ მაჩვენებლებს, ასევე ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის, არამედ მათი ნამეტის მაჩვენებლებს შორისაც“. ¹⁰⁸ ა. ილარიონოვის აზრით, ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკურ თავისუფლებას ზრდიან, ხასიათდებიან მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპებით, ხოლო სადაც მთავრობები ეკონომიკურ თავისუფლებას ყველაზე ძალიან ზღუდავენ, ეკონომიკური ზრდის ტემპი დაბალია. ის აგრეთვე აღნიშნავს, რომ ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნები გარდა ეკონომიკური ზრდისა, წარმატებებს აღწევენ სხვა სოციალური და ადამიანის განვითარების მაჩვენებლებშიც (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, განათლება, სოციალური დიფერენციაცია და სხვა).¹⁰⁹

გასული საუკუნის ბოლოსთვის მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მნიშვნელობის კვლევას აწარმოებდა ეკონომიკური ანალიზის

¹⁰⁷ <http://www.divisionoflabour.com/>

¹⁰⁸ ა. ილარიონოვი, „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 66.

¹⁰⁹ ა. ილარიონოვი, „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 66.

ინსტიტუტი, ეს კვლევა განსაზღვრული იყო ძირითადად მხოლოდ 50 ქვეყნისთვის, მონაცემთა საფუძველზე მოახდინეს ძირითადი ეკონომიკური კანონზომიერებების ფორმულირებაც.

„ეკონომიკურად თავისუფალი ქვეყნები უფრო სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე ქვეყნები, სადაც მთავრობა ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას და ერევა სამეურნეო ცხოვრებაში. აუცილებელია გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დაბალი მაჩვენებლის დროს შეუძლებელია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა. იმავდროულად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაღალი მაჩვენებლები ფაქტობრივად გამორიცხავს ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების ალბათობას“.¹¹⁰

ვფიქრობ, რომ აღნიშნული მოსაზრების განხილვა დღევანდელი გადასახედიდან საინტერესო იქნება, რადგან (XX საუკუნის ბოლომდე) არც თუ ბევრი ორგანიზაცია ახორციელებდა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების კვლევას და ამავედროულად შესასწავლი ქვეყნების რაოდენობაც შეზღუდული იყო.

სდღეისოდ ძირითადად ეკონომიკური თავისუფლების კვლევის თვალსაზრისით გამოირჩევა რამდენიმე აუტორიტეტული კვლევითი ცენტრი თუ ინსტიტუტი. ინდექსებს და მათი შეფასების კრიტერიუმებს ვრცლად მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ, აგრეთვე მათ მონაცემებზე დაყრდნობით და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მონაცემთა შედარებით შევეცდებით დაჯგუფებული ქვეყნების მიხედვით, რეგრესიების გამოყენებით დავადგინოთ, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების ცვლილების ზეგავლენა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე როგორც მსოფლიოში, ასევე ცალკეულ ქვეყნაში.

ეკონომიკურ თავისუფლებასთან მიმართებაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების კვლევისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს, უპირველეს ყოვლისა, იმაზე, რომ ამ ორი ეკონომიკური ფენომენის ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვანაირია განსხვავებული ეკონომიკური სისტემისთვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოში სამუშაო სემინარზე მყოფმა პროფესორ ლოუსონმა განაცხადა - „რეფორმების ტემპი საქართველოში უეტკოდ სწრაფია, მაგრამ თქვენ ვერ შეძლებთ მცირე დროში ეკონომიკის განვითარებას ისე, რომ დასავლეთ ევროპას გაუტოლდეთ, რომელსაც ამ განვითარებისთვის 150 წელი დასჭირდა. თქვენ კი ოცი წლის წინ ყველაზე რეპრესიული რეჟიმის ნაწილი

¹¹⁰ ა. ილარიონოვი, „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 66.

იყავით. მცირე დროში მე ვხედავ ძალიან დიდ პროგრესს. ცვლილებები არაა ისეთი სწრაფი, როგორც ამას ბევრი ისურვებდა, მაგრამ ვფიქრობ, თქვენ რეალისტურად უნდა შეხედოთ საკითხს.”¹¹¹

მისი აზრით, ჩვენისთანა ქვეყნები ისეთ ძვირადღირებულ პოლიტიკას ატარებენ, რომლისთვისაც მზად არ არიან. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყნისთვის უნდა განისაზღვროს იმისდა მიხედვით, თუ განვითარების რა დონეზეა მათი ეკონომიკა და არა პირდაპირ იქნას გადმოტანილი მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა სხვადასხვა ეკონომიკური მანქანების განსაზღვრასთან მიმართებაში.

რ. ლოუსონის თანამოაზრე ნ. კემბელმა ემპირიულად დაამტკიცა, ეკონომიკური თავისუფლებისა და უძრავი ქონების ფასების ურთიერთდამოკიდებულება, მეცნიერის აზრით მეტი ეკონომიკური თავისუფლება უფრო მაღალ ფასებს იწვევს უძრავ ქონებაზე.¹¹²

კვლევებიდან ჩანს, რომ ეკონომიკური თავისუფლება ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამალგებისთვის, ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ და აუცილებელ ელემენტად ითვლება. ეკონომიკური თავისუფლება იძლევა ინოვაციური წვდომის საშუალებას უამრავ საქონელსა და მომსახურებაზე თავისუფალი არჩევანის გადრმავებით, ხოლო მისი შეზღუდვის მცდელობები საერთო ჯამში აზარალებს საზოგადოებას¹¹³.

ჩვენს შემთხვევაში ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური ზრდა განიხილება „საბაზრო ეკონომიკის“ ჭრილში, სადაც მთავარი პრინციპია „თავისუფალი ბაზარი“ და „თავისუფალი ფასები“. ეს უკანასკნელი ქმნიან კონკურენტულ გარემოს და გვაძლევს ეკონომიკური თავისუფლებისთვის დამახასიათებელ მთავარ ელემენტს, რასაც თავისუფალი არჩევანი ჰქვია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კარგად ცნობილია, რომ არსებობს ორი სახის ეკონომიკური ზრდა: „ინტენსიური ეკონომიკური ზრდა“ და „ექსტენსიური ეკონომიკური ზრდა“, ძირითადად ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა ამ ორიდან ერთ-ერთი სახის ზრდით ვითარდება.

ეკონომიკური თავისუფლება ზემოთ ხსენებული ორი სახის ეკონომიკური

¹¹¹ <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2042690.html>

¹¹² http://avtok.blogspot.com/2010/05/blog-post_1427.html

¹¹³ http://developmentinstitute.org/member/shikwati_freedom/russian.ph

ზრდის შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვან და ფართო ხასიათს ატარებს. ექსტენსიური ზრდის შემთხვევაში საჭიროა ეკონომიკური თავისუფლების მაქსიმალური ხელშეწყობა იმ მიმართულებით, რომ ეკონომიკური ზრდის ექსტენსიური ფაქტორები ათვისებული ქნას, რათა წინაპირობა შეიქმნას ინტენსიურ ეკონომიკურ ზრდაზე გადასასვლელად.

ინტენსიური ზრდის შემთხვევაში კი მეტწილად ეკონომიკურმა თავისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური აქტიურობისთვის რაციონალური ალტერნატივების სიმრავლე, ასეთ პირობებში საზოგადოებას და ეკონომიკურ სუბიექტებს შეეძლება თავისუფლად მართონ თავიანთი შესაძლებლობები (უნარ-ჩვევები) და საკუთრება, თავისუფალად დასაქმდნენ, აწარმოონ, მოიხმარონ, დააბანდონ და ივაჭრონ, სახელმწიფო ხელშეწყობით და არა სახელმწიფოს მხრიდან იძულებით¹¹⁴.

ამრიგად, მოცემული სქმიანობების თავისუფლება დადებით ზეგავლენას ახდენს განსაკუთრებით ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორებიცაა მშპ და მკპ, როგორც საერთო მაჩვენებლით, ასევე 1 სულ მოსახლეზე გათვლით რაც მთვარია, ზრდის საერთო საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ეკონომიკური თავისუფლება მთვარი ხელშეწყობ ფაქტორად ითვლება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე (მშპ და მკპ) დადებით ზეგავლენის თვალსაზრისით.

აქცენტს თუ ისეთი ქვეყნების ეკონომიკაზე გავაკეთებთ, სადაც საბაზრო ეკონომიკა ჯერ კიდევ ფეხს იდგამს (მაგ. პოსტსაბჭოთა სივრცე და მათ შორის საქართველო) უფრო თვალნათლივ გამომჩნდება, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ცვლილებანი მჭიდრო კავშირშია საბაზრო ეკონომიკის მთავარ მახასიათებლებთან: კერძო საკუთრებასთან, თავისუფალ ბაზართან, თავისუფალ ფასებთან.¹¹⁵

ამ მახასიათებელთაგან უმთავრესია საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებისთვის კერძო საკუთრება, ანუ მისი ფორმირების საკითხი (სიმარტივე) და მთლიანობაში კერძო საკუთრების წილი სახელმწიფო საკუთრებასთან მიმართებაში.

ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის და კონკრეტულად საქართველოს

¹¹⁴ Kim A. B., Miller T., „Economic Freedom: Global and Regional patterns”.
<http://www.heritage.org/index/book/chapter-1>

¹¹⁵ ა. იღარიონი, „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა”, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება”, თბ., 2008. გვ. 66.

მაგალითზე კერძო საკუთრების დამკვიდრების საკითხი აქტუალურია, ვინაიდან ფაქტობრივად კერძო და სახელმწიფო ქონების მთლიანობაში პროპორციული ურთიერთდამოკიდებულებაზე დაზუსტებული ინფორმაცია არ არსებობს.

ეკონომიკური თავისუფლების კველვის ინდექსების აპრობირებული მეთოდები და მაჩვენებლები სრულად ვერ ასახავენ სრულ რეალობას გარდამავალი ტიპის ქვეყნებისთვის და ეკონომიკური თავისუფლების დონის შესახებ არასრულ წარმოდგენას ქმნიან (ზოგჯერ გადაჭარბებულად დადებითს და ზოგჯერ პირიქით). საბოლოო ჯამში აღნიშნულს ეკონომიკურ თავისუფლებას და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის პარადოქსულ დამოკიდებულებამდე მიყვავართ. მაგალითად, საქართველოს აქვს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების შესაბამისად მაღალი მაჩვენებელი და ამავდროულად 3-5% ეკონომიკური ზრდა. 3-5%-იანი ეკონომიკური ზრდა ძირითადად ექსტენსიური ზრდის ფაქტორებითაა განპირობებული, ასეთი ზრდის ტემპი მისაღებია მხოლოდ ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც ინტენსიური ეკონომიკური ზრდის პიკზე იმყოფებიან.

ჩვენი ვარაუდით, თუ ქვეყანა ჯერ კიდევ ექტენსიური ეკონომიკური ზრდის ფაქტორებით ვითარდება, მაღალი ეკონომიკური თავისუფლების პირობებში მისი ეკონომიკური ზრდის ტემპი უფრო მაღალი უნდა იყოს, კერძოდ ორნიშნა ციფრს უნდა შეადგენდეს.

ამრიგად, სახელმწიფო და კერძო საკუთრებას შორის საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი პროპორციების დარღვევა ამცირებს (ფარულად ზღუდავს) ეკონომიკურ თავისუფლებას, საკუთრების ფორმირება-დამკვიდრების პროცესს არჩევანის შეზღუდვის მხრივ და რიგ შემთხვევაში უზულებელყოფს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, მესაკუთრეთა ფენის არ არსებობის გამო.

ეკონომიკური თავისუფლების დაბალ დონეს, რიგ შემთხვევებში ასტიმულირებს სახელმწიფო ბიუროკრატია, თუმცა, უმთავრესი მიზეზი ეკონომიკური თავისუფლების დაქვეითებისა არის არასწორი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა.

ეკონომიკური თავისუფლება იზღუდება სახელმწიფო საკუთრების დომინირების (დიდი წილის) გამო, კერძოდ თავისუფალი ბაზრის და თავისუფალი კონკურენტული ფასების არ არსებობის გამო. კონკრეტულად ეს ეხება ეკონომიკური აქტივების ბაზრებს, შედეგად პოტენციურ შესაძლებლობებთან შედარებით დაბალია მშპ და მეპ ზრდის რეალური ტემპი, აგრეთვე, მცირდება

ეროვნული სიმდიდრე.

ეროვნულ სიმდიდრეს ამცირებს გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური აქტივების მორალური და ფიზიკური ცვეთა, რომლებიც ვერ ფორმირდა საკუთრებად (მრავალწლიანი ნარგავები, შენობა ნაგებობანი, საწარმოო ციკლ შეწყვეტილი წიაღისეულის კარიერები, და ა.შ). აქტივების მეორადი ბაზრის სისუსტე, სახელმწიფო საკუთრების დაბალი ფასი და კერძო საკუთრების ფორმირების გაჭიანურება გამომდინარეობს საზოგადოებრივი კეთილდროების დაბალი დონის გამო დაბალი მყიდველობითი უნარიანობიდან, ანუ საზოგადოებას არ აქვს საშუალება იაქტიუროს „პირველად ბაზარზე“ და დაიმკვიდროს საკუთრება.

კერძო საკუთრების დაცვასთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანია კერძო საკუთრების ფორმირების დონე ქვეყანაში. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კვლევის შესაბამისი მაჩვენებლების (ინდექსების) გაანგარიშებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად, სწორედ კერძო საკუთრებაა მიჩნეული. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები ძირითადად რეალურ და სანდო ინფორმაციას იძლევა იმ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც კერძო საკუთრების ფორმირება დასრულებულია და შესაბამისად კერძო საკუთრებაც მაღალ დონეზეა დაცული.

ქვეყნებში (რეგიონებში), სადაც კერძო საკუთრების ფორმირება ჯერ კიდევ არაა დასრულებული და კერძო საკუთრებაც ნაკლებად განვითარებულია, ფერხდება აქტივების თავისუფალ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმა, რაც ზეგავლენას ახდენს სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კვლევისას კომპონენტების შესახებ ინფორმაციის არასრულყოფილებიდან გამომდინარე ნაკლებად სწორი წარმოდგენა იქმნება ეკონომიკური თავისუფლების დონის შესახებ და ეს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების არასრულყოფილებაშიც აისახება.

მეტწილად პოსტსოციალურ სივრცეში და მათ შორის საქართველოშიც სახელმწიფო საკუთრებასა და კერძო საკუთრებას შორის პროპორციული დამოკიდებულების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს, შესაბამისად არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ თუ კერძო საკუთრების ფორმირება, რომელ ეტაპზეა და როდის დასრულდება ეს პროცესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად საფუძვლიანია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების არასრულყოფილებაზე საუბარი, რადგან

არასრულყოფილად ფორმირებული კერძო საკუთრების პირობებში შესაბამისი მაჩვენებლები ვერ ასახავენ არსებულ რეალობას ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების ციფრობრივ მაჩვენებლებში გამოსახატავად, ვინაიდან ეკონომიკური სურათი მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს.

ვინაიდან საბაზრო ეკონომიკა და ეკონომიკური თავისუფლება ემყარება კერძო საკუთრებას და თავისუფალ კონკურენციას, აქტივებზე საკუთრების გაურკვეველი მდგომარეობა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური თავისუფლების განმსაზღვრელ მაჩვენებლებზე, რაც საბოლოოდ აისახება საერთო ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ კერძო საკუთრების თავისუფალი ფლობა-განკარგვის გარეშე გვაქვს ვითარება, სადაც იზღუდება თავისუფალი არჩევანი და თავისუფალი ბაზარი, ხოლო მათ გარეშე ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დაბალია. ამრიგად, კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და ერთმანეთს განაპირობებენ.

ეკონომიკური ზრდის და მისი მაჩვენებლების გაუმჯობესების პრობლემა ნებისმიერი საზოგადოებისათვის არსებობს, მაგრამ წინა პლანზე იგი განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკამ წამოწია. ამიტომ, ბუნებრივია ამ პრობლემისადმი გაცხოველებული ინტერესი თანამედროვე პერიოდში, როგორც სხვადასხვა ქვეყანაში ასევე საქართველოშიც.

ჩვენი სურვილია, რომ მოკლედ განვმარტოთ გარდამავალი პერიოდის საქართველოში ეკონომიკური ზრდის თავისებურებანი, თუმცა ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განვიხილოთ ზოგადად ეკონომიკური ზრდა, მისი გაზომვის ხერხები და ამ მაჩვენებლის სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დამოკიდებულების საკითხი.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან ეკონომიკური ზრდის დასადგენად უმთავრესად გამოიყენება მშპ-ი და მეკ-ი, აგრეთვე, საზოგადოებრივი კეთილდღეობის დასადგენად ორივე მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ეს ორი მაჩვენებელი ნათელ და მყარ წარმოდგენას იძლევა ეკონომიკური ზრდაზე როგორც მსოფლიო მასშტაბით, ასევე ცალკეული ქვეყნისათვის.

ამ ორ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს შორის, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ფაქტობრივი მონაცემებით სხვაობა ფაქტიურად

უმნიშვნელოა. იგი ± 1 -ის ფარგლებში მერყეობს¹¹⁶.

ეკონომიკური ზრდა საზოგადოებრივი მასშტაბით წარმოგვიდგება, როგორც საქონლისა და მომსახურების წლიური წარმოების მოცულობის ზრდა. სწორედ ამიტომაც ეკონომიკური ზრდის მთავარ მაჩვენებლებად გამოდიან მეპ-ი და მშპ.

მშპ-ის და მეპ მოცულობის ზრდა მიმდინარე პერიოდის უფრო მაღალი ფასების ხარჯზე ანუ ნომინალური მშპ-ის და მეპ-ის ცვლილება არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ეკონომიკური ზრდა, რადგან თუ კი მოცემული წლის საბოლოო პროდუქციის საერთო მოცულობაში არანაირი ცვლილება არ მოხდება, ხოლო ფასები კი 4-ჯერ გაიზრდება, ცხადია, ასეთი სიტუაცია ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებელი ვერ იქნება. ამიტომ მხედველობაში მიიღება მხოლოდ რეალური მშპ-ის მეპ ცვლილებები.

მართალია, ეკონომიკური ზრდა იზომება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მეშვეობით. მისი ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორებია: მიწოდების, მოთხოვნის და განაწილების ფაქტორები, ბუნებრივი რესურსების რაოდენობა და ხარისხი, ძირითადი კაპიტალის მოცულობა, წარმოების პროგრესული ტექნოლოგიები¹¹⁷ და საერთო ეკონომიკური პოლიტიკა. ამ ფაქტორების წვდომა და ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული ეკონომიკურ თავისუფლებაზე.

თანამედროვე პირობებში, როდესაც რესურსების დეფიციტის საკითხი მწვავედ არის დასმული, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ ფაქტორებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის. კერძოდ, მათი ოპტიმალური შეხამება და წარმოებაში ჩართვის შესაძლებლობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის დინამიკას.

ამავდროულად მინდა აღვნიშნო, რომ დიდი ბუნებრივი რესურსული შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის წარმატებულად ამოქმედებას. იმ ქვეყნებმა, რომლებსაც არ გააჩნდათ დიდი ბუნებრივ-რესურსული შესაძლებლობანი, დიდ წარმატებას მიაღწიეს ეკონომიკური განვითარების სფეროში და პირიქით, ბევრი ქვეყანა ვერ იყენებს რესურსული შესაძლებლობების უპირატესობებს.

ეკონომიკური ზრდის განსაკუთრებული ფაქტორია სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ხასიათი, ეკონომიკური გარემოს სპეციფიკა, რომელშიც

¹¹⁶ <http://www.mof.ge/4827>

¹¹⁷ <http://www.mof.ge/4827>

მოქმედებენ ეკონომიკური სუბიექტები. აღნიშნული პროცესი საქართველოს მაგალითზე იმით არის გამორჩეული, რომ აქ მიმდინარეობს ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, რაც, რა თქმა უნდა, თავისებურად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

ეკონომიკური ზრდის წყაროებს შორის უნდა დასახელდეს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ეკონომიკური ზრდის ყველაზე რთული და გაზომვას ძნელად დაქვემდებარებადი წყაროა¹¹⁸.

საქართველოში და რიგ პოსტსოციალისტური ქვეყნების განვითარების პერიოდი გარკვეული სირთულეებით არის წარმოდგენილი, რაც გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მოვლენებისა შედეგია. გამომდინარე აქედან, ჩვენს ქვეყანაში ამ პერიოდისათვის არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სირთულე. 1990 წლიდან საბჭოური პერიოდის რღვევის შემდგომი პერიოდი გამოირჩევა კრიზისული მდგომარეობითა და ეკონომიკური დაცემით, 90-იანი წლების საქართველოს ეკონომიკა წარმოგვიდგება მისი აღმავლობის ერთ-ერთ კულმინაციურ წერტილად, სწორედ ამიტომ საინტერესო იქნებოდა ეკონომიკური ზრდის შესადარებელ საბაზისო სიდიდედ 1990 წ-ის ეროვნული წარმოების მოცულობა იყოს აღებული.

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ 90-იანი წლების შემდგომი საქართველოს რეალური ეკონომიკური ზრდის ცვალებადობა, დავეყრდნობით რიგ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. ჩვენს შემთხვევაში კონკრეტულად გამოვიყენებთ ძირითადში მშპ-ს, მის სიდიდეს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ზრდის ინდექსი წინა წელთან (1990-20012 წწ) პროცენტული გამოსახვით, მშპ ზრდის ტემპს (1990=100%).

ამრიგად, საქართველოს მშპ-ის გაანგარიშებისას მისი გამოსახვა ხდებოდა როგორც 1990 წ-ის ფასებში (მლნ. მანეთი), ასევე 1996 წ-ლის და 2003 წ-ლის ფასებში (მლნ. ლარებში) რაც გააკვეთს წილად ართულებს წლების მონაცემთა ურთიერთ შესატყვისობას. თუმცა, მაინც შესაძლებელია მშპ ცვლილების ტენდენციის საჩვენებლად 1990 წლის მაჩვენებლებთან შედარება (იხ. ცხრილი 4.1.1).

¹¹⁸ ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. - „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია, საქართველოს ეკონომიკა XXI ს-ის მიჯნაზე“, თბ., 2001.

მშპ-ს ზრდის ტემპის ტენდენცია წლების შესაბამისად თვალსაჩინოდ მოცემულია დიაგრამაში 4.1.1 სადაც მკვეთრად ჩანს ზრდის ამპლიტუდის სწრაფი ცვლილება, რაც რიგ შემთხვევაში ისტორიული ხოლო მეტწილად კი ეკონომიკური ფაქტორებითაა გამოწვეული, აღსანიშნავია, რომ ამდგავარი სწრაფად ცავალეზადი სურათი არამდგრადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისა დამახასიათებელი.

მართალია მთლიანი შიდა პროდუქტის სხვადასხვა ხერხით გამოსახვა მის რეალურ მოცულობას რა თქმა უნდა ვერ შეცვლის, მაგრამ ეს შესაძლებელს ხდის რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპის დადგენას მათი შედარების გზით.

საქართველოს მშპ-ს ზრდის ინდექსი, ზრდის ტემპი წინა და საბაზისო 1990 წელთან შედარებით¹¹⁹

წლები	მშპ-ის ინდექსი (1990=100)	მშპ ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით %	მშპ ზრდის ტემპი 1990 წელთან შედარებით (%)
1990	100	100	100
1991	79.4	-20.6	-20.6
1992	44.5	-43.9	-55.5
1993	31.5	-29.3	-68.5
1994	28.7	-8.9	-71.3
1995	29.4	2.6	-70.6
1996	32.7	11.2	-67.3
1997	36.2	10.5	-63.8
1998	37.3	3.1	-62.7
1999	38.4	2.9	61.6

¹¹⁹ წყარო: „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“ და „მსოფლიო სავალუტო ფონდი“-ს ოფიციალური ვებ-გვერდები.

<http://geostat.ge>; <http://www.imf.org/external/datamapper/index.php>.


2000	39.1	1.8	-60.9
2001	40.9	4.8	59.1
2002	43.2	5.5	-56.8
2003	48.0	11.1	-52.2
2004	50.8	5.9	-49.2
2005	55.5	9.3	-44.5
2006	60.8	9.4	-39.2
2007	68.2	12.3	-31.8
2008	69.8	2.3	-30.2
2009	67.2	-3.8	-32.8
2010	71.4	6.3	-28.6
2011	76.5	7.2	-23.5
2012	81.1	6.0	-18.9

ცხრილი 4.1.1

დღეს საქართველოში ეროვნულ ვალუტად და საქონლის ფულად საზომ ერთეულად მიღებულია ლარი, რასაკვირველია მართებულია, რომ საშუალო ეკონომიკური ზრდის ტემპის განსაზღვრისას დავეყრდნოთ ლარში გაანგარიშებულ მშპ-ის დინამიკას, ასევე მშპ-ის საბაზისო და მიმდინარე ფასებში გაანგარიშება შესაძლებლობას იძლევა მათი შესადარისობის სხვაობის დასადგენად. მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებისას მხედველობაშია მისაღები მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება (კლება), რომელიც განსხვავდება პერიოდების მიხედვით. ამრიგად, წლების მიხედვით ეკონომიკური ზრდის რეალურად წარმოჩენისათვის მართებულია მშპ-ის გაანგარიშება საერთო მოცულობით და არა ერთ სულ მოსახლეზე.

ზრდის ინდექსი წინა წელთან შედარებით, საქართველოს მაგალითზე სრულიად არარეალურ წარმოდგენას ქმნის ეკონომიკური ზრდაზე, რადგან საქართველოს ეკონომიკამ 90-იანი წლების შემდგომ მკვეთრი დაცემა განიცადა.

ასევე ხდება ეკონომიკური ზრდის არამართო შეჩერება, არამედ მკვეთრი დაცემა. ზრდის ინდექსის გაანგარიშება წინა წელთან შედარებით, ანუ საბაზისოდ, როცა აღებულია გასული წლის მონაცემები საქართველოს მაგალითზე საკვებით მიუღებელია იმის გამო, რომ ის ეკონომიკური ზრდის წლიურ ინდექსს ზედმეტად ბერავს. ასეთი მიდგომა მისაღებია მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, ვისაც გააჩნიათ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მყარი ეკონომიკური ზრდის ტემპები.



ვინაიდან ისინი ეკონომიკური შესაძლებლობის ზედა ზღვართან იმყოფებიან და მათი ყოველწლიური მონაცემები უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. საქართველოს მაგალითზე კი სულ სხვა სურათი გვესახება. მაგალითად 2007 წლის ზრდის მაჩვენებელი (ტემპი) 12.3% შეადგენდა (ყველაზე მაღალი

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ისტორიაში), როდესაც რეალურად თუ საბაზისო სიდიდედ 1990 წელს ავიღებთ იგი შეადგენს 7.3%-ს.¹²⁰

ამრიგად, როდესაც ვაკეთებთ საქართველოში ეკონომიკური ზრდის შეფასებებს, სასურველია საბაზისო სიდიდედ წარმოვადგინოთ 1990 წლის ეროვნული წარმოება, ვინაიდან ეს პერიოდი ითვლება საქართველოს ეკონომიკის მოცულობის ყველაზე მაღალ საფეხურად (ყოველ შემთხვევისათვის ჯერჯერობით) შესაბამისად ამ პერიოდის საბაზრო სიდიდედ მიჩნევა მოგვცემს ეკონომიკური ზრდის რეალურ სურათს.

ცნობილია, რომ 1990-იანი წლების შემდგომ ხდება ახალი ფულადი ნიშნების შემოღება ჯერ კუპონი, რომელიც სენსაციური სისწრაფით გაუფასურდა (ჰიპერინფლაცია), ხოლო შემდგომ ლარის შემოღება რომელიც საკმაოდ მყარი კურსით გამოირჩევა.

გამომდინარე აღნუშნულიდან მართებულა, რომ 1990-2012 წწ. მშპ-ს ოდენობის შესადარებლად გამოვსახოთ ყოველი წლის მშპ მუდმივ 2003 წ. ფასებში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ასევე შევადაროთ მშპ-ის რაოდენობა 1 სულ მოსახლეზე. მშპ-ის 2003 წლის ფასებით გამოსახვა იმითაც არის მართებული, რომ ამ პერიოდში მნიშვნელოვნად დიდი იყო სხვა წლებთან შედარებით ეკონომიკური ზრდა, რაც ცხრილში ნათლად არის ასახული.

1993 წლის შემდეგ არსებული რეალური ზრდის ტემპის საშუალო წლიური მაჩვენებელი მხოლოდ და 2,9%-ს აღწევს, რაც კატასტროფულად დაბალი მაჩვენებელია. ასეთი ზრდის ტემპი, რა თქმა უნდა, მისაღებია მხოლოდ და მხოლოდ იმ განვითარებული სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე ახასათებთ და რომლებმაც უკვე ამოწურეს ექსტენსიური ზრდის ფაქტორები და ეკონომიკურ ზრდას ახერხებენ მხოლოდ ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე. ეს მაჩვენებელი სავსებით მიუღებელია საქართველოსათვის, რომელიც ეკონომიკური დაქვეითების ქვედა ზღვართან იმყოფება და რომელსაც ეკონომიკური ზრდის უდიდესი პოტენციალი გააჩნია, როგორც ექსტენსიური ფაქტორების ასევე ინტენსიური ფაქტორების სრულყოფილი გამოყენებით.

საჭიროა ამავედროულად აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი რეალური ზრდის

¹²⁰ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“-ს და „მსოფლიო სავალუტო ფონდი“-ს ოფიციალური ელექტრონული მონაცემები.

<http://geostat.ge>; <http://www.imf.org/external/datamapper/index.php>

ტემპით საქართველოს კიდევ დაახლოებით 7 წელი დასჭირდება იმისათვის, რომ 1990 წლის დონეს მიაღწიოს. მაგრამ თუკი საქართველო მოახერხებს ბოლო წლების ზრდის მაჩვენებლის შენარჩუნებას, ამ შემთხვევაში ქვეყანა გაცილებით ნაკლებ დროში მიაღწევს 90-იანი წლების დონეს.

რაც შეეხება მშპ-ის ოდენობას მოსახლეობის ერთ სულზე იგი უსწრებს ზრდის პროცენტული მაჩვენებლებით მშპ-ის ზრდის ტემპს. ისმის კითხვა, თუ რითა არის გამოწვეული აღნიშნული სხვაობა? მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ერთ სულზე ამ მაჩვენებლების ზრდა გამოწვეულია მოსახლეობის შემცირებით ანუ საქართველოს მოსახლეობა 1990 წელთან შედარებით დაახლოებით 10 %-ით არის შემცირებული.¹²¹ მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირება ძირითადად გამოწვეულია მიგრაციით, რაც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ თავისუფლებასთან, რამე თუ მოქალაქეები მიგრირებენ უკეთესი ალტერნატივის საძიებლად (დასაქმება, სოციალური პირობები) იმ რეგიონებში, სადაც მეტი არჩევანის თავისუფლებაა ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

ნომინალურ მშპ-ის ზრდაზე ზეგავლენას ინფლაციური პროცესიც ახდენს, შესწავლით გაირკვა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ეს პროცესი ზომიერებით ხასიათდებოდა. თუმცა, როცა გაანგარიშება ხდება, 1996 წლის ან 2003 წლის მუდმივ ფასებში მნიშვნელოვან განსხვავებას არ გვაძლევს სავალუტო კურსის განსხვავება, ანუ დაბალი სავალუტო კურსი მაღლა წევს მშპ-ს მაჩვენებელს რეალურთან შედარებით. ეს, ერთი მხრივ, თითქოს გვაახლოებს მსოფლიოს შესაბამის მაჩვენებელთან, თუმცა, ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას უცხოურ ბაზრებზე გამსვლელი ეკონომიკური სუბიექტებისა და ეროვნული მწარმოებლებისთვის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ საქონელი უცხოურ ბაზრებზე იცვლება კონვერტირებად ვალუტაზე. აღნიშნული საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე.

საქართველოს გააჩნია ძალიან დაბალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, ცხადია, არსებობს მცირე მაგრამ რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპები. ეს მცირე ეკონომიკური ზრდა ვისი მეშვეობით და რის ხარჯზეა განპირობებული? ამის გაანალიზებას შევეცდებით ზოგადი მსჯელობით. -

¹²¹ http://geostat.ge/?action=page&p_id=151&lang=geo

საქართველოს მოსახლეობა, 1990 წელი 5,459 მლნ. ადამიანი, 2012 წელი 4,976 მლნ. ადამიანი.

ფილოსოფიურ „მე“-ს უნდა, რომ დღევანდელზე ხვალ უკეთ იცხოვროს, ანუ შესაბამისად მეტი შემოსავალი ჰქონდეს, მეტი გახარჯოს და მეტი დაზოგოს. ამრიგად, თითოეული „მე“-ს პერსონალური მისწრაფება პროგრესისკენ გვაძლევს მცირე ზრდას და ამ ეკონომიკურ ზრდაში ნაკლებად მონაწილეობს უმთავრესი ფაქტორი ეკონომიკური ზრდისა - სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა თავისი ხელშემწყობი მექანიზმებით, ეკონომიკური აქტივობისთვის თავისუფალი გარემოს უზრუნველსაყოფად.

საერთო სურათიდან გამომდინარე, შემაშფოთებელია მოსახლეობის დაბალი ცხოვრების დონე, რასაც მოწმობს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის დაბალი მაჩვენებლები მსოფლიო მაჩვენებლებთან შედარებით, თუ მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთრად არ ამაღლდა შეუძლებელი გახდება ეკონომიკური ზრდის დაჩქარება.

საქართველოში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ინვესტიციების სიმცირე გვევლინება, ასევე სუსტია ეკონომიკურ ზრდაზე ბანკების ზემოქმედებაც, რადგან ისინი ძირითადად მხოლოდ მოკლევადიან კრედიტს იძლევიან, აღნიშნული გარემოება კერძო სექტორისათვის საკმაოდ არახელსაყრელ პირობებს ქმნის, რომ არაფერი ვთქვათ კრედიტის სიძვირეზე, რაც ძირითადად არაკონკურენტული ფულის ბაზრისა და დაბალი ეკონომიკური თავისუფლების მაუწყებელია. ეს მაშინ როდესაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალ საინვესტიციო რესურსებს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, საინვესტიციო რესურსებში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიდა დანაზოგების ზრდას და ფინანსური ბაზრის განვითარებას, რასაც აგრეთვე უზრუნველყოფს თავისუფალი გარემო.

ამრიგად, მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველომ მყარ ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა ვერ მოახერხა. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნები. ვერ ჩამოაყალიბა მართვის ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობდა თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექმნას და ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. სამომავლოდ იმედია სახელმწიფო შეძლებს მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებას, რაც აუცილებელია ეკონომიკური ზრდის მყარი და სტაბილური ტემპის მისაღწევად.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი განვითარებისათვის, სოციალური პირობების გაუმჯობესებისადა საერთოდ

მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. მართალია, მას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული უარყოფითი შედეგები ეკოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ეკონომიკური ზრდისაგან მიღებული სიკეთე და სარგებელი იმდენად აღემატება მის უარყოფით შედეგებს, რომ უარყოფითი ფაქტორები უმნიშვნელო ხდება. მდგრადი და უსაფრთხო ეკონომიკური ზრდისთვის კი აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური თავისუფლების მხარდაჭერა და ეფექტიანი სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

4.2 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების შეფასება

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის ფონზე ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ ქვეყნის (რეგიონის) ბიზნეს გარემოზე ინფორმაციის მიღება და თავისუფალი საინვესტიციო დაბანდებისათვის ხელსაყრელი კლიმატის განსაზღვრა.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები ამა თუ იმ ქვეყნის კეთილდღეობას და ცხოვრების დონეზე პირადად არ ზემოქმედებს, შესაბამისად არ ცვლის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია ხელს უწყობს შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასამაღლებლად¹²².

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს როგორც ხელისუფალთათვის, ასევე ინვესტორებისთვისაც. ინვესტორები აკვირდებიან ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგებს და ცვლადების ტენდენციებს. მაღალი მაჩვენებელი ახალისებს მათ სამომავლო დაბანდებებს, რამაც ქვეყანას უნდა მოუტანოს ახალი სამუშაო ადგილები და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა¹²³.

საქართველოს არც თუ სახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა და მოსახლეობის სოციალური უნარი, ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი გააჩნია, ამავდროულად ქვეყნის მიერ რამდენიმე ავტორიტეტულ ეკონომიკურ ინდექსში მაღალი ადგილის დაკავება, აშკარად ქმნის გარკვეულ დაბნეულობას და ხშირად მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უნდობლობას იწვევს ინდექსებისადმი¹²⁴.

„ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ეს არის ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი, რომელსაც ადგენენ საერთაშორისო ინსტიტუტები სახელმწიფოს სტრუქტურებთან და სხვადასხვა ინსტიტუტებთან მიმართებაში, აღნიშნულის მიხედვით დგინდება ქვეყნებს შორის სხვაობა ეკონომიკური თავისუფლების

¹²² <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000764/New%20Microsoft%20Word%20Document.pdf>

¹²³ <http://www.radiotavisupleba.ge/content/economic-review/24716769.html>

¹²⁴ ლაღანიძე გ. „ეკონომიკური ინდექსები და ეკონომიკური რეალობა“, „თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი“ სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000764/New%20Microsoft%20Word%20Document.pdf>

მიხედვით¹²⁵.

ჩვენს მიერ განხილული იქნება შემდეგი კვლევითი ორგანიზაციები და ინსტიტუტები:

- ა) ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი;
- ბ) „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი;
- გ) მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსი;
- დ) „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი“-ს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი .

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებს აქვეყნებს და მათ საფუძველზე სხვადასხვა მაჩვენებლების კვლევას ახორციელებს კატონის ინსტიტუტიც, თუმცა ის ფრეზერის ინსტიტუტის მონაცემებს ეყრდნობა აქედან გამომდინარე აუცილებელი არ არის მათი ცალკე განხილვა.

მსოფლიო საკრედიტო რეიტინგებს იკვლევს Fitch-ის ჯგუფი, ის შედის „საკრედიტო რეიტინგების“ სააგენტოების დიდ სამეულში და ახორციელებს საკრედიტო სარეიტინგო კვლევებს. ამ ჯგუფმა აღიარება მოიპოვა 1975 წელს როგორც საერთაშორისო სტატისტიკური სარეიტინგო ორგანიზაციამ. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებზე მსჯელობისას, ჩვენ ამ ზოგადი ინფორმაციით შემოვიფარგლებით, რადგან ის პირდაპირ ეკონომიკურ თავისუფლებას არ ეხება.

ა) ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს, სტატისტიკური ცნობარებისა და ქვეყნების ოფიციალურ მონაცემებს¹²⁶.

ის ძირითადადში ეფუძნება თავისუფალი არჩევანის, თავისუფალი გაცვლის, თავისუფალი კონკურენციის და კერძო საკუთრების დაცვის პრინციპებს. კვლევების ავტორები არიან ჯ. გვარნი (ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი),

¹²⁵<http://www.bec.ge/images/doc/information%20of%20frazier%20index%20heritage%20foundation%20in dex%20and%20doing%20business.pdf>

¹²⁶<http://www.bec.ge/images/doc/information%20of%20frazier%20index%20heritage%20foundation%20in dex%20and%20doing%20business.pdf>

რ. ლოუსონი (სამხრეთ მეთოდისტური უნივერსიტეტი) და ჯოშუა ჰოლი (ბილოითის კოლეჯი). ინდექსში წარმოდგენილია მსოფლიოს 144 ქვეყნის მონაცემი მათშორისაა საქართველოც.

ინდექსის შემუშავებისას განმსაზღვრელია ხუთი ძირითადი კომპონენტი:

1. სახელმწიფო ხარჯების ზომა;
2. საწარმოთა სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლებები;
3. სანდო და საიმედო ფულის ხელმისაწვდომობა;
4. საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება;
5. კრედიტის, შრომის და ბიზნესის რეგულირება.

სახელმწიფო ხარჯების ზომის კრიტერიუმით ფასდება სახელმწიფოს ხარჯების მოცულობა, საგადასახადო ტვირთი და სახელმწიფო საწარმოთა მონაცემები. უფრო კონკრეტულად, სახელმწიფო მოხმარების პროცენტული წილი მთლიან მოხმარებაში, ტრანსფერების და სუბსიდიების მიმართება მშპ-თან, სახელმწიფო ინვესტიციების მიმართება მთლიან ინვესტიციებთან, საშემოსავლო გადასახადის ყველაზე მაღალი განაკვეთი და შემოსავლის ზღვარი.

საწარმოთა სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლებების კომპონენტით აფასებენ სასამართლოს დამოუკიდებლობას; სასამართლოს მიუკერძოებლობის ხარისხს; საკუთრების დაცვის მდგომარეობას; კანონის უზენაესობაში და პოლიტიკურ პროცესებში სამხედრო ჩარევის ხარისხს; სამართლებრივი სისტემის ერთიანობას; კონტრაქტებით აღებული ვალდებულებების სამართლიანი შესრულება; უძრავი ქონების გაყიდვებით დაკავებული ორგანიზაციების რეგულირებას; პოლიციის სანდოობას; ბიზნესის ხარჯებს დანაშაულზე.

სანდო და საიმედო ფულის ხელმისაწვდომობის პუნქტში შედის ფულის მასის ზრდა; ინფლაციის სტანდარტული გადახრები; ბოლო წლის ინფლაციის დონე; უცხოური ბანკებში ქვეყნის შიგნით და უცხოეთში უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების ფლობის თავისუფლება.

საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლების მონაცემი მოიცავს ტარიფებს; მხედველობაში მიიღება ვაჭრობის დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლების წილი ექსპორტ-იმპორტის ჯამში, საშუალო საიმპორტო ტარიფის ოდენობა და სატარიფო გადახრა. აგრეთვე, ვაჭრობის მარეგულირებელი არასატარიფო ბარიერები, იმპორტს და ექსპორტს შორის თანაფარდობა; სხვაობა ოფიციალურ სავალუტო კურსსა და შავი ბაზრის კურსს შორის.

ასევე იგი ითვალისწინებს საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების კონტროლს, რომელშიც შედის: ადგილობრივი მოქალაქეებისათვის კაპიტალის უცხოურ ბაზარზე და უცხოელებისათვის კაპიტალის ადგილობრივ ბაზარზე დაშვების აკრძალვები და ადგილობრივი მოქალაქეების უცხოელებთან კაპიტალის ტრანზაქციებში მონაწილეობის თავისუფლების შეზღუდვები¹²⁷.

ბიზნესის, კრედიტის და შრომის რეგულირების კომპონენტი შედგება:

- რეგულირება საკრედიტო ბაზარზე: ეს მაჩვენებელი თავისმხრივ ფასდება კერძო ბანკებზე საკუთრების უფლებით, კერძო სექტორის დაკრედიტების ხარისხით; კრედიტზე საკომისიოს პროცენტით/ საპროცენტო განაკვეთების კონტროლის მდგომარეობით და მისი თავიდან აცილების შესაძლებლობებით,

- შრომის ბაზრის რეგულირება: დაქირავების პრაქტიკა და მინიმალური ხელფასის ოდენობა; სამუშაოზე დაქირავებისა და განთავისუფლების წესი; კოლექტიური შეთანხმებებით დადგენილი ხელფასების წილი, დახმარებები უმუშევრებზე და სამხედრო ძალებში გაწვევის მდგომარეობა;

- ბიზნესის უფლებები მოიცავს: ფასებზე კონტროლის მდგომარეობას, ადმინისტრაციული მოთხოვნებისა და ახალი ბიზნესის დაწყების პროცედურებს, სახელმწიფო ბიუროკრატის ხარჯებს, ლიცენზირების შეზღუდვებს, საგადასახადო კანონმდებლობის გატარების დანახარჯებს.

ზემოთ მოცემული ინდიკატორები ფასდება 10 ბალიანი სისტემით (ყველაზე უმაღლესია 10). ანგარიშები ეყრდნობა ორი წლის წინანდელ მონაცემებს, ანუ 2012 წლის ანგარიშით გამოქვეყნებული მონაცემები ეფუძნება 2010-2011 წლების შესაბამის მაჩვენებლებს. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე საქართველომ 27-ე ადგილიდან 42-ზე გადაინაცვლა, ეს ადგილი ყველაზე დაბალია ბოლო პერიოდის მანძილზე. რაც შეეხება „ფრეიზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“-ს მაჩვენებელს, შესაბამისი ქულები უმნიშვნელოდ არის დაკლებული, თუმცა, იმ ფონზე, როცა სხვა ქვეყნებმა გაიუმჯობესეს მდგომარეობა „ფრეიზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“-ში საქართველო 42-ე ადგილზე აღმოჩნდა (იხ. ცხრილი 4.2.2).

საქართველო „ფრეიზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“-ს კვლევაში ფიგურირებს მხოლოდ 2005 წლიდან (შესაბამისად წინა

¹²⁷ <http://www.freetheworld.com/2012/EFW2012-complete.pdf>
<http://www.bec.ge/images/doc/information%20of%20frazier%20index%20heritage%20foundation%20index%20and%20doing%20business.pdf>

პერიოდის მაჩვენებელი არ მოიპოვება), 2012 წლის ანგარიში 2010 წლის მონაცემებზე დაყრდნობით მსოფლიო 144 ქვეყნის მიხედვით გვაქვს წარმოდგენილი ცხრილში 4.2.2. საქართველოს სარეიტინგო მაჩვენებლების ცვლილების ტენდენცია 2005-2012 წლების ანგარიშების მიხედვით კი მოცემულია დიაგრამაში 4.2.2.

ქვეყნების რეიტინგული მაჩვენებლები 2012 წლის ანგარიშით¹²⁸

1 ჰონგ-კონგი	8.90	48 ზამბია	7.31	97 კოლუმბია	6.50
2 სინგაპური	8.69	50 უგანდა	7.30	98 ჰაიტი	6.50
3 ახალი ზელანდია	8.36	51 ურუგვაი	7.29	99 ეკვადორი	6.49
4 შვეიცარია	8.24	52 ჰონდურასი	7.24	100 შრილანკა	6.48
5 ავსტრალია	7.97	52 ისრაელი	7.24	101 მადაგასკარი	6.42
5 კანადა	7.97	52 ნიკარაგუა	7.24	102 მაროკო	6.41
6 ბაჰრეინი (spars.yure)	7.94	55 გვატემალა	7.21	103 სერბეთი	6.41
8 მავრიტანია	7.90	56 სალვადორი	7.20	104 ბოლივია	6.39
9 მავრიტანია	7.88	56 ფიჯი	7.20	105 ბრაზილია	6.37
10 ჩილე	7.84	58 კამბოჯა	7.16	106 კამერუნი	6.36
11 არაბეთის გაერთ.ემირატ.	7.83	58 ჩეხეთი	7.16	107 ჩინეთი	6.35
12 ირლანდია	7.75	60 პორტუგალია	7.14	107 ტანზანია	6.35
12 დიდი ბრიტანეთი	7.75	61 ლატვია	7.12	109 ბანგლადეში	6.34
14 ესტონეთი	7.74	61 ფილიპინები	7.12	110 ნეპალი	6.33
15 ტაივანი	7.72	63დომინიკის რესპ.	7.09	111 ინდოეთი	6.26
16 დანია	7.71	64 უნგრეთი	7.08	111 ნეპალი	6.26
17 კატარი	7.70	65 ისლანდია	7.06	111 პაკისტანი	6.26
18 აშშ.	7.69	65საუდის არაბეთი	7.06	114 გაიანა	6.24
19 კუვეიტი	7.66	67 ბოტსვანა	7.03	115 ბენინი	6.18
20 კვიპროსი	7.64	67ახალი გვინეა	7.03	116 აზერბაიჯანი	6.17
20 იაპონია	7.64	69 მონღოლეთი	7.01	117 მალი	6.12

¹²⁸ წყარო: ფრეიზერის ინსტიტუტის ვებ-გვერდი
<http://www.freetheworld.com/index.php>


20	ომანი (არაბეთი)	7.64	70	ყაზახსტანი	6.97	118	ბურკინა-ფასო	6.09
23	იორდანია	7.63	71	განა	6.96	119	სირია	6.08
24	პერუ	7.61	71	მალაიზია	6.96	120	ნიგერია	6.07
25	მალტა	7.57	73	ბარბადოსი	6.94	121	სიერა ლეონე	5.99
25	ნორვეგია	7.57	73	მაკედონია	6.94	122	უკრაინა	5.94
27	ავსტრია	7.56	75	თურქეთი	6.92	123	გაბონი	5.88
28	ლიტვა	7.54	76	ინდონეზია	6.88	123	სენეგალი	5.88
28	მონტენეგრო	7.54	76	ტობაგო(კარიბის ზღე)	6.88	125	ლესოტო	5.81
30	შვეცია	7.53	78	კენია	6.87	126	ეკვადორი	5.80
31	გერმანია	7.52	79	იამაიკა	6.84	127	არგენტინა	5.79
32	ლუქსემბურგი	7.47	80	ტუნისი	6.81	128	ნიგერია	5.78
33	სლოვაკეთი	7.45	81	საბერძნეთი	6.78	129	კოდიუარი	5.76
34	ესპანეთი	7.43	81	პარაგვაი	6.78	130	ცენტრ.აფრიკა	5.73
35	სომხეთი	7.42	83	იტალია	6.77	131	ეთიოპია	5.72
36	რუმინეთი	7.41	84	ხორვატია	6.76	132	მავრიტანია	5.67
37	სამხრ. ორეა	7.40	85	მოლდოვეთი	6.75	133	ტოგო	5.59
37	ნიდერლანდები	7.40	85	სამხრ. აფრიკა	6.75	134	ბურუნდი	5.45
37	პანამა	7.40	87	ტაილანდი	6.70	134	მოზამბიკა	5.45
40	ბაჰამის კუნძ.	7.36	88	ბელიზა(ამერიკა)	6.68	136	ჩადი	5.41
41	ბელგია	7.35	88	ყირგიზეთი	6.68	137	ალჟირი	5.34
42	ალბანეთი	7.34	88	მალავი	6.68	138	გვინეა	5.23
42	კოსტა რიკა	7.34	91	მექსიკა	6.66	139	კონგო	5.18
42	საქართველო	7.34	92	სლოვაკეთი	6.63	140	ანგორა	5.12
45	ბულგარეთი	7.33	93	ბოსნია	6.61	141	კონგო	4.86
45	რუანდა	7.33	94	ნამიბია	6.59	142	ზიმბაბვე	4.35
47	საფრანგეთი	7.32	95	რუსეთი	6.56	143	მიანმარი	4.29
48	პოლონეთი	7.31	96	ვიეტნამი	6.54	144	ვენესუელა	4.07

ცხრილი 4.2.2

**საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის
მაჩვენებელი 2005-2012 წლების მიხედვით
(2003-2010 წწ მონაცემებით)¹²⁹**

წლები	ფრეიზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი	ქვეყნის მიერ დაკავებული ადგილი	ინდექსის მაჩვენებელში კლება ან ზრდა წინა მონაცემთა შედარებით
2005	6.4	66	--
2006	6.7	53	+0.3
2007	7.1	44	+0.4
2008	7.29	39	+0.19
2009	7.25	42	-0.04
2010	7.47	23	+ 0.22
2011	7.36	27	- 0.11
2012	7.34	42	-0.02

ცხრილი 4.2.3



¹²⁹ წყარო: ფრეიზერის და კატონის ინსტიტუტების ვებ-გვერდები
<http://www.cato.org/economic-freedom-world> <http://www.freetheworld.com/index.php>

ბ) „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი;

„Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ი 1995 წლიდან აქვეყნებს შესაბამის ანგარიშს ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შესახებ. თავისი მოღვაწეობის მანძილზე ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგია რამოდენიმეჯერ შეიცვალა, ამჟამად 2000-2012 წლებში შეცვლილი მეთოდიკით ფასდება „ათი თავისუფლება“ სადღეისოდ უკვე 185 ქვეყნისთვის (მანამდე ფასდებოდა „ათი ფაქტორით“) მეთოდოლოგიას დაემატა **შრომის თავისუფლების შეფასება** და შეიცვალა მონეტარული თავისუფლების შეფასების მეთოდიკა. ასევე დაემატა რეგიონების შეფასებაც.

შეფასება ხორციელდება 100 ბალიანი სისტემით, სადაც თითოეულ კომპონენტს თანაბარი წონა ენიჭება, შესაბამისად მიღებული შედეგების მიხედვით ქვეყნები 5 ჯგუფად იყოფა: თავისუფალი (ინდექსი 100-80), უპირატესად თავისუფალი (ინდექსი 79.9- 70), ზომიერად თავისუფალი (ინდექსი 69.9-60), უპირატესად არათავისუფალი (ინდექსი 59.9-50), რეპრესირებული (ინდექსი 49.9-0). ფრეიზერის ინსტიტუტის ინდექსის მსგავსად, „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსიც მიიღება წინა წლების მონაცემებზე დაყრდნობით. ძირითადად გამოიყენება მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ მონაცემები.

ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად ინდექსი მოიცავს „10 თავისუფლება“-ს: **1) ბიზნესის თავისუფლება; 2) ვაჭრობის თავისუფლება; 3) ფისკალური თავისუფლება; 4) სახელმწიფოსგან თავისუფლება (მთავრობის ჩარევისგან თავისუფლება); 5) მონეტარული თავისუფლება; 6) საინვესტიციო თავისუფლება; 7) ფინანსური თავისუფლება; 8) საკუთრების უფლება; 9) კორუფციისგან თავისუფლება; 10) შრომის თავისუფლება.**

ამ მაჩვენებლებით საქართველოს 2013 წლისთვის საკმაოდ მაღალი ინდექსი აქვს. კერძოდ, მსოფლიო 185 ქვეყნიდან მე-21-ე ადგილი უკავია და ევროპაში მე-11-ე ადგილი, წინ უსწრებს ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანას (საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია, მალტა, უნგრეთი, სლოვენია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ლატვია, ბულგარეთი, რუმინეთი), აგრეთვე სამხრეთ კორეას, ისრაელს, ბრაზილიას,

თურქეთს, ჩინეთს, მალაიზიას, მექსიკას და ა.შ.¹³⁰

საქართველოს მაჩვენებელი შეგვიძლია შევადაროთ მსოფლიო ათი ქვეყნის საუკეთესო მაჩვენებელს, აგრეთვე, ინდექსის მსოფლიო საშუალო დონეს 185 ქვეყნის მიხედვით. მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს ინდექსი მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლო საშუალო ინდექსს. (იხ. ცხრილი 4.2.4)

საქართველო და მსოფლიო 10 საუკეთესო მაჩვენებელი 2013 წლის “Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (2012 წლის მონაცემებზე დაყრდნობით)¹³¹

ქვეყნები	ადგილი მსოფლიოში	ადგილი რეგიონში	ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგი	ზრდა და კლება წინა წელთან
ჰონკონგი	1	1	89.3	-0.6
სინგაპური	2	2	88	0.5
ავსტრალია	3	3	82.6	-0.5
ახალი ზელანდია	4	4	81.4	-0.7
შვეიცარია	5	1	81	-0.1
კანადა	6	1	79.4	-0.5
ჩილე	7	1	79	0.7
მაურიტანია	8	1	76.9	-0.1
დანია	9	2	76.1	-0.1
აშშ	10	2	76	-0.3
საქართველო	21	11	72.2	2.8
მსოფლიო საშუალო	--	--	59.64	—

ცხრილი 4.2.4

სრულყოფილი ანალიზისთვის განვიხილოთ თითოეული მაჩვენებელი („ათი თავისუფლება“).

ბიზნესის თავისუფლება (90.6), საქართველოში ბიზნესის დაწყება და რეგისტრაცია ძალიან გამარტივებული და ადვილია. აღნიშნული ხელს უნდა უწყობდეს მეწარმეობის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

¹³⁰ <http://www.bec.ge/images/doc/information>

¹³¹ წყარო: „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ის ოფიციალური ვებ-გვერდი <http://www.heritage.org/index/download>

თუმცა, სამწუხაროდ, ბიზნესის დახურვის თვალსაზრისით გვაქვს ადმინისტრაციულ სფეროში პრობლემები¹³².

ვაჭრობის თავისუფლება (89.2), ამ სფეროშიც საქართველოს მნიშვნელოვნად დადებითი მაჩვენებელი აქვს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროგრესი. რეალურად არა-სატარიფო ბარიერები და საბაჟო ორგანოებში კორუფციული გარიგებები ამცირებს ამ თავისუფლებას.

ვისკალური თავისუფლება (88.2), ეს მაჩვენებელი საგადასახადო პოლიტიკის გაუმჯობესების მცდელობის მიუხედავად საქართველოსთვის წინა წლებთან შედარებით შემცირებულია. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო ტვირთი არც ისე მაღალია, ეს მეტწილად გამოწვეულია ადმინისტრაციული კონტროლის სიმძიმით.

სახელმწიფოსგან თავისუფლება (მთავრობის ჩარევისგან თავისუფლება) (68.9). ბოლო წლების მაჩვენებლებით საქართველოში სახელმწიფოსგან თავისუფლების საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, რაც პოლიტიკური კონსტიტუციითაა გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციები არ არსებობს საკანონმდებლო დონეზე, მთავრობის მხრიდან ბიზნესის თავისუფლების შეზღუდვის ტენდენცია არსებობს.

მონეტარული თავისუფლება (72.6) ამ მიმართულებით საქართველოს საშუალო მაჩვენებელი აქვს. როცა ქვეყანაში მიმდინარეობს ინფლაციის კონტროლი და მათ შორის ფასების რეგულირებაც, ამ მაჩვენებელში მაღალი შედეგი ნაკლებად მისაღწევია.

საინვესტიციო თავისუფლება (75.0) ეს მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია იმ ფონზე, როცა საკუთრების დაცვის მაჩვენებლები ძალიან დაბალია, აღნიშნული თავისუფლების მაჩვენებლის გაზრდა დამოკიდებულია სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკაზე, განსაკუთრებით აქტივების თავისუფალი ფლობა-განკარგვა და საკუთრების დაცვის მექანიზმებზე.

ფინანსური თავისუფლება (60.0) აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კერძო ბანკები. ამ ბანკების თავისუფლება გარკვეულწილად შეზღუდული იყო მთავრობის ჩარევით.

¹³² **დადანიძე გ.**, „ეკონომიკური ინდექსები და ეკონომიკური რეალობა“, „თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი“ სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000764/New%20Microsoft%20Word%20Document.pdf>

დასახელებული ორი მაჩვენებელი ურთიერთკავშირშია. მიუხედავად იმის, რომ უცხოური ბანკების და მათი ფილიალებისთვის პირდაპირი შეზღუდვა არ არსებობს და ბევრი ქართული ბანკის აქციონერებს უცხოელები წარმოადგენენ. სახელმწიფო წილი არცერთ ბანკში არ არის, მაინც ირიბად იზღუდებოდნენ ბანკები. აგრეთვე, უიმედო ვალი და საკრედიტო ხელშეკრულებების შეუსრულებლობა ბევრი ბანკისთვის კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.¹³³

საკუთრების უფლება (45.0) ეს მაჩვენებელი „კორუფციისგან თავისუფლები“-ს შემდგომ ყველაზე დაბალია საქართველოში. ქვეყანაში მრავლადაა საკუთრების ხელყოფის ფაქტები. სამწუხაროდ, სასამართლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს და არ არის გარანტი როგორც უცხოელი ასევე საქართველოს მოქალაქეების საკუთრებითი უფლების დაცვის მხრივ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ დგას სასამართლოს დამოუკიდებლობა და შესაძლებლობები დაიცვას კერძო საკუთრება და მესაკუთრეთა უფლებები.

კორუფციისგან თავისუფლება (41.0). როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია საქართველოში, მიუხედავად სამთავრობო გაცხადებული პოლიტიკის და მცდელობისა, მისგან განთავისუფლება ვერ მოხერხდა. ეს, თავის მხრივ, სამთავრობო ჩარევისაგან არა თავისუფლებით არის განპირობებული, კორუფცია მნიშვნელოვნად ახასიათებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების გასხვისება-განკარგვის სფეროს¹³⁴.

შრომის თავისუფლება (91.1) ინდექსის მიხედვით ამ მახასითებელში მაღალი შედეგია საქართველოში, რასაც სამწუხაროდ არსებული რეალობიდან გამომდინარე ძნელია დავეთანხმეთ, ერთი მხრივ, შრომის მაღალი თავისუფლება და, მეორე მხრივ, უმუშევრობის საკმაოდ მაღლი დონის გამო. დასაქმებულთათვის სამუშაო დროის ხანგრძლივობა ოფიციალურად ხელსაყრელია, თუმცა, მცირე ანაზღაურების გამო და მეტი ხელფასის მიღების მცდელობით სამუშაო დრო რიგ შემთხვევაში მნიშვნელოვნად აღემატება 8 საათიან სამუშაო განაკვეთს, რაც უარყოფითი ფაქტორია შრომის თავისუფლების თვალსაზრისით.

მოცემული „ათი თავისუფლებიდან“ მუდმივად დაბალი მაჩვენებელი გვაქვს „კორუფციისგან თავისუფლების“ რეიტინგში, ხოლო კარგი მაჩვენებლები გვაქვს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში შრომის და ბიზნესის თავისუფლების მხრივ.

¹³³ <http://www.bec.ge/images/doc/information>

¹³⁴ <http://www.heritage.org/index/download>

აღნიშნული შეგვიძლია დეტალურად ვიხილოთ ცხრილში 4.2.5, სადაც „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ის 1996-2013


საქართველო სარეიტინგო მაჩვენებლები 1996-2013 **წყ. Wall Street Journal & The Heritage Foundation-ის ანგარიშებიდან**¹³⁵

წლები	საერთო რეიტინგი	საკუთრების რეწმსი	კორუფციის რეწმსი	ფისკალური პოლიტიკის რეწმსი	სახელმწიფოს ხარისხის რეწმსი	ბიზნესის რეწმსი	შრომის პოლიტიკის რეწმსი	მონეტარული პოლიტიკის რეწმსი	ვაჭრობის რეწმსი	საინვესტიციური პოლიტიკის რეწმსი	ინფლაციის რეწმსი
1996	44,1	30,0	10,0	92,0	61,3	55,0	ა/მ	0,0	69,0	50,0	30,0
1997	46,5	30,0	10,0	92,0	82,3	55,0	ა/მ	0,0	69,0	50,0	30,0
1998	47,9	30,0	10,0	91,7	95,5	55,0	ა/მ	0,0	69,0	50,0	30,0
1999	52,5	30,0	10,0	91,3	86,6	55,0	ა/მ	50,9	69,0	50,0	30,0
2000	54,3	30,0	10,0	90,8	86,8	55,0	ა/მ	67,5	69,0	50,0	30,0
2001	58,3	50,0	23,0	90,9	89,2	55,0	ა/მ	61,1	75,6	50,0	30,0
2002	56,7	30,0	23,0	90,7	85,5	55,0	ა/მ	67,4	79,2	50,0	30,0
2003	58,6	30,0	23,0	90,6	88,9	55,0	ა/მ	74,8	64,8	50,0	50,0
2004	58,9	30,0	24,0	90,6	90,1	55,0	ა/მ	75,5	65,2	50,0	50,0
2005	57,1	30,0	18,0	89,9	90,5	55,0	66,8	75,9	65,2	30,0	50,0
2006	64,5	30,0	20,0	94,1	90,8	73,9	73,6	75,2	67,6	50,0	70,0
2007	69,3	30,0	23,0	91,2	88,4	80,8	99,9	77,8	71,8	60,0	70,0
2008	69,2	35,0	28,0	90,7	81,2	85,0	100,0	71,4	71,0	70,0	60,0
2009	69,8	35,0	34,0	86,8	74,6	86,6	99,4	70,9	80,6	70,0	60,0
2010	70,4	40,0	39,0	89,1	65,3	87,9	93,7	70,2	89,1	70,0	60,0
2011	70,4	40,0	41,0	87,5	60,3	87,3	92,1	76,7	89,2	70,0	60,0
2012	69,4	40,0	38,0	87,8	55,8	86,9	92,1	74,4	89,2	70,0	60,0
2013	72,2	45,0	41,0	88,2	68,9	90,6	91,1	72,6	89,2	75,0	60,0

ცხრილი 4.2.5

¹³⁵ წყარო: **The Heritage Foundation-ის** ოფიციალური ვებ-გვერდი <http://www.heritage.org/index/download>

წლების ანგარიშებიდან ცალკეული ინდიკატორების მიხედვით საქართველოსთვის სრული მონაცემებია მოცემული. ინდექსის ზრდის ტენდენციას კი წლების მიხედვით გვიჩვენებს დიაგრამა 4.2.3, სადაც ნათლად ჩანს გრძელვადიან პერიოდში ინდექსის გაუმჯობესების პროცესი.



ამრიგად, მოცემული „თავისუფლებები“ ურთიერთკავშირშია და მთლიანობაში ქმნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს, რომელიც ქვეყნებში და რეგიონებში ეკონომიკური თავისუფლების დონეს ასახავს. საქართველოში რამდენად ასახვადია მოცემული მაჩვენებლების რეალობა ამას კვლევის საშუალებით შევეცდებით ავხსნათ მომდევნო ქვეთავში.

რეალობიდან გამომდინარე საჭიროა ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ „ათი თავისუფლება“ მნიშვნელოვანი და საჭიროა ეკონომიკური თავისუფლების დასადგენად. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არასაკმარისი პირობაა

ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად.

ამ და სხვა პრობლემებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ მართებული იქნებოდა, ეკონომიკის სრულ ფორმირებამდე და საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი მაჩვენებლების მიღწევამდე, მოცემული ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის განმსაზღვრელ ინდიკატორებს გარდამავალი ტიპის პრობლემების შესატყვისად დაემატოს სხვა მაჩვენებლები ან გაფართოვდეს ზოგიერთი მათგანი. მაგალითად, მართებულად მივიჩნევთ საქართველოს ტიპის ქვეყნებისთვის დაემატოს შემდეგი სრული ან ქვე ინდიკატორი: პირველადი (სახელმწიფო) ბაზრისგან თავისუფლება, კერძო საკუთრების დამკვიდრების თავისუფლება (შესაძლებელია საკუთრების უფლების ქვეინდიკატორად განსაზღვრა) და საკუთრების ფორმირების თავისუფლება (ანუ სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებად ფორმირების თავისუფლება).

ამ ინდიკატორების ამუშავებით (დაშვებებით) უფრო სრულყოფილი გახდება გარდამავალი ტიპის ქვეყნებისთვის ეკონომიკური თავისუფლების განსაზღვრა. რადგან ეკონომიკური თავისუფლება ეფუძნება კერძო საკუთრების დამკვიდრების, ფლობის და განკარგვის თავისუფლებებს, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნიან თავისუფალი გაცვლის და თავისუფალი კონკურენტული ფასების უტყუარ პირობას.

ზემოთ აღნიშნული პირდაპირ კავშირშია კრიტერიუმების დაბალ მაჩვენებლებთან, როგორებიცაა კორუფციისგან თავისუფლება, სახელმწიფოსგან თავისუფლება (მთავრობის ჩარევისგან თავისუფლება), საკუთრების უფლება და ფინანსური თავისუფლება.

გ) მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი

(Doing Business)

მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა უზრუნველყოფს ბიზნესის რეგულირების და ბიზნეს გარემოს შეფასებას. „ბიზნესის კეთების“ სიმარტივის ინდექსს ამუშავებს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია - მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი შემადგენელი სტრუქტურა. ბიზნესის კეთების სიმარტივის (Doing Business) ინდექსი ძირითადად იკვლევს ბიზნეს გარემოს და ორიენტირებულია პოტენციურ ინვესტორებზე, რათა წარმოდგენა ქონდეთ სხვადასხვა ქვეყნაში ბიზნეს

საქმიანობის პროცედურებსა და პერსპექტივებზე¹³⁶.

მოცემული ინდექსი ქვეყნდება ყოველწლიურ ანგარიშებში და ოფიციალურ ელექტრონულ გვერდებზე (<http://www.doingbusiness.org/methodology>). ის აჩვენებს რა დამოკიდებულება არსებობს ამა თუ იმ ბიზნესის მიმართ და რა პროცედურებია გასაწველი ქვეყანაში ბიზნესის საწარმოებლად, რაც ინვესტორებს უმარტივებს გადაწყვეტილების მიღებას.

პროექტი დაიწყო 2000 წელს. „Doing Business“-ს პირველი ანგარიში გამოქვეყნდა 2003 წელს, რომელიც მოიცავდა 5 მაჩვენებელს და 133 ქვეყანას (დღემდე გამოცემული აქვს 10 ანგარიში). მიმდინარე პერიოდისთვის ინდექსი უკვე მოიცავს 11 მაჩვენებელს და მათი მეშვეობით ხორციელდება უკვე 185 ქვეყნის შესაბამისი მონაცემების შეფასება, ეს მაჩვენებლებია:

- ბიზნესის დაწყება;
- ელექტროენერჯის მიღება;
- ქონების რეგისტრაცია;
- თანამშრომლების დაქირავება;
- ინვესტორთა დაცვა;
- გადასახადების გადახდა;
- საგარეო ვაჭრობა;
- კონტრაქტების აღსრულება;
- ბიზნესის დახურვა;
- ნებართვები და ლიცენზიები მშენებლობაზე.
- კრედიტის მიღება (დამატებითი მაჩვენებელი);
- მეწარმეობა (დამატებითი მაჩვენებელი).

ბიზნესის დაწყება. ანგარიშის მომზადებისას ხდება ყველა იმ პროცედურის აღრიცხვა და შეფასება, რაც საჭიროა კომერციული ან ინდუსტრიული ბიზნესის საწარმოებლად. ინფორმაცია მოიცავს ყველა აუცილებელი ნებართვის და ლიცენზიის მიღების შესაძლებლობებს. ამასთან, გათვალისწინებულია თითოეული პროცედურისთვის საჭირო დრო და დანახარჯები, ყველა ამ მონაცემს ადასტურებენ თითოეული ქვეყნის ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები

¹³⁶ **ლაღანიძე გ.** „ეკონომიკური ინდექსები და ეკონომიკური რეალობა“, „თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000764/New%20Microsoft%20Word%20Document.pdf>

და იურისტები. ამ პროცესში თითოეული ქვეყნიდან მონაწილეობენ იურიდიული ფირმები. მეთოდოლოგიას გააჩნია შესაფასებელი კომპანიისადმი ერთიანი მიდგომა, რასაც შესწავლას დაქვემდებარებული საწარმოები უნდა აკმაყოფილებდნენ¹³⁷.

განსაზღვრულია გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც აუცილებელია ბიზნესის წარმოებისთვის:

- **პროცედურა.** ორგანიზაციის რეგისტრაციისთვის გასაღველი პროცედურების რაოდენობა, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის დამფუძნებელს და მეორე მხარეს (სახელმწიფო მოხელე, იურისტი, აუდიტორი, ნოტარიუსი) შორის გარკვეულ ურთიერთობებს.

- **დრო.** თითოეული პროცედურისთვის დახარჯული დრო განსაზღვრულია კალენდარული დღეებით. პროცედურა დასრულებულად ითვლება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს ყველა საჭირო დოკუმენტს.

- **ღირებულება.** თითოეული პროცედურის ოფიციალური ღირებულება, ანუ რა თანხები იხარჯება ამ პროცედურებში.

- **საწყისი კაპიტალი.** გულისხმობს იმას, რომ მწარმოებელს საბანკო ანგარიშზე დეპოზიტის სახით უნდა გააჩნდეს გარკვეული თანხა. ღირებულების და საწყისი კაპიტალის დათვლისას თანხის ოდენობის შედარება ხდება ერთ სულ მოსახლეზე არსებულ შემოსავლებთან.

ამ მაჩვენებელში საკმაოდ კარგი შედეგები აქვს საქართველოს, ბიზნესის დაწყება მართლაც ძალიან მარტივია და ამ მაჩვენებელში ყველაზე განვითარებული ქვეყნების რიგში ვართ. ეს მაჩვენებელი აუცილებელია, თუმცა, არასაკმარისი, რადგან ბიზნესისთვის მთავარია არა მხოლოდ რეგისტრაციის თავისუფლება არამედ საქმიანობის თავისუფლებაც.

ნებართვები და ლიცენზიები მშენებლობაზე. ქვეყნებში სამშენებლო საქმიანობის დასაწყებად აუცილებელი ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვება, რომელიც გაიცემა შემოწმებისა და გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ. მშენებლობისთვის და შესაბამისი ლიცენზიის ან ნებართვის მიღებისთვის სამშენებლო კომპანია შესაბამის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს (მოცემული მოთხოვნების გასაცნობად რეკომენდირებულია ბიზნესისა და ეკონომიკის

¹³⁷ <http://www.bec.ge/images/doc/information%20of%20frazer%20index%20heritage%20foundation%20index%20and%20doing%20business.pdf>

ცენტრის ინფორმაციის სრულად გაცნობა)¹³⁸.

ელექტროენერჯის მიღება. განიხილება ყველა პროცედურები რაც საჭიროა ბიზნესის უწყვეტობისთვის, როგორცაა კავშირის და ელექტრო ენერჯის მიწოდების უწყვეტობა. აღნიშნული მოიცავს ყველა ხელშეკრულებას კომუნალური მომსახურების, აგრეთვე მანძილს ენერჯის პირველ წყაროდან შესაბამის ბიზნეს ობიექტებამდე. (2013 წლისთვის ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი აქვს საქართველოს და ის 38 ქულთაა გაუმჯობესებული წინა პერიოდთან შედარებით).

თანამშრომლების დაქირავება. ბიზნესის კეთება აფასებს დასაქმების რეგულირებას, თუ როგორ ზემოქმედებს ის თანამშრომელთა აყვანაზე და განთავისუფლებაზე. მუშათა დასაქმების პროცესი მოიცავს პიროვნების დაქირავებას, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული პირობების გათვალისწინებით (ანაზღაურება, სამუშაო საათები და სხვა)¹³⁹.

ქონების რეგისტრაცია. აღირიცხება ყველა ის აუცილებელი პროცედურა, რომელიც დაკავშირებულია უძრავი ქონების შექენასთან და გადაცემასთან. სამწუხაროდ, ამ მაჩვენებელში უძრავი ქონების შექენაში ძირითადად შედის „მეორად ბაზარზე“ არსებული ქონება და მის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები, რაც ჩვენი ქვეყნის მაგალითზე ვერ ასახავს ობიექტურ რეალობას.

კრედიტის მიღება. „ბიზნესის კეთების სიმარტივე“ ადგენს მონაცემებს კრედიტორების და დებიტორების სამართლებრივ უფლებებზე. აღიწერება კრედიტების გაცემს როგორ უწყობს ხელს თავდებობის და გაკოტრების კანონმდებლობა და როგორ იცავს კანონმდებლობა კრედიტორების და დებიტორების სამართლებრივ უფლებებს. აგრეთვე, ფასდება კრედიტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ხარისხი, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საკრედიტო რეგისტრების მხრიდან.

ინვესტორთა დაცვა. აღნიშნული ფასდება აქციათა უმცირესობის მფლობელების უფლებების დაცვის მდგომარეობა. გამოიყოფა ინვესტორთა დაცვის 3 ინდიკატორი: გარიგებების გამჭვირვალობა (სააშკარაოზე გამოტანის ხარისხის ინდექსი), დირექტორთა უფლებამოსილების ხარისხის ინდექსი და აქციათა მფლობელთა უფლებამოსილება საჭიროების შემთხვევაში საქმე აღძრან

¹³⁸ <http://www.bec.ge/images/doc/information%20of%20frazer%20index%20heritage%20foundation%20index%20and%20doing%20business.pdf>

¹³⁹ <http://www.bec.ge/images/doc/information%20of%20frazer%20index%20heritage%20foundation%20index%20and%20doing%20business.pdf>

დირექტორების წინააღმდეგ¹⁴⁰.

გადასახადების გადახდა. ამ შემთხვევაში იგულისხმება საშუალო ზომის კომპანიის მიერ წლის განმავლობაში გადახდილი გადასახადი. მათ შორის ადმინისტრირების ტვირთი. იანგარიშება მთავრობის (ბიუჯეტის) ყველა დონეზე გადახდილი გადასახადი და მოიცავს მოგების გადასახადს, სოციალურ გადასახადს, ქონების გადასახადს, გადასახადს ქონების გადაცემაზე, დივიდენდებზე დარიცხულ გადასახადს, ეკოლოგიურ გადასახადს და საგზაო გადასახადს.

საგარეო ვაჭრობა. ამ მიზნით ფასდება საქონლის ექსპორტირებისა და იმპორტირების პროცედურები. ხდება ყველა შესაბამისი პროცედურის აღრიცხვა. საქონლის ექსპორტირების პროცესის აღრიცხვა და შეფასება ხორციელდება წარმოების ადგილზე საქონლის თავდაპირველი შეფუთვიდან საზღვრის გადაკვეთამდე. ხოლო იმპორტის პროცედურა ქვეყნის საზღვრის გადმოკვეთიდან საწყობამდე.

კონტრაქტების აღსრულება. კონტრაქტების აღსრულების ინდიკატორი აჩვენებს სასამართლო სისტემის ეფექტიანობას კომერციული დავების მოგვარებაში. ინდიკატორი მიიღება სამოქალაქო კოდექსით და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების და სასამართლოს მარეგულირებელი წესების შესწავლით.

ბიზნესის დახურვა. ამ მაჩვენებლის მიღებისას ხდება გაკოტრების დროის, ღირებულების და შედეგების შესწავლა. იმისთვის, რომ გაკეთდეს შედარებითი ანალიზი ქვეყნების მიხედვით, გაკეთებულია დაშვება ბიზნესსა (კომპანია) და ბიზნესის დახურვის პროცესზე.


ყველა მოცემულ მაჩვენებელზე ითვლება და ანგარიშდება პროცედურები, შესაბამისი საჭირო დრო და ფინანსები.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ორი მაჩვენებელი - ბიზნესის დაწყება საქართველოში საკმაოდ მარტივია, მაგრამ ბიზნესის დახურვის პროცედურებია გაძნელებული. რაოდენობრივად უამრავი ფირმაა რეგისტრირებული (დაახლოებით 3,5 ათასი), რაც გამოწვეულია რეგისტრაციის სიმარტივით და ბიზნეს საქმიანობის შეწყვეტის დროს მრავალი პროცედურების გამო, საქმიანობის იურიდიულად

¹⁴⁰ <http://www.bec.ge/images/doc/information>

შეჩერების დემოტივაციით ¹⁴¹. შესაბამისად, ფირმებს უბრალოდ აჩერებენ და იხსნება ახალი ფირმები, ხოლო ეს გაჩერებული ფირმები რჩებიან მონაცემთა ბაზაში. ეკონომიკური ზრდისთვის მთავარია არა უბრალოდ ფირმების რიცხოვნობა, არამედ მოქმედი მომგებიანი ფირმების არსებობა¹⁴².

აქედან ნათელი ხდება რატომ არის საქართველოში მშპ ასეთი დაბალი (მოსახლეობის ერთ სულზე), იმ ქვეყნებთან მიმართებაშიც კი, რომლებსაც ამ ინდექსით დაახლოებით საქართველოს მსგავსი ან უფრო უარესი მაჩვენებლები აქვთ¹⁴³.



¹⁴¹ ლადანიძე გ., „ეკონომიკური ინდექსები და ეკონომიკური რეალობა“, „თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი“ სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000764/New%20Microsoft%20Word%20Document.pdf>

¹⁴² <http://www.gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/111/id/181/print/true>

¹⁴³ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000764/New%20Microsoft%20Word%20Document.pdf>
<http://www.doingbusiness.org/>

2013 წლისთვის საქართველო პირველი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრციდან, რომელიც „Doing Business“-ის რეიტინგების პირველ ათეულში მოხდა, მას მე-9-ე ადგილი უჭირავს ჯამური 26.6 ქულით (იხ. ცხრილი 4.2.6 და ზემოთ მოცემული დიაგრამა 4.2.4). თუმცა, ის პრობლემები, რომელზეც ზემოდ ვისაუბრეთ კვლავ ბიზნესის პრობლემებად რჩება და ბიზნეს საქმიანობის სფეროსთვის უფლებას ზღუდავს.

„Doing Business“-ის ინდექსის მიხედვით 2013 წლის საუკეთესო ათეული მაჩვენებლების მიხედვით¹⁴⁴

ქვეყნები	ილინიზა ილინიზა	ჯამური იანქსი	ბიზნესი იანქსი	საბიზნესო იანქსი	საბიზნესო იანქსი	საბიზნესო იანქსი	საბიზნესო იანქსი	საბიზნესო იანქსი	საბიზნესო იანქსი	საბიზნესო იანქსი	საბიზნესო იანქსი	საბიზნესო იანქსი
სინგაპური	1	8.1	4	2	5	36	12	2	5	1	12	2
ჰონკონგი	2	11.1	6	1	4	60	4	3	4	2	10	17
ახალი ზელანდია	3	12.2	1	6	32	2	4	1	21	25	17	13
აშშ	4	19.7	13	17	19	25	4	6	69	22	6	16
დანია	5	17.7	33	8	14	6	23	32	13	4	34	10
ნორვეგია	6	22.9	43	23	14	7	70	25	19	21	4	3
გაერთიანებული სამეფო	7	24.4	19	20	62	73	1	10	16	14	21	8
კორეა, სამ.	8	23.8	24	26	3	75	12	49	30	3	2	14
საქართველო	9	26.6	7	3	50	1	4	19	33	38	30	81
ავსტრალია	10	28.5	2	11	36	37	4	70	48	44	15	18

ცხრილი 4.2.6

¹⁴⁴ წყარო: „Doing Business“-ის ოფიციალური ვებ-გვერდი.
<http://www.doingbusiness.org/rankings>

**გ) მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი
(World Economic Forum)**

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციაა (ადგილსამყოფელი შვეიცარია, ჟენევა), რომელიც მუშაობს სხვა უამრავ მიმართულებასთან ერთად მსოფლიო ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.

„მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ ითვლის 144 ქვეყნის ეკონომიკას, 127 მახასიათებლის მიხედვით თითოეულ ქვეყანას ენიჭება შესაბამისი სარეიტინგო ქულა მიღებული შედეგების მიხედვით. საკმაოდ მრავლრიცხოვანი მახასიათებლებით სხვა ინდექსებთან შედარებით ის გაცილებით უკეთ ასახავს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის და რასაკვირველია ეკონომიკურ თავისუფლებასაც¹⁴⁵.

ეკონომიკის პროფესორი ხ. სოლა-ა-მარტინი (კოლუმბიის უნივერსიტეტი აშშ) ამბობს, რომ „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი არის ფანჯარა გრძელვადიანი ტენდენციებისა, რომელიც აყალიბებს მსოფლიო ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ გვთავაზობს სასარგებლო ინფორმაციას განსაკუთრებულ სფეროებში, სადაც ქვეყნებმა უნდა იმოქმედონ, თუ მათ სურთ საქმიანობის ოპტიმიზაცია, რომელიც სამომავლოდ განსაზღვრავს მათ ეკონომიკურ მომავალს“¹⁴⁶.

კონკურენტუნარიანობის ინდექსი მოიცავს როგორც მიკრო ასევე მაკრო მაჩვენებლებს. ის ითვლის და განსაზღვრავს საზოგადოების კეთილდღეობის ფაქტორებს. შესაბამისად, საკმაოდ საინტერესოა მოცემული ინდექსის მიხედვით ეკონომიკური თავისუფლების დამოკიდებულება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან. რადგან ეკონომიკური თავისუფლების შედეგად მიიღება თავისუფალი კონკურენცია ანუ კონკურენციითვის თავისუფალი გარემო.

მიმდინარე 2012-2013 წლის ანგარიშში კვლავ შევიცარია ლიდერობს, ხოლო საქართველო მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სარეიტინგო მაჩვენებელს (11 პუნქტით), თუმცა, სხვა ეკონომიკური ინდექსებისგან განსხვავებით ის მხოლოდ 77-ე ადგილს

¹⁴⁵ <http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2010-2011-0>

¹⁴⁶ <http://www.weforum.org/news/persisting-divides-global-competitiveness-switzerland-singapore-and-finland-top-competitiveness>

იკავებს. ცხრილში 4.2.7 შეგვიძლია ვიხილოთ საუკეთესო სარეიტინგო მაჩვენებლის მქონე 20 ქვეყანა და საქართველო¹⁴⁷, დაკავებული ადგილების ცვლილებები 2011-2012 და 2012-2013 წლების მიხედვით. მოცემული თვალსაჩინოდაა გამოსახული დიაგრამაში 4.2.5, სადაც უარყოფითი ნიშნითაა რამდენიმე მოწინავე ქვეყანა, მათ შორის აშშ.

**გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი,
2012-2013 წწ და 2011-2012 წწ ანგარიშებით
საუკეთესო ოცეული და საქართველო¹⁴⁸**

ქვეყნების ეკონომიკები	2012-2013 წწ		2011-2012 წწ	ცვლილება
	ადგილი	სარეიტინგო ანგარიში	ადგილი	
შვეიცარია	1	5.72	1	0
სინგაპური	2	5.67	2	0
ფინლანდია	3	5.55	4	1
შვედეთი	4	5.53	3	-1
ჰოლანდია	5	5.50	7	2
გერმანია	6	5.48	6	0
აშშ	7	5.47	5	-2
გაერთიანებული სამეფო	8	5.45	10	2
ჰონკონგი	9	5.41	11	2
იაპონია	10	5.40	9	-1
ყატარი	11	5.38	14	3
დანია	12	5.29	8	-4
ტაივანი (ჩინ.)	13	5.28	13	0
კანადა	14	5.27	12	-2
ნორვეგია	15	5.27	16	1
აუსტრია	16	5.22	19	3
ბელგია	17	5.21	15	-2
საუდის არაბეთი	18	5.19	17	-1
კორეა, სმხ.	19	5.12	24	5
ვსტრალია	20	5.12	20	0
საქართველო	77	4.07	88	11

ცხრილი 4.2.7


¹⁴⁷ <http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2010-2011-0>

¹⁴⁸ წყარო: „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ ოფიციალური ვებ-გვერდი www.weforum.org/gcr

გლობალური კონკურენტუნარიანობის 2012-2013 წწ ინდექსის და სარეიტინგო ადგილების ცვლილება 2011-2012 წწ მიმართებაში

(პირველი ოცეული და საქართველო)

წყარო: „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ ოფიციალური ვებ-გვერდი | www.weforum.org/gcr



„ეკონომიკების“ 127 მახასიათებელი ერთიანდება მაჩვენებლებში, შესაბამისად გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი შედგება 12 მაჩვენებლისგან:

1. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებების განვითარების ხარისხი;
2. სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურა;
3. მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
4. ჯანდაცვა და დაწესებულებების განათლება;
5. უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება;
6. საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა;
7. შრომის ბაზრის ეფექტიანობა;
8. ფინანსური ბაზრის განვითარება;
9. ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა (ტექნოლოგიური მზაობა);

10. ბაზრის სიდიდე;
11. ბიზნესის განვითარების დონე;
12. ინოვაციები¹⁴⁹.

ამრიგად, 144 ქვეყნის მიხედვით საქართველოს მაჩვენებლებში შემდეგი მაჩვენებლები აქვს.

1. ინსტიტუტები (4.00 ქულა) – 61-ე ადგილი. მოიცავს 22 ინდიკატორს, რომლის მიხედვით საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია (მე-9 ადგილი 4,6 ქულით) მთავრობის რეგულაციების სიმძიმეს უჭირავს, აგრეთვე კარგი პოზიციებიაა სამთავრობო ხარჯების დივერსიფიცირებაში. არარეგულარული გადახდების და ქრთამის, ინვესტორთა დაცვა, პოლიციის მომსახურების საიმედოობა, ხოლო ყველაზე სუსტი 3,1 ქულით და 131-ე ადგილზე საკუთრების უფლებაა.

2. ინფრასტრუქტურა (4.35 ქულა) – 53-ე ადგილი. მოიცავს 9 ინდიკატორს. ძლიერი პოზიციაა (41-ე ადგილი 4.0 ქულა) რკინიგზის ინფრასტრუქტურის ხარისხი. სუსტი პოზიციაა (110-ე ადგილი 29.4) ადგილი ქვეყნის ტერიტორიის ხელმისაწვდომობა ავიახაზებით¹⁵⁰.

3. მაკროეკონომიკური გარემო (4.40 ქულა) – 88-ე ადგილი. მოიცავს 5 ინდიკატორს. სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი, %-ული დამოკიდებულება მშპ-თან (-0,9 ქულა 37 ადგილი); ხოლო სხვა მაჩვენებლებში სუსტი პოზიციებია, მთლიანი ეროვნული დანახოგი, %-ული დამოკიდებულება მშპ-თან (10.9 ქულა 122 ადგილი); ინფლაცია, წლიური %-ული ცვლილება (8.5 ქულა 115 ადგილი); გრძელვადიანი მთავრობის ვალი, %-ული დამოკიდებულება მშპ-თან (33.9 ქულა 53 ადგილი); ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი (35.7 ქულა 91 ადგილი)¹⁵¹.

4. ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება (5.79 ქულა) – 61-ე ადგილი. მოიცავს 10 ინდიკატორს. წამყვანი პოზიცია მე-7 ადგილით დაწყებითი განათლების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელს უკავია (99.6-ქულა), ხოლო სუსტი პოზიცია

¹⁴⁹ <http://www.weforum.org/news/persisting-divides-global-competitiveness-switzerland-singapore-and-finland-top-competitiveness>

<http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24331224.html>

¹⁵⁰ http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2012-13.pdf

¹⁵¹ ჩუთლაშვილი ა., „გლობალური კონკურენტუნარიანობა და საქართველო“, „თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.გვ. 5-7.

ტუბერკულოზის შემთხვევები/100.000 კაცზე (107,0 ქულა, 96 ადგილი)¹⁵².

5. უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება (3.82 ქულა) – 93-ე ადგილი. აერთიანებს 8 ინდიკატორს, რომელშიც საუკეთესოა, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა სკოლებში (4,3 ქულა, 65 ადგილი) კვლევის და სატრენინგო მომსახურების ხელმისაწვდომობა (3,3 ქულა, 119 ადგილი).

6. საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა (4.18 ქულა) – 82-ე ადგილი. აერთიანებს 16 ინდიკატორს. აღნიშნულ მახასიათებელთა სისტემაში საქართველოს მაღალი აქვს ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო დღეები (2 ქულა, მე-2 ადგილი), ხოლო საკმაოდ სუსტი პოზიცია სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ხარჯები (3.1 ქულა, 128 ადგილი) და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა (2.9 ქულა, 141 ადგილი).

7. შრომის ბაზრის ეფექტიანობა (4.67 ქულა) – 35-ე ადგილი. მოიცავს 8 ინდიკატორს. კარგი პოზიციაა სამუშაოზე მიღებისა და გათავისუფლების პრაქტიკა (5.0 ქულა, მე-9 ადგილი), სისუსტეა ტვინების გადინება (3.0 ქულა, 104-ე ადგილი).

8. ფინანსური ბაზრის განვითარებულობა (3.79 ქულა) – 93-ე ადგილი. აქ გაერთიანებულია 8 ინდიკატორი. კარგი მაჩვენებელი გვაქვს იურიდიული უფლებების ინდექსით (საუკეთესო მაჩვენებელია 0-დან 10-მდე) (24 ქულა, მე-8 ადგილი), დაბალი პოზიცია დაფინანსების დონე ადგილობრივი საფონდო ბაზრის მეშვეობით (2.4 ქულა, 126-ე ადგილი)¹⁵³.

9. ტექნოლოგიური განვითარების დონე (3.71 ქულა) 76-ე ადგილი, აერთიანებს 7 ინდიკატორს. აქედან შედარებით უკეთესი მაჩვენებელი ფართო ხელმოწერები აბონენტების (მობილური)/100 კაცზე. (20.5 ქულა, 48-ე ადგილი), დაბალი მაჩვენებელი გვაქვს ფირმების მიერ ტექნოლოგიების ათვისების დონის მხრივ (4.0 ქულა, მე-123 ადგილი)¹⁵⁴.


10. ადგილობრივი ბაზრის მასშტაბები (2.87 ქულა) – 99-ე ადგილი, აერთიანებს 2 ინდიკატორს. შესაბამისად გვაქვს შიდა ბაზრის ზომის ინდექსი, (2.7 ქულა, 96-ე ადგილი) და საგარეო ბაზარზე ზომის ინდექსი (3.2 ქულა, 114 ადგილი).

¹⁵² http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2012-13.pdf

¹⁵³ ჩუთლაშვილი ა., - „გლობალური კონკურენტუნარიანობა და საქართველო“, „თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი“ სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.გვ. 5-7.

¹⁵⁴ http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2012-13.pdf

11. ბიზნესის წარმოების სიძნელე (3.40 ქულა) – 113-ე ადგილი, აერთიანებს 9 ინდიკატორს, ¹⁵⁵ შედარებით მაღალი მაჩვენებელი ბუნებრივ კონკურენტული უპირატესობა (3.3 ქულა, 81 ადგილი), დაბალია ადგილობრივი მიმწოდებელთა რაოდენობა (3.7 ქულა, 137-ე ადგილი). ამ მაჩვენებლიდან გამომდინარე საინტერესოა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ წარმოდგენილი „ბიზნესის კეთების“ პრობლემური ფაქტორები, რომლებიც წარმოდგენილია დიაგრამაში 4.2.6.



12. ინოვაციები (2.60 ქულა) – 126-ე ადგილი, მოიცავს 7 ინდიკატორს. შედარებით ძლიერი პოზიციას ყოველ მილიონ მოსახლეზე პატენტების ეფექტიანობა (1.5 ქულა, მე-60 ადგილი) და დაბალი პოზიცია გვიკავია სამეცნიერო

¹⁵⁵ http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2012-13.pdf

კვლევითი დაწესებულებების ხარისხის მიხედვით (2.6 ქულა, 125-ე ადგილი)¹⁵⁶.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი გვიჩვენებს იმ ძირითად ფაქტორებს და მახასიათებლებს, რომლებიც ბიზნესის კეთებას აფერხებს საქართველოში. ისევე როგორც ბიზნესის კეთების სიმარტივესა და სხვა ზემოთ განხილულ ინდექსებში ერთ-ერთ მიმე პრობლემად გვევლინება საკუთრების უფლება, რაც ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ეკონომიკური თავისუფლებისა კერძო საკუთრება პრობლემატიკურია, შესაბამისად არც ისაა გასაკვირი, რომ მაკროეკონომიკური გარემოს თვალსაზრისით ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი საკმაოდ დაბალია.

საკმაოდ პარადოქსულია როცა **სამუშაოზე მიღების და განთავისუფლების პრაქტიკაში** მაღალი შეფასება გვაქვს, მაგრამ ამავედრულად ქვეყნიდან **ტვინების (კვალიფიციური მუშახელის) გადინების** უდიდესი პრობლემა ფიქსირდება, მოცემული სწორედ ეკონომიკური თავისუფლების დაბალი დონითაა განპირობებული, რაც ე.წ. „უჩინარი ფეხის“ მეშვეობით ეკონომიკური მოტივით უზრუნველყოფს მოსახლეობის მიგრაციას.

აქტივებზე საკუთრების პრობლემების გამოძახილია აგრეთვე ძალზე დაბალი პოზიცია ადგილობრივი საფონდო ბაზრის მეშვეობით ფინანსების ბრუნვისა და დაფინანსების დაბალი დონე. რასაკვირველია თუ საფონდო ბაზარზე (ბირჟაზე) ვაჭრობა არ მიმდინარეობს, ფინანსური ბრუნვაც არ იქნება, ხოლო ბირჟაზე ვაჭრობას აფერხებს საკუთრების მხრივ აქტივების ჯერ კიდევ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა.

თითქმის ყველა სხვა დანარჩენი დაბალი მაჩვენებლები დაბალი ეკონომიკური თავისუფლების გამოძახილია და ზემოთ ჩამოთვლილი (საკუთრების პრობლემა, საფონდო ბაზრის და ა.შ) პრობლემებიდან გამომდინარეობს.

მოცემულ ინდექსები და არსებული მონაცემები, რომლებიც მოკლედ დავახასიათეთ რასაკვირველია ზეგავლენას ახდენენ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდასა და საზოგადოების კეთილდღეობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების და ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორის მშპ-ის ურთიერთ დამოკიდებულების ტენდენციებს.

¹⁵⁶ **ჩუთლაშვილი ა.**, „გლობალური კონკურენტუნარიანობა და საქართველო“, „თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.გვ. 5-7.

4.3 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებისა და მშპ-ის ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი

მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებსა („ფრეზერის ინსტიტუტი“ და „Wall Street Journal & The Heritage Foundation“) და ეკონომიკური ზრდის მთავარ მაჩვენებელს მშპ-ის ურთიერთდამოკიდებულების კვლევა, როგორც საქართველოს ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე.

კვლევის ფარგლებში შერჩეული იქნა მსოფლიოს 12 სხვადასხვა ქვეყანა და საქართველო, ეს ქვეყნებია: სინგაპური, შვეიცარია, აშშ, ესტონეთი, გერმანია, ლიტვა, სმხრეთ კორეა, სომხეთი, ტაილანდი, სენეგალი, ტოგო, ჩადი და საქართველო (იხ. ცხრილი 4.3.8 და ცხრილი 4.3.10).

მოცემული ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების მიხედვით იკავებენ სხვადასხვა პოზიციას და შესაბამისად გააჩნიათ სხვადასხვა რეიტინგი. შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმად გავითვალისწინეთ საკვლევ ქვეყანათა რიგში უნდა მოქცეულიყო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლების შესაბამისად ყველა ჯგუფის წარმომადგენელი. ამრიგად, ქვეყნების ჩამონათვალში განთავსდა როგორც მოწინავე, ასევე საშუალო და დაბალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებიც. გარდა ამისა, საკვლევი ქვეყნები შეძლებისდაგვარად შერჩეულ იქნა სხვადასხვა რეგიონებიდან.

შერჩეული ქვეყნებიდან უმრავლესობა სიდიდის და ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალით მეტწილად შეესატყვისება საქართველოს პოტენციალურ ეკონომიკურ შესაძლებლობებს (ტერიტორია, ადგილმდებარეობა, მოსახლეობა და სხვ.), საკვლევ არეალში განვიხილეთ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიც (ლიტვა, ესტონეთი, სომხეთი). ამით შედარებითი ანალიზის საფუძველზე უკეთ გამოვაგლინოთ საქართველოს პოტენციური შესაძლებლობები არა მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგებით, არამედ მშპ-ის ზრდის პოტენციური შესაძლებლობითაც.

ქვეყნების ჩამონათვალში მოქცეულია ისეთი ქვეყნებიც (აშშ, გერმანია) რომელებსაც სადღეისოდ არა მხოლოდ რეიტინგებში უკავიათ მაღალი პოზიცია, არამედ მსოფლიო ეკონომიკის მთავარ მოთამაშეებსაც წარმოადგენენ.

კვლევის შესაბამისად გვინდა ავხსნათ საქართველოს რეალობა, სადაც არც თუ ისე მაღალია ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელი (მშპ 1 სულზე). რითაა გამოწვეული, რომ მას ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით უფრო მაღალი

რეიტინგი აქვს, ვიდრე მასზე ეკონომიკური კეთილდღეობის უკეთესი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, გაგვანალიზოთ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ქვეყნების მიხედვით (იხ. ცხრილი 4.3.8)

„Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2000-2013 წლებში საკვლევი ქვეყნების მიხედვით¹⁵⁷

ადგილი 2013 წ.	2	5	10	13	19	21	22	34	38	61	116	158	172
ქვეყნები	სინგაპური	შვეიცარია	აშშ	ესტონეთი	გერმანია	საქართველო	ლიტვა	კორეა, სმს	სომხეთი	ტილანდი	სენგალი	ტოგო	ჩადი
2000	87.7	76.8	76.4	69.9	65.7	54.3	61.9	69.7	63	66.6	58.9	46.4	46.8
2001	87.8	76	79.1	76.1	69.5	58.3	65.5	69.1	66.4	68.9	58.7	45.3	46.4
2002	87.4	79.3	78.4	77.6	70.4	56.7	66.1	69.5	68	69.1	58.6	45.2	49.2
2003	88.2	79	78.2	77.7	69.7	58.6	69.7	68.3	67.3	65.8	58.1	46.8	52.6
2004	88.9	79.5	78.7	77.4	69.5	58.9	72.4	67.8	70.3	63.7	58.9	47	53.1
2005	88.6	79.3	79.9	75.2	68.1	57.1	70.5	66.4	69.8	62.5	57.9	48.2	52.1
2006	88	78.9	81.2	74.9	70.8	64.5	71.8	67.5	70.6	63.3	56.2	47.3	50
2007	87.1	78	81.2	78	70.8	69.3	71.5	67.8	68.6	63.5	58.1	49.7	50.1
2008	87.3	79.5	81	77.9	70.6	69.2	70.9	68.6	69.9	62.3	58.3	48.9	47.8
2009	87.1	79.4	80.7	76.4	70.5	69.8	70	68.1	69.9	63	56.3	48.7	47.5
2010	86.1	81.1	78	74.7	71.1	70.4	70.3	69.9	69.2	64.1	54.6	47.1	47.5
2011	87.2	81.9	77.8	75.2	71.8	70.4	71.3	69.8	69.7	64.7	55.7	49.1	45.3
2012	87.5	81.1	76.3	73.2	71	69.4	71.5	69.9	68.8	64.9	55.4	48.3	44.8
2013	88	81	76	75.3	72.8	72.2	72.1	70.3	69.4	64.1	55.5	48.8	45.2

ცხრილი 4.3.8

¹⁵⁷ „Heritage Foundation“-ის ოფიციალური ვებ-გვერდი
<http://www.heritage.org/index/download>

ამასთან „Wall Street Journal & The Heritage Foundation-ის ეკონომიკური თვისუფლების ინდექსი“-ს და „ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თვისუფლების ინდექსი“-ს სარეიტინგო მაჩვენებლებს შევადარებთ მშპ-ის ზრდის მაჩვენებლებთან. შესაბამისად, შედარების გასამარტივებლად მოცემული ქვეყნების მშპ-ის მაჩვენებელი გადავიყვანოთ კუმლატიურ კოიფიციენტში, ხოლო კუმლატიურ მშპ-ის კოლერაცია მოვახდინეთ ეკონომიკური თვისუფლების ინდექსთან (საბაზისო წლების მონაცემებთან). ქვეყნებს შორის შესადარისობის თვალსაჩინოებისა და ანალიზის აღქმადობის გასაადვილებლად მიღებული შედეგები გამოვსახეთ დიაგრამების სახით.

ვინაიდან „ეკონომიკური თვისუფლების ინდექსების“ კვლევითი ანგარიშები ეყრდნობა ორი წლის წინანდელ მონაცემებს, მშპ-ის მონაცემების შედარებას მოვახდინოთ ანგარიშების საბაზისო წელთან. მშპ-ის ზრდის ტენდენცია ქვეყნების მიხედვით ასახულია ცხრილში 4.3.9.

რეალური მშპ-ს ზრდა 1998-2011 წლებში (საკვლევი ქვეყნების მიხედვით)¹⁵⁸


წლები	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
აშშ	4.4	4.8	4.1	1.1	1.8	2.5	3.5	3.1	2.7	1.9	-0	-3.1	2.4	1.8
ჩადი	7	-0.7	-0.9	11.7	8.5	14.7	33.6	7.9	0.2	0.2	1.7	-1.2	13	1.8
ესტონეთი	6.7	-0.3	10	7.5	7.9	7.8	6.3	8.9	10.1	7.5	-4	-14.3	2.3	7.6
საქართველო	2.9	3	1.9	4.7	5.5	11.1	5.9	9.6	9.4	12.3	2.3	-3.8	6.3	7.2
გერმანია	1.7	1.7	3.3	1.6	0	-0.4	0.7	0.8	3.9	3.4	0.8	-5.1	4	3.1
კორეა, სამ.	-5.7	10.7	8.8	4	7.2	2.8	4.6	4	5.2	5.1	2.3	0.3	6.3	3.6
ლიტვა	7.6	-1.1	3.3	6.7	6.8	10.3	7.4	7.8	7.8	9.8	2.9	-14.8	1.4	5.9
სენეგალ	5.9	6.3	3.2	4.6	0.7	6.7	5.9	5.6	2.4	5	3.7	2.1	4.1	2.6
სინგაპური	-2.2	6.2	9	-1.2	4.2	4.6	9.2	7.4	8.8	8.9	1.7	-1	14.8	4.9
შვეიცარია	2.7	1.4	3.7	1.2	0.2	0	2.4	2.7	3.8	3.8	2.2	-1.9	3	1.9
ტაილანდი	-10.5	4.4	4.8	2.2	5.3	7.1	6.3	4.6	5.1	5.1	2.6	-2.3	7.8	0.1
ტოგო	-2.3	2.6	-1	-1.6	-0.9	5	2.1	1.2	4.1	2.3	2.4	3.5	4	4.9
სომხეთი	6.3	3.2	5.9	9.5	14.8	14.1	10.5	14.1	13.2	13.7	6.9	-14.1	2.1	4.6

ცხრილი 4.3.9

¹⁵⁸ წყარო: მსოფლიოს სავალუტო ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი.

<http://www.imf.org/external/datamapper/index.php>

ქვეყნების მონაცემთა შედარების შედეგად “Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის და მშპ-თან კოლერაციით (შედარებით), სხვადასხვა ქვეყნასთან მიმართებაში მივიღეთ განსხვავებული სურათი, როგორც ნაჩვენებია დიაგრამაში 4.3.7-ი¹⁵⁹. თუმცა, საერთო მახასიათებლით ქვეყნები ძირითადადში ორად, უარყოფითი კორელაციის და დადებითი კორელაციის მიხედვითაა დაყოფილი.



რიგი ქვეყნებისთვის (საქართველო, აშშ, სენეგალი, სომხეთი, ესტონეთი,

¹⁵⁹ წყარო: მსოფლიოს სავალუტო ფონდის და Hheritage-ის ოფიციალური ვებ-გვერდები.
<http://www.imf.org/external/datamapper/index.php>
<http://www.heritage.org/index/download>

ჩადი და ტოგო) კორელაციის კოეფიციენტი არის დადებითი ნიშნით, რაც ნიშნავს იმას, რომ მოცემულ ქვეყნებში ეკონომიკური თვისუფლების ინდექსის ცვლა იწვევს მშპ-ს ცვლილებას შესაბამისი ქვეყნისთვის დაფიქსირებული კორელაციული მაჩვენებლის შესაბამისად (უარყოფითის შემთხვევაში კლებას, დადებითის შემთხვევაში ზრდას).

ქვეყნები, რომლებიც კორელაციის უარყოფითი ნიშნით არიან, „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ს ეკონომიკური თვისუფლების ინდექსით იკავებენ საკმაოდ მაღალ სარეიტინგო ადგილს (ტაილანდი, შვეიცარია, სმხრეთ კორეა, სინგაპური, ლიტვა). ეს ნიშნავს იმას, რომ მოცემული ეკონომიკური პოზიციებიდან მშპ-ის ცვლილებას ეკონომიკური თვისუფლების ინდექსის ცვლილება ვერ იწვევს. ეს იმით აიხსნება, რომ ეს ქვეყნები იმყოფებიან ექსტენსიური ზრდის პიკზე და მიაღწიეს მაქსიმალურ მაჩვენებელს „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ს ეკონომიკური თვისუფლების ინდექსში შემავალი ფაქტორების გამოყენების მხრივ და ამ მაჩვენებლების ამაღლება ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენას ვეღარ ახდენს.


გერმანიას კორელაციის მაჩვენებელი აქვს „ნულოვანი“. აქედან გამომდინარე, ის არცერთ ჯგუფს არ განეკუთვნება, ქვეყანას სადღეისოდ თვისუფლების ინდექსის მიხედვით მდგრადი მდგომარეობა უკავია და ამ რეიტინგის გაუმჯობესება გამოიწვევს კორელაციის მაჩვენებლის უარყოფით დამოკიდებულებას და რეიტინგის გაუარესება დადებითს. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიას ამ პერიოდისთვის უჭირავს ოქროს შუალედი.

რაც შეეხება დადებითი კორელაციის მქონე ქვეყნების ჯგუფს, ამ ჯგუფიდან დამატებითი შეკითხვები შესაძლებელია გაჩნდეს აშშ-თან დაკავშირებით, რომელსაც დადებითი კორელაცია აქვს და შესაბამისად ნიშნავს, რომ ეკონომიკური თვისუფლების ინდექსის სარეიტინგო მაჩვენებლების ამაღლება მშპ-ის გაზრდის თვალსაზრისით დადებით შდეგს გამოიღებს.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ეკონომიკა მსოფლიოში მოწინავეა და ეკონომიკური განვითარების მაღალი მაჩვენებლები გააჩნია, ბოლო წლების მანძილზე შეინიშნება მისი მკვეთრი დაქვეითება ეკონომიკური თვისუფლების რეიტინგებში, რაც გამოწვეულია რიგი რეგულაციებითა და მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკით, რომლის გატარებაც აშშ-ს მთავრობებს ბოლო ათეული წლის განმავლობაში მოუწია (ტერორისტული საშიშროების გამო კონტროლი, საფონდო ვაჭრობის შეზღუდვების გახმაურებული პოლიტიკა და ა.შ). აღნიშულიდან გამომდინარე, მიმდინარე პერიოდისთვის აშშ-ში მშპ-ის ზრდისთვის დადებითი

მნიშვნელობა ექნება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში შემავალი კომპონენტების ამაღლებას.

მოცემულის თვალსაჩინოდ შეგვიძლია აშშ-ში მშპ-ის ზრდისა და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ცვლილების მონაცემები გამოვსახოთ დიაგრამის 4.3.8 სახით, სადაც ნათლად ჩანს ბოლო წლების სარეიტინგო მაჩვენებლების სტაგნაცია, აგრეთვე მშპ-ის ზრდის შენელებაც.



აშშ-ში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის სარეიტინგო მაჩვენებელი 2004 წლიდან მოყოლებული მუდმივი კლებადი ტემდენციისაა, რაც უფრო მკვეთრად შეინიშნება 2007-2011 წლებში. რაც შეეხება მშპ-ის ზრდის ტემპის შენელებას, ეს დამახაიათებელია ინტენსიური ეკონომიკური ზრდის ქვეყნების ეკონომიკისთვის, ხოლო მნიშვნელოვანი დაქვეითებები ძირითადად შესაძლებელია

დავაბრალთ მსოფლიო კრიზისულ შოკებს 2007-2008 წლებში.¹⁶⁰ თუმცა, აშშ-ს შოკებამდეც გააჩნია შენელების ტენდენცია, რაც ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კლების სახით ასახულია დიაგრამაში 4.3.8.

ზემო ხსენებული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური თავისუფლების დაქვეითება (არა მხოლოდ თავისუფლების ინდექსებში) გამომწვევია ეკონომიკური ზრდის დაქვეითების, მიუხედავად ქვეყნის სიდიდისა და ეკონომიკური სიმძლავრისა.


რაც შეეხება საქართველოს მშპ-ის ზრდას, პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი აქვს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით (გარდა 2008-2009 წლებისა, რაც მსოფლიო ეკონომიკური შოკების პერიოდს ემთხვევა), ხოლო მშპ-ს რაოდენობრივი სიდიდე ბევრად ჩამორჩება იმ განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც მასშტაბებით შეესატყვისებიან საქართველოს (პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საშუალო წლიური ზრდის ტემპით ჩამოვრჩებით ლიტვას და ესტონეთს). შესაბამისად ეკონომიკური კეთილდღეობის მთავარი მაჩვენებელიც – მშპ-ი 1 სულ მოსახლეზე დაბალია. მიუხედავად ამისა „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგში, მუდმივად ზრდადი მონაცემები გვაქვს, რაც მკვეთრად ჩანს დიაგრამაზე 4.3.9, სადაც საქართველოსთან ერთად ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ტენდენციის შედარებისთვის კვლევაში განხილული ქვეყნების მაჩვენებლებიცაა ასახული. ინდექსის მკვეთრი ზრდა შესაძლებელი აიხსნას მხოლოდ მოცემულ ინდექსის მიერ საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების არასრულფასოვანი შეფასებით.

მშპ-ის და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კორელაციისას საქართველოს აქვს დადებითი მონაცემი (0.14). ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლების 1%-ით გაუმჯობესება მშპ აუმჯობესებს 0.14%-ით. ამრიგად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მახასიათებლების გაუმჯობესება დადებითად აისახება ეკონომიკური ზრდის მთავარი მაჩვენებლის მშპ-ის ზრდაში.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგის გაუმჯობესება არ არის საკმარისი პირობა მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის, ის წარმოადგენს დადებით ხელშემწყობ ფაქტორს ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. სხვა

¹⁶⁰ <http://www.imf.org/external/datamapper/index.php>

საკითხია საქართველო თუ სხვა ქვეყნები რამდენად იყენებენ ამ ეკონომიკური თავისუფლების ინდექს ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისას.



როგორც წინა ქვეთავებში ავხსენით საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, თუ დაემატება ან გაფართოვდება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების შესაბამისი კრიტერიუმები ჩვენი ქვეყნის სპეციფიკის შესაბამისად, ეს გააუმჯობესებს შეფასების ინდიკატორებს და ჩვენს რეალობასთან მეტად დაახლოებულ თავისუფლების ინდექსს მივიღებთ, რაც წაადგება სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას. ვინაიდან “Heritage-ის ინდექსში „ათი თავისუფლებიდან“ დაბალი მაჩვენებლები გვაქვს, კორუფციისგან თავისუფლების, სახელმწიფოსგან თავისუფლების (მთავრობის ჩარევისგან თავისუფლება), ასევე ყველაზე მთავარ საკუთრების უფლების და ფინანსური თავისუფლების მხრივ.

დამატებითი ინდიკატორები დაეხმარება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელ უწყებებს ქონდეთ უფრო რეალური ინფორმაცია, ეკონომიკური თავისუფლების ასამაღლებლად, ეკონომიკური კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის გასაუმჯობესებლად.

საკვლევი ქვეყნების მშპ-ის მონაცემთა კორექცია მოვახდინეთ აგრეთვე „ფრეზერის ინსტიტუტის“ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსთან მიმართებაში (იხ. ცხრილი 4.3.10), ვინაიდან ფრეზერის ინსტიტუტის შეფასების კრიტერიუმები (5 კომპონენტი და 10 ბალიანი სისტემა აქვს)¹⁶¹ და მათ შორის მიღებული ჯამური

ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2000-2013 წწ საკვლევი ქვეყნების მიხედვით¹⁶²

რეტი ინგი	ქვეყნები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
2	სინგაპური	8.53	8.44	8.66	8.57	8.57	8.82	8.75	8.79	8.75	8.73	8.69
4	შვეიცარია	8.39	8.14	8.28	8.26	8.21	8.07	8.07	8.11	7.91	7.93	8.69
18	აშშ	8.45	8.23	8.22	8.17	8.15	8.07	8.01	8.08	7.89	7.58	7.69
14	ესტონეთი	7.36	7.42	7.50	7.58	7.57	7.84	7.81	7.77	7.55	7.45	7.74
28	ლიტვა	6.28	6.32	6.77	6.74	6.68	7.11	7.09	7.15	7.08	7.02	7.54
34	გერმანია	7.52	7.31	7.39	7.71	7.65	7.64	7.60	7.54	7.47	7.45	7.52
35	სომხეთი	-	-	-	-	6.46	6.55	6.83	7.17	7.12	7.15	7.42
37	კორეა, სმს.	6.58	6.90	7.00	7.09	7.18	7.36	7.52	7.56	7.39	7.37	7.4
42	საქართველო	-	-	-	6.4	6.7	7.1	7.29	7.25	7.47	7.36	7.34
87	ტაილანდი	6.52	6.20	6.67	6.66	6.68	6.92	7.02	7.04	7.04	6.96	6.7
123	სენეგალი	5.90	5.72	5.81	5.70	5.73	5.70	5.61	5.67	5.56	5.67	5.88
133	ტოგო	6.52	6.20	6.67	6.66	6.68	6.92	7.02	7.04	7.04	6.96	5.59
136	ჩადი	5.47	5.95	6.06	5.95	5.83	5.69	5.77	5.37	5.28	5.63	5.41

ცხრილი 4.3.10

¹⁶¹ <http://www.heritage.org/index/about>

¹⁶² წყარო: „ფრეზერის ინსტიტუტი“-ს ოფიციალური ვებ-გვერდი.
<http://www.freetheworld.com/index.php>

ქულების ციფრობრივი სიდიდეც განსხვავდება „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ს ინდექსისგან. გარდა ამისა, მონაცემთა კორელაციისას არ გამოვიყენეთ მშპ-ის კუმულატიური (ციფრებს შორის განსხვავების ურთიერთ შესატყვის სიდიდეში გადაყვანა) მაჩვენებლები არამედ პირდაპირ განვახორციელეთ მშპ-ის მაჩვენებლების შედარება ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსთან.


ამრიგად, „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსისაგან განსხვავებით, „ფრეზერის ინსტიტუტის“ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის და მშპ-ის კორელაციისას განსხვავებული შედეგი მივიღეთ, რისი ახსნაც ორი მთავარი მიზეზით შეიძლება: პირველი აღნიშნულ ორ ინდექს აქვს შეფასების განსხვავებული სისტემა, ეკონომიკური თავისუფლების სხვადასხვა ინდექს სხვადასხვა დამოკიდებულება აქვს ფაქტორებისადმი, ამიტომაც კოლერაციის შედეგები იდენტური არ აღმოჩნდა; მეორე ჩვენი კვლევის დროითი პერიოდი გაცილებით მცირეა (2000–2010 წწ) განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში (მათ შორის სომხეთიც), ვინაიდან 2004 წელიდან მონაცემები არ არსებობს.¹⁶³

მხოლოდ ზემოთ აღნიშნულით შეიძლება აიხსნას თუ რატომ აღმოჩნდნენ რიგი ქვეყნები პირველ შემთხვევაში უარყოფითი ნიშნით და მეორე შემთხვევაში დადაებითი კორელაციის ნიშნით (დიაგრამა 4.3.10).

ამრიგად, რეალური მშპ-ის ზრდასა და „ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“-ს კორელაციისას, დადებითი მაჩვენებლით აღმოჩნდნენ სინგაპური, შვეიცარია, აშშ, ესტონეთი, გერმანია მათ შორის ტოგო და ჩადი. ხოლო უარყოფითი დამოკიდებულებით (კორელაციით) ლიტვა, სმხრეთ კორეა, სომხეთი, ტაილანდი, სენეგალი და საქართველო.



თუ გავაანალიზებთ 2000-2010 წლებში რეალური მშპ-ის ზრდის და ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლებს, იკვეთება შემდეგი ტენდენცია: ყველა ქვეყანას, რომელსაც გაჩნია ინექსის ჯაჭვის ნაკლებად გამოსატული ცვლილების ტენდენცია ასეთი ქვეყნები ხასითდებიან დადებითი კოლერაციის მაჩვენებლით მშპ-ის მიმართ.

¹⁶³ „ფრეზერის ინსტიტუტი“-ს ოფიციალური ვებ-გვერდი.
<http://www.freetheworld.com/index.php>



ქვეყნებს, რომლებიც ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ჯაჭვის (ცვლილებით) ზრდის შედარებით სწრაფი აღმავლობით გამოირჩევიან (იხ. დიაგრამები 4.3.11 „ა“ და 4.3.11 „ბ“), აქვთ უარყოფითი კორელაცია (დიაგრამა 4.3.11 „ა“-ში მოცემული პირველი დონის, თავისუფალი ქვეყნები და საქართველო, ხოლო დიაგრამაში 4.3.11 „ბ“ II, III და IV დონის ეკონომიკურად ნაკლებად თავისუფალი და არათავისუფალი ქვეყნები მათ შორისაა საქართველოც). მაშასადამე, ფრეზერის ინსტიტუტის თავისუფლების ინდექსი ინდიკატორთა სპეციფიკიდან გამომდინარე მეტწილად რეალურ სურათს იძლევა სტაბილური ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყნებისთვის.


მიგვაჩნია, რომ მშპ-სა და „ფრეზერის ინსტიტუტის“ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებს შორის კავშირის უკეთ დასადგენად, ინდექსის მონაცემთა ჯაჭვის შესაბამისი მაჩვენებლების უფრო გრძელი პერიოდებია საჭირო, აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს გახლავთ სამომავლო უფრო გრძელვადიანი დაკვირვებისა და კვლევის საგანი.



ამრიგად, ფრეზერის ინსტიტუტის ანგარიშები კარგად ასახავს იმ ქვეყნების რეალობას, ვისაც მონაცემთა ხელმისაწვდომობა მაღალი აქვთ და მიღებული ინფორმაცია ზუსტად შეესატყვისება ამ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ რეალობას, გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი - კვლევის მიმდინარეობისას შესწავლილი ანგარიშების (2005-2013 წწ) მიხედვით ერთი და იგივე წლის მაჩვენებლებით უამრავი ქვეყანა სარეიტინგო ცხრილებში სხვა ინდექსითაა შეყვანილი, ხოლო ანგარიშის მთავარ მონაცემებში სხვა ციფრობრივი მონაცემია დაფიქსირებული. ეს ცდომილება დიდს არ წარმოადგენს, ის მეთოდებშია თუმცა თუ პროცენტულად შევხედავთ, ცდომილება მნიშვნელოვანია, რადგან ინდექსში თუნდაც უმნიშვნელო ცვლილება იწვევს ქვეყნის სარეიტინგო ადგილის რამდენიმე რიგით გადანაცვლებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამატებითი საკითხია კრიტერიუმების სიმწირე და გამოყენებული კრიტერიუმების ყველა ქვეყანაზე იდენტურად მისადაგება.

„ფრეზერის ინსტიტუტის“ და „Wall Street Journal & The Heritage Foundation“-ს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების ურთიერთ დამოკიდებულება წარმოდგენილია დიაგრამაში 4.3.12, სადაც ჩანს, რომ ამ ორი ორგანიზაციის



ინდექსის ცვლილება სხვადასხვა ტენდენციით მიმდინარეობს საქართველოსთვის, რაც მათი განსახვავებული მეთოდოლოგიით და მიდგომებითაა გამოწვეული.

კვლევიდან გამომდინარე ნათელია, რომ ეკონომიკურ ზრდას ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები არ იძლევა, ისინი მხოლოდ ზომავს ეკონომიკური თავისუფლების მახასიათებლებს გარკვეულ ინდიკატორებთან მიმართებაში. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებთან მიმართებაში უკუდამოკიდებულებას აქვს ადგილი საქართველოს ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით (არა მარტო საქართველოს), რიგი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებით (მაგ. „დუინგ ბიზნესი“) დღითიდღე ვაუმჯობესებთ რეიტინგს, რაც სამწუხაროდ ეკონომიკურ ზრდაში ვერ აისახება, ანუ ვერ აისახება უმთავრეს შედეგში ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში. რაც მოწმობს და რეალურად უტყუარი ინდიკატორია ეკონომიკური წარმატებისა და კეთილდღეობისა.

მაშასადამე, ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგის ამაღლება არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის და ეკონომიკური ზრდის მაღალი შედეგების მისაღწევად. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებს ქვეყანა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებით მოცემულ მაჩვენებლებს სამომავლო ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვაში.

მიუხედავად აღნიშნულისა, ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც ორიენტირებულია თავისუფალ ბაზარზე, (თავისუფალ გაცვალასა და ფასწარმოქმნაზე) ზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას როგორც ეკონომიკურ მახასიათებლებში ასევე საზოგადოებრივი სიკეთეთა ცხოვრების კრიტერიუმებითაც (განათლების ხარისხი, დემოგრაფიული მდგომარეობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა და სხვა).

ამრიგად, ეკონომიკური თავისუფლება არის საბაზრო ეკონომიკის მიმდევარი ქვეყნებისთვის მთავარი პირობა ეკონომიკური წარმატებისათვის, ის უზრუნველყოფს არამარტო კეთილდღეობის ამაღლებას, არამედ თავისუფლების მოპოვებასაც, რომელიც ასე მნიშვნელოვანია თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსთვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილმა და გაანალიზებულმა საკითხებმა, ჩატარებულმა კვლევებმა მოგვცა საშუალება ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულებაზე ჩამოგვეყალიბებინა შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები: თავისუფლების შეზღუდვა მართებული არ არის, თუმცა, ეს არ ეხება ეკონომიკური თავისუფლების ფარგლებს. ეკონომიკური თავისუფლება, თავისი არსით ყოველთვის რეგულირებადია და გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული, როგორც მიკრო ისე მეზო, მაკრო და მეგა დონეებზე.

- თავისუფლების გამოვლინება ანუ მისგან გამომდინარე ნება მატერიალურ სფეროში გადადის, ამით ის იძენს ეკონომიკურ ხასიათს, ამიტომ აუცილებელია მარეგულირებელი როლის შემსრულებელი ინსტიტუტის არსებობა, რადგან მატერიალურ სფეროში შეიძლება მოხდეს ეკონომიკურ ინტერესთა დაპირისპირება, მათი გადაკვეთა, ან შეკავშირება.

- საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება განპირობებულია კერძო საკუთრების არსებობით, რაც არჩევანის თავისუფლებას ზრდის, ხელს უწყობს თავისუფალ კონკურენციას და თავისუფალ გაცვლას ბაზარზე.

- საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეალური ეკონომიკური თავისუფლებისათვის საჭიროა გვექონდეს დომინირებადი კერძო საკუთრება. რადგან კერძო საკუთრების დომინირების პრინციპზეა აგებული საბაზრო ეკონომიკა, თუნდაც „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“. ეკონომიკური თავისუფლებისთვის კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ბაზარი, სადაც ადამიანები გარიგებებს დამოუკიდებლად პირადი სარგებლიანობის და არა სახელმწიფოს დირექტივების ზეგავლენის მიხედვით დებენ. კერძო გარიგებები არის კონკურენციის საფუძველი, ხოლო კონკურენცია ხარისხის და პროგრესის მთავარი პირობაა. ბაზრის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ ბაზარზე თავისუფალი გაცვლა ხორციელდება, თუნდაც ის კერძო ბაზარი იყოს. კერძო ბაზრის თავისუფლება დამოკიდებულია, დამოუკიდებელ და ნებაყოფილებით გაცვლაზე, გარიგებებზე რომლებზეც ზეგავლენას არ ახდენს არასაბაზრო სხვა გარემოება (პირდაპირ თუ ირიბად).

- სახელმწიფო ბაზარზე გარიგების ორივე მხარე (მყიდველი და გამყიდველი) ზრუნავს საკუთარ კეთილდღეობაზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს იძლევა საშუალებას სახელმწიფო წარმომადგენლების მხრიდან პირადი კეთილდღეობის მზრუნველობა გააძლიერონ და ასე წარმოიშობა თავისუფლების და კონკურენციის დამაკნინებელი ელემენტები. ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა იწვევს ეკონომიკური აგენტების ფორმალურიდან ჩრდილოვან სფეროში გადასვლას ან ლიკვიდაციას, ზღუდავს ფორმალურ ეკონომიკაში მოღვაწე ბიზნეს ერთეულთა ეკონომიკურ თავისუფლებას და ამით ასტიმულირებს კორუფციას და ჩრდილოვან სფეროს ეკონომიკაში.

- პოსტსოციალურ სივრცეში ეკონომიკურ თავისუფლებას სახელმწიფო ზღუდავს კერძო საკუთრების ფორმირების შეფერხებით, კერძოდ სოციალისტური სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებული სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში გადასვლის გაჭიანურებით, კერძოდ, „მეორადი ბაზარი“ იზღუდება სახელმწიფო „პირველადი ბაზრის“ დიდი წილით. აღნიშნული გარემოება სამწუხაროდ დღემდე ყურადღების მიღმა რჩება ეკონომიკურ თავისუფლების ხარისხის შემზღუდავ გარემოებებზე მომუშავე ორგანიზაციების და მკვლევარების მხრიდან. **ამრიგად „მკვდარი“ კაპიტალის გამოუყენებლობა არ იძლევა საშუალებას ნამდვილ საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის, რომლის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია კაპიტალი, ხოლო სიმძლავრე ეკონომიკური თავისუფლება.**

- ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დამოკიდებულია თავისუფალ არჩევანზე. შესაბამისად, ჩვენი დეფინიცია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხისა არის შემდეგი: **რაც მეტია ოპტიმალურ ალტერნატივათა რაოდენობა (რიცხვი), რომელთა ცალ-ცალკე არჩევას შეუძლია ოპტიმალური და რაციონალური (მომგებიანი) შედეგის მოტანა, მით მეტია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი.**

- ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს პიროვნულ თავისუფლებას, ხოლო ორივე ერთად ქმნის პოლიტიკურ თავისუფლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ადამიანის, საზოგადოების კეთილდღეობა, ეკონომიკურ ერთეულთა არსებობის ზღვრული არეალი, სახელმწიფოს საზოგადოებრივი ინტერესი, ერთ საერთო სივრცეშია გაწონასწორებული.** ამ ინტერესებს შორის საერთო თანაკვეთა გვაძლევს საერთო ეკონომიკური

თავისუფლების ხელსაყრელ არეალს. რაც მეტია ეს არეალი, მით მეტია ეკონომიკური თავისუფლება.

- სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში, კლებულობს ადამიანების კეთილდღეობა და შესაბამისად მცირდება საზოგადოების (მოქალაქეების) შემოსავლები, მცირდება მათი თავისუფლების დონე და ზოგადად საზოგადოება ნაკლებად მსყიდველობითუნარიანი ხდება (ანუ ღარიბდება), აღნიშნული უარყოფით ზეგავლენას ახდენს მთელ რიგ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით კი დანაზოგზე. ეკონომიკური თავისუფლება ახდენს მოგების დიფერენცირებას ჰორიზონტალურად ეკონომიკურ აგენტებს შორის, რაც იწვევს ჯამური (საერთო) დანაზოგის ზრდას, აგრეთვე დანაზოგების ოპტიმალურ ინვესტირებასაც, ხოლო ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა, პირიქით, იწვევს დანაზოგების და ინვესტიციების შემცირებას.

- **თუ სახელმწიფო ატარებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ლიბერალურ-ეკონომიკურ თავისუფლების მასტიმულირებელ პოლიტიკას, იზრდება ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი და დადებით ზეგავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რაც განსაზღვრავს ეკონომიკურ კეთილდღეობას და ეკონომიკურ ზრდას.**

- ეკონომიკური თავისუფლება იზღუდება კრიზისების დროს. თითქმის ყველა ანტიკრიზისული პოლიტიკა, ზრდის სამთავრობო ადმინისტრირების დონეს, შესაბამისად ის ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ვარდნის სიღრმის გაზრდა და დეპრესია. გარდა აღნიშნულისა, თვით კრიზისის უმთავრესი მიზეზი ეკონომიკური თავისუფლების არათანაბარი არსებობა მიგვაჩინი ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე.

- სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების განსხვავებულ დონე, ეკონომიკურ სეგმენტებში განაპირობებს არარეალურ ეკონომიკური წარმოდგენებს ე.წ „ბუშტების ბერვას“. ვინაიდან საინვესტიციო თანხები ვერ რეალიზდება რეალურ ეკონომიკაში, რაციონალური ალტერნატივების არ არსებობის გამო.

ეკონომიკურ კრიზისისას ირდევვა წონასწორობა ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნას შორის, ეკონომიკური თავისუფლების პირობებში შესაძლებელია რეცესიებისადმი შედარებით მდგრადი ეკონომიკური სისტემის მართვა, რომელიც საბაზრო პრინციპებით იმოქმედებს ვიდრე ხელოვნური ჩარევებით.

- თანამედროვე პირობებში ადამიანის ზრდადი მოთხოვნილებები ატარებენ წარმოებაზე წინმსწრებ ტენდენციებს – რაც წარმოშობს მაღალ მოთხოვნას, ხოლო ამ მოცემულობას მიწოდებამ ადექვატურად თუ ვერ უპასუხა, ადგილი აქვს თანხვედრი გარიგებების დარღვევას ანუ „დისბალანს“, ეს არ არის ბაზარზე საქონლის სიჭარბის სიტუაცია არამედ ბაზარზე „ახალგაზრდა საქონლის“ დეფიციტია, რომელზეც წინმსწრები მოთხოვნაა წარმოშობილი. შედეგად საქმე გვაქვს ერთობლივი „მიწოდების დაბერებასთან“.

დაზოგვის მნიშვნელოვანი მიზეზია ერთობლივი „მიწოდების სიბერე“. საერთოდ მზარდი შემოსავლების შესაბამისად იზრდება მოხმარებაც, მაგრამ თუ „მიწოდება დაბერებულია“, მაშინ იგი არ იხარჯება შემოსავლის ზრდის პროპორციულად, რაც დაზოგვის მიდრეკილებას ზრდის.

დანაზოგის ზრდა კრიზისის საშიშროების მატარებელია, მხოლოდ მაშინ, თუ არ მოხდა მისი თავისუფალი ინვესტირება ოპტიმალურად, ახალ ნოვაციურ დარგში. თავისუფალი ინვესტირება ვერ ხორციელდება თუ ეკონომიკური თავისუფლება დაბალია და თუ ხორციელდება არა იმ მიმართულებით რაზეც საზოგადოებრივი ანუ მომხმარებელთა ინტერესებია მიმართული.

- ეკონომიკური ვარდნის შესაჩერებლად ან შესარბილებლად საჭიროა ინვესტიციების დაბანდება ნოვაციებსა და მტკ-ში. ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაზოგის ზრდა სრულებითაც არ არის სავალალო და საშიში, თუ ის თავისუფლად ინვესტირდება ოპტიმალურად პროგრესირებად დარგებში წინმსწრები მოთხოვნილებების შესაბამისად. თუმცა, სახელმწიფოსთვის, ასევე კერძო სამეწარმეო ერთეულებისთვის, დანაზოგის ზრდა, თავის მხრივ, სიგნალი უნდა იყოს იმისა, რომ ინვესტირება ვერ ხორციელდება ოპტიმალურად და საჭიროა ეკონომიკური თავისუფლების მხარდაჭერა. აუცილებელია კერძო სუბიექტებმა გადახედონ ბაზარზე მდგომარეობს, რათა გამოიცნონ ახალი მოთხოვნილებები და მისი დაკმაყოფილებით დაიკავონ ახალი საქმიანობის ნიშა.

- ეკონომიკური თავისუფლების პირობებში გლობალური კრიზისის ლოკალური წარმატების ფაქტორიც არის. რიგი ქვეყნების სწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ეკონომიკური თვითუფლების უზრუნველყოფის გზით შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური კეთილდღეობა. ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ქვეყნას (რეგიონს) გლობალური კრიზისის ფონზე შეუძლია გაცილებით მეტი მიიღოს, ვიდრე დაკარგოს, რაც შესაძლებელია ეკონომიკური თავისუფლების

უზრუნველყოფით.

გლობალური კრიზისის ფონზე ეკონომიკური თავისუფლების ამაღლება, როცა გლობალურ დონეზე რეგულაციებით იზღუდება ეკონომიკური თავისუფლება იძლევა საშუალებას საინვესტიციო და მატერიალური რესურსების მოზიდვისა. ამავდროულად მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნების მაშველ რგოლებად შეიძლება იქცნენ დაბალგანვითარებული ქვეყნები მათი კრიზისიდან გამოყვანის თვალსაზრისით (აითვისონ გაიაფებული ჩაწოლილი საქონელი).

აღნიშნულისთვის საჭიროა ეკონომიკური თავისუფლება და მისი ხარისხის ამაღლება, მისი უზრუნველყოფის მთავარი ფაქტორების უზენაესობა.

- საბაზრო ეკონომიკა და ეკონომიკური თავისუფლება კერძო საკუთრებას და თავისუფალ კონკურენციას ემყარება, აქტივებზე კერძო საკუთრების საერთო მდგომარეობა ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური თავისუფლების განმსაზღვრელ მაჩვენებლებზე, რაც საბოლოოდ აისახება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების ცვლილებაში.

- კერძო საკუთრების თავისუფალი ფლობა-განკარგვის გარეშე გვაქვს ვითარება, სადაც იზღუდება თავისუფალი არჩევანი და თავისუფალი ბაზარი, ხოლო მათ გარეშე ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დაბალია. ამრიგად, კერძო საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და ერთმანეთს განაპირობებენ.

- კერძო საკუთრების დამკვიდრება იძლევა როგორც კეთილდღეობის ამაღლების ასევე, საბაზრო ბრუნვაში ახალი აქტივის ჩაბმის შესაძლებლობას. ეს თავის მხრივ, ხელს უწყობს კონკურენციას, ეკონომიკურ თავისუფლებას და აძლიერებს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს. საზოგადოების ახალი საკუთრების დამკვიდრების მოთხოვნილება აჩენს თავისუფალი ქმედების აუცილებლობას, რაც პირდაპირ ეხმანება თითოეული ადამიანის მისწრაფებას გაიუმჯობესოს და აიმაღლოს კეთილდღეობა.

- სახელმწიფო საკუთრება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში უსარგებლოდაა, ის ეკონომიკურად არაეფექტიანი და წამგებიანი ხდება. საქართველოს რეალობაში აქტივების ძირითადი მესაკუთრე სახელმწიფო მათ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმას ვერ ახერხებს, შესაბამისად ეკონომიკურად არაეფექტიანობასთან ერთად საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით წამგებიანია ასეთ აქტივზე სახელმწიფო საკუთრების უფლებაც, ის ზეგავლენას ახდენს თითოეული მოქალაქის თავისუფლებაზე, რადგან საკუთრების თავისუფალი

გაცვლა ეკონომიკური თავისუფლების მთავარი ფაქტორია.

- სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა კერძო საკუთრება გამხდარიყო კაპიტალური აქტივი, ფორმირებულიყო თავისუფალი კერძო ბაზარი და ამ აქტივების თავისუფალი ფასწარმოქმნის პროცესი შეუფერხებლად დაძრულიყო.

- საქართველოში სუსტია კერძო საკუთრების დაცვის შესაბამისი სამართლებრივი გარანტიებიც, მათ შორის კონსტიტუციის დონეზეც.

- საკუთრების ხელყოფისაგან დაცვის ეფექტიანი მექანიზმებია კონკურენცია და საკუთრების დივერსიფიცირება. საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება იძლევა საშუალებას ამა თუ იმ ქონებას, აქტივს მრავალი მესაკუთრის სახით გაუზიაროს მეტი დამცველი, რაც თავის მხრივ, კონკურენტული გარემოს ფორმირებას შეუწყობს ხელს და რასაკვირველია ეკონომიკურ თავისუფლებასაც გააძლიერებს.

- პრობლემის პრაქტიკულმა კვლევამ მოგვცა საშუალება განგვესაზღვრა სხვადასხვა ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა აქტივების კერძო საკუთრებად ფორმირებასა და მის ღირებულებასთან მიმართებაში, კვლევით დადგინდა, რომ საქართველოს რეალობაში აქტივების სამი ბაზარია: „სახელმწიფო ბაზარი“ (პირველადი); „იძულებითი ბაზარი“ (აღმასრულებლის მიერ ჩამორთმეული ქონების); „კერძო ბაზარი“ (კერძო მესაკუთრეთა მეორადი ბაზარი). ამ ბაზრების არსებობა და ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს კერძო საკუთრების ფორმირების საკითხს და მის შემდგომი თავისუფალი გამოყენება-განკარგვის საკითხსაც, რასაც, თავის მხრივ, მივეყვართ ეკონომიკურ თავისუფლებამდე და მის ხარისხამდე.

- მიწის აქტივებზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე, „პირველად ბაზარზე“ მიწის ცვალებადი მაღალი მიწოდების მიუხედავად ფასი მის მიმართ სუსტად რეაგირებს, რაც საბაზრო კანონზომიერებებს არ პასუხობს. კონკურენტული ბაზრის შემთხვევაში ჩატარებული აუქციონების რაოდენობა უკუპროპორციულად უნდა მოქმედებდეს ფასზე, თუმცა, კვლევამ გვიჩვენა, რომ ასეთი მკვეთრი კანონზომიერი დამოკიდებულება არ იკვეთება. შესაბამისად, აუქციონების რაოდენობა „პირველად ბაზარზე“ ვერ ახდენს ზეგავლენას აქტივის ღირებულებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ვთვლით, რომ ჩვენს რეალობაში არსებობს გაორებული ბაზარი, სადაც აქტივების „პირველადი ბაზარი“ აფერხებს „მეორადი ბაზრის“ ფუნქციონირებას.

- საქართველოში აქტივების ღირებულების ვარდნა გამოწვეულია პრივატიზებით, რამაც მაღალი მიწოდებით ფასები თითქმის ნულოვან დონემდე დაწია. მოცემული დაბალი ფასის პირობებში ეკონომიკური აქტივები ვერ იზიდავს კაპიტალს, რომელიც საჭიროა კვლავწარმოების პროცესისათვის და ვერ ხდება საინვესტიციო გარანტი.

- კერძო საკუთრების რეალურად ფორმირებისათვის და აქტივების ფასის ზრდისათვის აუცილებელია ბაზარზე პრივატიზების პროცესის შედეგად გაჩენილი ჭარბი მიწოდების გაქრობა, რის შემდეგაც მოთხოვნის მატება გაზრდის მათ ფასს. არაგონივრული ნაბიჯი იქნებოდა ამ პროცესის შეჩერება, ამიტომ, აუცილებელია პრივატიზების პროცესის სწრაფი დასრულება.

კერძო საკუთრების ფორმირებასთან დაკავშირებით გაგაგაჩნია შემდეგი რეკომენდაციები:

- ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო საკუთრება უმოკლეს ვადაში ფორმირებული უნდა იქნას კერძო საკუთრებად.

- საზოგადოების დაბალი მსყიდველობის უნარის გამო სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებად ფორმირებისთვის ყველაზე ეფექტიანი გზაა მისი უსასყიდლოდ გადაცემა ქვეყნის მოქალაქეებზე.

- საკუთრების დაცვის თვალსაზრისით საკუთრების დივერსიფიცირება მისი დაცვის ყველაზე ეფექტური მექანიზმია ანუ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს აქტივების კერძო მესაკუთრეთა შორის გადანაწილებაზე.

- ეკონომიკურ თავისუფლების და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების კვლევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ მათი ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვანაირია განსხვავებული ეკონომიკური სისტემის და განვიერების სხვადასხვა დონის მქონე ქვეყნებისთვის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცნობილია, ორი სახის ეკონომიკური ზრდა ინტენსიური და ექსტენსიური. ექსტენსიური ზრდის შემთხვევაში საჭიროა ეკონომიკური თავისუფლების მაქსიმალური ხელშეწყობა, განსაკუთრებით იმ მიმართულებით, რომ ეკონომიკური ზრდის ექსტენსიური ფაქტორები ათვისებული იქნას, რათა წინაპირობა შეიქმნას ინტენსიურ ეკონომიკურ ზრდაზე გადასასვლელად.

- ეკონომიკური თავისუფლება დადებით ზეგავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, მათ შორის მშპ-ზე და მეკ-ზე, ამასთან როგორც საერთო მაჩვენებლით, ასევე 1 სულ მოსახლეზე გათვლით და რაც მთვარია

ეკონომიკური თავისუფლება ზრდის საერთო საზოგადოებრივ კეთილდღეობას. ასევე ეკონომიკური თავისუფლება ეკონომიკური ზრდის მთვარი ხელშემწყობი ფაქტორია საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

- ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების დამოკიდებულების შესწავლამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები ბოლო პერიოდში გაუმჯობესებულა, რაც სამწუხაროდ ეკონომიკურ ზრდაზე შესაბამისად არ აისახება. მაშასადამე, ვერ აისახება კეთილდღეობის და ეკონომიკური წარმატების მთავარ უტყუარ ინდიკატორზე.

კვლევაში განხილული ინდექსების ანალიზით გაირკვა, რომ **(ფრეიზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი; Wall Street Journal & The Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი; მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსი; გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი)** საქართველოს დაბალი მაჩვენებლები აქვს კერძო საკუთრებასთან მიმართებაში (კერძო საკუთრების დაცვა), ეს გამომწვეულია იმით, რომ ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და კონკრეტულად საქართველოში კერძო საკუთრების ფორმირება-დამკვიდრების პროცესი გაჭიანურებულია და მწვავედ დგას. ფაქტობრივად მთლიანობაში კერძო და სახელმწიფო ქონების პროპორციული ურთიერთდამოკიდებულებაზე დაზუსტებული ინფორმაცია არ არსებობს. ამრიგად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების გაანგარისების აპრობირებული მეთოდები და მაჩვენებლები სრულ რეალობას ვერ ასახავენ და ეკონომიკური თავისუფლების დონის შესახებ არასრულ წარმოდგენებს ქმნიან (ზოგჯერ გადაჭარბებულად დადებითს და ზოგჯერ პირიქით). ყოველივე აღნიშნული ეკონომიკურ თავისუფლებას ინდექსების და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის არასანდო დამოკიდებულებაში აისახება.

ეკონომიკური თავისუფლების დაბალ დონეს, რიგ შემთხვევებში ასტიმულირებს სახელმწიფოში ბიუროკრატიის არსებობა თუმცა, უმთავრესი მიზეზი ეკონომიკური თავისუფლების დაქვეითების არის მცდარი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა.

- სახელმწიფო საკუთრება (საბაზრო ბრუნვიდან გათიშული) აქვეითებს ეკონომიკური თავისუფლებას, ზღუდავს თავისუფალი ბაზრის და თავისუფალი კონკურენტული ფასების არსებობას. კონკრეტულად კი ეს ეხება ეკონომიკური აქტივების ბაზრებს, შედეგად დაბალია მშპ-ის და მეკ-ის ზრდის რეალური ტემპი,

განსაკუთრებით პოტენციურ შესაძლებლობებთან შედარებით, აგრეთვე, მცირდება ეროვნული სიმდიდრე. ამრიგად კერძო საკუთრების დაცვასთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანია კერძო საკუთრების ფორმირების დონე. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელოვან კომპონენტად კერძო საკუთრებაა მიჩნეული. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები ძირითადად რეალურ და სანდო ინფორმაციას იძლევიან იმ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც კერძო საკუთრების ფორმირება დასრულებულია და შესაბამისად კერძო საკუთრებაც მაღალ დონეზეა დაცული.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კვლევისას საჭირო ინფორმაციის არასრულყოფასოვნებიდან გამომდინარე ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგები ნაკლებად სწორ წარმოდგენებს ქმნიან ეკონომიკური თავისუფლების დონის შესახებ და საბოლოოდ ეკონომიკური თავისუფლების მოწოდებული ინფორმაციის არასრულყოფილებაში აისახება.

- მართებული იქნებოდა, ეკონომიკის სრულ ფორმირებამდე და გარდამავალი ეტაპის დასრულებამდე „Heritage-ის“ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის განმსაზღვრელ ინდიკატორებს დამატებოდა ინდიკატორები ან რიგი მათგანი გაფართოებულიყო, გარდამავალი ტიპის პრობლემების შესატყვისად. ვინაიდან, საქართველოში კერძო საკუთრება ბოლომდე არ არის ფორმირებული, აქტივების ბაზარზე მნიშვნელოვანი წილი უკავია სახელმწიფო პირველად ბაზარს, საზოგადოების დაბალი მყიდველობითი უნარის გამო მნიშვნელოვნად შენელებულია საკუთრების დამკვიდრების (შექენის) პროცესი. კვლევიდან გამომდინარე „Heritage-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსთან“ მიმართებაში, გაგვჩნია შემდეგი რეკომენდაციები:

– მართებულია საქართველოს ტიპის ქვეყნებისთვის „Heritage-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ ინდიკატორებს დაემატოს შემდეგი სრული ან ქვე ინდიკატორი: **პირველადი (სახელმწიფო) ბაზრისგან თავისუფლება, კერძო საკუთრების დამკვიდრების თავისუფლება** (შესაძლებელია საკუთრების უფლების ქვეინდიკატორად განსაზღვრა) და **საკუთრების ფორმირების თავისუფლება** (ანუ სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებად ფორმირების თავისუფლება).

ამ ინდიკატორების ამუშავებით უფრო სრულყოფილი იქნება გარდამავალი ტიპის ქვეყნებისთვის ეკონომიკური თავისუფლების განსაზღვრა. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია მოცემული კრიტერიუმების დაბალ მაჩვენებლებთან,

როგორებიცაა კორუფციისგან თავისუფლება, სახელმწიფოსგან თავისუფლება (მთავრობის ჩარევისგან თავისუფლება), საკუთრების უფლება და ფინანსური თავისუფლება.

– „დუინგ ბიზნეს“-ის ინდექსში განსაკუთრებით ყურადსაღებია ორი მაჩვენებელი. ბიზნესის დაწყება საქართველოში საკმაოდ მარტივია, მაგრამ ბიზნესის დახურვის პროცედურებია გაძნელებული. შედეგად რაოდენობრივად უამრავი ფირმაა რეგისტრირებული (დაახლოებით 3,5 ათასი), რაც გამოწვეულია რეგისტრაციის სიმარტივით და ბიზნეს საქმიანობის შეწყვეტის ოფიციალური პროცედურების სიძნელით.

– „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“-ში საქართველოს სამუშაოზე მიღების და განთავისუფლების პრაქტიკაში მაღალი შეფასება აქვს, მაგრამ ამავდრულად ქვეყნიდან ტვინების (კვალიფიციური მუშახელის) გადინების უდიდესი პრობლემა ფიქსირდება, მოცემული სწორედ ეკონომიკური თავისუფლების დაბალი დონითაა განპირობებული რაც ე.წ. „უჩინარი ფეხის“ დამსახურებაა.

ინდექსებში თითქმის ყველა სხვა დანარჩენი დაბალი მაჩვენებლები საქართველოში დაბალი ეკონომიკური თავისუფლების გამოძახილია და ზემოთ ჩამოთვლილი (საკუთრების პრობლემა, საფონდო ბაზრის და ა.შ) პრობლემებიდან გამომდინარეობს.

- კვლევისას “Wall Street Journal & The Heritage Foundation-ს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“-ს მაჩვენებლთა მშპ-თან კორელაციის შედეგად, ქვეყნები ძირითადადში განიხილებიან უარყოფითი კორელაციის და დადებითი კორელაციის მიხედვით.

– ქვეყნები, რომლებიც კორელაციის უარყოფითი ნიშნით არიან, „Heritage-ს ინდექსით“ იკავებენ საკმაოდ მაღალ სარეიტინგო ადგილებს, ეს ნიშნავს, რომ მოცემული ეკონომიკური პოზიციებიდან მშპ-ის ცვლილებას ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ცვლილება ვერ იწვევს, რაც აიხსნება იმით, რომ ეს ქვეყნები იმყოფებიან ექსტენსიური ზრდის პიკზე და მიაღწიეს მაქსიმალურ მაჩვენებელს „ინდექსში“ შემავალი ფაქტორების გამოყენების მხრივ.

– მშპ-ის და „Heritage-ს ინდექსის“ კორელაციისას საქართველოს აქვს დადებითი მაჩვენებელი (0.14), რაც გულისხმობს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლების შესაბამისი 1%-ით გაუმჯობესება მშპ-ს აუმჯობესებს 0.14%-ით.

– მხოლოდ „The Heritage-ს ინდექსი“-ს რეიტინგის გაუმჯობესება არ არის საკმარისი პირობა ეკონომიკური ზრდისთვის. ის წარმოადგენს დადებით ხელშემწეობ ფაქტორს ეკონომიკური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. სხვა საკითხია საქართველო თუ სხვა ქვეყნები როგორ იყენებენ ამ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს (რომელიც მეტწილად საინფორმაციო ხასიითისა).

– „Heritage-ს ინდექსი“-გან განსხვავებით „ფრეზერის ინსტიტუტის“ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კორელაციისას განსხვავებული შედეგი მივიღეთ, რისი ახსნაც ორი მთავარი მიზეზით შეიძლება: პირველი აღნიშნულ ორ ინდექსს აქვს შეფასების განსხვავებული სისტემა, ეკონომიკური თავისუფლების სხვადასხვა ინდექსს სხვადასხვა დამოკიდებულება აქვს ფაქტორებისადმი, ამიტომაც კორელაციის შედეგები იდენტური არ აღმოჩნდა; მეორე ის, რომ ჩვენი კვლევისას დროითი პერიოდი გაცილებით მცირეა (2000–2010 წ) განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში (მათშორისაა სომხეთიც) ვინაიდან 2004 წელს იქით მონაცემები არ არსებობს.

- 2000-2010 წწ-ში რეალური მშპ-ს ზრდის და „ფრეზერის ინსტიტუტის ინდექსის“ მაჩვენებლების ანალიზით გამოიკვეთა, შემდეგი ტენდენცია - ყველა ქვეყანას, რომელსაც გაჩნია ინდექსის ჯაჭვის ნაკლებად გამოხატული ზრდადი ტენდენცია ან გააჩნია საერთოდ კლებადი ტენდენცია, ხასიოდებიან დადებითი კორელაციის მაჩვენებლით მშპ-ის მიმართ. ხოლო ქვეყნები, რომლებიც ინდექსის ჯაჭვის შედარებით მაღალი აღმავლობით გამოირჩევიან, აქვთ უარყოფითი კორელაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფრეზერის ინსტიტუტის თავისუფლების ინდექსი მეტწილად ინდიკატორთა სპეციფიკიდან გამომდინარე რეალურ სურათს იძლევა ნაკლებად ცვალებადი (სტაბილური) ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყნებისთვის. მშპ-სა და „ფრეზერის ინსტიტუტი“ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს შორის კავშირის უკეთ დასადგენად, ინდექსის მონაცემთა ჯაჭვის შესაბამისი მაჩვენებლების უფრო გრძელი პერიოდებია საჭირო.

– ფრეზერის ინსტიტუტის ანგარიშები კარგად ასახავენ იმ ქვეყნების რეალობას, ვისაც მონაცემთა ხელმისაწვდომობა მაღალი აქვთ და მიღებული ინფორმაციაც ზუსტად შეესატყვისება ამ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ რეალობას.

- ეკონომიკურ ზრდას ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები არ იძლევიან, ისინი მხოლოდ ზომავენ ეკონომიკური თავისუფლების მახასიებლებს გარკვეულ

ინდიკატორებთან მიმართებაში, თუმცა, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაძლებელია გამოვიყენოთ ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ასამაღლებლად და ეკონომიკური კეთილდღეობის ასამაღლებლად

კვლევა ადასტურებს, რომ ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც ორიენტირებულია თავისუფალ ბაზარზე (თავისუფალ გაცვლასა და ფასწარმოქმნაზე), დადებითად მოქმედებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე და ზრდის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, როგორც წმინდა ეკონომიკურ მახასიათებლებში, ასევე ცხოვრების ზოგად საზოგადოებრივ სიკეთეთა კრიტერიუმებითაც.

ლიტერატურა

1. ალჩიანი ა., დემსეცი ჰ., „საკუთრებითი უფლებების პარადიგმა „თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III წიგნი, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, თბ., 2005.
<http://nesgeorgia.org/files/III-50-alchiani.pdf>
2. ანანიაშვილი ი., „ლაფერის მრუდი თუ მრუდების ოჯახი“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №3, თბ., 2009.
3. აზნარი ხ. მ., „ლათინური ამერიკა: დღის წესრიგშია თავისუფლება“, „თავისუფლების ბიბლიოთეკა“ კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008.
4. ბასტია ფ., „საკუთრება და კანონი“. „თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული“ III. „ლიბერალიზმი და საკუთრება“.
<http://nesgeorgia.org/files/III-30-bastiai.pdf>
5. ბალცეროვიჩი ლ., საკუთრების ანალიზი „ნაწევები წიგნიდან „კაპიტალიზმი, სოციალიზმი, ტრანსფორმაცია“, სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, /ა. გრიშკაშვილის თარგმნა/, თბ., 2002.
6. ბალცეროვიჩი ლ., „საკუთრებითი უფლებების ანალიზი“, „თავისუფლების ბიბლიოთეკის“ კრებული III წიგნი, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, თბ., 2005.
7. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ., „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია, საქართველოს ეკონომიკა XXI ს-ის მიჯნაზე“, თბ., 2001.
8. ბუთხუზი თ., „შესაძლებლობის აღსრულება“, თბილისი, 2008.
9. გარისონი რ., ქირზნერი ი., „ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკი“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული VI, „თავისუფლების მოაზროვნეები“, თბ., 2008.

10. **გარდავა მ., გერლიანი რ., ჩალაფეიქრიშვილი ვ.** „აქტივების ბაზრის განვითარების გრაფიკული ანალიზი მიწის ბაზრის მაგალითზე”
<http://www.facebook.com/epec.ge?ref=hl>
11. **გაგნიძე ი.,** „ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კლასტრები: ისტორია და თანამედროვეობა“, თბ., 2012.
12. **გერლიანი რ.,** „ეკონომიკური თავისუფლების როლი და ფარგლები ეკონომიკურ პოლიტიკაში”, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №4, თბ., 2010.
13. **გერლიანი რ.,** „ეკონომიკური თავისუფლება და ეკონომიკური კრიზისები”, „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები”, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, თბ., 2012.
14. **გველესიანი რ.,** „კონკურენციის პოლიტიკის ამოცანები და პრობლემები“, ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, №3, თბ., 2010.
15. **გველესიანი რ., გოგორიშვილი ი.,** „ეკონომიკური პოლიტიკა“, წიგნი I, II. თბ., 2008.
16. **გოგონია რ.,** „შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები”, თბ., 2004.
17. **დარბუაშვილი ნ.,** „ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის კონცეპტუალური მიმართულებანი“, თბ., 1999.
18. **ღორნი ჯ. ა.,** „საკუთრების წამყვანი როლი ლიბერალური კონსტიტუციური წყობის პირობებში: გაკვეთილები ჩინეთისთვის“, „თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული“ III წიგნი, ლიბერალიზმი და საკუთრება, თბ., 2005.
19. **ეთერია ე.,** „გლობალიზაცია და გლობალური ეკონომიკის რეგულირების პერსპექტივები“, „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები”, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი თბ., 2012.
20. „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ - „კონკურენციის პოლიტიკა და ბიზნესის რეგულირების პრაქტიკა“, თბ., 2012.

21. **ვალერშტაინი ი.**, „გლობალური კრიზისის დინამიკა (დაუსრულებელი):
ოცდაათი წლის შემდეგ”
<http://leftists.wordpress.com/2010/10/18/>
22. **„თავისუფლება და უსაფრთხოება”** /კონტრატ ადენაუერის ფონდის
რეგიონალური პროგრამა/, „გერმანიისთვის მოქმედი ძირითადი
პრინციპები“, თბ., 2007.
23. **„თავისუფლების ბიბლიოთეკა“**, „ინტელექტუალები, განათლება და
თავისუფლება“ წიგნი IV, თბ., 2006.
24. **„თავისუფლების ბიბლიოთეკა“**, „რეფორმები და თავისუფლება”
კრებული V, თბ., 2008.
25. **„თავისუფლების ბიბლიოთეკა“**, „თავისუფლების მოაზროვნეები“
წიგნი VI, თბ., 2008.
26. **„თავისუფლების ბიბლიოთეკა“**, „თავისუფლების ფული“, წიგნი VIII,
თბ., 2010.
27. **თაკერი ბ.**, „სახელმწიფოს დამოკიდებულება პიროვნებისადმი“,
თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული, „ლიბერალიზმი და
ძალაუფლება“.
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4---4---0-1|-11-en-10---10-about-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL4.1&d=HASHae602a6ff7637813421b98.5>
28. **დადიანი თ.**, „საქართველოს ადგილი საერთაშორისო რეიტინგებში“.
<http://www.gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/186/id/356/print/true>
29. **თეთრუაშვილი მ.**, „სახელმწიფოს ეკონომიკური როლი თავისუფლების
პირობებში“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, თბ., 2007. №4.
30. **თერო დ.**, „საკუთრებითი უფლებები ბუნებრივი რესურსების,
განადგურების წინააღმდეგ“ /რ. კრავეიშვილის თარგმნა/, თავისუფლების
ბიბლიოთეკის კრებული III, „საკუთრება და თავისუფლება“, თბ., 2005.
<http://nesgeorgia.org/files/III-90-tero.pdf>

31. **ილარიონოვი ა.**, „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, „თავისუფლების ბიბლიოთეკა“, კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008.
32. **იუნკსი ე.**, „მილტონ ფრიდმენის პრაგმატული ლიბერტალიანიზმი“, „თავისუფლების ბიბლიოთეკა“, კრებული VI, „თავისუფლების მოაზროვნეები“, თბ., 2009.
33. **კაპელუშნიკოვი რ.**, „საკუთრებითი უფლებების ეკონომიკური თეორია“, /გ. ველესიანის თარმნა/ „თავისუფლების ბიბლიოთეკა“ კრებული III, „საკუთრება და თავისუფლება“, თბ., 2005.
<http://nesgeorgia.org/files/III-70-kapelusha.pdf>
34. **კახნიაშვილი ჯ.**, „მაკროეკონომიკა“, თბ., 2002.
35. **კლაუსი გ.**, „რა ემუქრება თავისუფლებას XXI საუკუნეში“ „თავისუფლების ბიბლიოთეკა“, კრებული V, „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2007.
36. **ლამსდორფი ო.**, „თავისუფლება – სიღარიბის საუკეთესო წამალი“, „თავისუფლების ბიბლიოთეკა“, კრებული V, „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008.
37. **ლოკი ჯ.**, საკუთრების შესახებ „მეორე თხზულება სამოქალაქო ხელსუფლების შესახებ“, „თავისუფლების ბიბლიოთეკა“ კრებული III, „საკუთრება და თავისუფლება“, თბ., 2005.
<http://nesgeorgia.org/publicationst3.php>
38. **მექვაბიშვილი ე.**, „ეკონომიკური კრიზისების თეორია და გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ ეკონომიკური კრიზისები“, „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი თბ., 2012.
39. **მალხაზიშვილი დ.**, „რას გვიჩვენებს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“, ჟურნალი „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, №1 (97), თბ., 2008.
40. **მალხაზიშვილი დ.**, „რას მოუტანს ეკონომიკური თავისუფლების აქტი საქართველოს ეკონომიკას“, ჟურნალი „ბიზნესი და მენეჯმენტი“, თბ., № 4(24). 2009.

41. **მეჭვანიშვილი ე.** „გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პრაქტიკული რეცეპტები“ (მიზეზები, ხასიათი და პერსპექტივები), ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, თბ., 2009.
42. **მეჭვანიშვილი ე.** „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ კრიზისი გლობალური ფინანსური კრიზის ფონზე, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, თბ., 2008.
43. **მიმინოშვილი თ., ქათამიძე ა.** „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“, „ბიულეტენი“, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, თბ., 2000.
44. **მიხეისი ლ. ფ., ჰაეკი ფ. ფ.** „ლიბერალიზმის საფუძველი“, „თავისუფლების ბიბლიოთეკა“, წიგნი I. თბ., 2004.
45. **მელქოშვილი თ.** „ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიის არსის მეცნიერული გაგებისათვის“, სუხიშვილის უნივერსიტეტი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენცია, გორი 2010.
46. **მურდულია თ.** „ანტიმონოპოლიური რეგულირების როლი მდგრადი განვითარების სისტემაში და მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივი ინტერესის პოზიციიდან“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“, კონკურენციის პოლიტიკა და ბიზნესის რეგულირების პაქტიკა, თბ., 2012.
47. **მჭედლიძე კ.** „საქართველოში ეკონომიკური თავისუფლება უარესდება“.
<http://www.radiotavisupleba.ge/content/economic-review/24716769.html>
48. **ნარმანია დ.** „ანტიმონოპოლიური რეგულირების საჭიროება პატარა ქვეყნებში“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“, კონკურენციის პოლიტიკა და ბიზნესის რეგულირების პრაქტიკა, თბ., 2012.
49. **ოქროცვარიძე ზ.** დისერტაცია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პირობებში“, „საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი“, თბ., 2006.
50. **პინერა ხ.** „საკუთრების უფლება და დოვლათი“, „თავისუფლების ბიბლიოთეკა“ კრებული V, „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008.

51. ჟურნალი “ბიზნესი და კანონმდებლობა”. №7 ოქტომბერი, თბ., 2005.
52. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ თბ., 2003, 2006.
53. **რიჩარდსონი გ. ჯ.**, „როგორ გამოიწვია საკუთრების უფლებების დაკარგვამ ზიმბაბვეს კოლაფსი“, „თავისუფლების ბიბლიოთეკა“, კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2007.
54. **როთბარდი მ. ნ.**, „კანონი, საკუთრებითი უფლებები და ჰაერის დაბინძურება“ /რ. კრავეიშვილის თარგმნა/, „თავისუფლების ბიბლიოთეკის“ კრებული III, „საკუთრება და თავისუფლება“, თბ., 2005.
<http://nesgeorgia.org/files/III-60-rothbard.pdf>
55. **რეისმანი ჯ.**, „კაპიტალიზმის დაცვა კაპიტალისტებისაგან“, „თავისუფლების ბიბლიოთეკა“, კრებული IV, „ინტელექტუალები განათლება და თავისუფლება“, თბ., 2008.
56. **სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ.** „ეკონომიკა“ ტომი III. თბ., 2000.
57. **სამუელსონი პ., ნორდჰაუსი უ.** „ეკონომიკა“ ტომი IV. თბ., 2000.
58. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, „შრომების კრებული“, ტომი: III, IV, V. თბ., 2003; 2004; 2005.
59. **სვანიძე ს.**, დისერტაცია, „არაპირდაპირი გადასახადები მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები“, „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ქუთ., 2009.
http://www.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_svanadze.pdf
60. **ფრიდმენი მ.**, „ეკონომიკური, პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლება“, თავისუფლების ბიბლიოთეკა, წიგნი IV, „ინტელექტუალები, განათლება და თავისუფლება“, თბ., 2007.
61. **ღაღანიძე გ.**, „ეკონომიკური ინდექსები და ეკონომიკური რეალობა“, „თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი“ სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.
62. **ჩალაფეიქრიშვილი ვ.**, „საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის გავლენა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 4. თბ., 2011.
63. **ჩიქობავა მ.**, „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღა და მისი გავლენა საქართველოზე“, „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“,

საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი თბ., 2012.

64. **ჩუთლაშვილი ა.**, „გლობალური კონკურენტუნარიანობა და საქართველო“, „თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2010.
65. **ჩხაიძე ი.**, „როგორ გავმდიდრდეთ ანუ ჩვენი გზა ეკონომიკურ კეთილდღეობისაკენ“, თბ., 1999.
66. **ჩხაიძე ი., ტორნჯაძე თ.**, „სვპ სისტემა, რა გვიშველის“, თბ., 2003.
67. **ჩხაიძე ი.** „გვაკლია კაპიტალიზაცია“.
http://www.facebook.com/note.php?note_id=223606184338603
68. **ჭითანავა ნ.**, „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ III, თბ., 2001.
69. **ხადური ნ.**, „ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები“, კრებულში „მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო“, თსუ, თბ., 2009.
70. **ხადური ნ.**, „ეკონომიკის რეგულირების „ლიბერალური“ ეტაპის წინააღმდეგობანი“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 16, თბ., 2009.
71. **ხადური ნ.**, “ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში 1990-2009 წლებში“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“, კონკურენციის პოლიტიკა და ბიზნესის რეგულირების პაქტიკა, თბ., 2012.
72. **ხარაიშვილი ე.**, „ინოვაციური განვითარების ეროვნული და საერთაშორისო ფაქტორები აგრობიზნესში“, „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი თბ., 2012.
73. **ხარაიშვილი ე.**, „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“, თბ., 2011.
74. **ხარაიშვილი ე.**, „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები“, ჟურნალი „ეკონომიკა და მენეჯმენტი“, № 2, თბ., 2012. თანაავტორი გეჩბაია ბ.

75. **ხარაიშვილი ე.**, „ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაცია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 2, თბ., 2012.
76. **ხარაიშვილი ე.**, „საექსპორტო სასურსათო პროდუქციის დივერსიფიკაცია და საბაზრო პირობების სტრატეგია“, აგრარული მეცნიერების პრობლემები „სამეცნიერო შრომათა კრებული“, XXXX, თბ., 2007.
77. **ჯანდიერი გ.**, „კერძო საკუთრება და საქართველო“ , თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებულის III წიგნი, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, თბ., 2005. <http://nesgeorgia.org/files/III-10-gia.pdf>
78. **ჭაიკი ფ. ა.**, „საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები“, თბ., 2000.
79. **ჭაიკი ფ. ა. ფ.**, „გზა ბატონყმობისკენ“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული, „ლიბერალიზმი და ძალაუფლება“. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0-0-0---0prompt-10--.%2e-4----4---0-1l--11-en-10---10-about-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL4.1&d=HASHae602a6ff7637813421b98.9>
80. **ჰენდერსონი დ. რ.**, „გერმანიის ეკონომიკური სასწაული“, „თავისუფლების ბიბლიოთეკა“, კრებული V, „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008.
81. **ჰოპე ჰ. ჰ.**, „მარი როთბარდი ეკონომიკა, მეცნიერება და თავისუფლება“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული VI, „თავისუფლების მოაზროვნეები“, თბ., 2008.
82. **ჰოპე ჰ. ჰ.**, „კერძო საკუთრების ეთიკა და ეკონომიკა“, თავისუფლების ბიბლიოთეკის კრებული III, „ლიბერალიზმი და საკუთრება“, პუნქტი IV, თბ., 2005. <http://nesgeorgia.org/files/III-160-hoppe.pdf>
83. **Anthony B. k., Miller T.**, „Economic Freedom: Global and Regional patterns“. <http://www.heritage.org/index/book/chapter-1>

84. Стэнсел Д., Свалехен М. а., „Экономическая свобода, коррупция и рост“.
<http://www.inliberty.ru/library/study/304/>
85. Гурвич Е.Т., „Экономическая политика и измерения экономической свободы“
*Экономическая свобода и государство: друзья или враги, МЦСЭИ
„Леонтьевский центр“, 2012.*
86. Фридман М., Фридман Р., „Свобода выбирать“.
http://www.inliberty.ru/assets/files/books/Friedman_book2.pdf
87. Besley T., Burgess R., „Land Reform, Poverty Reduction and Growth: Evidence from India“, [Quarterly Journal of Economics 115 \(2\) 389-430, Harvard, 2000](http://www.inliberty.ru/library/study/315/)
88. Тамм С., „собственность“, библиотка ГВЛ серия Экономика, берлин, 2009.
89. Shaffer B., „Boundaries of Order: Private Property as a Social System“, Mises Institute, 2009.
90. Гризвольд Д., „Шесть причин покончить с сельскохозяйственными субсидиями и торговыми барьерами“, *Стратегия эффективных реформ.*
<http://www.inliberty.ru/library/study/315/>
91. „Макроэкономические цели и макроэкономические показатели“.
http://ofap.ulstu.ru/et/makroekonom/pub/2_1_2.htm
92. „Economic Freedom, Reforms, and Sustainable Growth“.
<http://developmentinstitute.org/topics/freedom/index.php>
93. Пауэлл Б., *Экономическая свобода и рост: история „кельтского тигра“.*
<http://www.inliberty.ru/library/study/351/>
94. <http://mises.org/document/4223/Boundaries-of-Order-Private-Property-as-a-Social-System>
95. Мисис Л.в., - „Liberty and Property“, *Updated 2010.*
<http://mises.org/document/880/Liberty-and-Property>
96. Mises L. v., „Economic Freedom and Interventionism“, (1990) Irvington-on-Hudson, NY: Foundation for Economic Education, Updated 5/26/2009.
<http://mises.org/document/879/Economic-Freedom-and-Interventionism>
97. Rothbard M. N., „For a New Liberty: The Libertarian Manifesto“, *Mises Institute, 2006. Updated 12/4/20122008.* <http://mises.org/document/1010/For-a-New-Liberty-The-Libertarian-Manifesto>

98. **Röpke W.**, „Economics of the Free Society", Chicago, 1963 Updated 8/5/2011.
<http://mises.org/document/3539/Economics-of-the-Free-Society>
99. **Bettina Bien Greaves.**- „Free Market Economics: A Basic Reader", Irvington, NY: FEE, 1974. Updated 4/20/2012.
<http://mises.org/document/3128/Free-Market-Economics-A-Basic-Reader>
100. **Генри Манн.** Инсайдерская торговля: „Хайек, виртуальные рынки и молчание, „сторожевых псов", <http://www.inliberty.ru/library/study/2489/>
101. **Мактис М. П.**, Альтернатива регулированию: „реформы в Новой Зеландии"
<http://www.inliberty.ru/library/study/2652/>
102. „The Causes And Effects Of Credit Shocks"
<http://www.investopedia.com/articles/economics/08/credit-shock-mortgages.asp#axzz2K1liEGJG>
103. Бутрин Д., „Инструментальное измерение свободы"
<http://www.inliberty.ru/blog/svoboda/1849/>
104. www.eauction.ge
105. <http://privatization.ge>
106. http://77.92.224.125/spp/spp/entities_for_sale.php?¶ms=S7QysqoutjKxUspJzEtXsi4G8pXSU0EMQ0MrpdS8ksySyviSygKgUKaVsXUtAA%3D%3D
107. <http://www.imf.org/external/datamapper/index.php>
108. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4898>
109. <http://nesgeorgia.org/page.php?id=1002>
110. <http://www.doingbusiness.org/>
111. <http://www.freetheworld.com/index.php>
112. <http://www.cato.org/economic-freedom-world>
113. <http://www.heritage.org/index/download>
114. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/2042690.html>
115. http://developmentinstitute.org/member/shikwati_freedom/russian.ph
116. <http://www.radiotavisupleba.ge/content/economic-review/24716769.html>
117. <http://www.bec.ge/images/doc/information%20of%20frazer%20index%20heritage%20foundation%20index%20and%20doing%20business.pdf>

118. <http://www.tabula.ge/article-5726.html>
119. <http://www.fitchratings.com/web/en/dynamic/about-us/about-us.jsp>
120. <http://www.gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/111/id/181/print/true>
121. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000764/New%20Microsoft%20Word%20Document.pdf>
122. <http://www.weforum.org/news/persisting-divides-global-competitiveness-switzerland-singapore-and-finland-top-competitiveness>
123. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24331224.html>
124. <http://www.imf.org/external/pubs/ft/spn/2009/spn0904.pdf>
125. <http://www.nplg.gov.ge/ec/ka/cart/search.html?cmd=search&pft=biblio&q>
126. <http://ucAtlas.ucsc.edu/sap.php>
127. http://www.tsu.edu.ge/data/file_db/library/PHD Eka%20Gegeshidze.pdf
128. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000418/Tushishvili%20N.pdf>
129. <http://www.conference.ge/index.php/topic/6522-ekonomikuri-tavisuflebis-khari/>
130. <http://nesgeorgia.org/search.php>
131. http://www.youtube.com/watch?v=jCaUA5l_bYc
132. http://online.wsj.com/article/SB10001424052748704113504575264513748386610.html?mod=djemEditorialPage_h
133. <http://www.presage.tv/?m=society&AID=4095>
134. http://www.youtube.com/watch?v=sV_RVtdkqpQ
135. <http://www.be.wvu.edu/divecon/econ/douglas/seminar/LawsonHayek.pdf>
136. http://www.fundforpeace.org/web/index.php?option=com_content&task=view&id=391&Itemid=549
137. <http://giorgibenashvili.files.wordpress.com/2011/10/e18394e18395e183a0e1839de18399e18390e18395e183a8e18398e183a0e18398e183a1-e18394e18399e1839de1839ce1839de1839be18398e18399e183a3e183a0.pdf>
138. <http://www.conference.ge/index.php/topic/6522-ekonomikuri-tavisuflebis-khari/>
139. <http://www.conference.ge/index.php/topic/6522-ekonomikuri-tavisuflebis-khari/>
140. http://avtok.blogspot.com/2010/05/blog-post_1427.html
141. <http://liberali.ge/node/1718>

142. <http://origin.tavisupleba.org/content/article/2042690.html>
143. <http://www.nplg.gov.ge/geo/home>
144. <http://myvuvuzela.wordpress.com/2012/06/21/reaganomics/>
145. www.statistics.ge
146. www.economy.ge